

გეოგრაფია

VII-IX
კლასები

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო
გეგმის გზამკვლევი მასწავლებლებისთვის



2013 წელი



ეროვნული
სასწავლო
გეგმვის
დეპარტამენტი



საქართველოს
განათლების
და მეცნიერების
სამინისტრო

გეოგრაფია

VII-IX კლასები

საგნობრივი გზამკვლევი
2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით

თბილისი, 2013

გზამკვლევზე მუშაობდნენ:

ავტორები: რუსუდან თევზაძე ეროვნული სასწავლო გეგმების
დეპარტამენტის გეოგრაფიის
ექსპერტი

მანანა სეხნიაშვილი გეოგრაფიის პედაგოგი,
მასწავლებლის სახლის ტრენერი

სამეცნიერო რედაქტორი: მაია ბლიაძე
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

ტექნიკური რედაქტორი: მანანა ბალიაშვილი

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები საბაზო საფეხურზე ...	7
თავი II. შეფასება	13
თავი III. საბაზო საფეხურის საგნის სტანდარტი და საგნის სწავლების მაგალითები VII-IX კლასებისთვის.....	30
VII კლასი	30
VIII კლასი	83
IX კლასი	122
თავი IV. საგნის სწავლება.....	177
თავი 5. განმავითარებელი და განმსაზღვრელი (შემაჯამებელი) შეფასების ნიმუშები საბაზო საფეხურისთვის (VII; VIII; IX; კლასები) ...	198
რესურსები	217

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი დამხმარე მეთოდური რესურსია მასწავლებლებსთვის, კერძოდ, საბაზო საფეხურზე გეოგრაფიის სწავლებისთვის. აქ აღწერილია მეთოდოლოგიური მიდგომებისა და აქტივობათა ტიპები, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის გეოგრაფიის სტანდარტის მოთხოვნების დაძლევას.

ვფიქრობთ, რომ საბაზო საფეხურის გზამკვლევი ძალზე მნიშვნელოვანი რესურსია მასწავლებლებისთვის, ვინაიდან სწორედ ამ საფეხურზე იწყებს მოსწავლე ფუნდამენტური გეოგრაფიის, როგორც ცალკე საგნის სწავლას და შემეცნებას.

გზამკვლევი ხუთი თავისგან შედგება. შესავალში მოკლედ არის აღწერილი გზამკვლევის სტრუქტურა, განსაზღვრულია მისი მიზნები და ამოცანები.

პირველ თავში საუბარია სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე. აღწინშეულია, რომ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის დაცული უნდა იყოს სწავლა/სწავლების ძირითადი პრინციპები.

მეორე თავი მოსწავლეების შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას ეხება. ჩამოყალიბებულია მიზნები, გაანალიზებულია მისი არსი; ამ თავში საუბარია VII, VIII, IX კლასებში შეფასების გამოყენების თავისებურებებზე და მოცემულია კონკრეტული მეთოდოლოგიური რჩევები.

მესამე თავი 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის – მსოფლიო გეოგრაფიისა (VII-VIII კლასის) და საქართველოს გეოგრაფიის (IX კლასის) სტანდარტის უშუალო განხილვას ეთმობა. საბაზო საფეხურის სტანდარტი სამი მიმართულებისა და ოცდათერთმეტი შედეგისგან შედგება. შესაბამისად, ყოველი მათგანი გზამკვლევაში შემდეგი სტრუქტურის საფუძველზეა განხილული:

მიმართულება:

შედეგი:	
ინდიკატორები:	
აქტივობები:	შენიშვნა
კავშირი სხვა საგნებთან:	
რეკომენდაციები მასწავლებლებს:	

სქემაში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომელი მიმართულების

რომელ შედეგს ეხება მსჯელობა. მოცემულია ინდიკატორები, რომლებსაც საბაზო საფეხურზე მსოფლიოსა და საქართველოს გეოგრაფიის სტანდარტი გვთავაზობს. აქვეა ჩამოთვლილი აქტივობები. რეკომენდაციის გრაფაში მოცემულია კონკრეტული რჩევები, რომლებიც პედაგოგებს ამ აქტივობების განხორციელებასა და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების დაძლევაში დაეხმარება, ასევე საუბარია საჭირო რესურსებსა და სხვა საგნებთან მიმართებაზეც.

სქემას მოსდევს აქტივობების აღწერა. შემოთავაზებული მაგალითები იმ ტიპისაა, რომ მათი მოდელის მიხედვით მასწავლებელს სხვა ნიმუშების შედგენა გაუადვილდეს. შესაძლებელია, მოცემული მაგალითები სტანდარტის სხვა მიმართულებების შედეგების დასაძლევად გამოდგეს, რაც შენიშვნის გრაფაშიცაა მითითებული, თუმცა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ისინი გზამკვლევაში მიმართულებების მიხედვით თემატურადაა დაჯგუფებული.

მეოთხე თავში საუბარია სწავლების კონკრეტულ მეთოდებზე, რომელთა გამოყენებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზემოაღნიშნული საგნის სტანდარტის მიმართულებებისა და შედეგების მიღწევისთვის. აქვეა განხილული შემდეგი მეთოდები:

- მინი-ლექცია;
- დისკუსია;
- ექსკურსია;
- გონებრივი იერიში;
- პრეზენტაცია;
- შემთხვევის განხილვა;
- როლური თამაში (სიუჟეტური თამაში);
- სოკრატული მეთოდი;
- კორნელის მეთოდი;
- კეთებით სწავლება;
- თვალსაჩინოებებთან მუშაობა;
- წერილობით წყაროებზე მუშაობა;
- ვიქტორინა;
- გეოგრაფიული კარნახი;
- გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზი;
- კონტურულ და მენტალურ რუკებზე მუშაობა.

მეოთხე თავში საუბარია იმ დადებით და უარყოფით მხარეებზე, რომლებიც სწავლების პროცესში მათი გამოყენებისას შეიძლება წარმოიქმნას. შემოთავაზებულია საინტერესო რეკომენდაციებიც.

დაბოლოს, მეხუთე თავში განხილულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კონკრეტული ნიმუშები.

გზამკვლევს ერთვის სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი რესურსებისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რომელიც პედაგოგებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს.

თავი I. სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები საპაზო საფეხურზე

სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპების გაგება ალბათ გართულდება, თუ კარგად არ გავიაზრებთ კონკრეტული სასწავლო დისციპლინის არსს და მნიშვნელობას; სწორედ ამიტომ გთავაზობთ მოკლედ გეოგრაფიის რაობას და მის მთავარ ღირებულებებს.

ერატოსთენეს და პტოლემეოსის დროიდან მოყოლებული, გეოგრაფიამ განვითარების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი გზა განვლო.

გეოგრაფიის მეცნიერებად ჩამოყალიბებამ ნათელყო, რომ მისი შემადგენელი კომპონენტები, მიუხედავად ურთიერთდამოკიდებულებისა, პირველ რიგში მაინც ეფუძნება სპეციფიკურ კანონზომიერებებს. დაიწყო გეოგრაფიის დიფერენციაცია. ლომონოსოვმა, მსოფლიოში პირველმა, გამოთქვა აზრი ეკონომიკური გეოგრაფიის დამოუკიდებელ დისციპლინად გამოყოფის შესახებ, ხოლო ფიზიკური გეოგრაფიის ფუძემდებლად ჰუმბოლტი გვევლინება.

ნიშანდობლივია ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის დეფინიციები, რომლებშიც ნათლად ჩანს ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთკავშირის ხარისხი.

ფიზიკური გეოგრაფია არის მეცნიერება ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების განლაგებისა და განვითარების კანონზომიერებების შესახებ დედამიწაზე და მის ცალკეულ ნაწილებში, ხოლო **ეკონომიკური გეოგრაფია** – მეცნიერება საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსების განლაგებისა და განვითარების კანონზომიერებებზე მთელ დედამიწაზე და მის ცალკეულ ნაწილებში. ამგვარად, ეკონომიკური და ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის საერთო საგანია ტერიტორია, რომლის ტრანსფორმაცია საზოგადოების პრეროგატივაა. თუმცა აუცილებელია ვიცოდეთ უახლესი ინფორმაცია ბუნებრივი გარემოს მდგომარეობისა და განვითარების შესახებ იმისთვის, რომ ადამიანებმა იმოქმედონ არსებული კანონზომიერებების გათვალისწინებით და არა ამ კანონზომიერებათა საწინააღმდეგოდ, რათა არ მოხდეს ბალანსის დარღვევა საზოგადოებასა და ბუნებას შორის.

ბუნება---საზოგადოება---წარმოება - ეს ის ჯაჭვია, რომელიც გეოგრაფიის დიფერენციაციის წინაპირობაა. მართალია, საზოგადოების მიერ ხდება ბუნების რეალიზაცია წარმოებაში, თუმცა მის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს პირველი ორი ელემენტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს. თითოეული ელემენტი გეოგრაფიის ცალკეული მიმართულებისთვის კვლევის კონკრეტულ საგნად გვევლინება. სწორედ ეს არის გეოგრაფიული მეცნიერებების კომპლექსური ერთობის მყარი საფუძველი.

ზევით მოცემული ეკონომიკური გეოგრაფიის განმარტება დღესაც აქტუალურია, თუმცა რეალურად გეოგრაფიული მეცნიერება დიდი ხანია გასცდა სტანდარტულ ჩარჩოებს. ის სწავლობს არა მარტო რესურსების გამოყენებას, საწარმოო ძალებსა და წარმოების პროცესს, არამედ ყველა იმ პროცესს, რაც სოციუმში ადამიანის აქტივობას უკავშირდება. დღეს ფაქტობრივად ვეხებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტისა და ელემენტის სივრცით ორგანიზაციას. მაგალითად, თუ ვსწავლობთ მოსახლეობის გეოგრაფიას, ვსწავ-

ლობთ არა მარტო ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, არამედ მის კომპლექსურ სტრუქტურას ასაკობრივ, სქესობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ და ა.შ. ჭრილში; მეურნეობის გეოგრაფიის განხილვისას რთული იქნება მისი აღქმა, თუ მასში არ ჩავრთავთ ეკონომიკურ

მახასიათებლებს – ფინანსებს, გასაღების ბაზარს, მომსახურეობას და ა.შ.; წარმოდგენელია გეოგრაფიულ კვლევებში არ გამოვიყენოთ პოლიტიკური გეოგრაფიის ელემენტები – მმართველობის ფორმები, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა, სახელმწიფო საზღვრები... – სწორედ ამით იწყება ნებისმიერი ქვეყნის გაცნობა და შესწავლა.

რაც ყველაზე მთავარია, გეოგრაფიის ნებისმიერი მიმართულება, იქნება ეს ფიზიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური, საზოგადოების გარეშე ვერ შეძლებს განვითარებას და ვერ იქნება მომავალზე ორიენტირებული. სწორედ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები განაპირობებს ცვლილებებს მეცნიერულ დისციპლინებში. მეცნიერების კვლევის საგანი ხდება ის, რაზეც არსებობს საზოგადოების მოთხოვნა და საჭიროება. ამდენად, გეოგრაფიის ყველა მიმართულება, ბუნებრივ მოცემულობასთან ერთად, საზოგადოებრივი იმპულსებით ვითარდება და აქტიური კავშირი აქვს სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან (ისტორია, ეკონომიკა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია...). ეს კი გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, საზღვრებსა და შესაძლებლობებს მკვეთრად ზრდის და განსხვავებულ მასშტაბებს სძენს, რაც ნამდვილად იძლევა იმის საფუძველს, რომ ფიზიკური გეოგრაფიის გარდა, სხვა გეოგრაფიული დისციპლინები საზოგადოებრივი გეოგრაფიის ეგიდით გაერთიანდეს.

საზოგადოებრივი გეოგრაფია მეტად კონკურენტუნარიან საგნობრივ დისციპლინებს მოიცავს, რაც იმით აიხსნება, რომ იგი მჭიდრო ურთიერთკავშირშია სხვა საგნობრივ დისციპლინებთან – ისტორიასთან, სამოქალაქო განათლებასთან, სოციოლოგიასთან, ეკონომიკასთან, პოლიტოლოგიასთან... – და, ამავდროულად, საშუალებას იძლევა, მოსწავლემ მიიღოს კომპლექსური განათლება, განუვითარდეს და ჩამოუყალიბდეს ისეთი საჭირო უნარ-ჩვევები, როგორიცაა: ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ვარაუდების გამოთქმა, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, დასკვნების გამოტანა და პროგნოზირება, რაც გეოგრაფიული აზროვნების მთავარი პრიორიტეტებია.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სწავლებისას არ უნდა დავარღვიოთ კლასიკური სამკუთხედის პრინციპი – მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ცოდნა, რომელსაც უნარ-ჩვევების მეშვეობით რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებს და, შესაბამისად, უნდა ჰქონდეს სწორი განწყობა-დამოკიდებულება, არა მხოლოდ აღნიშნული საგნის, არამედ გარე სამყაროს მიმართაც.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი საჭიროებს სწავლა/სწავლების შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვას:

1. ცოდნის კონსტრუირებას;
2. გაღრმავებულ სწავლებას;

3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას;
4. მოტივაციის ამაღლებას;
5. მოსწავლის ჩართულობას;
6. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებას;
7. ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებას.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. ცოდნის კონსტრუირების ხელშეწყობა

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული. გამზადებული ცოდნის გადაცემა ხელს არ უწყობს გააზრებულ და ხარისხიან სწავლებას. მართალია, მასწავლებელმა უნდა მართოს სწავლა-სწავლების პროცესი, მაგრამ მოსწავლესაც უნდა დაუტოვოს დამოუკიდებლად დაფიქრების საშუალება, რათა მან საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით აღმოაჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ამგვარი აქტიურობით ის უკეთესად გაიაზრებს და შეითვისებს ცოდნას. ცხადია, მოსწავლე შეცდომებსაც დაუშვებს და დაბრკოლებებსაც წააწყდება, მაგრამ მასწავლებლის მსჯელობითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით პრობლემების გამკლავებასაც შეძლებს, ხარვეზებსაც შეავსებს და შეცდომებსაც გამოასწორებს. განათლების ფსიქოლოგიაში დიდი ყურადღება ექცევა აღმოჩენით სწავლას, როცა ბავშვები დიდწილად თვითონ მუშაობენ, და სწავლას მართვადი აღმოჩენით – ამ ბოლო შემთხვევაში პროცესს მასწავლებელი მართავს. ამ დროს მასწავლებელი არ საუბრობს პრობლემის გადაჭრის გზებსა და ხერხებზე, იგი მოსწავლეებს მხოლოდ აუცილებელ მასალას აწვდის, მათ დაკვირვებისკენ უბიძგებს და აძლევს საშუალებას, გამოთქვან მოსაზრებები და ჰიპოთეზები. ამისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ ინტუიციური და ანალიტიკური აზროვნების ამოქმედება. მასწავლებელს შეუძლია, დასვას მიმანიშნებელი კითხვები, წაახალისოს მოსწავლეთა არასრული მონაცემები, ხოლო შემდეგ დაეხმაროს მათ მოსაზრებათა დამტკიცებასა ან უკუგდებაში. მუშაობის ეტაპებია: შესავალი, ექსპერიმენტი, მსჯელობა (გააზრება), გამოყენება და შემოწმება.

მუშაობის ამგვარი მეთოდის დადებით მხარედ შემეცნებითი პროცესის განვითარება შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ დროს გამოიყენება მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები: დისკუსია, ლიტერატურაზე მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვა; ძლიერდება მოტივირება და მუშაობით მიღებული კმაყოფილება; ბავშვები ხედავენ საკუთარი შრომის ნაყოფს – ცოდნა არ არის ფორმალური; მყარდება კავშირი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან; ჯგუფური მუშაობის დროს კი ვითარდება თანამშრომლობის უნარი.

2. გაღრმავებული სწავლება

შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რომელიც მოიცავს სასწავლო მასალის

ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და ზოგადი ასპექტების დამუშავებას.

3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა

სწავლა-სწავლების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ და მონესრიგებულ გარემოში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

4. მოტივაციის ამაღლება

მოტივაცია განმსაზღვრელ როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. მოტივაციის ამაღლება ბადებს სასწავლო აქტივობაში ჩაბმის სურვილს, ზრდის მასში მონაწილეობის ხარისხს, რაც, თავის მხრივ, უფრო ქმედუნარიანს ხდის მოსწავლეს. მოტივირებული მოსწავლე მიზანდასახულია და მზად არის, გადალახოს სიძნელეები. ამდენად, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მნიშვნელოვანი ამოცანაა პედაგოგისთვის.

შესაძლებელია მოტივაციური პროცესების მართვა, რასაც მოტივირებას უწოდებენ. სასწავლო გეგმის შედგენისას, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს მოტივებზე და გაიაზროს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსწავლეებს სწავლის სურვილი გაუღვიძოს; როგორ განუვითაროს და აუმაღლოს მოტივაცია სასწავლო გეგმის ფარგლებში.

პირველ რიგში, მოსწავლეებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა, უნდა მივცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. ამდენად, აუცილებელია თითოეული მოსწავლისათვის სწორად შეირჩეს დავალებათა სირთულის დონე. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის დაკარგავს წინსვლის იმედს და და, შესაბამისად, მოტივაციას. წარმატებული პედაგოგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მოსწავლისთვის მთავარი მოტივი სასურველი შედეგის მიღწევის მოტივია. რა საერთო აქვთ ალპინისტს, რომელიც მწვერვალს იპყრობს, ბავშვს, რომელიც გატაცებით თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს და მოსწავლეს, რომელიც ყოველთვის ცდილობს, უკეთესად ისწავლოს? თითოეულ მათგანს გააქტიურებული აქვს წარმატების მიღწევის მოტივი, საკუთარი შესაძლებლობების დონის ამაღლებისკენ სწრაფვა, რაც დაკავშირებულია პიროვნების სურვილთან, მიაღწიოს წარმატებას და არ დამარცხდეს. ასე რომ, აუცილებელია, შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც ნებისმიერ მოსწავლეს ექნება წინსვლის სურვილი.

თანამედროვე სკოლაში სწავლის მოტივაციის განვითარება მოსწავლეთა მიღწევის მოთხოვნილების განვითარებაზე იგება. ეს ტექნოლოგია გულისხმობს ისეთი პროგრამების შემუშავებას, სადაც ბევრი სხვადასხვა სირთულის დავალების გრადაციაა.

- მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება. აუცილებელია ყველა სახის სასწავლო მასალის გამოყენება მოსწავლის დასაინტერესებლად. სასურველია, გაკვეთილის გეგმა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმოს. სასწავლო მასალა უნდა დავუკავშიროთ „სამყაროს სურათს“, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ბავშვის ინტერესების გამოსავლენად მარტივი ხერხია პირდაპირი შეკითხვა — როგორ ატარებენ თავისუფალ დროს. მოსწავლეთა ინტერესების დადგენის შემდეგ, საჭიროა მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. მაგალითად, მას შემდეგ, რაც გეოგრაფიის მასწავლებელი გაარკვევს, რომ მის ზოგიერთ მოსწავლეს სათავგადასავლო რომანები მოსწონს, მოუყვეს, როგორ ეფუძნება ეს ნაწარმოებები რეალურ გეოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს მოსწავლეთა ინტერესები, რათა შეავსოს სასწავლო პროგრამები. ყველაფერი, რაც გაზრდის ცნობისმოყვარეობას, შეიძლება გაკვეთილის მსვლელობისას გამოვიყენოთ – ახალი და უჩვეულო ფაქტები, შეხედულებები მოვლენებზე, თვალსაჩინო დამხმარე ლიტერატურა, თვითნაკეთობები და სხვა. სასურველია, მასწავლებელმა შექმნას პრობლემური სიტუაციები, რითაც უზიძგებს მოსწავლეებს ობიექტის შესწავლისკენ.
- მოსწავლეს უნდა დავანახოთ სასკოლო აქტივობათა ღირებულება. მან უნდა გაიაზროს,

რატომ გაისარჯოს დავალებული ამოცანის შესრულებისას, რისთვისაა ეს საჭირო და რაში გამოადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოტივაცია მკვეთრად ნაკლები იქნება და იგი აქტივობისთვის მინიმალურად ან სულაც არ დაიხარჯება. ამდენად, მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ნათლად დაანახოს მოსწავლეს ამა თუ იმ აქტივობის მნიშვნელობა, ხელი შეუწყოს შესასრულებელი დავალების გააზრებაში და გააგებინოს, რა აზრი აქვს მის შესრულებას, რა სარგებელს მოუტანს პიროვნული თუ სოციალური თვალსაზრისით და რას შესძენს ისეთს, რაც მას სკოლის გარეთაც გამოადგება.

მოსწავლის ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიურობა განათლების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მათი მონაწილეობაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ხელშეწყობა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

5. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება

ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით, აზ-

როვნების მოდალობითა და სწავლის სტილით (აღქმის მოდალობებით). განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლამ ყველა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი, რაც გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზების, აქტივობათა ტიპებისა თუ შეფასების ხერხების გამოყენებას.

მესამე და მეოთხე თავებში განვიხილავთ აქტივობათა და შეფასების ხერხების მრავალფეროვან სპექტრს. ყურადღებას შევაჩერებთ სწავლის სტილზე ანუ აღქმის მოდალობებზე.

თანამედროვე მკვლევრები მოსწავლეს ადარებენ ტელევიზორს, რომლის მსგავსად, მოსწავლესაც შეუძლია, სხვადასხვა არხით მიიღოს ინფორმაცია. როგორც წესი, ცალკეულ ინდივიდში რომელიღაც ერთი არხი სხვებზე მეტადაა განვითარებული და, შესაბამისად, ის ინფორმაციის დამუშავებას ერთ-ერთი არხით არჩევს. სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს სასწავლო პროფილს. დადგენილია სამი ძირითადი სასწავლო პროფილი:

- ხედვითი;
- სმენითი;
- კინესთეტიური.

ზოგიერთი ადამიანი ინფორმაციას მხედველობით აღიქვამს, ამიტომ მათზე ამბობენ, ფოტოაპარატით სწავლობსო. იმთხე, ვინც სმენით აღიქვამს ინფორმაციას, ამბობენ, მაგნიტოფონით სწავლობსო. კინესთეტიკები კი „უთავოდ“ სწავლობენ – ისინი არჩევენ მანიპულაციას, ხელით კეთებას, შესტიკულაციას, მიმიკას, რიტმს, მოძრაობას.

მაშასადამე, ადამიანს გარედან მიღებული ინფორმაციის აღქმისა და დამახსოვრების ინდივიდუალური უნარი აქვს. ზოგი მხედველობით მიღებულ ინფორმაციას იმახსოვრებს უკეთ, ზოგი – სმენით აღქმულს, ზოგს კი მოქმედების შესრულება, სიტუაციის შეგრძნება სჭირდება, მიღებული ინფორმაცია რომ შეინახოს. ეს უნარი, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვობიდანვე იჩენს თავს, და თუ ინფორმაციის მიწოდების ფორმა არ შეესაბამება ბავშვის ინდივიდუალურ სისტემას, მას უჭირს მისი აღქმა და გაგება. გაკვეთილი, რომლის 60-70% მასწავლებლის მონაყოლისგან შედგება, „სმენითებისთვის“ (იგივე აუდიალებისთვის) ადვილად აღსაქმელია. მასწავლებელი დროდადრო წერს დაფაზე და ამით ჩართავს „ვიზუალს“ ანუ ხედვითი პროფილის მქონეს და ამგვარად უწყობს ხელს მას, გაიგოს ინფორმაცია. ამ დროს კინესთეტიკები გაკვეთილიდან გამოთიშული არიან. თუ მათი პროფილის შესაბამის აქტივობას არ ჩაერთავთ, ისინი მხოლოდ სპორტისა და სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე შეძლებენ თავის წარმოჩენას. ამიტომ აუცილებელია, ასეთ მოსწავლეებს მათი ინდივიდუალური სტილის შესაბამისი აქტივობები შევთავაზოთ.

თავი II. უეფასება

მოსწავლის შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

მოსწავლის აკადემიური მიღწევა ხშირად და მრავალმხრივად უნდა შეფასდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასების მეშვეობით ხდება სწავლის ხარისხის კონტროლი, დგინდება მოსწავლის მიღწევის დონე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

განმავითარებელი შეფასების მეშვეობით ხდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი, იგი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასაჯელად და ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, ადგენს მათ საჭიროებებს, რათა თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. ასეთ კონსტრუქციულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს არ აფერხებს მარცხის/წარუმატებლობის შიში და ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვს. ცოდნის დონის მიუხედავად, მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, იმდიდრებენ გამოცდილებას და იუმჯობესებენ უნარ-ჩვევებს.

განმავითარებელი შეფასების პროცესში უნდა ჩაერთონ მასწავლებელიც და მოსწავლეებიც. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავადაც უნდა ცდილობდნენ, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამგვარ პროცესებში მოსწავლეთა ჩართვა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარს აყალიბებს და ზრდის მათ ქმედითუნარიანობასა და პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, რაც საშუალებას აძლევს, იგრძნოს წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები (მაგალითად, ათვისებულია/

ფლობს, ათვისების/დაუფლების პროცესშია, ასათვისებელია/დასაუფლებელია). ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნისა თუ უნარის ათვისების პროცესი.

განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებათა სქემატური აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწავლის დონის განსაზღვრა.
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადანყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: ა) საშინაო დავალებით; ბ) საკლასო დავალებით; გ) შემაჯამებელი დავალებით. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.

შემაჯამებელი კომპონენტი აფასებს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეულ შედეგებს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით – კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარის წარმოჩენა.

ასე რომ, შემაჯამებელი დავალებები უნდა აფასებდეს საგნის – „გეოგრაფია“ – სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და გავლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომლითაც შეფასდება შემაჯამებელი დავალება.

სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის (თხზულების, პროექტის, საველე-გასვლითი სამუშაოს, ექსკურსიის, ტესტის, პრეზენტაციისა და სხვა) გამოყენება.

თითოეული შემაჯამებელი დავალება ფასდება კონკრეტული ნიშნით. მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. იმ შემთხვევაში, თუ ის გაცდენის გამო ვერ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებულ სამუშაოს, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაო უნდა დაინიშნოს სემესტრის განმავლობაში. შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის წესი განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

სემესტრის მიმდინარეობისას ჩატარებული შემაჯამებელი შეფასებების შემდეგ რეკომენდებულია კომენტარების დაწერა იმათთვის, ვინც აუცილებლად უნდა გამოასწოროს შედეგები, რათა დადებითი სემესტრული შეფასება მიიღოს. კომენტარის დაწერა მაშინაც შეიძლება, თუ მოსწავლემ წინა შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწრება. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მოსწავლეს სემესტრის ბოლომდე სწავლის ხარისხის შესანარჩუნებლად.

განმსაზღვრელი შეფასება VII, VIII, IX კლასებში

როგორც აღვნიშნეთ, განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს პოზიტიური და კონსტრუქციული გარემოს შექმნას, რომელშიც თითოეულ მოსწავლეს ექნება იმის განცდა, რომ შეუძლია წინსვლა და დაბრკოლებების გადალახვა. მართლაც, განმავითარებელი შეფასება განსაზღვრავს კონკრეტული მოსწავლის პირად წინსვლას. განმსაზღვრელი შეფასების შემოღება კონსტრუქციულ გარემოს გარკვეულ საფრთხეს უქმნის. მასწავლებელს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ მთავარი პრიორიტეტი – თითოეულმა მოსწავლემ იგრძნოს თანადგომა ცოდნის აგების პროცესში – არ გადაფაროს განსჯითმა დამოკიდებულებამ და არ შეიქმნას გარემო, რომელშიც ჩნდებიან გამარჯვებულები და დამარცხებულები. მართლაც, განმსაზღვრელი შეფასება ყველას აფასებს საერთო საზომით საერთო ნორმასთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში წარმატების კრიტერიუმი ემყარება არა კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს, არამედ საერთო ნორმის მოთხოვნებს. ამიტომ იკარგება იმ მოსწავლეთა ძალისხმევის კვალი, რომლებსაც წინსვლა აქვთ, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არიან საერთო მოთხოვნებთან. მათ, ფაქტობრივად, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების საშუალება ერთმევათ. ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა სასკოლო მოტივაცია ეტაპობრივად კლებულობს, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება სწავლის შედეგებზე. ისინი საკუთარ თავში ვეღარ პოულობენ სიძნელეთა დაძლევის რესურსებს, კარგავენ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, ფიქრობენ, რომ ვერ შეცვლიან მოვლენათა კურსს, ვერ იმოქმედებენ იმ ფაქტორებზე, რომლებიც მათ წარმატებას განსაზღვრავს. მათი გონება დაკავებულია არა ახალი ცოდნის შეძენითა და უნარ-ჩვევების განვითარებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ არასასურველი შეფასების თავიდან აცილებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი სტრატეგიები მიმართულია არა სწავლა-განვითარებისაკენ, არამედ თავდაცვისაკენ. თუკი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული მოსწავლე იღებს ნებისმიერ გამოწვევას და მზად არის, შეეჭიდოს ამა თუ იმ სიძნელეს, მოტივაციადაქვეითებული მოსწავლე, პირიქით, თავს არიდებს სასწავლო აქტივობებს, რომელთა შესრულება მის გაზრდა-განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით მასწავლებელმა პრიორიტეტულობა უნდა შეუნარჩუნოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც თითოეული მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტია.

შეფასების კომპონენტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში:

1. საკლასო სამუშაო;
2. საშინაო დავალება;
3. შემაჯამებელი დავალება.

1. საკლასო სამუშაო

ფასდება შემდეგი ცოდნა¹ და უნარ-ჩვევები:

- პრობლემის გააზრება;
- კომუნიკაცია;
- სწავლა;
- თანამშრომლობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა;
- შემოქმედებითობა;
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა;
- გეოგრაფიული კვლევა;
- სივრცეში ორიენტირება;
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- თემასთან დაკავშირებით დასმული კითხვებით;
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით;
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით;
- განხილული მოვლენებისა და პროცესებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვით;
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის მიგნებით;
- ჯგუფურ მუშაობაში შეტანილი წვლილით;
- დისკუსიაში მონაწილეობის სიხშირით;
- ახსნილი ცნებებისა და ტერმინების განმარტებითა და გამოყენებით;
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას საკუთარი მოსაზრების დასაბუთებით;
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით;
- პრეზენტაციით;
- დროის ლიმიტის დაცვით;
- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით.

2. საშინაო დავალება

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- პრობლემის გააზრება;
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება;
- კავშირებისა და მიმართებათა დადგენა;
- კომუნიკაცია;
- სწავლა;
- თანამშრომლობა;

¹ცოდნა ფასდება თითოეული საგნისა და კლასის პროგრამული შინაარსის შესაბამისად.

- პრობლემის გადაჭრა;
- შემოქმედებითობა;
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა;
- გეოგრაფიული კვლევა;
- სივრცეში ორიენტირება;
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა;
- კრიტიკული აზროვნება.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- ცნებებისა და ტერმინების განმარტებითა და გამოყენებით;
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას მოსაზრებების არგუმენტირებით;
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით;
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით;
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბებით;
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით;
- პრეზენტაციით;
- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით;
- წერიტი ნამუშევრის შექმნით.

3. შემაჯამებელი შეფასება²

ფასდება შემდეგი უნარ-ჩვევები:

- კრიტიკულ პირობებში (ტესტი, საკონტროლო და სხვა) ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომჟღავნება;
- პრობლემის გააზრება;
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება;
- კავშირებისა და მიმართებების დადგენა;
- კომუნიკაცია;
- გეოგრაფიული კვლევა;
- პრობლემის გადაჭრა;
- შემოქმედებითობა;
- სივრცეში ორიენტირება;
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა;
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა;
- კრიტიკული აზროვნება.

² შემაჯამებელი სამუშაოები სრულდება როგორც ზეპირი (დისკუსია, ინსცენირება) და წერიტი (ტესტი, ნაშრომი, ისტორიულ-გეოგრაფიული თემა), ისე შერეული (პრეზენტაციის ან პროექტის წარდგენა) ფორმით, სასწავლო თემის, თემების ბლოკისა თუ სასწავლო პროცესის გარკვეული ეტაპის დასრულების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალებების ტიპები:

- საკონტროლო წერა;
- ტესტირება;
- კითხვა-პასუხი;
- თემა/ესე;
- პრეზენტაცია;
- პროექტი;
- რეფერატი;
- კვლევა;
- დისკუსია/დებატები;
- კონფერენცია.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და გავლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომლითაც უნდა შეფასდეს შემაჯამებელი დავალება.

შეფასების რუბრიკის ნიმუშები:

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა და საბოლოო შეფასება კეთდება მათი შეჯამებით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1									
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1									
შემოქმედებითი უნარი	1									
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	0									

თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	0									
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1									
თვალსაჩინოებათა გამოყენება	0									
აუდიტორიასთან კონტაქტი	1									
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1									
დროის ლიმიტის დაცვა	0									
ჯამი	6									

პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის სამზე გაყოფით მოხდება მოგროვილი ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა.

	ელემენტარული 1 ქულა	მისაღები 2 ქულა	ოსტატური 3 ქულა
1. მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია.	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება.	მიზნები კარგად გამოკვეთილი და მარტივად აღსაქმელია.
2. ორგანიზება	სუსტად ორგანიზებულია, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/მსმენელს.	გააზრებულია თანმიმდევრულობა ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი — გაუგებარი.	კარგად ორგანიზებულია ფორმატი, ლოგიკურად გადადის ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას.
3. შინაარსის კორექტულობა	ხშირად გვხვდება შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია.	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი ინფორმაცია შეუსაბამო ან მცდარია.	მთლიანად კორექტულია, ფაქტები ზუსტი და მკაფიოა.
4. ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავია, ხშირია შეცდომები.	ენობრივად გამართულია, მცირეა შეცდომები.	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები.
5. კვლევა	კვლევა არაეფექტურად ადაგეგმილი, გამოყენებული წყაროები არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია.	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციური მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროები გამოყენებული, ანალიზი მისაღებია.	კვლევა არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო, ანალიზი სიღრმისეულია.

6.თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი.	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან ნათელია, მაგრამ ერთფეროვანი.	მრავალფეროვანია, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული.
7.შემოქმედებითობა	ჯგუფის მხრიდან მცირე შემოქმედებითი ენერჯიაა დახარჯული.	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები, რაც ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში.	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის.
8.კავშირი საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება.	მოსაზრებები დაკავშირებულია ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან.	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგანში მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის მრავალი მიმართულებით კომპეტენტურობაზე.
9.დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები.	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო.	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), იგრძნობა ლოგიკური კავშირი კვლევისასთან, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
10.პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები.	ბუნდოვანად აყალიბებს პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობაზე.	ნათლად ჩამოყალიბებულია პროექტის არსი, მკაფიოა მეტყველება, არის აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეები გაშლილია, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას.

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კონკრეტულ მოსწავლეს თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ენიჭება შესაბამისი ქულა, ჯამდება ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულები და იყოფა ექვსზე (გამოითვლება მათი საშუალო არითმეტიკული).

	III დონე (8-10 ქულა)	II დონე (5-7 ქულა)	I დონე (1-4 ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს.	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს.	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს.
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს.	ძირითადად მეტყველება გასაგებია, უყურებს მსმენელებს.	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება.
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ყესტებით, გამომეტყველებით, ხმით).	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი.	იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.
მონაწილეობა	ამჟღავნებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით.	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის შესატყვისი.	მცირე ინტერესი აქვს; არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას.
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას, იცავს დისკუსიის წესებს.	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს.	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს.

მოსაზრების არ-გუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით; არის ლოგიკური კავშირი საკითხთან.	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები.	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით.
----------------------------------	---	---	---

**შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი გეოგრაფიაში:
დანერეთ თემა: „დიდი აღმოჩენების პერიოდი“.**

- ა) ჩამოაყალიბეთ კვლევის ძირითადი იდეა, თეზისი;
- ბ) დაიცავით რეფერატის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), თემას დაურთეთ გამოყენებულ ლიტერატურის ნუსხა;
- გ) სათანადო ფაქტობრივი მასალა დაამუშავეთ იმგვარად, რომ საშუალება მოგეცეთ, იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:
 - რატომ და როგორ დაინყო დიდი აღმოჩენების ეპოქა?
 - რომელმა მოგზაურებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიაში?
 - რა შედეგები მოჰყვა დიდი აღმოჩენების ეპოქას?
 - დიდი აღმოჩენების პერიოდის შეფასება.
- დ) მსჯელობისას განიხილეთ განსხვავებული პოზიციები, შეაჯერეთ ისინი, ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და დაასაბუთეთ იგი;
- ე) რეფერატის სრულყოფილად დასამუშავებლად გაეცანით და დაამუშავეთ საკითხის შესახებ არსებული პირველადი და მეორეული წყაროები.

რეფერატის შეფასების რუბრიკა

<p>1. მიზანი/თეზისი — კვლევის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება</p>	<p>0-1</p>	<p>0 ქულა – კვლევის მიზანი არ არის განსაზღვრული / კვლევის მიზანი მართებულია და არ არის განსაზღვრული.</p>	<p>–</p>	<p>1 ქულა – შესავალში, შერჩეულ თემასთან მიმართებაში, მკაფიოდაა წარმოჩენილი ის კითხვები, რომლებზეც არის რეფერატში პასუხი გაცემული.</p>
<p>2. რეფერატის ორგანიზება (რეფერატის სტრუქტურა-შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა რეფერატი</p>	<p>0-1</p>	<p>0 ქულა – არაა გამოკვეთილი რესურსები, რის საფუძველზეც შესრულდა რეფერატი, ნაშრომს არა აქვს სტრუქტურა, რეფერატს არა აქვს ადეკვატური ბიბლიოგრაფია.</p>	<p>–</p>	<p>1 ქულა – კარგად ჩანს, რა ბაზაზე შეასრულა მოსწავლემ რეფერატი; ბიბლიოგრაფია აჩვენებს, რომ გამოყენებულია სამეცნიერო ნაშრომები.</p>
<p>3. შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა</p>	<p>0-2</p>	<p>0 ქულა – მოძიებული მასალა ძალიან მწირია, არ იცნობს პირველად წყაროებს, მეორეული წყაროებიც არაა დამუშავებული.</p>	<p>1 ქულა – მოძიებული მასალა შეიცავს პირველად და მეორეულ წყაროებს, თუმცა წარმოდგენილი წყაროები ზედაპირულადაა დამუშავებული ანუ მოსწავლეს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს გააზრებული მასალა.</p>	<p>2 ქულა - იცნობს პირველად და მეორეულ წყაროებს, მოხმობილი ფაქტები სანდოა, რადგან წყარო მართებულია და არის ამოკითხული; პირველადი და მეორეული წყაროები სათანადოდ არის დამუშავებული, მოსწავლე ავლენს კრიტიკულ დამოკიდებულებას წყაროსადმი.</p>

4. ენობრივი გამართულობა	0-1	0 ქულა – ენა გაუმართავია, აზრები არათანმიმდევრულადაა გადმოცემული.	–	1 ქულა – ენა ნათელი და გასაგებია, მსჯელობა— თანამიმდევრული.
5. კვლევა (წყაროების ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე საკუთარი ვარაუდების შემუშავება)	0-2	0 ქულა - მოსწავლეს არ გააჩნია პოზიცია თემასთან მიმართებაში, მისი რეფერატი ორიგინალური ნაშრომის შთაბეჭდილებას არ ტოვებს; არ ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, შეიმჩნევა პლაგიატი.	1 ქულა – მოსწავლე ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, თუმცა უჭირს წყაროებში ფაქტებისა და ვარაუდების გარჩევა; შესაბამისად, მის მიერ გამოთქმული ზოგიერთი ვარაუდი უსაფუძველოა.	2 ქულა – მოსწავლე დამაჯერებლად განსხვავებს ფაქტსა და ვარაუდს ერთმანეთისაგან, სათანადოდ ამუშავებს პირველად და მეორეულ წყაროებს, მათი გაანალიზების საფუძველზე გამოთქვამს სათანადო ვარაუდებს, თანამიმდევრულად დალაგებული მასალის საფუძველზე ახერხებს თავისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემას.
6. ილუსტრაციები/თვალსაჩინოებები ¹	0-1	–	–	–
7. შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	0-2	0 ქულა – არა აქვს საკუთარი პოზიცია.	1 ქულა – ცდილობს შემოგვთავაზოს საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებაში, თუმცა უჭირს საკუთარ პოზიციას დაცვა.	2 ქულა – ავლენს საგნის კარგ ცოდნას, დამუშავებული მაგალითის მოშველიებით კარგად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და ამყარებს მას არგუმენტებით, მსჯელობს თამამად, ანგარიშს უწევს, მაგრამ ბრმად არ ენდობა ავტორიტეტებს.

8. დასკვნები	0-1	0 ქულა – რეფერატში მოცემული დასკვნები არაარგუმენტირებული და მცდარია.		1 ქულა – აჯამებს კვლევის შედეგებს, კარგად ახერხებს მკითხველამდე ამის მიტანას.
	ჯამური ქულა			

შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი გეოგრაფიაში:

წარმოადგინეთ თემა: „ კახეთის მხარის კომპლექსური დახასიათება“.

ა) განიხილეთ შემდეგი საკითხები:

- 1) კახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა;
- 2) ბუნებრივი რესურსები;
- 3) მოსახლეობა (სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მიგრაცია, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა);
- 4) ეკონომიკური მდგომარეობა (მეურნეობის დარგები, ტრანსპორტი);
- 5) კახეთის ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობები.

ბ) იმსჯელეთ და გამოიტანეთ დასკვნები (მხარის ადგილი საქართველოს რუკაზე და მისი განვითარების პერსპექტივები).

შეფასების კრიტერიუმები

განიხილავს პირველ ხუთ საკითხს	0-1-2	0 ქულა – ზედპირულად განიხილავს მხოლოდ ერთ ან ორ საკითხს.	1 ქულა - განიხილავს დავალებაში მოცემული საკითხების ნახევარზე მეტს.	2 ქულა – განიხილავს ყველა საკითხს.
იცავს შინაარსობრივ თანამიმდევრობას	0-1	0 ქულა – არათანმიმდევრულად გადადის ერთი საკითხიდან მეორეზე.	-----	1 ქულა – თანმიმდევრულად განიხილავს საკითხებს.

ავლენს ანა-ლიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს	0-2	0 ქულა - ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ფაქტებზე, არ ავლენს კრიტიკული აზროვნების უნარს.	1 ქულა აანალიზებს ერთ-ორ საკითხს და მათ მიმართ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას.	2 ქულა მოსწავლე აანალიზებს მასალაში მოცემულ საკითხებს, გამოხატავს მათთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას.
იყენებს თვალსაჩინოებებს	0-1	0 ქულა – თვალსაჩინოება არ არსებობს ან ძალიან მწირია.	-----	1 ქულა – მოხსენებას ახლავს მრავალფეროვანი თვალსაჩინოება.
საუბრობს გარკვევით და გამართულად	0-1	0 ქულა – საუბრობს გაურკვევლად, ჭირს აზრის გამოტანა.		1 ქულა - საუბრობს გარკვევით, გამართულად მეტყველებს.
პასუხობს დასმულ კითხვებს, ავლენს შესწავლილი საკითხების ცოდნას	0-1	0 ქულა -საერთოდ ვერ პასუხობს აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებზე.		1 ქულა - ადეკვატურად პასუხობს კითხვებზე, ავლენს ცოდნასა და ანალიზის უნარს.
იცავს დროის ლიმიტს	0-1	0 ქულა – არ იცავს დროის ლიმიტს.		1 ქულა - დროის ლიმიტი დაცულია.
გამოაქვს დასკვნა/ები	0-1-2	0 ქულა – ვერ გამოაქვს დასკვნა/გამოაქვს არაადეკვატური დასკვნა/ები.	1 ქულა გამოაქვს გარკვეული დასკვნები, მაგრამ ვერ ასაბუთებს მათ.	2 ქულა - გამოაქვს საინტერესო დასკვნები, მსჯელობა საინტერესო და დამაჯერებელია.

სტანდარტან შესაბამისობა - შემაჯამებელი დავალება შესაბამისობაშია IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის შემდეგ შედეგებთან:

გეო.IX.1. მოსწავლეს შეუძლია რუკებისა და სხვა თვალსაჩინოებების (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვა) დახმარებით დაახასიათოს ადგილი, მოვლენა და პროცესი; შეადგინოს თემატური რუკები.

გეო.IX.3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს და გააანალიზოს საქართველოს ბუნებრივი პირობები.

გეო.IX.6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საქართველოში მეურნეობის სტრატეგიული დარგები და მათი განვითარების პერსპექტივები.

თავი III. საბაზო საფეხურის საბნის სტანდარტი და საბნის სწავლების მასალები VII-IX კლასებისთვის

VII კლასი

მიმართულება № 1 : დრო და სივრცე


შედეგი	გეო.VII.1. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს გეოლოგიური წელ-თაღრიცხვის სისტემა.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> გამოთქვამს ვარაუდს დედამიწის განვითარების განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების თანმიმდევრობის შესახებ (მაგ., ჰიდროსფეროს, ატმოსფეროს, კონტინენტებისა და სიცოცხლის წარმოშობა) და ადარებს მას გეოქრონოლოგიურ სკალას; გეოქრონოლოგიური სკალის მეშვეობით აჯგუფებს გეოლოგიურ ერებს და მათთვის დამახასიათებელ ორგანულ სამყაროს. 	
	აქტივობები:	შენიშვნა
	<ol style="list-style-type: none"> მინი-ლექცია დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ჩვენება დროის ხაზზე მნიშვნელოვანი მოვლენების აღნიშვნით, გეოქრონოლოგიური ცხრილის შედგენა კოგნიტური დიაგრამის (სააზროვნო სქემის) შედგენა 	
	რესურსები: დაფა, ცარცი, ფურცელი; მსოფლიოს ფიზიკური ან პოლიტიკური რუკა; ტექსტი, პანგეას დაშლის სქემა; ინტერნეტსაიტი: http://www.youtube.com/watch?v=WO5DqWiYBMg&feature=related – ანიმაციები კონტინენტების დრეიფზე	
	კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია	
	რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობებისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას სააზროვნო სქემების მნიშვნელობა, ამასთანავე, მათი გამოყენებაც ასწავლოს. შესაძლებელია, მასწავლებელმა თავდაპირველად თავად შეავსოს რამდენიმე ნიმუში კლასის წინაშე იმის საილუსტრაციოდ, როგორ უნდა გამოიყენონ მოსწავლეებმა დიაგრამები, შემდეგ კი დაავალოს ნებისმიერი საკითხის თუ კონტექსტის მიმართ სააზროვნო სქემებით მუშაობა. დროთა განმავლობაში მოსწავლეები აითვისებენ ამ ხერხის გამოყენების ტექნიკას, თავადაც შეარჩევენ ადეკვატურ სააზროვნო სქემას და მეტიც, სურვილიც კი გაუჩნდებათ, რომ თვითონ შექმნან სქემა, რომელიც დავალების ტიპს ყველაზე უკეთ მოერგება.	

აქტივობა №1. დედამინის წარმოშობაზე პირველ მოსაზრებებს ჯერ კიდევ ძველი ბერძნები გამოთქვამდნენ, თუმცა ეს მოსაზრებები მეცნიერულად დასაბუთებული არ იყო. XVIII საუკუნეში წამოყენებულ იქნა პირველი მეცნიერული ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც დედამინა კოსმოსური აირებისა და მტვრისგან წარმოიშვა. გამდნარი, გავარვარებული და სწრაფად მბრუნავი მასა ცენტრალური მიზიდულობის ძალით უზარმაზარ სფეროდ იქცა. დროთა განმავლობაში სფერო გაცივდა და მისი ზედაპირი მყარი ქერქით დაიფარა. XX საუკუნეში მეცნიერთა მიერ გამოითქვა უამრავი მოსაზრება დედამინის წარმოშობასთან დაკავშირებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე ზუსტად არავინ იცის დედამინის სფეროს წარმოშობის ზუსტი მექანიზმი. ამჟამად მთელ მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს დედამინის ამგები ქანების, მთვარიდან ჩამოტანილი მასალებისა და მეტეორიტების შესწავლა, აგრეთვე სხვა პლანეტების გამოკვლევა კოსმოსური აპარატების მეშვეობით.

დედამინის ასაკის დადგენა ისეთივე რთული პრობლემაა, როგორც მისი წარმოშობის მექანიზმისა. მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ, დაადგინონ დედამინის ასაკი. მათ ბოლო ხუთი ათწლეულის განმავლობაში ფიზიკის მიღწევების გამოყენებით სცადეს ქანების ასაკი დაედგინათ, რისი საშუალებითაც შესაძლებელია დედამინის ასაკის განსაზღვრა. გამოანგარიშებულია, რომ დედამინა დაახლოებით 5, ხოლო ქერქი 4,5 მილიარდი წლის წინ წარმოიქმნა. სხვადასხვა ასაკის ქანების წარმოქმნის პროცესების, დროისა და თანამიმდევრობის მიხედვით დგინდება გეოქრონოლოგია ანუ გეოლოგიური წელთაღრიცხვა. გეოლოგიური დრო დედამინის ქერქის წარმოქმნიდან იწყება. მას ეონებად, ერებად, პერიოდებად და ეპოქებად ყოფენ. სიცოცხლის არსებობის პირველი ნიშნები დედამინაზე მხოლოდ 3-3,5 მილიარდი წლის წინ გაჩნდა. მკვლევართა აზრით, ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის გაჩენის ორი გზა არსებობს: კოსმოსური და დედამინისეული. კოსმოსური გზის მიხედვით სიცოცხლე დედამინაზე სხვა ციური სხეულებიდან მოხვდა. რადგან სამყაროში არსებობს ჩვენს პლანეტაზე უფრო ასაკოვანი სხეულები, ამიტომ ფიქრობენ, რომ სხვაგან შესაძლოა სიცოცხლე უფრო ადრე წარმოიშვა. 1865 წელს გერმანელმა მეცნიერმა პ. რიხტერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ცოცხალი არსებანი დედამინაზე კოსმოსიდან მოხვდა მტვრის, მეტეორიტებისა და სხვა ციური სხეულების დედამინაზე დაცემის გზით. შესაძლოა, მტვერს მიკროოგანიზმები შემოჰყოლოდა. ეს ვერსია დასაშვებია, თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სიცოცხლე დედამინაზე წარმოიშვა, რასაც ხელი შეუწყო მზის სითბომ, სინათლემ, წყალმა, ჰაერმა.

აქტივობა № 2. კლასი იყოფა ჯგუფებად და ეძლევათ დავალება: გაიხსენონ დედამინაზე სიცოცხლის განვითარების პერიოდები და წარმოადგინონ დროის ხაზზე შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენები:

ბაქტერიები-წყალმცენარეები-წყლის პირველი ცხოველები- ხმელეთის მცენარეები- ხმელეთის ცხოველები-ადამიანი.



მოსწავლეებმა უნდა გამოყონ ადამიანის გაჩენა დედამიწაზე და ახსნან, რა განსხვავებაა გეოლოგიურ დროსა და ისტორიულ დროს შორის.

თითოეული ჯგუფი წარადგენს ნამუშევარს. შეიძლება ნამუშევრები განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და ამოვარდნილი იყოს რომელიმე პერიოდი, მაგრამ მთავარია, ჩანდეს განსხვავება და კავშირი გეოლოგიურ და ისტორიულ დროებს შორის.



შემდეგ თითოეულ ჯგუფს დაერქვას რომელიმე გეოლოგიური ერის სახელი. მათ უნდა აღწერონ სახელმძღვანელოში არსებული ტექსტისა და ნახატების ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც „მათ“ ერაში მოხდა. პრეზენტაციას წარადგენენ ერების მიმდევრობის მიხედვით. თანმიმდევრობას განსაზღვრავენ თავად. პრეზენტაციის დროს ივსება საერთო ცხრილი-სქემა – „დედამიწის წარმოშობა“.


არქაული	პროტეროზოული	პალეოზოური	მეზოზოური	კაინოზოური

აქტივობა № 3.

კლასი იყოფა ჯგუფებად, მასწავლებელი აძლევს მათ ტექსტს, სურათებს და რუკებს.


XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა ალფრედ ვეგენერმა რუკაზე დაკვირვებისას ყურადღება მიაქცია სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ნაპირების მოხაზულობას. კონტინენტების მოდელის შეერთებისას ისინი გამთლიანდა. ვეგენერმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ერთ დროს არსებობდა გიგანტური კონტინენტი – პანგეა, რომლის დაშლის შედეგადაც მიღებულია თანამედროვე კონტინენტები, მაგრამ მეცნიერმა ვერ დაადგინა, რა ამოძრავებდა ხმელეთის დიდ ნაწილს. ეს პროცესი ცნობილია, როგორც კონტინენტების დრეიფის თეორია. მოგვიანებით დადგინდა, რომ უძველეს დროს არსებული კონტინენტი პანგეა, რომელსაც გარს ერტყა მთლიანი ოკეანე – პანტალასი, გაიყო ორ კონტინენტად. ჩრდილოეთ ნაწილს უწოდეს ლავრაზია (ჩრდილოეთი ამერიკა და ევრაზია), ხოლო სამხრეთს – გონდვანა (სამხრეთი ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია, ანტარქტიდა). კონტინენტთა დაყოფით მათ შორის გაჩნდა ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეები.








მოსწავლეებმა ტექსტისა და მოცემული რესურსების გაანალიზების შემდეგ უნდა წარმოადგინონ პანგეას დაშლა სქემის სახით:



დედამიწის ფიზიკური რუკა:



მიმართულება: დრო და სივრცე

შედეგი	გეო.VII.2. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თვალსაჩინოების წაკითხვა გეოგრაფიული ინფორმაციის მოსაპოვებლად.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ფოტოების, ცხრილების, გრაფიკებისა და რუკების გამოყენებით ახდენს გეოგრაფიული ინფორმაციის ინტერპრეტაციას (მაგ., ანალიზებს სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას); • ლეგენდის გამოყენებით გადააქვს ინფორმაცია კონტურულ რუკებზე და სხვა დამხმარე თვალსაჩინოებებზე; • იყენებს დედამიწის საათობრივი სარტყლების რუკას და ადარებს საკუთარი ქვეყნისა და სხვა სარტყლებში მდებარე ქვეყნების დროს; • წარმოსახვით მოგზაურობს დედამიწის გარშემო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ან დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ; მსჯელობს თარიღთა ცვლის ხაზის დანიშნულებასა და განლაგების პრინციპებზე, ასევე მოგზაურობისას შექმნილ უხერხულობებსა და მათი დაძლევის საშუალებებზე. • თვალსაჩინოებაზე მოცემულ ერთი ტიპის გეოგრაფიულ ინფორმაციას გამოხატავს სხვა სახით (მაგ.: მსოფლიო რუკაზე მოძებნის მნიშვნელოვან მდინარეებს და აჯგუფებს ცხრილში კონტინენტების მიხედვით; ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე აგებს ოკეანეების ფართობის განაწილების წრიულ დიაგრამას).

აქტივობები:	შენიშვნა
1 ვიქტორინა; 2 გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა.	მოცემული შედეგი გამჭოლია. იგი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობს და განსაკუთრებით კარგად ავითარებს სემიოტიკურ კომპეტენციას. შესაბამისობაშია VIII კლასის გეოგრაფიის სტანდარტის პირველ შედეგთან (გეო.VIII.1).
რესურსები: მსოფლიოს პოლიტიკური და ფიზიკური რუკები, მსოფლიო ატლასი; გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე	
კავშირი სხვა საგნებთან:	
რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: რუკის კითხვისა და გამოყენების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთათვის. ეს ხელს უწყობს სივრცითი და გრაფიკული აზროვნების განვითარებას. გეოგრაფიის შესწავლის პროცესში მოსწავლეებს მოუწევთ განსხვავებული შინაარსისა და მასშტაბის რუკების სხვადასხვა მიზნით გამოყენება. სწავლებისას მასწავლებელს ხშირად დასჭირდება თემატური რუკების გამოყენება – რაც უფრო უხვადაა დასურათებული მოსწავლის წიგნი თემატური რუკებით, მით უფრო მაღალია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში და, შესაბამისად, მეტია სხვადასხვა მიმართულებით მაღალი შედეგების მოლოდინი (იგულისხმება უნარ-ჩვევები).	

აქტივობა №1. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს, სადაც წერია მდინარეთა სახელები. მათ არ იციან, რა მდინარე აქვს მეგობარს. მოსწავლემ შეკითხვებით უნდა გამოიცნოს გვერდზე მჯდომის ბარათში დაწერილი მდინარის სახელი. თითოეული ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოაგროვოს იმისათვის, რომ სწრაფად გამოიცნოს პასუხი. როცა მიცემული დრო ამოიწურება, მოსწავლეები ამოწმებენ, სწორად გამოიცნეს თუ არა მდინარის სახელი. იქვე მსჯელობენ შეცდომებზე, იმ შეკითხვების დასმის აუცილებლობაზე, რომლებიც მათ სწორ პასუხამდე მიიყვანდა.

აქტივობა №2. ყველა მოსწავლეს უჭირავს ბარათი თავისი მდინარის სახელთ. იქმნება ჯგუფები. თითოეული ჯგუფი ირქმევს კონტინენტის სახელს: ევროპა, აზია, აფრიკა და ა. შ. ჯგუფებში აგროვებენ იმ ბარათებს, რომლებზეც მათ კონტინენტის მდინარის სახელი აწერია. თითოეული მათგანი ცდილობს, არ დაუშვას შეცდომა და საკუთარი მდინარე იმ ჯგუფს („კონტინენტს“) გადასცეს, რომელსაც ის ეკუთვნის. მდინარეები კონტინენტების მიხედვით დალაგდება ცხრილის მიხედვით:

ევროპა	აზია	აფრიკა	ჩრდ. ამერიკა	სამხ. ამერიკა	ავსტრალია
ვოლგა სენა დვინა ლუარა დუნაი რაინი მტკვარი დნეპრი რონა ტემზა	ლენა განგი ინდი ტიგროსი ეფრათი სირდარია ობი ორ- ტიშით ენისეი იანძი ხუანხე	ნილოსი კონგო ნიგერი სენეგალი ზამბეზი ლიმპოპო შარი ორანჟი	მისისიპი კოლორადო კოლუმბია იუკონი მაკენზი ნელსონი რიო-გრანდე წმინდა ლავ- რენტი	ამაზონი პარანა სან-ფრან- სისკუ ორინოკო ურუგვაი პარაგვაი	მურეი კუპერს-კრიკი

შესაძლებელია, მდინარეთა რაოდენობა მეტი ან ნაკლები იყოს.

შემდეგ მასწავლებელი ჯგუფ „კონტინენტებს“ აძლევს დავალებას: რუკე-ბზე მოძებნონ მდინარეები და განსაზღვრონ, რომელ ქვეყნებში გაედინება და რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება მათი მდინარე. თითოეული ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას და ავსებს საერთო ცხრილს, რომელიც წინასწარ არის გამზადებული დაფაზე. დავალების შესრულების დაწყებამდე მასწავლებელი აწვდის მოკლე ინფორმაციას შიდა აუზის მდინარეების შესახებ.

ცხრილის ფორმა: **ევროპის მდინარეები**

მდინარე	ქვეყნები, სადაც გაედინება	ზღვები, სადაც ჩაედინება	აუზი (ოკეანე, გაუდინარი აუზი)
ვოლგა	რუსეთი	კასპიის ზღვა	კასპიის ზღვა
ურალი	რუსეთი, ყაზახეთი		
ემბა	ყაზახეთი		
თერგი	რუსეთი		
პეჩორა	რუსეთი	ბარენცის ზღვა	ჩრდილოეთის ცინულოვანი ოკეანე
ჩრდ. დვინა	რუსეთი	თეთრი ზღვა	
დუნაი	გერმანია, ავსტრია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა	შავი ზღვა	ატლანტის ოკეანე
დნეპრი	რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა		
დნესტრი	მოლდოვა, უკრაინა	აზოვის ზღვა	
დონი	რუსეთი		
ყუბანი	რუსეთი		

ვისლა	პოლონეთი	ბალტიის ზღვა	
ოდრა	ჩეხეთი, პოლონეთი, გერმანია		
ელბა	ჩეხეთი, გერმანია	ჩრდილოეთის ზღვა	
რაინი	შვეიცარია, ლიხტენშტაინი, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები		
თემზა	დიდი ბრიტანეთი		
სენა	საფრანგეთი	ინგლისის არხი	
ლუარა	საფრანგეთი	ბისკაის ყურე	
ტახო	ესპანეთი, პორტუგალია	ატლანტის ოკეანე	
ებრო	ესპანეთი	ხმელთაშუა ზღვა	
პო	იტალია	ადრიატიკის ზღვა	

დაფაზე უნდა ეწეროს ოკეანეთა სახელები, მოსწავლეები წინასწარ დარიგებულ სტიკერებზე წერენ მდინარის სახელებს და სათანადო ადგილას აკრავენ. მასწავლებელი ამოწმებს შევსებულ სქემას.

მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ცხრილს, რომლის მიხედვით ფორმატზე უნდა გაკეთონ საპრეზენტაციო სქემა.

ცხრილის ფორმა: აზიის მდინარეები

მდინარე	ქვეყნები, სადაც გაედინება	ზღვები, ყურეები, სადაც ჩაედინება	აუზი (ოკეანე, გაუდინარი აუზი)
ობი ირტიშით	რუსეთი	კარის ზღვა	ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე
ენისეი ანგარათი		ლაპტევიების ზღვა	
ლენა		ბერინგის ზღვა	
ანადირი	რუსეთი, მონღოლეთი, ჩინეთი	ობოტის ზღვა	წყნარი ოკეანე
ამური		ყვითელი ზღვა	
ხუანხე	ჩინეთი	აღმ. ჩინეთის ზღვა	
იანძი		სამხრ. ჩინეთის ზღვა	
მეკონგი	ჩინეთი, მيانმა, ლაოსი, ტაილანდი, კამბოჯა, ვიეტნამი	სამხრ. ჩინეთის ზღვა	
სალუინი	ჩინეთი, მيانმა	ანდამანის ზღვა	
ირავადი	მიანმა	ბენგალის ყურე	
ბრაჰმაპუტრა	ჩინეთი, ინდოეთი, ბანგლადეში		
განგი	ინდოეთი, ბანგლადეში		

ინდი		ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი	არაბეთის ზღვა	
ევფრეტი	შატ-ელ-არაბი	თურქეთი, სირია, ერაყი	სპარსეთის ყურე	
ტიგროსი	არაბი	თურქეთი, ერაყი		
სირდარია		ყირგიზეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი	არალის ზღვა	
ამუდარია		ავღანეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი		

შედეგი	გეო.VII.3. მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება სივრცეში.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • რუკაზე განსაზღვრავს საკოორდინატო ბადის ძირითად ელემენტებს; • რუკის გამოყენებით განსაზღვრავს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების კოორდინატებს (მაგ.: დედაქალაქები, კუნძულები, მწვერვალებისა და სხვ.); • ასახელებს ერთ განედზე ან გრძედზე მდებარე ქალაქებს; • ატლასის საძიებო სისტემის გამოყენებით განსაზღვრავს გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობას; • იყენებს ტოპოგრაფიულ რუკას და ადგენს მარშრუტებს, ჰორიზონტალების მეშვეობით განსაზღვრავს ადგილის აბსოლუტურ და შეფარდებით სიმაღლეს, ფერდობის დახრილობას; • მასშტაბის გამოყენებით განსაზღვრავს მანძილს გეოგრაფიულ ობიექტებს შორის; • პირობითი ნიშნების გამოყენებით ადგენს ადგილის მარტივ გეგმას; • ტურისტული რუკების გამოყენებით ადგენს მარშრუტებს უცხო ქალაქში; • თანაკლასელებთან ერთად გეგმავს ლაშქრობის მარშრუტებს; განსაზღვრავს ლაშქრობის ხანგრძლივობას გადაადგილების სხვადასხვა საშუალებით და ადგენს გზამკვლევს; • განსაზღვრავს მიმართულებას კომპასის, ადგილობრივი ნიშნების, ციური სხეულების მდებარეობისა და აზიმუტის მეშვეობით. 	
აქტივობები:	შენიშვნა	
<ol style="list-style-type: none"> 1. წყაროზე მუშაობა; 2. წარმოსახვითი მოგზაურობა რუკაზე; 3. ადგილის გეგმის შედგენა; 4. გზამკვლევის შედგენა; 5. ტურისტული მარშრუტის შედგენა. 		

რესურსები:

1. მსოფლიოს პოლიტიკური და ფიზიკური რუკები;
2. რვეული, კალამი;
3. დაფა და ცარცი;
4. წყარო: ჟიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილები“;
5. გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე.

კავშირი სხვა საგნებთან: ლიტერატურა

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

1. გეოგრაფია არის არა მხოლოდ მეცნიერება, არამედ ხელოვნებაც. ზოგადად დედამიწის აღწერა, ქვეყნების დახასიათება, მოსახლეობის კულტურისა და ადამიანების სათანადოდ გადმოცემა მოითხოვს დიდ შემოქმედებით და მხატვრულ ნიჭს. ამიტომ გეოგრაფებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთი დიდი მწერლები, როგორებიც არიან ალექსანდრე დიუმა, ჟიულ ვერნი, მარკ ტვენი, ჯეკ ლონდონი და ა.შ. მათი ნაწარმოებების საშუალებით შეგვიძლია ვიმოგზაუროთ და შევისწავლოთ სხვადასხვა ქვეყნები.
2. მარტივი აზომვებისა და ადგილის გეგმის შესადგენად შეიძლება მოსწავლეები გავიყვანოთ ბუნებაში, მოვანყოთ ექსპედიცია. თემის განსაზღვრის შემდეგ შეირჩევა მარშრუტი. ეს შეიძლება იყოს სკოლის ეზოც და მიმდებარე ტერიტორიაც. სასურველია გარემო, სადაც მათთვის საინტერესო ობიექტები იქნება (ტაძარი, გზა, ხიდი, რკინიგზა...), თავად შეარჩიონ. ექსპედიციისთვის ემზადებიან წინასწარ და განსაზღვრავენ, რა გააკეთონ, რა ნაიღონ (ჩანაწერთა რვეული, კალამი, ფოტოაპარატი, სახაზავი, სანტიმეტრი, საგზალი). ნაწილდება მოვალეობებიც (ვინ ჩაატარებს აზომვებს, ვინ გააკეთებს ჩანაწერებს და ა.შ.).
3. ექსკურსიები და თემატური ექსპედიციები მოსწავლეებს ეხმარება გაცილებით ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ გარემომცველი სამყაროს ობიექტებისა და მოვლენების მრავალფეროვნება, დაადგინონ მოვლენებსა და გარემოპირობებს შორის არსებული კავშირები. სწორედ ექსკურსიისა და ექსპედიციის დროს უვითარდებათ მოსწავლეებს ემოციურად პოზიტიური დამოკიდებულება გარემოს მიმართ და შესაძლებლობა ეძლევათ, გაკვეთილზე ნასწავლი უშუალოდ დააკავშირონ რეალობასთან, აღიქვან გარემომცველი სამყარო, როგორც ერთი მთლიანობა, რომელშიც ყველა კომპონენტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მოსწავლეები ექსკურსიის დროს ერთდროულად სწავლობენ და ისვენებენ. ეს ხელს უწყობს ბუნების ობიექტებსა და მოვლენებზე დაკვირვებისა და შედარების უნარ-ჩვევების, გარემოზე ზრუნვისა და პასუხისმგებლობის, ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

აქტივობა №1. ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1.რა არის მერიდიანი? 2. რა არის პარალელი? 3. რა არის გრადუსთა ბადე? 4. რომელი პარალელი უფრო გრძელია – 80-გრადუსიანი თუ 60-გრადუსიანი?

ამ საკითხების განხილვის შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად და მასწავლებელი ურიგებს ნაწყვეტს ჟიულ ვერნის ნიგნიდან „კაპიტან გრანტის შვილები“.

მათ უნდა წაიკითხონ ტექსტი და უპასუხონ კითხვებს:

1. რა გეოგრაფიული ინფორმაციაა მოცემული ტექსტში?
2. რატომ მოუხდათ „დუნკანის“ ეკიპაჟის წევრებს მსოფლიოს შემოვლა?
3. რისი ცოდნაა კიდევ საჭირო, რომ მივაგნოთ სასურველ ობიექტს?
4. რატომ არის საჭირო ორივე გეოგრაფიული კოორდინატის ცოდნა?

მოიყვანონ მაგალითები;

5. რა არის გრძედი და განედი?
6. რა არის გეოგრაფიული კოორდინატები?

აქტივობა №2. პრეზენტაციის შემდეგ შეიძლება მოენწყოს წარმოსახვითი მოგზაურობა რუკაზე. მასწავლებელი კარნახობს კოორდინატებს და თითოეული ჯგუფი პოულობს შესაბამის ობიექტს. გამარჯვებული იქნება ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მოკლე დროში იპოვის ყველა ობიექტს.

წყარო: ჟიულ ვერნის წიგნი – „კაპიტან გრანტის შვილები“ – მოთხრობილია ბრიტანელ კაპიტან გრანტის შესახებ. შოტლანდიაში ინგლისელების ბატონობით უკმაყოფილო მამაცი კაპიტანი გრანტი გადაწყვეტს, გამოიკვლიოს წყნარი ოკეანის კუნძულები, რომ ერთ-ერთ მათგანზე თავისუფალი შოტლანდიური კოლონია დააარსოს. გავიდა ხანი და გრანტის ექსპედიცია უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას შემდეგ, რაც მის მიერ ზღვაში ჩაგდებულ ბოთლს პოულობენ, კაპიტანის საძებნელად შოტლანდიელი ლორდი და ლედი გლენარვანები მიემგზავრებიან. მათ მიჰყვებიან გრანტის შვილებიც – მერი და რობერტი. უცნობია, თუ სად განიცადა კატასტროფა გრანტის გემმა, ცნობილია მხოლოდ ის, რომ კაპიტანი და ორი მეზღვაური გადარჩნენ და იმყოფებიან კუნძულზე, რომლის განედია 37 გრადუსი. ნაწერები წერილში გაურკვეველია და ამიტომ მოგზაურთა გუნდი მრავალი დილემისა და გამოცანის წინაშე აღმოჩნდება. მამაც მოგზაურებს წინ უამრავი ხიფათი ელით. გემ „დუნკანით“ მოგზაურები თავდაპირველად მიემართებიან სამხრეთ ამერიკისაკენ. კიდევ ერთი, მათთან შემთხვევით მოხვედრილი მგზავრია ექსცენტრიული ჟაკ პაგანელი (რომელიც აპირებდა ინდოეთში გამგზავრებას). გუნდი მოივლის პატაგონიას, ტრისტან და კუნიას კუნძულს, ამსტერდამის კუნძულსა და ავსტრალიას. თქვენ მათთან ერთად იმოგზაურებთ და ნამდვილი მეგობრობისა და სიყვარულის ძალაში დარწმუნდებით.

აქტივობა № 3. ამ გაკვეთილის ჩატარება სასურველი სკოლის ეზოში ან ახლომდებარე სკვერში. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად. მათ უკვე იციან ადგილის გეგმის პირობითი ნიშნები. თავდაპირველად ჰორიზონტის მხარეებს არკვევენ (ნასწავლის გათვალისწინებით). მანძილის დასადგენად ზომავენ საკუთარ ნაბიჯს და იწყებენ აზომვებს. ნაწილი ადგენს მანძილს ობიექტებამდე, ნაწილი კი ამ მონაცემებს იწერს. ერთი მათგანი შეიძლება აკეთებდეს ჩანახატს. მთავარია, რომ ისინი თავად ცდილობენ შექმნან ისეთი გეგმა, როგორც მათ სახელმძღვანელოშია, ოღონდ ამავე დროს ცდილობენ, რომ მათი გეგმა განსხვავებული და ორიგინალური იყოს. იგონებენ საკუთარ პირობით ნიშნებს და ცდილობენ განსხვავებულ ფერებში გამოსახონ ისინი. ეს მათთვის ძალზე სახალისოა. კლასში დაბრუნების შემდეგ მასალა გადააქვთ თაბახის ფურ-

ცლებზე და სერიოზულ სახეს აძლევენ საკუთარ ადგილის გეგმას. პრეზენტაცია – განხილვის შემდეგ ძალიან კარგი იქნება, თუ მომავალ ექსპედიციას თვითონ დაგეგმავენ.

აქტივობა № 4. შემდეგ გაკვეთილზე წარმოადგენენ მარშრუტის გეგმას (გზამკვლევის), წასაღები ნივთების სიას. თითოეულ ჯგუფს შემუშავებული აქვს გეგმის საკუთარი ვარიანტი. ჯგუფის თითო-თითო წევრისგან დგება „კომისია“, რომელიც ქულებით აფასებს ნამუშევრებს. რომელი გზამკვლევიც მეტ ქულას დააგროვებს, კლასიც იმ მარშრუტით წავა ექსპედიციაში.

აქტივობა № 5. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, რომ ისინი არიან ტურისტული სააგენტოს თანამშრომლები. ტურიზმის დეპარტამენტი აცხადებს ტურისტული მარშრუტების კონკურსს. ჯგუფები რეგონებს თავად არჩევენ. კონკურსში რომ გაიმარჯვონ, ჯგუფები პრობლემას შემოქმედებითად უნდა მიუღწეონ და დაგეგმონ დაუვიწყარი მოგზაურობა.

კონკურსის პირობები:

- განსაზღვრეთ მოგზაურობის საწყისი და ბოლო პუნქტი;
- აირჩიეთ სეზონი;
- შეადგინეთ წასაღები ნივთების სია;
- განსაზღვრეთ, რამდენი ხნით მიიღებართ;
- აირჩიეთ ტრანსპორტის სახეობა ან სახეობები;
- დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი;
- შეადგინეთ მარშრუტის რუკა და მასზე დაიტანეთ გასავლელი პუნქტები;
- აირჩიეთ ერთი მოსალოდნელი დაბრკოლება და აღწერეთ, როგორ დაძლეეთ მას;
- შეაგროვეთ ცნობები გასავლელი პუნქტების შესახებ (გამოიყენეთ რუკა, ინტერნეტი, სახელმძღვანელო და ენციკლოპედია);
- წარმოადგინეთ ნამუშევარი პლაკატის სახით, რომელიც შემდეგ რეკლამას გაუწევს თქვენს ჯგუფს. ასევე სასურველია სლაიდშოუ, რომლის საშუალებითაც მოხდება პრეზენტაცია.

პრეზენტაციას აფასებს „ტურიზმის დეპარტამენტის“ წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც შედგება ყოველი ჯგუფის თითო წარმომადგენლისგან.

მიმართულება: გარემო და ეკონომიკა

შედეგი	გეო.VII.4. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • აჯგუფებს (ბარათების ან ცხრილის გამოყენებით) ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკის შესაბამის დარგებს; • აკავშირებს საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებს ბუნებრივი რესურსის ტიპთან; • სქემის საშუალებით გამოსახავს ბუნებრივი რესურსების სახეცვლილებას მოპოვებიდან მოხმარებამდე (ნავთობი – სანვაგი – ელექტროენერგია); • კლასში ჯგუფური მუშაობის დროს ახდენს ჩამოთვლილი რესურსების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნით (მაგ. მათი ათვისების დროის (უძველესი, ძველი, ახალი, პერსპექტიული) მიხედვით); • ბუნებრივ რესურსებს განასხვავებს სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით და აჯგუფებს მათ ცხრილში (ამონურავი და ამონურვადი (აღდგენადი, აღუდგენელი)); • ადგენს იმ ბუნებრივი რესურსების ნუსხას, რომლებსაც გამოიყენებს მისი ოჯახი, ქალაქი/სოფელი, ქვეყანა; შესაბამისი პირობითი ნიშნების გამოყენებით ბუნებრივი რესურსების მოპოვების ადგილებს აღნიშნავს კონტურულ რუკაზე; • კლასში ჯგუფური მუშაობის დროს მსჯელობს ჩამოთვლილი რესურსების გამოყენებით გამონვეული დაბინძურების შესახებ (ძლიერ აბინძურებს, აბინძურებს, ნაკლებად აბინძურებს); • ადარებს დეგრადირებულ და სახეშეუცვლელ გარემოს; • ჯგუფში მუშაობისას მსჯელობს მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიერ ზოგიერთი რესურსის მოხმარების აუცილებლობის და ინტენსივობის შესახებ და განსაზღვრავს მათი დაზოგვის გზებს (მაგ. წყალი და ელექტროენერგია).
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 2. აქტიური კითხვა+კორნელის მეთოდი; 3. პრეზენტაცია; 4. გეოგრაფიული კარნახი. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს ნიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>
<p>რესურსები: დაფა და ცარცი; მსოფლიოს მინერალური რესურსების (სასარგებლო წიაღისეულის) რუკა, მსოფლიოს კონტურული რუკა; გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) -მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან:</p>	

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: სწავლა რომ სახალისო, საინტერესო პროცესად და ნამდვილ ინტელექტუალურ გამოწვევად იქცეს, პედაგოგმა სწავლება სხვადასხვაგვარი მეთოდის გამოყენებით უნდა დატვირთოს. კორნელის მეთოდის მეშვეობით მასწავლებელი მოსწავლეს სტრუქტურასა და საფეხურებრივ მიდგომას სთავაზობს; ის ყურადღების კონცენტრირებასაც უწყობს ხელს. ამ მეთოდის გამოყენებას, როგორც წესი, მოსდევს მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია.

აქტივობა №1. კლასი იყოფა ჯგუფებად. გეოგრაფიული ლექსიკონის დახმარებით მათ უნდა დააჯგუფონ ბუნებრივი რესურსები ამოუწურავ და ამოწურვად სახეებად, ასევე აღდგენად და აღუდგენელ რესურსებად. შემდეგ ეტაპზე მსოფლიო მინერალური რესურსების (სასარგებლო წიაღისეულის) რუკის საშუალებით მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ ბუნებრივი რესურსების გავრცელების არეალები და ეს ინფორმაცია გადაიტანონ მსოფლიოს კონტურულ რუკაზე შესაბამისი პირობით ნიშნების გამოყენებით.

სათბობ-ენერგეტიკული	მადნეული	არამადნეული

აქტივობა №2. მოსწავლეებს ურიგდებათ ტექსტი „მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები“. მათ უნდა გადახედონ დასამუშავებელ მასალას და საკუთარ თავს დაუსვან შეკითხვა: რა ვიცი მოცემული საკითხის შესახებ? შემდეგ კი ჩაინიშნონ ინფორმაცია, რაც ამ საკითხის შესახებ აქვთ კორნელის გრაფაში. მასწავლებლის მეორე მოთხოვნაა, რომ მათ წერილობით ჩამოაყალიბონ შესასრულებელი სამუშაოს მიზანი, პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს: რატომ ვკითხულობ ამ ტექსტს? რისი სწავლისა და გაგების შესაძლებლობა მაქვს ტექსტის წაკითხვის შემდეგ? მასწავლებლის მესამე მოთხოვნაა, ტექსტის წაკითხვის დროს მკითხველმა დასვას შემდეგი კითხვები: რა? სად? ვინ? რატომ? როგორ? როდის? ამ კითხვებზე გაცემული პასუხები ჩაინიშნონ. მასწავლებლის მეოთხე მოთხოვნის შესაბამისად, მოსწავლემ ხელახლა უნდა წაკითხოს თავისი შენიშვნები და შეიტანოს ისინი კორნელის ცხრილის პირველადი კომენტარების გრაფაში; მეორედ გაკეთებული, უკვე კრიტიკული, ემოციური კომენტარები და შესწორებები შეიტანოს მეორადი კომენტარების გრაფაში. შედეგად კორნელის ცხრილის ორივე გრაფა შეივსება.

კორნელის გრაფა

პირველადი კომენტარი	მეორადი კომენტარი
(ფაქტობრივი)	(ემოციური, კრიტიკული)

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები ქმნიან 5–6 კაციან ჯგუფებს და თითოეული ჯგუფი მსოფლიოს მინერალური რესურსების რუკისა და ტექსტის გამოყენებით აჯგუფებს ბუნებრივ რესურსებს მათი გავრცელების ადგილების მიხედვით და ავსებს სქემას:

რა?	სად?

აქტივობა №3.


მოსწავლეებს ურიგდებათ კონტურული რუკა, რომლებზეც სპეციალური პირობითი ნიშნებით უნდა აღნიშნონ მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ ადგილებში გავრცელებული რესურსები. რესურსების ჩამონათვალს მასწავლებელი წერს დაფაზე:

- ნავთობი;
- ქვანახშირი;
- რკინა.

შედეგი	გეო.VII.5. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა დედამიწის შინაგან აგებულებაზე.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • მსჯელობს ლითოსფეროს ფილების მოძრაობაზე; • ხსნის მიწისძვრებისა და ვულკანების გავრცელების კანონზომიერებებს; • კონტურულ რუკაზე დააქვს მიწისძვრებისა და ვულკანების გავრცელების ძირითადი არეალები.

აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. მინი-ლექცია; 2. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს ნიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>
<p>რესურსები: დაფა და ცარცი; პროექტორი; ინტერნეტი; დედამიწის შინაგანი აგებულების სქემა; დედამიწის ლითოსფეროს ფილების რუკა; BBC-ის ფილმები: პლანეტა დედამიწა: მთები; ვულკანები. www.avoe.ge; www.geosaitebi.ge.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან: ხელოვნება</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: უნარ-ჩვევების განვითარება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. იმისათვის, რომ მოსწავლე აზროვნების ქვედა დონეებს თავისუფლად იყენებდეს აზროვნების ზედა დონეზე, საჭიროა შესაბამისად იყოს გავარჯიშებული; ეს კი გულისხმობს უნარ-ჩვევების ეტაპობრივ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მოსწავლემ სამი ფაზა გაიაროს. უნარ-ჩვევის ათვისების ფაზებია: ცოდნა, გაგება და გამოყენება. ეს აქტივობები მოსწავლეს უფითარებს გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობისა და ნამუშევრის წარდგენის უნარ-ჩვევებს. დედამიწის აგებულებისა და ენდოგენური ძალების მოქმედების გასაგებად კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გამოიყენებს დოკუმენტურ ფილმებს.</p>	

აქტივობა №1. დედამიწა შედგება რამდენიმე, თითქმის კონცენტრული შრისაგან: ქერქი, მანტია (ეს უკანასკნელი დედამიწის ქერქთან ერთად ქმნის ლითოსფეროს) და ბირთვი.



1. ბირთვის ცენტრი;
2. ბირთვი;
3. მანტია;
4. ზედა მანტია ;
- 5-6. დედამიწის ქერქი.

ეს აგებულება დადგენილ იქნა მიწისძვრის კერიდან ზედაპირის სხვადასხვა ნერტილებამდე სეისმური ტალღის გავრცელების შესწავლით. სეისმური ტალღის გავრცელების სიჩქარე უეცრად იცვლება ერთი ფენიდან მეორე ფენაში გადასვლისას, რაც ფენების შედგენილობის განსხვავებითაა გამოწვეული. დედამიწის ასეთი აგებულება ადვილად აიხსნება მისი ჩამოყალიბების ისტორიით – მეტეორიტების აკრეციით (აკრეცია: ნივთიერების ვარდნა კოსმოსურ სხეულზე მიზიდულობის ძალით), რამაც გამოიწვია თხევად ფაზაში მისი განშრევაბა სიმკვრივის კლებაობით ბირთვიდან ქერქის მიმართულებით. დედამიწის ქერქი მყარი დედამიწის ზედა ნაწილია, მისი ზედაპირი ძალიან ახალგაზრდაა. მანტია გამოყოფილია სეისმური ტალღის სიჩქარის მკვეთრი გაზრდით – მოჰოროვიჩიჩის საზღვრით. არსებობს ორი სახეობის ქერქი: ოკეანური და კონტინენტური. კონტინენტური ქერქის აგებულებაში გამოიყოფა სამი გეოლოგიური შრე: დანალექი, გრანიტული და ბაზალტური. ოკეანური ქერქი ძირითადად შედგება ფუძე ქანებისაგან, რომელსაც ზემოდან ეკვრის დანალექი სარჩული. დედამიწის ქერქი დაყოფილია სხვადასხვა სიდიდის ლითოსფერულ ფილებად, რომლებიც ერთმანეთის მიმართ გადაადგილდებიან. ამ მოძრაობებს აღწერს გეოლოგიის დარგი – ტექტონიკა.

აქტივობა №2. შემდეგ მასწავლებელი აძლევს დავალებას ჯგუფებს: ლითოსფეროს ფილების რუკის მიხედვით დაადგინონ, რომელია ყველაზე დიდი ფილები;

დაადგინონ, რომელი კონტინენტები და ოკეანეებია თითოეულ მათგანზე. თითოეულ ჯგუფზე შეიძლება 2 ფილა განანილდეს.



პრეზენტაციის დროს ივსება ცხრილი:

ჩრდილოეთი ამერიკის ფილა	სამხრეთი ამერიკის ფილა	ანტარქტიკის ფილა	ევრაზიის ფილა	აფრიკის ფილა	ინდო-ავსტრალიის ფილა	ნასკას ფილა	წყნარი ოკეანის ფილა
ჩრდილოეთი ამერიკა ჩრდილო-დასავლეთი ატლანტიკა გრენლანდია	სამხრეთ-დასავლეთი ატლანტიკა	ანტარქტიკა	ჩრდილო-აღმოსავლეთი ატლანტიკა ევროპა აზია	აფრიკა სამხრეთ-აღმოსავლეთი ატლანტიკა ინდოეთის ოკეანის დასავლეთი	ინდოეთი ავსტრალია ახალი ზელანდია ინდოეთის ოკეანე	წყნარი ოკეანის სამხრეთი	წყნარი ოკეანის უდიდესი ნაწილი

შედეგი	გეო.VII.6. მოსწავლეს შეუძლია დაუკავშიროს რელიეფის ფორმები რელიეფწარმოქმნელ პროცესებთან.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ახასიათებს რელიეფის ძირითად ფორმებს; • ასხვავებს ენდოგენურ და ეგზოგენურ (კარსტული, გლაციალური და სხვ.) პროცესებს; • მსჯელობს მთიან რელიეფთან დაკავშირებულ ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე; • გამოთქვამს ვარაუდს ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენებისგან შესაძლო თავდაცვის ღონისძიებების შესახებ (მაგ.: სვანური არქიტექტურის შესაბამისობა გარემოსთან); • კონტურულ რუკაზე დააქვს მსოფლიოსა და საქართველოს ძირითადი ოროგრაფიული ერთეულები, კონტინენტების უმაღლესი მწვერვალები.
აქტივობები:	
1. წყაროს ანალიზი, თვალსაჩინოებაზე (ფოტოებზე) მუშაობა;	შენიშვნა
2. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა.	

რესურსები:

1. დაფა და ცარცი;
2. ტექსტები და ფოტოები;
3. ვიდეოფილმები;
4. მსოფლიოს ფიზიკური, პოლიტიკური და კონტურული რუკები; საქართველოს ფიზიკური და კონტურული რუკები;
5. გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ზლიაძე, დ. კერესელიძე.

კავშირი სხვა საგნებთან:

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: გეოგრაფიის მასწავლებელმა ყოველგვარი თვალსაჩინოება მნიშვნელოვან სასწავლო რესურსად შეიძლება აქციოს. მაგალითად, ფოტოების საშუალებით საკლასო ოთახში შეიძლება შეიტანოს ცოტაოდენი „რეალობა“. ფოტოები ხომ ჩვენ ირგვლივ არსებულ ობიექტებს, მოვლენებს, ადგილებს თუ ადამიანებს აფიქსირებს. მათი საშუალებით იზრდება მოსწავლეთა შესაძლებლობა, გაეცნონ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებს, შეექმნათ მათზე ვიზუალური შთაბეჭდილება, განუვითარდეთ დაკვირვების უნარი. ვიდეომასალა საუკეთესო რესურსია მოსწავლის დაინტერესებისა და მოტივაციის ასამაღლებლად. სახელმძღვანელოები თუ სხვა გამოცემები ხშირად შეიცავს ილუსტრაციებს, კონკრეტულად კი ფოტოებს. მასწავლებლის მხრიდან ეს თვალსაჩინოებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქტივობების გასამრავალფეროვნებლად; მან უნდა

ასწავლოს მოსწავლეებს აღწერა, წაკითხვა და მათი ინტერპრეტირება. ეს უნარ-ჩვევები მოსწავლეებს სხვა საგნების სწავლასაც გაუადვილებს. ფოტოების აღწერის, წაკითხვისა და ინტერპრეტირების უნარი ვითარდება თანდათანობით. არ შეიძლება ერთხელ ჩატარებული აქტივობით მასწავლებელმა მიიჩნიოს, რომ მიზანი მიღწეულია. სანამ მოსწავლეებს მოეთხოვებათ სიღრმისეული ანალიზი, სასურველია, რომ მათ უკვე ჰქონდეთ საბაზისო უნარები, მაგალითად, რამდენად ყურადღებიანი არიან და ამჩნევენ თუ არა გამოსახულ დეტალებს და სხვა.

აქტივობა №1.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ტექსტს და აჩვენებს ფოტოებს. მათ უნდა გაარკვიონ, რომელი პროცესის შედეგია ასახული თითოეულ მათგანზე.

ენდოგენური პროცესები – დედამიწის შინაგანი ძალებით განპირობებული გეოლოგიური პროცესები, რომლებიც უმთავრესად დედამიწის ნიაღში მიმდინარეობს. ენდოგენური პროცესები განპირობებულია დედამიწის ნივთიერების განვითარების შედეგად გამოყოფილი ენერგიით, აგრეთვე გრავიტაციისა და დედამიწის ბრუნვის შედეგად წარმოქმნილი ძალების მოქმედებით. ენდოგენურ პროცესებს განეკუთვნება ტექტონიკური, მაგმური, ჰიდროთერმული და მეტამორფული პროცესები, მრავალი სასარგებლო წიაღისეულის საბადოს წარმოქმნა. ენდოგენური პროცესების განვითარების ზოგადი კანონზომიერებები კარგად არის შესწავლილი, მათი გამომწვევი ძალების შესახებ კი მხოლოდ ჰიპოთეზები არსებობს. ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების შედეგად წარმოიქმნება დედამიწის რელიეფი.

ეგზოგენური პროცესები – დედამიწის ზედაპირზე და დედამიწის ქერქის სულ ზედა ნაწილში მიმდინარე გეოლოგიური პროცესები, რომლებიც გამონწვეულია ძირითადად გარეგანი ძალებისა და ცოცხალი ორგანიზმების ზემოქმედებით. ეგზოგენური პროცესებია: ქანების ფიზიკური და ქიმიური გამოფიტვა, მდინარის მოქმედებით ხმელეთის ზედაპირის გადარეცხვა – ეროზია, მასალის გადატანა, აკუმულაცია, მიწისქვეშა წყლების მოქმედებით ზოგიერთი ქანის (მინერალის) გახსნა, მყინვარის ეგზარაციული და აკუმულაციური, ქარის დეფლაციური, ეოლური აკუმულაცია და რელიეფის სათანადო ფორმების წარმოქმნა.

ტროგები



მორენა



მყინვარის წყლით სავსე მორენას ულამაზესი ტბა ბანფის ეროვნულ პარკში (კანადა)



კარი



ცირკი



ვერძის შუბლი



ბარხანები



მღვიმე



აბრაზიული ფლატე (კლიფი), ირლანდია




პატაგონია, არგენტინა



ევერესტი, ნეპალი



პეტრას ქალაქი, იორდანია



ნიუფაუნდლენდი, კანადა



ტასმანია, ავსტრალია



მდინარე კოლორადო, არიზონას შტატი, აშშ



მოსწავლეები აღწერენ და გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რა პროცესებმა გამოიწვია რელიეფის ამ ფორმების წარმოქმნა; სურათებს აჯგუფებენ ენდოგენური და ეგზოგენური ძალების მოქმედების შედეგად წარმოქმნილი რელიეფის ფორმების მიხედვით.

აქტივობა №2. კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ მათგანს ერქმევა სახელი კონტინენტის მიხედვით: ევროპა, აზია და ა. შ. ერთ-ერთი ჯგუფი იქნება საქართველო. მათ გეოგრაფიული ცნობარიდან უნდა ამოიწერონ თავისი კონტინენტისა და საქართველოს ოროგრაფიული ერთეულები, უმაღლესი მწვერვალები და ის ქვეყნები, საქართველოს ფარგლებში კი – მხარეები, რომელთა ტერიტორიაზეც ეს ერთეულები მდებარეობს. შემდეგ მოძებნონ ფიზიკურ რუკაზე და ეს ინფორმაცია დაიტანონ შესაბამის კონტურულ რუკაზე.

აქტივობა №3. კლასი იყოფა ჯგუფებად. ირქმევენ კონტინენტების სახელებს: ევროპა, აზია, აფრიკა, ავსტრალია და ა. შ. მასწავლებელი აძლევს დავალებას: თითოეულმა ჯგუფმა გეოგრაფიული ცნობარიდან უნდა ამოიწეროს თავისი კონტინენტის მთათა სისტემები და აღნიშნოს შესაბამის კონტურულ რუკაზე. პრეზენტაციის დროს ჯგუფის წევრებმა უნდა ახსნან მათი გეოგრაფიული მდებარეობა და საკუთარი კონტინენტი მიამაგრონ დიდ ფორმატზე ისე, რომ ბოლოს მიღობს მსოფლიოს ფიზიკური რუკა.

შედეგი	გეო.VII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ატმოსფეროში მიმდინარე პროცესებზე.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • წრიული დიაგრამის საშუალებით გამოსახავს ატმოსფეროს შემადგენლობას; • ახასიათებს ატმოსფეროს შრეებს და მოჰყავს მაგალითები ატმოსფეროს მნიშვნელობის შესახებ; • ახასიათებს ამინდის ელემენტებს (<i>ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ნალექები, წნევა, ქარი</i>); • თერმომეტრის მეშვეობით ზომავს ჰაერის ტემპერატურას, აგებს ჰაერის ტემპერატურის ცვლილების გრაფიკს²; • განმარტავს ჰავის ცნებას, განასხვავებს ამინდს და ჰავას, ახასიათებს ძირითად კლიმატწარმოქმნელ ფაქტორებს; • ახასიათებს ჰავის ძირითად ტიპებს და რუკის მეშვეობით გამოყოფს კლიმატურ სარტყლებს; • განსაზღვრავს საქართველოს მდებარეობას კლიმატურ სარტყლებში; • ასახელებს ატმოსფეროს ძირითად დამაბინძურებლებს და მსჯელობს მის დაცვაზე.

აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> ვიდეოფილმის ჩვენება და განხილვა; ტექსტზე მუშაობა, კოგნიტური სქემების შედგენა; რუკაზე მუშაობა. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს წიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>
<p>რესურსები:</p> <ol style="list-style-type: none"> დოკუმენტური ფილმი: „ მზის სისტემის 7 საოცრება“ (ან ნებისმიერი ფილმი კოსმოსის შესახებ); ტექსტი „ატმოსფერო და კლიმატური ცვლილებები“; დედამიწის კლიმატური სარტყლების რუკა. 	
<p>კავშირი სხვა საგნებთან: მათემატიკა</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: მოსწავლეები გეოგრაფიული შინაარსის ტექსტების საშუალებით სწავლობენ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას. ტექსტზე მუშაობა მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, ეხმარება გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავებაში. გაკვეთილის დაგეგმვისას წასაკითხი ან დასამუშავებელი მასალა წინასწარ უნდა იქნეს შერჩეული იმისდა მიხედვით, რა მიზნით იქნება ეს ტექსტი გამოყენებული, რა დრო დაეთმობა და რა ძირითად განმარტებებს საჭიროებს. ტექსტის კითხვისა და დამუშავების დროს გამოიყენება სააზროვნო სქემები ანუ კოგნიტური დიაგრამები.</p> <p>აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა: ინტერესი და მოტივაცია; მეხსიერება და ყურადღება; პასუხისმგებლობა; ზეპირი და წერიტი მეტყველება შესაბამისი, ადეკვატური ტერმინოლოგიით.</p>	

აქტივობა №1.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს დოკუმენტურ ფილმს: „მზის სისტემის 7 საოცრება“ ან ნებისმიერ ფილმს კოსმოსის შესახებ, სადაც მზის სისტემის პლანეტებზეა საუბარი. ეს მათთვის ძალზე საინტერესო თემაა, ამავდროულად შემეცნებითი. შემდეგ მოენწყობა ფილმის გარჩევა. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. რამდენი პლანეტაა მზის სისტემაში?
2. რომელი პლანეტებია დედამიწის მსგავსი და რა აქვთ მათ საერთო?
3. რით განსხვავდება ეს პლანეტები დედამიწისგან?

ამ ფილმებში მოსწავლეები ნახავენ, რომ დედამიწის გარდა, არც ერთ პლანეტაზე არ არის სიცოცხლე, რადგან არ არის ატმოსფერო (ჰაერი) და წყალი. მაგალითად, კოსმონავტებისა და ციური სხეულებიდან მოხვედრილი ნამსხვრევების ნაკვალევი მთვარეზე სამუდამოდ რჩება, იმიტომ, რომ აქ არ არის ატმოსფერო.


აქტივობა №2. კლასი იყოფა ჯგუფებად. ტექსტი „ატმოსფერო და კლიმატური ცვლილებები“ დაყოფილია ნაწილებად, თითოეული ნაწილი ცალკე

ფურცელზეა დაწერილი. ქალაქები არეულია და კონვერტებშია ჩანყობილი (კონვერტების რაოდენობა განისაზღვრება ჯგუფების რაოდენობის მიხედვით.)


ჯგუფებს ურიგდება კონვერტები ბარათებით. ჯგუფებმა უნდა აანყონ ტექსტი ლოგიკურად ისე, რომ აბზაცები ერთმანეთთან შინაარსობრივად იყოს დაკავშირებული; მიაწებონ ბარათები ფორმატის ქალაქებზე და ისრებით განსაზღვრონ მათი თანმიმდევრობა.

ტექსტის აწყობის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ შემდეგი დავალებები:


1. ატმოსფეროს შემადგენლობა გამოსახონ სქემის სახით;
2. ააგონ ატმოსფეროს შემადგენლობის წრიული დიაგრამა;
3. შეავსონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სქემა, რომელიც გამოსახავს ატმოსფეროს დაბინძურების გავლენას კლიმატის ცვლილებებზე;
4. მოვლენათა ჯაჭვის („ფიშბონის“) სქემის სახით წარმოადგინონ ჰაერის დაბინძურების მიზეზები და შედეგები და იმსჯელონ მის დაცვაზე.



2. მოვლენათა ჯაჭვი



3. მიზეზი



შედეგი

ატმოსფერო და კლიმატის ცვლილებები

დედამინა გარშემორტყმულია ჰაერის გარსით – ატმოსფეროთი. იგი გვანვდის ჟანგბადს და გვიცავს მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან. იგი ასევე ფარად ევლინება ჩვენს პლანეტას მეტეორების ცვენის დროს.

ატმოსფერო 10 სხვადასხვა აირის ნარევია, რომელთა შორის ძირითადია აზოტი (78%) და ჟანგბადი (21%).

ატმოსფერო 4 ძირითადი შრისგან შედგება: ტროპოსფეროს, სტრატოსფეროს, მეზოსფეროსა და თერმოსფეროსაგან. ტროპოსფერო ყველაზე მცირე ზომის შრეა და დედამინის ზედაპირიდან დაახლოებით 12 კმ-ზეა გავრცელებული. ის ყველზე ცხელი ფენაა, რადგან მზის სხივები დედამინის ზედაპირს ეცემა და ჰაერს ათბობს. რაც უფრო ვშორდებით დედამინას, მით უფრო კლებულობს ჰაერის ტემპერატურა.

ამინდი ტროპოსფეროში ფორმირდება. ამინდის ცვალებადობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის ცვლილებაზე. ორ ნერტილს შორის არსებული წნევათა სხვაობა აიძულებს ჰაერს, იმოძრაოს მაღალი წნევის ადგილიდან უფრო დაბალი წნევის ადგილისკენ. ჰაერის მოძრაობას ჩვენ ქარის სახით შევიგრძნობთ.

ატმოსფერო ასეულ ათასეულობით წლების განმავლობაში იცავდა და იცავს ბუნებრივ ბალანსს, მაგრამ დღეს, ადამიანთა დაუდევრობით, გარემოს დაბინძურების გამო სიცოცხლის დამცავი შრე სერიოზული საფრთხის წინაშეა. დედამინას ემუქრება ე.წ. სათბურის ეფექტი, გლობალური დათბობა, ჰაერის დაბინძურება მავნე ნივთიერებებით, ოზონის ფენის გათხელება და მჟავა წვიმები.

ცნობილია, რომ მილიარდობით ადამიანი სუნთქავს მომწამვლელი აირებით დაბინძურებული ჰაერით, რის შედეგადაც იმატა გულისა და ფილტვების დაავადებებმა, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში; გაიზარდა კანის სიმსივნეებით დაავადებულთა რიცხვიც.


გარემოსა და, განსაკუთრებით, ჰაერის დაბინძურების პრობლემის აქტუალობა ყოველდღიურად იზრდება, ამიტომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს, მათ შორისაა ენერგოშეზღუდვე-

ბი და ალტერნატიული წყაროების გამოყენება, ტყეების გაჩეხვის მასშტაბების შემცირება და სხვა.

აქტივობა №3. მასწავლებელი აძლევს ჯგუფებს დედამიწის კლიმატური სარტყლების რუკას და სთხოვს, რომ გაიხსენონ:

1. რამდენი კლიმატური სარტყელია დედამიწაზე? ჩამოთვალონ ისინი;
2. რამდენია ძირითადი და რამდენი – გარდამავალი სარტყელი? დააჯგუფონ ცალ-ცალკე ძირითადი და გარდამავალი სარტყლები.
3. რომელ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს საქართველო?

შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად, ინაწილებენ კლიმატურ სარტყლებს მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. შეიძლება ერთმა ჯგუფმა იმუშაოს 2 ან 3 კლიმატურ სარტყელზე. მათ დედამიწის კლიმატური სარტყლების რუკისა და პოლიტიკური რუკის მიხედვით უნდა ამოიწერონ თითოეულ სარტყელში მდებარე სამ-სამი ქვეყანა; ინფორმაცია წარმოადგინონ ცხრილის სახით. კლიმატური სარტყლების რუკა



ცხრილის ნიმუში: კლიმატური სარტყლები

ეკვატორული	სუბეკვატორული	ტროპიკული
ინდონეზია მალაიზია კამერუნი	სამხრეთი სუდანია ეთიოპია გვინეა	მექსიკა მავრიტანია ინდოეთი

შედეგი	გეო.VII.8. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ჰიდროსფეროს შესახებ.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს წყლის მცირე და დიდ წრებრუნვას, ადარებს მათ ერთმანეთს და ქმნის შესაბამის სქემატურ ნახატს; • განაზოგადებს ციკლორობის პრინციპს (მაგ., ბრიზები, მუსონები, ყინულწარმოქმნა და დნობა, ოკეანეების მიქცევა-მოქცევითი პროცესები); • კონტურულ რუკაზე დააქვს ოკეანეები და მისი ნაწილები, ხმელეთის წყლები; • მსჯელობს ოკეანის წყლის თვისებებსა (მარილიანობა, ტემპერატურა) და ოკეანურ დინებებზე; • ჩამოთვლის ხმელეთის წყლებს; • ასახელებს მინისქვეშა წყლების სახეებს (გრუნტის, მინერალური და თერმული წყლები, გეიზერები) და გამოთქვამს ვარაუდს მათი წარმოშობის შესახებ; • ასახელებს მდინარის ნაწილებს, აკავშირებს მდინარის საზღვრობასა და რეჟიმს; • მსჯელობს ტბებისა და წყალსაცავების სამეურნეო დანიშნულებაზე; • მსჯელობს ოკეანეების, ზღვებისა და ხმელეთის წყლების მნიშვნელობაზე ადამიანის ყოფასა და საქმიანობაში; • ასახელებს ჰიდროსფეროს ძირითად დამაბინძურებლებს და მსჯელობს წყლის რაციონალურად გამოყენებაზე.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტისა და სქემის ანალიზი; 2. რუკაზე მუშაობა; 3. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს წიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>
<p>რესურსები: 1. მსოფლიო ოკეანის, მსოფლიოს ფიზიკური, მსოფლიო ოკეანის წყლის ზედაპირის ტემპერატურისა და წყლის მარილიანობის რუკები; გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) -მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან:</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: სასწავლო რესურსების ჩამონათვალი ვრცელია. ტრადიციულად, გეოგრაფიის სწავლებაში მთავარი ადგილი რუკას უჭირავს. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ გეოგრაფიაში ყველა სახის კვლევა რუკასთან იწყება და რუკასთანვე მთავრდება და რომ რუკა გეოგრაფიის საერთაშორისო ენაა.</p> <p>რუკა სიმბოლოების ენის საშუალებით გეოგრაფიული ობიექტების მხოლოდ განლაგებას კი არ ასახავს, არამედ ახასიათებს კიდევ მასზე გამოსახულ ობიექტებს; ამასთან, აჩვენებს არა მხოლოდ მათ არსებულ მდგომარეობას, არამედ</p>	


მოძრაობას, განვითარებას და ცვლილებებსაც კი. ასეთია, მაგალითად, ისტორიული, ზოგიერთი ეკონომიკური და სხვა თემატური რუკები. ამგვარი რუკების გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო გეოგრაფიული ობიექტების შედარება, არამედ მათ შორის სივრცობრივი კავშირებისა და ურთიერთზემოქმედების დადგენაც. შედეგად მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ გეოგრაფიულ ობიექტთა იმ თვისებების შესახებ, რომლებიც რუკებზე უშუალოდ არ არის ასახული. მაგალითად, რუკაზე რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის მდებარეობის დადგენისას მოსწავლეს შეუძლია, საფუძვლიანად დაახასიათოს მისი კლიმატი, მცენარეულობა; ამ და რუკაზე მოცემული მონაცემების (რელიეფი, ჰიდროგრაფიული ქსელი) შეჯერების საფუძველზე კი დაახასიათოს მდინარეთა წყლის რეჟიმი, ნიადაგები, გამოთქვას ვარაუდი მოცემულ ბუნებრივ პირობებში ადამიანის სავარაუდო სამეურნეო საქმიანობის შესახებ. რუკის კითხვა მოსწავლეებს ისეთ უნარებს უყალიბებს, როგორიცაა ლოგიკური და დიალექტიკური აზროვნება.

აქტივობა №1.

მოსწავლეები მოსწავლეებს აძლევს ტექსტს და წყლის წრებრუნვის სქემას. ბავშვებმა უნდა აღწერონ წყლის მცირე და დიდი წრებრუნვა, შეადარონ ისინი ერთმანეთს და შექმნან შესაბამისი სქემატური ნახატი ან სქემა.

წყლის წრებრუნვა — დედამიწის ბიოსფეროში წყლის ციკლური მიმოქცევის პროცესი.


დედამიწაზე წყლის ბრუნვა სამ ძირითად ნაწილად იყოფა: ოკეანურად, შიდა კონტინენტურად და კონტინენტურ-ოკეანურად. ყოველდღიურად დედამიწაზე 577 ათასი კუბური კმ. წყალი „გადაადგილდება“. აქედან ძირითადი ნაწილი (80%) ოკეანეების ზედაპირზე „მოძრაობს“ (ორთქლდება და ნალექის სახით უკანვე უბრუნდება მას). აორთქლებული წყლის ნაწილი (119 ათასი კუბ. კმ.) ქარს კონტინენტებზე გადააქვს. მისი უდიდესი ნაწილი მდინარეების მეშვეობით კვლავ უბრუნდება ოკეანეებს, ხოლო მცირე ნაწილი ჩაედინება ისეთ წყალსატევებში, რომლებსაც მსოფლიო ოკეანესთან კავშირი არ გააჩნია.



აქტივობა №2. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმუშაონ წყვილებში; ცხრილში დააჯგუფონ ჩამოთვლილი ზღვები ოკეანეების აუზის მიხედვით. მუშაობის დასრულების შემდეგ წყვილები ცვლიან ნამუშევრებს და ამონებენ, რამდენად სრულყოფილად შეავსეს ცხრილი.

ცხრილის ნიმუში: ოკეანეები და ზღვები

წყნარი ოკეანე	ინდოეთის ოკეანე	ატლანტის ოკეანე	ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე	სამხრეთის ოკეანე
ბერინგის ყვითელი მარჯნის ოხოტის იაპონიის სულავესის იავის	არაბეთის წითელი ანდამანის არაფურის ტიმორის	აზოვის ბალტიის მარმარილოს ალბორიის ლიგურიის იონიის კარიბის	ნორვეგიის ბოფორტის ბაფინის თეთრი გრენლანდიის კარის ჩუკოტკის	უედელის როსის ამუნდსენის ლაზარევის ბელინჰაუზენის დევისის თანამეგობრობის



აქტივობა №3. მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ოკეანის წყლის ტემპერატურა და მარილიანობა? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს. შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მსოფლიო ოკეანის წყლის ზედაპირის ტემპერატურისა და მარილიანობის რუკებს და სთხოვს ბავშვებს, მათ მიერ ჩამოთვლილი ზღვები დააჯგუფონ ტემპერატურისა და მარილიანობის ზრდის მიხედვით. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეები იყენებენ გეოგრაფიულ ცნობარს.


მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ:

ა) როგორ იცვლება ოკეანის წყლის ზედაპირის ტემპერატურა და მარილიანობა განედების მიხედვით და ახსნან ამ ცვლილებების მიზეზები;



ბ) შეადარონ მათ მიერ დაჯგუფებული ზღვების წყლის მარილიანობა და ტემპერატურა ერთმანეთს;

გ) ამ მონაცემების შედარების საფუძველზე გამოიტანონ დასკვნა: როგორ იცვლება ზღვის წყლის მარილიანობა და ტემპერატურა განედის მიხედვით. კვლევის დასრულების შემდეგ ხდება პრეზენტაცია.

მსოფლიო ოკეანის წყლის ზედაპირის ტემპერატურა



მსოფლიო ოკეანის წყლის მარილიანობა



შედეგი	გეო.VII.9. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ბუნებრივი ზონალობის გამომწვევი მიზეზები.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • რუკის მეშვეობით კომპლექსურად ახასიათებს ბუნებრივ ზონებს; • ახასიათებს ვერტიკალურ ზონალობას კავკასიონის მაგალითზე; • ფოტოსურათის ან რუკის გამოყენებით აღწერს სხვადასხვა ტერიტორიისთვის დამახასიათებელ ზონებს (<i>მაგ., ტროპიკული ტყეები, უდაბნო, სტეპი და სხვა</i>) და აკავშირებს მას ამ ქვეყნის (<i>რეგიონის</i>) სამეურნეო საქმიანობასთან; • მსჯელობს ბუნებრივი ზონების ათვისებაზე. 	
აქტივობები:		შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. ვიდეომასალის ჩვენება და ანალიზი; 2. ტექსტზე მუშაობა; 3. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 4. პრეზენტაცია. 		
რესურსები:	კლიმატური სარტყლებისა და ბუნებრივი ზონების გავრცელების არეალების რუკები; დოკუმენტური ფილმი: მსოფლიოს 7 საოცრება.	
კავშირი სხვა საგნებთან:		
რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:	სასურველია დოკუმენტური ფილმების ჩვენება მოგზაურებზე, ქვეყნებზე, სტიქიურ მოვლენებზე, ერების ადატ-წესებზე და ა.შ. ვიზუალურად ნანახი და შემდეგ შთაბეჭდილებების გაზიარებით მიღებული ინფორმაცია მოსწავლეებს უფრო ადვილად ამახსოვრდებათ.	


აქტივობა №1. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ბუნებრივი ზონების ფოტოებს ან დოკუმენტურ ფილმს: „მსოფლიოს 7 საოცრება“. სასურველია, ერთი გაკვეთილი დაეთმოთ ფილმის ჩვენებას, რადგან მათთვის ეს მეტად საინტერესო და სახალისოა. ფილმში ნაჩვენებია როგორც ბუნების საოცრებები, ასევე სხვადასხვა ხალხის, მაგალითად, ტიბეტელების ცხოვრების წეს-ჩვეულებები. შემდეგი გაკვეთილი დაიწყება ფილმის განხილვით. მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და აღწერონ ნანახი პეიზაჟები და ახსნან მათ შორის არსებული განსხვავებები. მასწავლებლის მითითებით ისინი ერთმანეთს ადარებენ ტროპიკულ ტყეებსა და უდაბნოებს, არქტიკული და ანტარქტიკული უდაბნოების ზონას, სავანებსა და ნათელ ტყეებს და ა. შ. მოსწავლეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბუნებრივი ზონების განსხვავებას კარგად გამოხატავს მცენარეულობა. სწორედ ამიტომ, რომ ზონების სახელები ტრადიციულად გაბატონებული მცენარეულობის ტიპების სახელებს ემთხვევა.

აქტივობა №2. კლასი იყოფა ჯგუფებად. მასწავლებელი მათ აძლევს ტექსტს – კლიმატური სარტყლები/ბუნებრივი ზონები და დავალებებს:

1. წარმოადგინონ ტექსტში არსებული ინფორმაცია საპრეზენტაციოდ სქემის სახით;

2. ახსნან ბუნებრივი ზონების გავრცელების კანონზომიერებები (რა განაპირობებს კონკრეტული ბუნებრივი ზონის გავრცელებას კონკრეტულ კლიმატურ სარტყელში).

მაგალითი:



ტექსტი: კლიმატური სარტყლები/ბუნებრივი ზონები:

1. არქტიკული და ანტარქტიკული კლიმატური სარტყელი : ბუნებრივი ზონა – არქტიკული უდაბნოების ზონა;
2. სუბარქტიკული კლიმატური სარტყელი: ბუნებრივი ზონა– ტუნდრა და ტყეტუნდრა;
3. ზომიერი კლიმატური სარტყელი: ბუნებრივი ზონა – ტაიგა, შერეული, ფართოფოთლოვანი ტყეები, ტყესტეპი, სტეპი , ნახევარუდაბნოები, უდაბნოები, სიმაღლებრივი სარტყლები, ცვალებადტენიანი ტყეები;

4. სუბტროპიკული კლიმატური სარტყელი: ბუნებრივი ზონა – ხეშეშფოთლოვანი ხმელთაშუაზღვისპირული, ცვალებადტენიანი (მუსონური) ტყეები, ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი მარადმწვანე ტყეები, ნახევარუდაბნოები, უდაბნოები;
5. ტროპიკული და სუბეკვატორული კლიმატური სარტყელი: ბუნებრივი ზონა – სავანები და ნათელი ტყეები, უდაბნოები და ნახევარუდაბნოები;
6. ეკვატორული კლიმატური სარტყელი: ბუნებრივი ზონა – ნოტიო ეკვატორული ტყეები.

შენიშვნა: ბუნებრივი ზონა – ვრცელი ტერიტორია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მზის სითბოსა და სინათლის, ტენიანობის, ნიადაგის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ერთგვაროვნება; ბუნებრივ ზონებს არა აქვს მკვეთრად გამოხატული საზღვრები. მათი უმრავლესობა განედური მიმართულებითაა გადაჭიმული.


- მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა.
- ყველაზე დიდი ბუნებრივი ზონა არის ტაიგა, ყველაზე პატარა — ეკვატორული ტყეების ზონა.
- სტეპების ბუნებრივ ზონას უწოდებენ „პურის ბელელს“.
- სტეპებს ჩრდილოეთ ამერიკაში ეძახიან „პრერიებს“, სამხრეთ ამერიკაში – „პამპასებს“.
- ეკვატორულ ტყეებს რამდენიმე სახელი აქვს: აზიაში მათ ეძახიან „ჯუნგლებს“, სამხრეთ ამერიკაში — „ჰილას“ და „სელვას“; საქართველოშიც გვაქვს მსგავსი ტიპის მრავალიარუსიანი ტყეები — კოლხეთის დაბლობზე, მათ კოლხური „ჰემიჰილეები“ ეწოდება.

აქტივობა №3. მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ტექსტს და ბუნებრივი ზონების რუკებს. ერთ ჯგუფს შეიძლება შეხვდეს 2-3 ბუნებრივი ზონა. ჯგუფმა საკუთარი ბუნებრივი ზონა უნდა აღწეროს და კონტურულ რუკაზე აღნიშნოს მათი გავრცელების არეალები; დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კლიმატურ სარტყლებსა და ბუნებრივ ზონებს შორის.

ტაიგა (იაკუტ. ტყე) — ჩრდილოეთის ზომიერი სარტყლის წიწვოვანი ტყეა, რომელსაც უჭირავს ჩრდილოეთ ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის უზარმაზარი ტერიტორია. ტაიგისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი, მყართოვლიანი, მკაცრი ზამთარი და შედარებით თბილი ზაფხული; ნალექების წლიური რაოდენობა, როგორც წესი, აღემატება აორთქლებას. მდებარეობის მიხედვით ტაიგა ორგვარია: ბარისა და მთის. მთავარი შემადგენელი ხემცენარეების მიხედვით განარჩევენ მუქწიწვოვან (ნაძვი, სოჭი, ცუგა, ცრუცუგა, ლიბოცედრუსი, სექვოია, ტუია და სხვ.) და ლიანწიწვოვან (ფიჭვი და ლარიქსი) ტაიგას. ტაიგის ხედგომში დომინანტობს 1-2, იშვიათად 3 ან მეტი სახეობა (რაც ხშირია მთის ტაიგაში). მათთან შერეულია ხოლმე არყი, ვერხვი, ნეკერჩხალი და სხვა ფოთლოვნები. ბარის ტაიგაში ეწერი და მზრალი ნიადაგია, მთის ტაიგაში — მთა-ტყის მურა ნიადაგი. ევროპასა და აზიაში ტაიგის ფართობის მეტი წილი, რომელიც რუსეთის ფარგლებშია მოქცეული, ბარად ქმნის ტყის ზოლის ჩრდილო ქვეზონას. მასში მკვეთრად განირჩევა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ განედური მდებარეობით შეპირობებული ზოლები:

- მეჩხერი;
- ჩრდილოეთისა;
- შუა;
- სამხრეთისა;
- ფართოფოთლოვან-წიწვოვანი.


ტაიგის გავრცელების რუკა



ტუნდრა (ფინ. tunturi – უტყეო, მოშიშვლებული მაღლობი) — მცენარეულობის ტიპია, რომელიც დამახასიათებელია არქტიკული ოლქისათვის. ჩრდილოეთით ესაზღვრება არქტიკული უდაბნოები, სამხრეთით – ტყეები. ტუნდრა ჩამოყალიბდა ცივი, ჭარბტენიანი ჰავისა და მარადი მზრალობის პირობებში, სუსტად განვითარებულ ნიადაგზე. სკანდინავიის, ურალის, ციმბირის, ალასკის, ჩრდილოეთ კანადის მთებში ე.წ. მთის ტუნდრა გვხვდება. ტუნდრაში ჭარბობს მრავალწლოვანი მცენარეები: ხავსები, მღიერები, ბალახოვანი ჰემიკრიპტოფიტები და ქამეფიტები (კორდიანი, ფესურიანი, ბალიშა და ნახევრად ბალიშა, როზეტისებრი და ნახევრად როზეტისებრი მცენარეები), ფოთოლმცვივანი ქონდარა ბუჩქები - ქამეფიტები (*Salix polaris* და სხვ.), მარადმწვანე ქონდარა ბუჩქები (*Empetrum hermaphroditum*, *Ledum decumbens* და სხვ.), ფოთოლმცვივანი ტანმორჩილი ბუჩქები - ნანოფანეროფიტები (*Betula nana*, *B. exilis*, *Salix lanata*); თითო-ოროლა გვხვდება ერთწლოვანები (*Koenigia islandica* და სხვ.) და ბოლქვიანი გეოფიტები (*Liolidia serotina* და სხვ.). ტუნდრისთვის ნიშანდობლივია პოლიდომინანტურობა და მოზაიკური სტრუქტურა.


ტუნდრის ზონის დიდი ნაწილი უჭირავს ჩრდილოურ და სამხრეთულ სუბ-არქტიკულ ტუნდრას, რომელიც უკიდურესი ჩრდილოეთით იცვლება არქტიკული ტუნდრით; აქ ბუჩქნარი სრულიად არ არის.

ტუნდრის გავრცელების რუკა



სუბტროპიკული ტყე — სუბტროპიკულ სარტყელში გავრცელებული ხშირი ფართოფოთლოვანი ტყეა. ხმელთაშუაზღვისპირეთის სუბტროპიკულ ტყეებში გაბატონებულია მარადმწვანე ბუჩქნარები და ტანდაბალი ხეები. ზონისთვის დამახასიათებელია ნაყოფიერი ყავისფერი ნიადაგები. მარადმწვანე მცენარეულობა შეგუებულია ზაფხულის სიცხესა და სიმშრალეს. მათ სქელი პრიალა ფოთლები აქვთ, ზოგიერთს კი – ნვრილი და ბუსუსიანი. ყოველივე ეს ამცირებს აორთქლებას. რბილი, წვიმიანი ზამთრის პირობებში უხვად იზრდება ბალახი. ხეებს შორის მჭიდროდ არის გაბატონებული სხვადასხვა სახის მცენარეები და ბუჩქნარები. ამ ტიპის ტყეები გავრცელებულია უმთავრესად ხმელთაშუაზღვისპირეთში, ასევე ტროპიკებისა და სუბტროპიკული ზონების მაღალმთიან ადგილებში. ხმელთაშუაზღვისპირა ტყეები თითქმის მთლიანად გაჩეხილია. მათ ადგილზე გვხვდება მეორადი მარადმწვანე ბუჩქნარები და დაბალი ხეები – ხემარწყვა (რომლის ნაყოფი მარწყვს მოგვაგონებს), ქვამუხა, კორპის მუხა, ველური ზეთისხილის ხე, ფიჭვი პინია, ღვია, კეთილშობილი დაფნა და სხვა მცენარეულობა. სუბტროპიკები კონტინენტების აღმოსავლეთ განაპირა მხარეებზე ხასიათდება შედარებით ნოტიო კლიმატით. ატმოსფერული ნალექები არათანაბრად მოდის, თუმცა ზაფხულში ხშირია წვიმა. აქ ჭარბობს ხშირი ნოტიო ტყეები, სადაც ხარობს მარადმწვანე მუხა, მაგნოლია და სხვა, ასევე ლიანები და ბამბუკი.

სუბტროპიკული ტყეების გავრცელების რუკა



აქტივობა № 4. პრეზენტაცია

შედეგი	გეო.VII.10. მოსწავლეს შეუძლია ახსნას გარემოსდაცვითი ღონისძიებების აუცილებლობა.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ანალიზებს გეოეკოლოგიური პრობლემების გამომწვევ ბუნებრივ და ანთროპოგენულ ფაქტორებს ლოკალურ და გლობალურ დონეზე; • ასახელებს გეოეკოლოგიური პრობლემების შედეგებს და გამოთქვამს ვარაუდს, რა მოხდება მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში; • ჩამოთვლის და შეძლებისდაგვარად ახორციელებს მისი აზრით, ქვეყნის ან თავისი რეგიონისთვის აუცილებელ გარემოსდაცვით ღონისძიებებს. 	
აქტივობები:	შენიშვნა	
<ol style="list-style-type: none"> 1. გეოგრაფიულ ტერმინებსა და კონტურულ რუკებზე მუშაობა; 2. ტექსტზე მუშაობა. 		
რესურსები: ინტერნეტსაიტი http://ucnauri.com		
კავშირი სხვა საგნებთან:		

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირებას. კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან (ინფორმაციის შენარჩუნება) ერთად უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი დაბოლოს, შეფასება. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ შეუძლია ქმედება. საინტერესოა, რომ რაიმეს სწავლა სწორად აზროვნების შედეგია. აზროვნების ამოქმედების დროს ადამიანი გააზრებულად სწავლობს და ხდება უფრო გამჭრიახი. სხვა შემთხვევაში, მოსწავლე პასიურია და, შესაბამისად, უჭირს რაიმეს სწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ანალიზი, სინთეზი და შეფასება არის მაღალი სააზროვნო დონეები, საბაზო საფეხურზე მე-7 კლასის მოსწავლეს შეუძლია არა მხოლოდ იმის აღწერა, რას კითხულობს, არამედ ფიქრი და განსჯაც.

გზა, რომელიც ეხმარება მასწავლებელს, გახადოს აზროვნება უფრო თვალსაჩინო, რაიმე ახალი მასალის შესწავლისას ერთი და იმავე სქემის ხშირი გამოყენებაა. ერთ-ერთი გავრცელებული სქემა არის ორეტაპიანი: პირველ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს მოვლენის ან საგნის აღწერას და განსაზღვრას, ხოლო მეორე ეტაპზე კი ცდილობს დაასაბუთებინოს მას თავისი მოსაზრება. ეს ორი ეტაპი მოსწავლეებისგან ინტერპრეტირებასა და საკუთარი აზრის დამადასტურებელი არგუმენტების (მტკიცებულებების) მოძიებას მოითხოვს. ამასთან, ინტერპრეტაცია შეიძლება განვიხილოთ ჰიპოთეზად, ხოლო არგუმენტები კი – ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელ მტკიცებულებებად. ეს ეტაპები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ყველა ასაკის მოსწავლის მიმართ და სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს.

აქტივობა № 2 სწორედ ამ ეტაპებს მოიცავს.

აქტივობა №1. მოსწავლეები იყოფიან 4-კაციან ჯგუფებად. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს ავალებს: ა) განმარტონ ტერმინები: მდგრადი განვითარება, დაცული ტერიტორია, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, რეზერვატი, ბუნების ძეგლი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია და დაადგინონ მათ შორის მსგავსება-განსხვავებები.

ბ) ჩამოწერონ საქართველოში არსებული თითოეული კატეგორიის დაცული ტერიტორიის შესაბამისი დასახელებები (რაც იციან და ახსოვთ -- დაცული ტერიტორიები ნასწავლი აქვთ V-VI კლასებში); პასუხების მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს ურიგდებათ ტექსტი „საქართველოს დაცული ტერიტორიები“ და ისინი თავად ასწორებენ შეცდომებს.

შემდეგ ჯგუფებს ეძლევათ ახალი დავალება:

- ა) საქართველოს კონტურულ რუკაზე მათ მიერ მოფიქრებული პირობითი ნიშნებით აღნიშნონ სხვადასხვა სახის დაცული ტერიტორიები;
- გ) ამოირჩიონ ერთი რომელიმე დაცული ტერიტორია და დაახასიათონ იგი შემდეგი გეგმის მიხედვით: მდებარეობა, მნიშვნელობა, განვითარების პერსპექტივები.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ყოველი ჯგუფი აწყობს ნამუშევრების პრეზენტაციას.

აქტივობა № 2. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თემას: „ეკოლოგიური პრობლემები“ და სტატიას საიტიდან <http://ucnauri.com>. კლასი იყოფა 4 ჯგუფად. შესაბამისად, სტატიაც იყოფა 4 ნაწილად :

1-ელი ჯგუფი განიხილავს სტატიის პირველ ნაწილს, სადაც საუბარია ატმოსფეროს დაბინძურებაზე;

მე-2 ჯგუფი განიხილავს წყლის დაბინძურებას;

მე-3 ჯგუფი განიხილავს შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებს;

მე-4 ჯგუფი განიხილავს ბუნებრივი რესურსების ნარჩენებითა და ნაგავ-საყრდენებით გამოწვეულ პრობლემებს.

მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 ან 3 ჯგუფს ჰქონდეს ერთი და იგივე თემა.

მოსწავლეებმა უნდა გამოყონ კონკრეტული პრობლემა, გამომწვევი მიზეზები, იმსჯელონ და მოიფიქრონ პრობლემის გადაჭრის გზები.

1-ელი ჯგუფი: კავკასიაში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მეტად მწვავედ დგას ეკოლოგიური პრობლემები. მათ შორის აღსანიშნავია ატმოსფეროსა და წყლის რესურსების დაბინძურება, მინერალური რესურსების არარაციონალური გამოყენება, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება, პლასტიკისგადარეცხვა-დაშლა, ნიადაგების ეროზია, ტყეისფართობების შემცირება და სხვა. მართალია, ატმოსფერული ჰაერი გამოუღვლეელი ბუნებრივი რესურსია, მაგრამ მისი მუდმივი დაბინძურება ცოცხალი ბუნებისთვის საზიანო ცვლილებებს იწვევს; შესაბამისად, მისმა ტერიტორიულ არსებობას ძალა დამნიშვნელობა ეკარგება, თუ არ გავუფრთხილებით – ჩვენ ხომ მისგან პოზიტიური გამოვლინება გვჭირდება და არა ნეგატიური. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარი წყაროები მრეწველობა და ტრანსპორტი იყო. ჰაერის დაჭუჭყიანების ხარისხი განსაკუთრებით მაღალი იყო დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, თუმცა XX საუკუნის მიწურულს მკვეთრად შემცირდა. დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დედაქალაქებში, ჰაერს სმოგი აბინძურებს. სმოგი კვამლის, ნისლისა და მტვრის ნარევია, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებისა და ტრანსპორტის გამონაბოლქვისგან წარმოიქმნება.

სპეციალისტების გაანგარიშებით, ქ. თბილისიდან ატმოსფეროში ყოველწლიურად დაახლოებით 276500 ტონა მავნე ნივთიერება ხვდება, რომლის 83,3 % ავტოტრანსპორტზე მოდის. ქ. ქუთაისში ატმოსფეროში მოხვედრილი გამონაბოლქვი ნივთიერებების მასა 76200 ტონას შეადგენს, ქ. რუსთავიდან კი ატმოსფეროში საშუალოდ 168700 ტონა მავნე ნივთიერება ხვდება. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, საქართველოში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. თბილისში, ბაქოსა და ერევანში ხშირია სმოგი, რის გამოც ჰაერი ძალიან ჭუჭყიანია. ამის მთავარი მიზეზი კი ავტომობილებითა და სხვა ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩებია.

მე-2 ჯგუფი: ბოლო წლების განმავლობაში სწრაფი ტემპით გაიზარდა წყლის მოხმარება, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. შესაბამისად, მოიმატა და ფართო ხასიათი მიიღო წყლის დაბინძურებამაც, რაც მდინარეებსა და წყალსატევებში ჭუჭყიანი წყლის შერევითაა განპირობებული. წყლის ობიექტებს საწარმოო ჩამდინარე წყლები, ქიმიური და მეტალურგიული

მრეწველობის ნარჩენები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რადიოაქტიური ელემენტები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქი და შხამქიმიკატები, ფეკალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები და მრავალი სხვა რამ აჭუჭყიანებს. დაბინძურების შედეგად წყალს ეცვლება გემო და სუნი, მცირდება მასში შემავალი ჟანგბადი, იწამლება წყლის ორგანიზმები და ა.შ.

მდ. მტკვარის აუზი ხუთი ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს. მტკვარი და მისი მთავარი შენაკადი არაქსი 4-ჯერ კვეთს სახელმწიფოთა საზღვრებს. მდ. მტკვარის აუზის ძირითადად აბინძურებს დაჭუჭყიანებული და არასაკმარისად განმენდილი ჩამდინარე წყლები. ისინი მდინარეში სხვადასხვა დასახლებული პუნქტიდან ხვდება, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 8 მლნ. კაცს აჭარბებს. საქართველოში ყველაზე დაჭუჭყიანებული „ლაქები“ მდ. მტკვარზე თბილისისა და რუსთავის მიდამოებშია, სომხეთში კი – ერევნის მიდამოებსა და მდ. დებედაზე. მდინარის წყლის დაჭუჭყიანების ხარისხი ნორმას 10-20-ჯერ და უფრო მეტად აღემატება.

მე-3 ჯგუფი: ზღვების ნაპირების ნგრევისა და უკან დახევის პრობლემა დღეს თითქმის ყველა ზღვისპირა ქვეყანას ანუხებს. ეს მეტად მძიმე პრობლემაა, რომელიც ძირითადად ათასწლეულობით ჩამოყალიბებული პროცესის – ადამიანის არასწორი მოქმედების შედეგია. მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროს 315 კმ-იანმა მონაკვეთმა საუკუნეების განმავლობაში უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების ყველა ფორმა განიცადა. მდინარეების მიერ ზღვაში შემოტანილი ქვიშა და ხრეში ტალღების მიერ მუშავდება და ნაპირების გასწვრივ ნაწილდება. ასე ჩნდება ნაპირგასწვრივი ნაკადები, ე.წ პლაჟები. ტალღები ქვებს, ქვიშასა და ხრეშს მუდმივად გადაადგილებს, როგორც ნაპირის გასწვრივ, ისე მის გარდვიარდმო. მდინარეების მიერ ჩამოტანილი მყარი მასალის (ნატანის) შემცირება ნაპირების გადარეცხვა-დაშლას იწვევს. თუ პლაჟი მოისპო, ტალღები ნაპირების ნგრევას დაიწყებს და თანაც იმდენად ენერგიულად, რომ მოკლე დროის განმავლობაში შეიძლება ათობით მეტრი სიგანის ხმელეთი წარეცხოს და რკინა-ბეტონის ჯებირიც კი წააქციოს. ჯერ კიდევ 30 წლის წინ მახინჯაურს, ჩაქვსა და ქობულეთს საკმაოდ განიერი პლაჟები ჰქონდა, რომელიც თვალსა და ხელს შუა გაქრა. XIX საუკუნის ბოლოს აშენებულმა ბათუმის პორტმა ნაპირგასწვრივი ნაკადი გადარეცხა და მდინარეულმა ნატანმა ჩრდილოეთით გადაადგილება შეწყვიტა. ამის შედეგად კი ბათუმიდან ქობულეთამდე (ქობულეთის ჩათვლით) სანაპიროებზე საპლაჟო მასალა გამოილია და ნაპირებმა ნგრევა დაიწყო. ხელოვნური პლაჟების შექმნით ეს პროცესი მეტ-ნაკლებად შეფერხდა, თუმცა შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის შენარჩუნება დღესაც აქტუალური პრობლემა და გადაუდებელი ამოცანაა.

მე-4 ჯგუფი: სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ერთ-ერთი მწვავე ეკოლოგიური პრობლემა მინერალური რესურსების არარაციონალური გამოყენება და მწყობრიდან გამოსული მინების რეკულტივაცია. წიაღისეულის მოპოვების ადგილებში სამრეწველო ნარჩენები – ფუჭი ქანები გროვდება და დროთა განმავლობაში საკმაოდ დიდ ტერიტორიებს იკავებს.

ასევე სერიოზულ პრობლემას ქმნის ნაგავსაყრელები – ხმელეთის დანაგვიანების ერთ-ერთი წყარო. ქ. ბაქოში ყოველწლიურად დაახლოებით 250-300 ათასი ტონა ნაგავი გროვდება, რომლის უტილიზაციის მიზნით აზერბაიჯანის დედაქალაქში 2012 წელს მსხვილი ნაგავსანავი ქარხნის მშენებლობა დაიწყო.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ეკოლოგიური პრობლემები საკმარისზე მეტია. ისინი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს, რისთვისაც აუცილებელია მონიტორინგის ორგანიზაცია, რეგიონული ეკოლოგიური პრობლემების დამუშავება და ერთობლივი გადაწყვეტა, კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის შესწავლა, გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება.

მიმართულება: გარემო და სოციალური სისტემები

შედეგი	გეო.VII.11. მოსწავლეს შეუძლია ახსნას გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების როლი.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრავს გეოგრაფიის შესწავლის ობიექტს და ამოცანებს; • აჯგუფებს გეოგრაფიულ დისციპლინებს და მათი შესწავლის ობიექტებს; • მოჰყავს გეოგრაფიული კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების მაგალითები; • ადეკვატურად იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას. 	
აქტივობები:		შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. გონებრივი იერიში; 2. გეოგრაფიული ინფორმაციის გააზრება, ინტერპრეტაცია; 3. ცნებების კლასიფიკაცია. 		აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება წიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებაში.
რესურსები:	<p>„ბისეკის“ წვერი ქვეყნების რუკა; საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა; გრაფიკი: საქართველოს მოსახლეობა 1913–2009 წლებში;</p> <p>გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე.</p>	
კავშირი სხვა საგნებთან:		
რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:	<p>კრიტიკული აზროვნების გააქტიურების ერთ-ერთი გზაა მოცემული საკითხის შესახებ სხვადასხვა შეხედულების განხილვა, რომლებიც გონებრივი იერიშის მეთოდით ხორციელდება. ეს არის სწავლების ხერხი, რომლის დროსაც მოსწავლეები წინასწარ, განსაზღვრული დროის განმავლობაში, ამა თუ იმ პრობლემის ან საკითხის გარშემო შეუზღუდავად გამოთქვამენ იქვე მოფიქრებულ საკუთარ აზრებსა და იდეებს. დაცულია პრინციპი: „ყველა აზრი მისაღებია“. ამის შემდეგ მასწავლებლის დახმარებით ხდება გამოთქმული აზრებისა და იდეების კატეგორიებად დახარისხება და პრიორიტეტიზაცია და დაყოფა.</p>	

აქტივობა №1.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჯგუფებში ჩამოწერონ:

ა) რას წარმოადგენს თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების სისტემა (რა დარგებისა და ქვედარგებისგან შედგება იგი);

ბ) გეოგრაფიული კვლევის რომელ მეთოდებს იცნობენ.


მოსწავლეები აწყობენ პრეზენტაციას. ისინი, ვინც ესწრება პრეზენტაციას, ამატებენ თავიანთ განსხვავებულ მოსაზრებებს.

აქტივობა № 2.

მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს კონვერტებს (2 ცალს თითოეულ ჯგუფს). ერთ კონვერტში დევს გეოგრაფიული მეცნიერების სისტემის შემადგენელი დარგებისა და ქვედარგების სახელწოდებები, ხოლო მეორეში – გეოგრაფიული კვლევის მეთოდების დასახელება. მოსწავლეებმა უნდა განმარტონ თითოეული სახელწოდების არსი (იყენებენ ლექსიკონს), კვლევის საგანი, მნიშვნელობა, გამოყენება და დააჯგუფონ ისინი გეოგრაფიულ მეცნიერებათა „ხეზე“. ასევე, უნდა განმარტონ გეოგრაფიული მეთოდის არსი, მნიშვნელობა. ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი აკეთებს პრეზენტაციას.


შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს დამხმარე მასალას, ტექსტებს: „თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების სისტემა და გეოგრაფიული კვლევის მეთოდები და პროგნოზირება“. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და თავიანთ პასუხებს ადარებენ ტექსტში მოყვანილ ინფორმაციას. შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს სხვადასხვა სახის რუკებსა და ცხრილებს (მაგალითად, ცხრილი რომელიმე ადგილის ტემპერატურის ცვლილების შესახებ, სტატისტიკური მონაცემები ევროპის ქვეყნების მოსახლეობის რიცხვნობის შესახებ, სხვადასხვა შინაარსის რუკები: მაგალითად, „ოპეკის“ წევრი ქვეყნების (ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ორგანიზაცია), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, „ბისეკის“ წევრი ქვეყნების (შავი ზღვის დაცვის ორგანიზაცია), ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური და პორტუგალიური ენების გავრცელების რუკები, მსოფლიოს ფედერაციული და მონარქიული მმართველობის ქვეყნების რუკები; გასხვავებული (მარტივი და გაფართოებული) აღწარმოების ქვეყნების სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდები, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკის გრაფიკი, ჰორიზონტალებისა და ადგილის აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეების სქემები, რომელიმე ადგილის კლიმატური დიაგრამა, მსოფლიოს კონტურული რუკა და გეოგრაფიული ნომენკლატურა და ა.შ.).


„ბისეკის“ ნვერი ქვეყნები (შავი ზღვის დაცვის ორგანიზაცია)



- ბისეკის ნვერი ქვეყნები
- ბისეკის დამკვირვებელი ქვეყნები

გრაფიკი: საქართველოს მოსახლეობა 1913–2009 წლებში





ჯგუფებმა უნდა დაადგინონ, რა სახის გეოგრაფიულ ინფორმაციასთან აქვთ საქმე, გეოგრაფიული კვლევის რომელ მეთოდს შეესაბამება ეს მასალები. ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას.

ორივე დავალების პასუხები გადააქვთ რვეულებში.

აქტივობა №3.

ა) ჯგუფური სამუშაო – მოსწავლეები ლექსიკონიდან ირჩევენ მინიმუმ 10 სიტყვას და აღნიშნული სიტყვების გამოყენებით ქმნიან გეოგრაფიული შინაარსის პატარა ტექსტს.

ბ) ჯგუფის პრეზენტატორი წარადგენს ტექსტს და მსმენელები აფასებენ ტერმინების გამოყენების სიხშირესა და ადეკვატურობას.

პრეზენტაციის დროს მოსწავლეები უცნობ ტერმინებს ერთობლივად (მთელ ჯგუფთან ერთად) და მასწავლებლის დახმარებით განმარტავენ.

შედეგი	გეო.VII.12. მოსწავლეს შეუძლია მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლებისა და განსახლების თავისებურებების დახასიათება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მსჯელობს მსოფლიო მოსახლეობის დინამიკის შესახებ და ხსნის ცვლილების მიზეზებს; განმარტავს ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებლებს (შობადობა, სიკვდილიანობა, ბუნებრივი მატება), სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას და მსოფლიოში გავრცელებულ აღწარმოების ტიპებს; კითხულობს შესაბამის გრაფიკებს და დიაგრამებს;

	<ul style="list-style-type: none"> • მსჯელობს სხვადასხვა გარემოში მოსახლეობის განსახლების თავისებურებების შესახებ (მდინარის ხეობების გასწვრივ, ზღვის ნაპირებზე, უდაბნოებში, მთებში, ინდუსტრიულ და აგარარულ რეგიონებში); • თავის დასახლებულ პუნქტს ადარებს სხვადასხვა დასახლებული პუნქტის ფოტოსურათებსა და გეგმას; • შესაბამისი თემატური რუკის გამოყენებით აანალიზებს მოსახლეობის სიმჭიდროვეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში; გამოყოფს ყველაზე მჭიდროდ და ყველაზე მეჩხრად დასახლებულ რეგიონებს და ცხრილში აჯგუფებს მათ.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. რუკაზე მუშაობა; 2. წყაროს ანალიზი. 	<p>აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება წიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებაში.</p>
<p>რესურსები: გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე; მსოფლიოს პოლიტიკური, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობისა და სიმჭიდროვის რუკები, წყარო.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან:</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:</p>	

აქტივობა №1. მასწავლებელი სვამს კითხვებს:


1. რა არის დემოგრაფია?
2. რა არის მოსახლეობის დინამიკა?
3. რა არის ბუნებრივი მოძრაობა?
4. რა არის მექანიკური მოძრაობა?

ამ კითხვებზე პასუხებს მოსწავლეები პოულობენ გეოგრაფიულ ლექსიკონში.

შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად და ნაწილდება დავალებები:


პირველმა ჯგუფმა მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკების გამოყენებით უნდა დაადგინოს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 10 ლიდერი და 10 აუტსაიდერი ქვეყანა.

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა



მეორე ჯგუფმა მსოფლიო მოსახლეობის სიმჭიდროვისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკების გამოყენებით უნდა დაადგინოს დეადმინაზე ყველაზე მჭიდროდ და ყველაზე მეჩხრად დასახლებული ქვეყნები და რეგიონები.

მსოფლიო მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკა



აქტივობა №2.

მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ:

1. რა მიზეზებით ხდება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი შემცირება ან მატება, რის გამოც საჭიროა სათანადო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. სცადეთ პრობლემების სიმძაფრის მიხედვით დალაგება;
2. როგორია ბუნებრივი მატება საქართველოში, აღწარმოების რომელ ტიპს განეკუთვნება იგი და წერილობით გამოთქვან თავისი მოსაზრება, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა.

დედამიწაზე მუდმივად მიმდინარეობს ადამიანების თაობათა ცვლა და განახლება ანუ მოსახლეობის აღწარმოება. ბუნებრივი მატება გვიჩვენებს, რა მიმართებაა შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. დაბალი ან უმნიშვნელო მატებისას იმაზე ოდნავ მეტი ადამიანი იბადება, ვიდრე კვდება – მოსახლეობის რაოდენობა თითქმის არ იცვლება, მცირედ მატულობს. ამიტომ თაობათა ასეთ აღწარმოებას მარტივს უწოდებენ. თაობათა ცვლის მეორე სახეა გაფართოებული აღწარმოება. იგი ბუნებრივი მატების მაღალ მაჩვენებელს გულისხმობს.

განსაკუთრებით მკვეთრი და სწრაფი მატება დაიწყო XX ს-ის მეორე ნახევრიდან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში. ამ პროცესს „დემოგრაფიული აფეთქება“ უწოდეს. არსებობს აღწარმოების მესამე ტიპიც – შეზღუდული. ამგვარი აღწარმოების დროს ნაკლები ადამიანი იბადება, ვიდრე კვდება – მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს. სახელმწიფოები ცდილობენ გავლენა მოახდინონ აღწარმოებაზე თავიანთი ინტერესების შესაბამისად და ატარებენ სათანადო დემოგრაფიულ პოლიტიკას. მაგალითად, „დემოგრაფიული აფეთქება“, რაც ქვეყანაში ჭარბ მოსახლეობას აჩენს, ბევრ პრობლემას უქმნის სახელმწიფოს. კერძოდ, ჩნდება სურსათის დეფიციტი, რთულდება ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, იზრდება გარემოს დაბინძურება; ანუ ტერიტორიის მოსახლეობით გაჯერების ხარისხი მეტია ქვეყნის უნარზე – უზრუნველყოს მოსახლეობა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოები ცდილობენ შეზღუდონ შობადობა. მაშინ კი, როცა აღწარმოება მეტისმეტად დაბალია (მარტივი ან სულაც შეზღუდული), ჩნდება სხვა ტიპის სირთულეები (მაგალითად, მომავალში მუშახელის ნაკლებობა). ამ შემთხვევაში სახელმწიფოები ატარებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს შობადობის ზრდას. **დემოგრაფიული პოლიტიკის მაგალითები:**

ევროპის ბევრ ქვეყანაში (განსაკუთრებით, საფრანგეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში) ორ და მეტშვილიანი ოჯახები სახელმწიფოსგან იღებენ ფულად დახმარებას, სოციალურ შეღავათებს, ხელფასის დანამატებს, უზრუნველყოფილნი არიან უკეთესი საცხოვრებელი პირობებით. ჩინეთში დაწესებულია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი შეზღუდვა ოჯახებისთვის, რომლებსაც ორზე მეტი შვილი ჰყავთ (ჯარიმა, შეფერხება სამსახურებრივ კარიერაში და სხვა). ამგვარი პოლიტიკის შედეგად ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ყოველ ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით შემცირდა 28-იდან (1988 წ.) 10-მდე (1997 წ.). პირველ შემთხვევაში ხელისუფლება ახალისებს მოსახლეობის ზრდას, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, ზღუდავს.

დემოგრაფიულ პოლიტიკას დიდი ხნის ისტორია და პრაქტიკული განხორციელების მდიდარი გამოცდილება აქვს – რომის იმპერატორების მიერ სამშვილთან ოჯახებზე პრივილეგიების დაწესებით და თანამედროვე ჩინეთის პოლიტიკით („ერთი ოჯახი – ერთი ბავშვი“) დამთავრებული.

ევროპის ქვეყნებიდან XVII ს-ში საფრანგეთი იყო პირველი, რომელმაც მოსახლეობის ზრდის წახალისების პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამის მიზეზი იყო გერმანიასთან 30-წლიან ომში (1618-1648 წ.) ადამიანების დიდი დანაკარგი და, აგრეთვე, ჰუგენოტების რელიგიური დევნით გამოწვეული მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება.

VIII კლასი

მიმართულება № 1 : დრო და სივრცე

შედეგი	გეო.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია გეოგრაფიული ინფორმაციის მოსაპოვებლად რუკის წაკითხვა და სხვა თვალსაჩინოებების ანალიზი.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის აღწერის მასალებზე დაყრდნობით ადგენს სხვადასხვა ტიპის გრაფიკებსა და დიაგრამებს; • ადგენს წინა ეპოქის რომელიმე ლოკალური გარემოს (<i>მცირე დასახლებული პუნქტი: სოფელი, უბანი და ა.შ.</i>) მენტალურ გეგმას და ადარებს ამავე ადგილის თანამედროვე გეგმას; მსჯელობს, რა ანთროპოგენული ცვლილებები განიცადა გარემომ ამ ორ ეპოქას შორის; • განათავსებს ინფორმაციას კონტურულ რუკებზე და სხვა დამხმარე თვალსაჩინოებებზე; • გეოგრაფიულ თვალსაჩინოებაზე მოცემულ ერთი ტიპის ინფორმაციას გამომხატავს სხვა სახით (<i>მაგალითად, მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გამოყენებით ქვეყნებს აჯგუფებს კონტინენტების მიხედვით და წარმოადგენს ცხრილის სახით</i>). 	
აქტივობები:		შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. დიაგრამების აგება და ანალიზი; 2. სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე; 3. შეცდომების გასწორება. 		<p>მოცემული შედეგი გამჭოლია. იგი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობს და განსაკუთრებით კარგად ავითარებს სემიოტიკურ კომპეტენციას. ეხმიანება მე-7 კლასის მე-2 შედეგს (გეო.VII.2.)</p>
რესურსები:	გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე; მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები.	
კავშირი სხვა საგნებთან:	მათემატიკა	

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: გეოგრაფიის სწავლებაში მთავარი ადგილი რუკას უჭირავს. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ გეოგრაფიაში ყველა სახის კვლევა რუკასთან იწყება და რუკასთანვე მთავრდება და რომ რუკა გეოგრაფიის საერთაშორისო ენაა. რუკის კითხვისა და გამოყენების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთათვის. იგი ხელს უწყობს სივრცითი და გრაფიკული აზროვნების განვითარებას. სასწავლო გარემო არ შემოისაზღვრება მხოლოდ საკლასო ოთახითა და სახელმძღვანელოთი, ის უფრო ფართოა. ჩვენ ვსწავლობთ ყველგან, ვსწავლობთ ურთიერთობით, გარემოსა და საზოგადოებაზე დაკვირვებით, აღრიცხვით, ანალიზით, ჩანახატებით, ჩანაწერებით, ვსწავლობთ კითხვების დასმით, ვსწავლობთ თამაშებით. კონტურული რუკების შევსება, შეცდომების გასწორება, გეოგრაფიული კარნახი და თამაშები საშუალებას იძლევა, გეოგრაფიული ნომენკლატურა, რომლის სწავლაც ყველას არ უყვარს, სახალისო გავხადოთ. ამ მიზნით კარგია კომპიუტერული თამაშები, რაც ახალისებს შესწავლის პროცესს. გთავაზობთ ვებ-გვერდების მისამართებს, სადაც კომპიუტერული თამაშების ნახვა შეიძლება:

- ▶ <http://www.toporopa.eu/en/index.html>
- ▶ http://www.sheppardsoftware.com/European_Geography.htm
- ▶ <http://www.purposegames.com>
- ▶ www.lizardpoint.com
- ▶ <http://www.ilike2learn.com/ilike2learn/geography.asp>

აქტივობა №1. გეოგრაფიული ლექსიკონიდან ცხრილის – „მსოფლიო მოსახლეობის დინამიკა მე-20 საუკუნეში“ – მონაცემების მიხედვით ააგონ სვეტოვანი დიაგრამა.

1. ერთი ჯგუფი დიაგრამას ააგებს ევროპის კონტინენტის მონაცემების მიხედვით, მეორე – აზიის, მესამე – აფრიკის და ა. შ.
2. უნდა აღწერონ, როგორ იცვლებოდა მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით, ჩამოთვალონ დინამიკის სავარაუდო მიზეზები და გამოთქვან საკუთარი მოსაზრება.

პრეზენტაციის დროს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე კონტინენტების მიხედვით ამაგრებენ აგებულ დიაგრამებს და ხდება მონაცემთა შედარება:

1. უნდა გამოყონ კონტინენტები, სადაც მე-20 საუკუნეში ყველაზე მეტად გაიზარდა მოსახლეობა და კონტინენტები, სადაც ზრდის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია.
2. ახსნან გამომწვევი მიზეზები და გამოიტანონ დასკვნა, რა ახდენს გავლენას მოსახლეობის დინამიკაზე.

აქტივობა № 2. მსოფლიოს ფიზიკურ ან პოლიტიკურ რუკაზე მასწავლებელი ამაგრებს წინასწარ მომზადებულ ქალაქის გემს ან ავტომობილს. ტრანსპორტის შერჩევა ხდება მოსწავლეებთან ერთად. მაგალითად, მასწავლებელი ამაგრებს გემს შავ ზღვაზე და სთხოვს მოსწავლეებს გადაადგილდნენ ატლანტის ოკეანის მიმართულებით. პასუხი იქნება: ბოსფორის სრუტე---მარმარილოს ზღვა---დარდანელის სრუტე--- ეგეოსის ზღვა --- ხმელთაშუა ზღვა--- ატლანტის ოკეანე.

შეცდომის შემთხვევაში მასწავლებელი აცხადებს განგაშს: შავ ზღვაში (ან იმ კონკრეტული ტერიტორიის კოორდინატებს ასახელებს) სამგზავრო გემს დაეჯახა გემი სახელწოდებით „ არ ვიცი“. ეკიპაჟი ითხოვს შველას. საშველად მიემართება გემი „ცოდნა“. ის, ვინც მიაღწევს დანიშნულ ადგილს, იღებს პატარა დროშას. გაკვეთილის ბოლოს ითვლიან დროშებს და იწერენ „ბონუს ქულებს“, რომელსაც სხვა გაკვეთილებზე გამოიყენებენ.

ასეთი თამაში სახალისოა და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას.

აქტივობა № 3.

წყვილებმა კონტურულ რუკაზე მსოფლიოს ფიზიკური რუკის დახმარებით აღნიშნონ 10 გეოგრაფიული ობიექტი, მათ შორის 3 დაიტანონ შეცდომით, რომელსაც აღმოაჩინეს და შეასწორობს მეორე წყვილი.

მოსწავლეებმა ასევე შეიძლება შექმნან ტექსტი რუკისა და სახელმძღვანელოს დახმარებით: მოგზაურობა აფრიკის ჯუნგლებში, ან ავსტრალიაში, ან სხვა მათთვის საინტერესო ადგილებში, სადაც აგრეთვე დაშვებული იქნება შეცდომები, რომლებსაც კვლავ მეორე წყვილი ან ჯგუფი გაასწორობს.

შედეგი	გეო.VIII.2. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტებისა და ქვეყნების მდებარეობა რუკაზე.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • იყენებს პოლიტიკურ რუკას და აღწერს პირობით ნიშნებს (ფერები, საზღვრები), რომლითაც ხდება ტერიტორიების (სახელმწიფოები, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულები, დედაქალაქები) აღნიშვნა პოლიტიკურ რუკაზე; • რუკისა და სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებით ადგენს ცხრილს, სადაც განათავსებს კონტინენტების მიხედვით სამი ყველაზე დიდი და სამი ყველაზე მცირე ქვეყნის (ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით) მახასიათებლებს; • საკოორდინატო ბადის გამოყენებით განსაზღვრავს სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობას, მათ შორის მანძილსა და მიმართულებას (მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქვეყნები და დედაქალაქები, საქართველოს რეგიონები და ადმინისტრაციული ცენტრები); • იყენებს რუკას და მსჯელობს საქართველოს მდებარეობაზე რეგიონული და მსოფლიო მასშტაბით. ადარებს რომელიმე სხვა ქვეყნის მდებარეობას; • იყენებს ატლასს და ახასიათებს ერთ-ერთ რეგიონს (მდებარეობის, საზღვრების, რელიეფის, ჰიდროგრაფიული ქსელის, ადმინისტრაციული ცენტრების მიხედვით); • რუკის გამოყენებით განსაზღვრავს საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ მდებარეობას; ადარებს მსგავსი და განსხვავებული მდებარეობის ქვეყნებს, აჯგუფებს მათ ცხრილში.
აქტივობები:	შენიშვნა

<ol style="list-style-type: none"> 1. კითხვა-პასუხი; 2. მინი-ლექცია; 3. კონტურულ რუკაზე მუშაობა; 4. რუკაზე და ცხრილებზე მუშაობა. 	<p>ენმიანება მე-7 კლასის მე-2 შედეგს (გეო. VII.2.) და VIII კლასის პირველ შედეგს.</p>
<p>რესურსები: მსოფლიოს რეგიონული დაყოფის რუკა; მსოფლიოს პოლიტიკური რუკა; BBC-ის დოკუმენტური სერიალი – მსოფლიოს გარშემო 80 საოცრებისთვის; ინტერნეტ-გვერდი: http://ka.wikipedia.org/.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია.</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:</p> <p>ისევე, როგორც ფოტოებს, ვიდეომასალასაც საკლასო ოთახში „რეალობის“ შეტანა შეუძლია. ასეთი დოკუმენტური თუ სხვა ფილმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თავისი თვალთ ნახონ სხვა ლანდშაფტები თუ კულტურა, ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები და სხვ. ეფექტი საკმაოდ დიდია და მოსწავლეებიც სიამოვნებით უყურებენ მასალას, თუმცა ამ დროს საჭიროა ჩვენებების ლიმიტირება, რომ არ გადავტვირთოთ მოსწავლეები, იმისთვის, რომ ჰქონდეთ დრო ნანახის უკეთ გასაზრებლად, რომ არ გაუფასურდეს ამ მასალის სასწავლო პოტენციალი. ასევე საჭიროა ამ ჩვენებებს მოჰყვეს გარჩევები, სადაც გაანალიზდება, სადისკუსიო გახდება საკვანძო საკითხი. ასეთი მასალები მოსწავლეთათვის ცოდნის შექმნის მნიშვნელოვანი წყაროა, ამაღლებს სწავლების ეფექტურობას, ხელს უწყობს დამოუკიდებლად მუშაობას, ავითარებს მოსწავლეთა შემეცნებით და შემოქმედებით უნარს. სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებები დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა აღქმისათვის მიუწვდომელი ობიექტებისა და მოვლენების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბების პროცესში. აღნიშნული მეთოდის მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა დამოუკიდებლობა, შემოქმედებითობა, დაკვირვება, შედარება, კლასიფიკაცია, ინტერპრეტაცია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და ანალიზი.</p> <p>ფილმის ნახვის შემდეგ აუცილებელია მისი განხილვა, აღწერა, გააზრება, ანალიზი, ასევე შეიძლება მოსწავლეებს მისცეთ დავალება, მაგალითად, რუკაზე მოძებნონ ის ობიექტები, რომელთა შესახებაც ფილმში იყო საუბარი ან მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია და ა. შ.</p>	

აქტივობა №1. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს რამდენიმე შეკითხვას:

1. რა იცით ზოგადად გეოგრაფიული მდებარეობის, კონკრეტულად კი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურების შესახებ?
2. რა არის რეგიონი?
3. რა ნიშნებით ხდება რეგიონების გამოყოფა?
4. როგორი საზღვრები არსებობს?
5. დაასახელეთ ქვეყანა, რომელსაც საქართველოს მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს.

პასუხები იწერება დაფაზე. ყურადღება მახვილდება საქართველოს მდებარეობაზე კავკასიაში და კავკასიის მდებარეობაზე ევრაზიის სივრცეში.

აქტივობა № 2. მასწავლებელი კითხულობს მინი-ლექციას: „გეოგრაფიული მდებარეობა და ქვეყნების ტიპოლოგია“. მოსწავლეები ეცნობიან ზოგადად გეოგრაფიული მდებარეობის ცნებას, ასევე, მაკრო-, მეზო- და მიკროგეოგრაფიულ მდებარეობას და სახელმწიფოთა საზღვრების ხასიათს, ქვეყნების ტიპოლოგიას ძირითადი ნიშნების მიხედვით.

მსოფლიოს რეგიონული დაყოფა გაეროს მიხედვით



აქტივობა № 3. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დარაიონების პრინციპებს. მოსწავლეები იყოფიან 5-კაციან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება: მსოფლიოს კონტურულ რუკაზე მონიშნონ მსოფლიოს რეგიონები; ამოირჩიონ მათგან ერთი რეგიონი, შეადგინონ მისი შესწავლისა და კვლევისთვის საჭირო გეგმა და გეგმის მიხედვით დაახასიათონ ეს რეგიონი. ჯგუფები აწყობენ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას.

აქტივობა №4. მოსწავლეებმა მათ ხელთ არსებული რესურსების (პოლიტიკური და რეგიონული დაყოფის რუკების) გამოყენებით უნდა შეავსონ ცხრილი:

1. ქვეყნები, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვს;
2. ქვეყნები, რომლებსაც აქვს ზღვაზე გასასვლელი;
3. კუნძულოვანი ქვეყნები;
4. ნახევარკუნძულოვანი ქვეყნები.

ცხრილის ნიმუში

ქვეყნები, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვს	ქვეყნები, რომლებსაც აქვს ზღვაზე გასასვლელი	კუნძულოვანი ქვეყნები	ნახევარკუნძულოვანი ქვეყნები
უნგრეთი ჩეხეთი ავსტრია	გერმანია პოლონეთი ბრაზილია	ისლანდია კუბა მადაგასკარი	იტალია პორტუგალია კორეა

აქტივობა № 5. მსოფლიოს გარშემო 80 საოცრებისთვის – ესაა 10- ნაწილიანი დოკუმენტური სერიალი, გადაღებული BBC-ის მიერ. ფილმის წამყვანი დენ კრიკშენკი ხუთი თვის განმავლობაში მოგზაურობდა მსოფლიოს გარშემო, ათვალიერებდა ადამიანთა ხელით შექმნილ ტაძრებს, შენობებსა და სხვადასხვა საგნებს. მან მოიარა 6 კონტინენტი და იყო 34 ქალაქში. დენ კრიკშენკის მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო ძალიან დაემსგავსა ჟიულ ვერნის რომანის – „ოთხმოცი დღე დედამიწის გარშემო“ – სიუჟეტს. ამ სერიალის გადაღებისას კრიკშენკი ცდილობდა, რომ მისი ფილმი ყოფილიყო მრავალფეროვანი, რისთვისაც მან გადაადგილების სხვადასხვა საშუალებები გამოიყენა: თვითმფრინავი, მატარებელი, აქლემი, ვირი, ველოსიპედი, მანქანა, სკუტერი, კანოე, ნავი და სხვ. ფილმში მოთხრობილია ნასკას უდაბნოზე (პერუ), ინკების მარილის საბადოზე, ალდგომის კუნძულზე, მესა-ვერდეს ნაციონალური პარკზე (XI საუკუნეში უცნობი ხალხის მიერ აშენებული ქალაქი კლდეში), კაბადოკიაზე, შარტრის საკათედრო ტაძარზე – ერთ-ერთ უპირველეს გოთიკურ ტაძარზე საფრანგეთში და ა. შ. თითოეული ფილმის ნახვის შემდეგ, გარდა იმისა, რომ სასურველია მოხდეს მათი განხილვა, მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, რამდენად მნიშვნელოვანი საოცრება ნახეს და დააღაგებენ მათ მნიშვნელობის მიხედვით. გარდა ამისა, მოსწავლეებმა კონტურულ რუკაზე უნდა აღნიშნონ ის ქვეყანა, ქალაქი, კუნძული, სადაც თითოეული საოცრება მდებარეობს და ასევე განსაზღვრონ მათი მდებარეობა რეგიონის მიხედვით. შესაძლებელია შეიქმნას ერთი დიდი რუკა, რომელიც ასახავს დენ კრიკშენკის მოგზაურობასა და იმ 80 საოცრებას, რომლის შესახებაც ფილმებშია მოთხრობილი.

ფილმში მოთხრობილი რამდენიმე საოცრების მაგალითი:

ცხოველთა ფიგურების 300-ზე მეტი გამოსახულება, რომელთა დანახვა მაღლა ციდან შეიძლება. თარიღდება III-IV საუკუნეებით (ნასკას უდაბნო, პერუ).



ინკების მარილის საბადო (მარასი, პერუ)




აღდგომის კუნძული (ჩილე) – მასიური ლოდებისაგან გამოკვეთილი ადამიანთა გამოსახულებები, შექმნილი პოლინეზიელების მიერ, XII-XVII სს.



მესა-ვერდეს ეროვნული პარკი (კოლორადო, აშშ) – უცნობი ხალხის მიერ აშენებული ქალაქი კლდეში, XI ს.



კაბადოკია (თურქეთი) – კლდეში გამოკვეთილი ლაბირინთები, რომლებიც მთლიანობაში ქალაქს შეადგენს; 3500-4000 წლის წინათ პირველად ხეთებმა გაჭრეს.



შარტრის საკათედრო ტაძარი – ერთ-ერთი უპირველესი გოთიკური ტაძარი საფრანგეთში



მიმართულება: გარემო და ეკონომიკა

<p>შედეგი</p>	<p>გეო.VIII.3. მოსწავლეს შეუძლია ახსნას, რა გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები დასახლების ტიპებსა და მეურნეობის განვითარებაზე.</p>
<p>ინდიკატორები</p>	<ul style="list-style-type: none"> • კონტურულ რუკაზე აღნიშნავს სხვადასხვა ტიპის დასახლებებს და მსჯელობს კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მათი გაჩენის მიზეზებზე (მაგალითად, რატომ აარსებენ ქალაქებს მდინარეების ნაპირებზე); • ფოტოსურათის ან რუკის გამოყენებით აღწერს სხვადასხვა ტერიტორიისთვის დამახასიათებელ პეიზაჟს (მაგალითად, ტროპიკული ტყეების, უდაბნოს, სტეპისა და სხვ.) და აკავშირებს მას ამ ქვეყნის (რეგიონის) სამეურნეო საქმიანობასთან; • ფოტოსურათების საშუალებით ადარებს სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში არსებულ ორ დასახლებას და ადგენს მათ შორის განსხვავებას (სამშენებლო მასალა, არქიტექტურა); • გამოთქვამს ვარაუდს ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენებისგან შესაძლო თავდაცვის ღონისძიებების შესახებ, ადარებს მათ საქართველოში და სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ თავდაცვის საშუალებებს (მაგალითად, სვანური არქიტექტურის შესაბამისობა გარემოსთან ზვავების საფრთხის გათვალისწინებით, შენობების გადახურვა და სხვ.);

	<ul style="list-style-type: none"> • იკვლევს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ასორტიმენტს, ავგუფებს მათ (მაგალითად, ცხრილის საშუალებით) საქართველოს კუთხეების მიხედვით, განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო ტიპებს და შედეგებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით; • თანაკლასელებთან ერთად მოიპოვებს ინფორმაციას ბუნებაში ომით გამონვეულ ცვლილებებზე (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ტყე); ცვლილებების შედეგებს წარმოადგენს ცხრილის ან ნახატის (პლაკატის) სახით; • მოიპოვებს ინფორმაციას იმ ტექნოგენური კატასტროფების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნა საომარი მოქმედებების არეალში (მაგალითად, აშშ — ერაყის ომით გამონვეული ეკოლოგიური კატასტროფა სპარსეთის ყურეში) და მსჯელობს მათ უარყოფით შედეგებზე.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. თვალსაჩინოებებზე მუშაობა; 2. ვენის დიაგრამა; 3. რუკაზე მუშაობა; 4. ასოციაციური რუკის შედგენა; 5. ვენის დიაგრამა; 6. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 7. როლური თამაში. 	<p>ესმიანება მე-7 კლასის მე-9 შედეგს (გეო. VII.9.).</p>
<p>რესურსები: დაფა და ცარცი, საქართველოს ფიზიკური რუკა, მსოფლიოს ფიზიკური რუკა, „საქართველოს ისტორიული ატლასი“, თბილისი, 2004 წ.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: გეოგრაფიის მასწავლებელმა ყოველგვარი თვალსაჩინოება მნიშვნელოვან სასწავლო რესურსად შეიძლება აქციოს. ფოტოების საშუალებით მან საკლასო ოთახში შეიძლება შეიტანოს ცოტაოდენი „რეალობა“. ფოტოები ხომ ჩვენ ირგვლივ არსებულ ობიექტებს, მოვლენებს, ადგილსა თუ ადამიანებს აფიქსირებს. გეოგრაფიის ახალ სახელმძღვანელოებში მოტანილ ფოტომასალას ხშირად გარკვეული შეკითხვებიც მოჰყვება, თუმცა იმისათვის, რომ მოსწავლე გაინაფოს ფოტოების აღწერა-წაკითხვასა და ინტერპრეტირებაში, მასწავლებელს შეუძლია მრავალი საინტერესო კითხვის მოფიქრება, რაც ანალიზის პროცესში მოსწავლისთვის მიმართულების მიმცემი იქნება. ფოტოების გაანალიზება მოსწავლეებს მატებს ცოდნას ადგილისა თუ ადამიანის შესახებ, აძლევს შესაძლებლობას, გამოთქვან მოსაზრებები და გაუზიარონ ისინი თანაკლასელებს. მასწავლებლებმა გაკვეთილზე ხშირად უნდა დაუთმონ დრო ფოტომასალის განხილვას და მიმართონ გარკვეულ სტრატეგიებს; გაითვალისწინონ, რომ ფოტოზე ასახულთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს ალტერნატიული შეხედულებები და გამართლებული იყოს მათზე დისკუსიების გამართვა. კარგად შერჩეულ ფოტოებს შეუძლია მოსწავლეებში განავითაროს თანაგანცდა, ხელი შეუწყოს სწორი დამოკიდებულებებისა და ფასეულობების გამომუშავებას, საშუალებას აძლევს მათ გამოსახულება შეადარონ თავიანთ ჩვეულ გარემოს.</p>	

აქტივობა №1. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა განასხვავონ და აღწერონ განსხვავებული პეიზაჟები და საქართველოში გავრცელებული საცხოვრებელი სახლები, საჭიროა გამოვიყენოთ თვალსაჩინოებები: ფოტოები, პეიზაჟის სურათები, ფილმები. ამისათვის საჭიროა მათ მივანოდოთ მთისა და ბარის მხარეების მრავალფეროვანი პეიზაჟების ფოტოები – სვანეთის, თუშეთის, ხევსურეთის (მთის), სამეგრელოს, იმერეთის, ქართლის, კახეთის (ბარის); ასევე – მთისა და ბარის ბუნებისა და იქ მცხოვრები ხალხების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფილმებიც.

შხარა (სვანეთი)



ჩაჟაში (სვანეთი)



თეთრი წყარო (ქვემო ქართლი)



შატილი (მცხეთა-მთიანეთი)



ფარცხისის ციხე (ქვემო ქართლი)




აქტივობა №2.

მოსწავლეებს ვაჩვენებთ ფოტოებს და ვთხოვთ, რომ აღწერონ თითოეული მათგანი, აღნიშნონ მათ შორის მსგავსება-განსხვავება. მოსწავლეებმა უნდა განასხვავონ მთისა და ბარის პეიზაჟები და დააკავშირონ საცხოვრებელი სახლების ტიპები ბუნებრივ პირობებთან. პასუხები სავარაუდოდ ასეთი იქნება: სვანეთში დიდთოვლობის გამო უფრო მაღალ და გამძლე საცხოვრებელ სახლებს ანუ კოშკებს აგებდნენ, ვიდრე ქართლში ან იმერეთში, სადაც ოდა სახლები ჭარბობს დიდი გაშლილი ეზოებით, ვინაიდან მთაში სამოსახლოდ უფრო მცირე ტერიტორიაა, ვიდრე ბარში და ა.შ. ამ ანალიზის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ ვენის დიაგრამას, სადაც წერენ მთისა და ბარის საცხოვრებელი სახლების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

მთა

ბარი



აქვე ცალკე გამოიყოფა ციხეების ფოტოები (მაგალითად, ბირთვისი), რომლებიც მიუვალ ადგილებშია აგებული, იმიტომ რომ მტერისთვის ძნელად მისაღწევი ყოფილიყო. კარგი იქნება თემურ-ლენგის ლაშქრობის განხილვა: მიუვალ კლდეებს შორის შექმნილი ბუნებრივი სიმაგრე დაცულია ციხის კედლებით. მაღალი მთები გარს ერტყმის ხეობას, რითაც იქმნება თავისებური ქვაბული, რომელშიც აღმართულია კონუსური ფორმის მთები. ყველაზე მაღალ კლდეზე დგას კოშკი „შეუპოვარი“. ბირთვისის ციხის ალებას თემურ-ლენგმა 15 დღე მოანდომა, მაშინ, როდესაც მანამდე რამდენიმე ციხე დაუბრკოლებლად აიღო.

აქტივობა №3. მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა, რომ ქალაქებიც და სოფლებიც მდინარის პირას გაეშენებინა, წყლის მნიშვნელობიდან გამომდინარე. მაგალითად, თბილისი გაშენებულია მტკვარზე, ქუთაისი – რიონზე, მცხეთა – მტკვრისა და არაგვის შესართავთან, პარიზი – სენაზე, ლონდონი – თემზაზე, რომი – ტიბრზე და ა. შ. კლასი იყოფა ჯგუფებად, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. თითოეულ ჯგუფს დაერქმევა საქართველოს მდინარის სახელი: მტკვარი, რიონი, ალაზანი, არაგვი, ენგური...

დავალება ასეთია: მათ საქართველოს ფიზიკური რუკიდან უნდა ამონერონ ამ მდინარეებზე არსებული დასახლებული პუნქტები. სასურველია, ქალაქები და სოფლები ცალ-ცალკე დააჯგუფონ ცხრილში.

მდინარე მტკვარი

ქალაქები	სოფლები


ასეთი ცხრილი შეივსება თითოეულ მდინარეზე. პრეზენტაციის დროს მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რატომ სახლდებოდნენ უძველესი დროიდან ადამიანები მდინარის პირას.

საშინაო დავალება: საქართველოს კონტურულ რუკაზე დაიტანონ მათი მდინარეები და მათზე განლაგებული დასახლებული პუნქტები.

აქტივობა №3. მასწავლებელი დაფაზე წერს ორ სიტყვას: „ქალაქი“ და „სოფელი“ და სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ის სიტყვები, რომლებიც მათ „ქალაქთან“ და „სოფელთან“ მიმართებაში გაახსენდებათ.

აქტივობა №4. შემდეგ მოსწავლეებმა იმუშაონ წყვილებში. დაურიგეთ მათ ქალაქისა და სოფლის ფოტოები. ამ ფოტოებისა და უკვე შევსებული ასოციაციური რუკების საშუალებით წყვილებმა უნდა შეავსონ ვენის დიაგრამა:

ქალაქი მსგავსება სოფელი



აქტივობა №5. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა კრიტერიუმებია განმსაზღვრელი დასახლებული პუნქტისთვის, რომ მას ქალაქი ეწოდებოდეს?
- რა ნიშნებით განსხვავდება მსოფლიოს ქალაქები ერთმანეთისგან?
- რა შეიძლება იყოს ქალაქის იერსახის განმსაზღვრელი ელემენტები? კითხვებზე პასუხების მოსმენის შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება.

ჯგუფის წევრებმა გეოგრაფიულ ლექსიკონში უნდა მოძებნონ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხები და შეადარონ თავიანთ პასუხებს.

შემდეგ ამოირჩიონ საქართველოს 10 ქალაქი, დაადგინონ მათი მოსახლეობის რაოდენობა და ფუნქციები. შეიმუშაონ პუნსონის სიდიდე (პუნსონი – დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელი ნიშანი) ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და ფუნქციების შესაბამისად (ერთი ფერი – ერთი ფუნქცია) და ეს ქალაქები დაიტანონ კონტურულ რუკაზე.

აქტივობა №6. კლასი იყოფა ჯგუფებად. მათ უნდა გაითამაშონ მომთაბარე ტომის როლი. თითოეული ჯგუფი ირჩევს ბელადს (კაპიტანს), რომელმაც უნდა აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. არჩეულ ადგილს განიხილავს მთავარი ბელადი და მისი ამაღა; ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი ჯგუფი, რომელსაც თავად კლასი ირჩევს ან მასწავლებელი გამოარჩევს, როგორც წარმატებულ ჯგუფს (წინა სამუშაოების გათვალისწინებით). ტერიტორიებს ირჩევენ თავად ჯგუფები. მასწავლებელი აკვირდება და ცდილობს, რომ სხვადასხვა განედებში მდებარე ტერიტორიები იქნას შერჩეული. მოსწავლეები არსებული მასალიდან (რუკები, ფოტოები და წერილობითი წყაროები) გამომდინარე, აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებას, რატომ არის უფრო ხელსაყრელი საცხოვრებლად მათ მიერ შერჩეული ტერიტორია.

მუშაობის დასრულების შემდეგ ეწყობა პრეზენტაცია. ბელადი და მისი გუნდი შეარჩევს იმ ტომის ტერიტორიას, რომელიც უკეთ წარმოაჩინს საკუთარ პოზიციას.

შედეგი	გეო.VIII.4. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს კავკასიის რეგიონი.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს და ანალიზებს ევროპა-აზიას შორის საზღვრის გატარების საკითხს (განიხილავს და განაზოგადებს საზღვრის გატარების ალტერნატიულ ვარიანტებს, ასაბუთებს მისთვის მისაღებ ვარიანტს) და გადააქვს იგი კონტურულ რუკაზე; • პოლიტიკური და ფიზიკური რუკების გამოყენებით აჯგუფებს ქვეყნებს მდებარეობის მიხედვით; საუბრობს კავკასიასა და აქ არსებული ქვეყნების მდებარეობაზე; • იყენებს რუკას და ასახელებს შავი და კასპიის ზღვების ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს, მნიშვნელოვან რესურსებს (მინერალური, ბიოლოგიური, რეკრეაციული) და გარემოსდაცვით პრობლემებს; გამოთქვამს მოსაზრებებს გარემოს დაცვის როლისა და პერსპექტივების შესახებ; • იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს, სტატისტიკურ ინფორმაციას და მსჯელობს კავკასიის მოსახლეობის რიგ მახასიათებლებზე (მაგალითად, დემოგრაფიული, ეთნიკური, რელიგიური მრავალფეროვნება); ავსებს შესაბამის კონტურულ რუკებს; • რუკასა და ტექსტში მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით აღწერს კავკასიისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებს (ნავთობი, გაზი, მინერალური წყლები, ტყე და სხვ.), გეოგრაფიულ ობიექტებსა და ბუნებრივ თავისებურებებს; ავსებს კავკასიის შესაბამის კონტურულ რუკას; • თემატური რუკების მეშვეობით კავკასიის ბუნებრივ პირობებსა და რესურსებს აკავშირებს მოსახლეობის ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობასთან (მაგალითად, ზონალურობა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია); ცხრილში აჯგუფებს კავკასიის ქვეყნებს აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით; • აგროვებს ინფორმაციას, მსჯელობს კავკასიის ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე (მინისძვრა, მენყერი, ზვავი, ღვარცოფი და სხვ.), გარემოსდაცვით პრობლემებზე (მაგალითად, შავი და კასპიის ზღვების პრობლემები) და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე; • კავკასიის რეგიონს ადარებს მსოფლიოს სხვა რეგიონს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით (მდებარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობისა და სხვ.); მსგავსება-განსხვავებებს გამოსახავს მისთვის მისაღები ფორმით.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. გეოგრაფიული ანალიზი და შეფასება; 2. რუკაზე მუშაობა; 3. დისკუსია (კუთხეების მეთოდით). 	

რესურსები:

დაფა და ცარცი, მასწავლებლის მიერ შედგენილი სავარჯიშო, სახელმძღვანელო;
კავკასიის ფიზიკური და ადმინისტრაციული დაყოფის რუკები, კავკასიის ეთნოლინგვისტური რუკა.

კავშირი სხვა საგნებთან:

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: გეოგრაფიის სწავლების ერთ-ერთი ეფექტური ხერხი საკლასო დისკუსიაა, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს საკითხის ღრმა და დეტალურ განხილვაში. საკლასო დისკუსიის დროს იქმნება ისეთი ატმოსფერო, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ აზრების ურთიერთგაზიარება, ახალი იდეების გამოთქმა, სხვისი აზრისა და პოზიციის მოსმენა და გაგება, კომუნიკაცია და თვითგამოხატვა.

აღნიშნული მეთოდის მიზანია აზროვნების ზედა დონეების (ანალიზი, სინთეზი და შეფასება) ამოქმედება და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორიცაა:

- ❖ აქტიური მოსმენა;
- ❖ საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია;
- ❖ მსჯელობა;
- ❖ სხვისი აზრის მოსმენა-გათვალისწინება;
- ❖ განსხვავებული აზრის გაზიარება;
- ❖ თანამშრომლობა.

აქტივობა №1.

სად გადის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის?

მასწავლებელი ქმნის 3 ჯგუფს. სვამს შეკითხვას: ვართ თუ არა ევროპელები? გაიმართება დისკუსია.

მასწავლებელი ჯგუფებში არიგებს რუკებს ევროპასა და აზიას შორის საზღვრის სხვადასხვა ვარიანტით. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება:

I ჯგუფი: რუკის მიხედვით განსაზღვრონ და სიტყვიერად აღწერონ, რომელ გეოგრაფიულ ობიექტებს მიუყვება საზღვარი. ეს ჯგუფი მუშაობს საზღვრის 1-ელ და მე-2 ვარიანტებზე;

II ჯგუფი: აღწერს საზღვრის მე-3 და მე-4 ვარიანტებს;

III ჯგუფი: აღწერს საზღვრის მე-5 და მე-6 ვარიანტებს.

საქართველო

საზღვარი	საზღვრის აღწერა	ევროპა	აზია
1			
2			
3			
4			
5			
6			

მოსწავლეები სქემას გადახაზავენ ფურცლებზე, იმუშავენ რუკებისა და ტექსტის მიხედვით და შეავსებენ.

მასწავლებელი მოსწავლეთა კარნახით ავსებს ცხრილის ორ გრაფას, სადაც საქართველოს მდებარეობა განისაზღვრება რუკაზე დატანილი საზღვრების მიხედვით.

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: რომელი ვერსიაა თქვენთვის მისაღები? გაიმართება დისკუსია.

კითხვები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა დისკუსიის წარმართვის დროს:

1. რას ეწოდება კონტინენტი?
2. რას ეწოდება რეგიონი?
3. რა პრინციპებს ეფუძნება საზღვრის გატარება?
4. რა პრინციპს ეფუძნება საზღვრის თითოეული ვერსია?
5. რატომაა პრობლემური საზღვრის გატარება ევროპასა და აზიას შორის?
6. რა შედეგს მოიტანს საზღვრის გატარების თითოეული ვერსია?
7. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მსჯელობის საფუძველზე?

დასასრულ, მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს მოკლე შემაჯამებელი მოხსენების დაწერას ამ მსჯელობის საფუძველზე.

აქტივობა №2. პედაგოგი დაფაზე წერს სიტყვებს (მაგალითად, ქართველი, ოსი, ბერძენი, ბულგარელი, ფრანგი, რუსი, ლეკი, ჩეჩენი, ეთიოპელი, ინგუში, სომეხი, თურქი, ჩერქეზი, აბიზინები, ყალმუხი და ა. შ.) და სთხოვს მოსწავლეებს, იმუშაონ წყვილებში და ამოწერონ ის ერები, რომლებიც, მათი აზრით, ცხოვრობენ კავკასიაში, გვერდით კი მიუწერონ მათი საცხოვრებელი ქვეყანა და მისი დედაქალაქი.

ერი	ქვეყანა	დედაქალაქი

ნამუშევრის წარდგენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოცემულ რუკას და შეამოწმონ თავისი პასუხები.

კავკასიის ეთნოლინგვისტური ჯგუფები



აქტივობა №3.

მასწავლებელი სვამს სადისკუსიო კითხვას:

თქვენი აზრით, სად მდებარეობს საქართველო – ევროპაში თუ აზიაში?


და სთხოვს მოსწავლეებს, დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება. ბავშვები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოს ტერიტორია მდებარეობს აზიაში, დაჯგუფდნენ ოთახის ერთ მხარეს, სადაც იქნება წარწერა „აზია“, საპირისპირო მოსაზრების მქონენი კი მეორე მხარეს, სადაც იქნება წარწერა „ევროპა“. თუ კლასში აღმოჩნდნენ განსხვავებული მოსაზრების მქონე ბავშვები, მათთვის შესაძლოა გამოვიყენოთ წარწერა „განსხვავებული აზრი“.

ჯგუფებმა 5 წუთის განმავლობაში უნდა იმსჯელონ და დაასაბუთონ ჯგუფის საერთო აზრი და მოემზადონ პრეზენტაციისთვის.


შედეგი	გეო.VIII.5. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ტრანსპორტის განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ასახელებს მისთვის ცნობილ სატრანსპორტო საშუალებებს და მსჯელობს მათი გამოყენების ეფექტიანობაზე სხვადასხვა ტიპის პროდუქციის გადაზიდვისას (მაგალითად, მანძილი, ხარჯები, დრო); • მსჯელობს სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებების განვითარებისა და გამოყენების პერსპექტივებზე განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში; • ცხრილში აჯგუფებს გარემო პირობებსა და შესაბამის ეფექტურ სატრანსპორტო საშუალებებს; • მოიპოვებს ინფორმაციას სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესახებ; ეცნობა მეცნიერების მიღწევებს გარემოსთვის უსაფრთხო თანამედროვე ტრანსპორტის შექმნაში; • კონტურულ რუკაზე დააქვს ის სახმელეთო და საზღვაო მარშრუტები, რომლებითაც საქართველო უკავშირდება მეზობელ სახელმწიფოებს; • მსჯელობს წარსულში და თანამედროვე ეპოქაში კავკასიის, როგორც სატრანსპორტო დერეფნის, როლზე ევროპა-აზიას შორის.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. გონებრივი იერიში; 2. ტექსტზე მუშაობა; 3. დისკუსია. 	
რესურსები:	
<ol style="list-style-type: none"> 1. დაფა და ცარცი; 2. ტექსტი: „მოსახლეობა და რესურსები“; 3. მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები; 4. გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე. 	
კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია	
რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:	

აქტივობა №1. გონებრივი იერიში. მასწავლებელი წერს სიტყვას „ტრანსპორტი“ და მოსწავლეებს სთხოვს ჩამოთვალონ მათთვის ნაცნობი სატრანსპორტო საშუალებები. პასუხები იწერება დაფაზე: ცხენი, ურემი, მანქანა, თვითმფრინავი, მატარებელი, საჰაერო, სარკინიგზო... შემდეგ ხდება იდეების დახარისხება და პასუხების სატრანსპორტო საშუალებებად და ტრანსპორტის სახეებად დაჯგუფება.

აქტივობა №2. ტექსტზე მუშაობა. შემდეგ მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და აჯგუფებენ მათ მიერ ჩამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებებს ძველ და ახალ სახეობებად და განალაგებენ დროის ხაზზე მათი გამოყენების პერიოდის მიხედვით. წარმოადგენენ ნამუშევრებს.



აქტივობა №3. დისკუსია. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რისგან შედგება სატრანსპორტო კომპლექსი, როგორია ტრანსპორტის სახეების კლასიფიკაცია დღეს.



შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მასწავლებელი არქმევს სატრანსპორტო საშუალების სახელს: 1-ელი ჯგუფი – საავტომობილო; მე-2 ჯგუფი – სარკინიგზო; მე-3 ჯგუფი – საჰაერო და ა.შ. მათ უნდა გამოთქვან მოსაზრებები, რამდენად ეფექტურია ესა თუ ის სატრანსპორტო საშუალება, გამოყენების რა პერსპექტივა აქვთ მათ განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში (მაგალითად, რკინიგზას – მაღალმთიან რეგიონში, საჰაერო ტრანსპორტს – მაღალმთიან მხარეში...).

დისკუსიის შემდეგ მათ: ა) უნდა დააჯგუფონ ტრანსპორტის სახეები გარემო პირობებთან შესაბამისობის მიხედვით; ბ) უპასუხონ კითხვას: რომელი სატრანსპორტო საშუალებები ლიდერობს დღეს და რამ გამოიწვია ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის დანიშნულება?

შედეგი	გეო.VIII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ვაჭრობის როლზე ეკონომიკის განვითარებაში.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • კონტურულ რუკაზე აღნიშნავს მნიშვნელოვანი მოგზაურობების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო გზებს (მაგალითად, აბრეშუმის დიდი გზის მარშრუტი); • ირჩევს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ბრენდს და მსჯელობს ეკონომიკის განვითარებაში მის საერთაშორისო და ადგილობრივ მნიშვნელობაზე; აღნიშნავს მას კონტურულ რუკაზე; • იკვლევს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ასორტიმენტს, ასხვავებს ადგილზე წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას; შედეგებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით;

	<ul style="list-style-type: none"> • იკვლევს სასურსათო მალაზიის ასორტიმენტს, საქონელს აჯგუფებს ადგილობრივ და შემოტანილ პროდუქციად; მსჯელობს საქართველოში კვების პროდუქტების იმპორტის როლზე და ექსპორტიორ ქვეყნებს აღნიშნავს კონტურულ რუკაზე; • ირჩევს მრეწველობისა (მაგალითად, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მრეწველობა) და სოფლის მეურნეობის (მაგალითად, ხორბლისა და ყავის წარმოება) ზოგიერთი დარგის პროდუქციას, იკვლევს ამ პროდუქციაზე მოთხოვნას მსოფლიო ბაზარზე და კონტურულ რუკაზე აღნიშნავს უმსხვილეს იმპორტიორ და ექსპორტიორ ქვეყნებს; • განმარტავს იმპორტისა და ექსპორტის ცნებებს; სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე აჯგუფებს სხვადასხვა პროდუქციის იმპორტიორ და ექსპორტიორ ქვეყნებს.
აქტივობები: <ol style="list-style-type: none"> 1. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 2. ლექსიკონზე მუშაობა და ინფორმაციის სისტემატიზაცია; 3. ტექსტისა და დიაგრამების ანალიზი; 4. პრეზენტაცია. 	შენიშვნა მოცემული აქტივობები ხელს უწყობს ნიგნიერების კომპეტენციის დაუფლებას.
რესურსები: <ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტი: „ აბრეშუმის დიდი გზა“; 2. აზიის კონტურული რუკები; 3. აბრეშუმის დიდი გზის, მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები; 4. ინტერნეტ-გვერდი: http://ka.wikipedia.org/wiki; http://en.wikipedia.org/wiki/ WTO http://www.wto.org/; 	
კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: რუკებისა და ფოტოების გარდა, არსებობს სხვა ვიზუალური მასალა, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გადმოგვცემს ინფორმაციას. მათი მნიშვნელობა გეოგრაფიისთვის ძალიან დიდია. გრაფიკული საშუალებები ეფექტურად ასახავს ინფორმაციას. მათი ინტერპრეტირება და ნაკითხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა. რაც უფრო მრავალფეროვან გრაფიკულ საშუალებებს შევთავაზებთ მოსწავლეებს მთელი წლის განმავლობაში (სვეტოვანი, წრიული, ხაზოვანი...), მით უფრო გაიზრდება მათი ინტერპრეტირების უნარი. ამას გარდა, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ასაკის შესაბამისი დავალებები, რომელიც ითვალისწინებს გრაფიკების, დიაგრამების აგებასა თუ ცხრილების შედგენას. გრაფიკული საშუალებები გეოგრაფიული ინფორმაციის ეფექტური გამოსახვის ფორმაა, რადგან ხშირად ზეპირი თუ წერილობითი ნარატიული ფორმით გადმოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები ძნელად აღსაქმელს ხდის ტექსტს. დიგრამებისა და გრაფიკების გამოყენება მოსწავლეებს უფითარებს აზროვნების უნარს, საშუალებას აძლევს მათ, სხვადასხვა მონაცემები დაუკავშირონ ერთმანეთს და გამოიტანონ დასკვნები .</p>	

აქტივობა №1. კლასი იყოფა ჯგუფებად. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ტექსტს „აბრეშუმის დიდი გზა“ და აზიის კონტურულ რუკებს.

აბრეშუმის დიდი გზა ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზაა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა. ამ გზით ვაჭრობას დასაბამი მიეცა ძვ. წ. II საუკუნეში. აბრეშუმის დიდი გზა იწყებოდა სიანში. ქ. დუნხუანიდან იგი ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ორივე გზა – პირველი, ლობნორის ტბის ჩრდილოეთით ქ. ტურფანის გავლით, მეორე კი, იმავე ტბის სამხრეთით ქ. ხოტანისა და ქ. იარქენდის გავლით – ქ. კაშგარში იყრიდა თავს. აქედან ჩრდილოეთის გზა კასპიის ზღვით უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს აღწევდა. მეორე გზა კაშგარიდან ბალხსა და ჩრდილოეთ ირანზე გავლით შუამდინარეთისაკენ, იქიდან კი ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისაკენ მიემართებოდა. აბრეშუმის დიდი გზით უმთავრესად გაჰქონდათ მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი, რომლის მთავარი მომხმარებელი რომის ნარჩინებულები იყვნენ. აბრეშუმის ექსპორტი რომში (შემდეგ ბიზანტიაში) ახლო აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების – პართიისა და, მოგვიანებით, სასანიანთა ირანის – შუამავლობით ხორციელდებოდა. ჩინური აბრეშუმის შეტანა რომს ყოველწლიურად 100 ათასი სესტერციუსი უჯდებოდა. ჩინეთიდან შეჰქონდათ აგრეთვე ოქრო. აბრეშუმის დიდი გზის იმ მონაკვეთისათვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთზე გადიოდა, რომსა და ბიზანტიას საუკუნოვანი ომები ჰქონდათ ჯერ პართიასთან, შემდეგ სასანიანთა ირანთან (აღსანიშნავია, რომ აბრეშუმის დიდი გზის მარშრუტები პართიაში სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა). VII-IX საუკუნეებში ამ გზით შემოტანილი საქონლით ვაჭრობას არაბთა სახალიფო უწევდა კონტროლს; შემდეგ მასზე მონღოლებმა დაამყარეს მონოპოლია. აბრეშუმის დიდმა გზამ მნიშვნელობა დაკარგა XVII საუკუნის მინურულს, როდესაც ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს საოკეანო გზა აფრიკის შემოვლით. აბრეშუმის დიდმა გზამ ხელი შეუწყო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ამ გზით შევიდა ჩინეთში მინა, ფუფუნების საგნები, გავრცელდა ზოგიერთი კულტურული მცენარე, არაბული ცხენი და სხვა; შეაღწია აგრეთვე რელიგიურმა და ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა (ბუდიზმმა, მანიქეელობამ, იუდაიზმმა, ისლამმა, ნესტორიანელობამ).

რუკა „აბრეშუმის დიდი გზა“



- I ჯგუფი (გეოგრაფები) აღწერს და აღნიშნავს კონტურულ რუკაზე აბრეშუმის გზას.
- II ჯგუფი (ისტორიკოსები) განიხილავს აბრეშუმის გზის ისტორიულ მნიშვნელობას.
- III ჯგუფი (ექსპერტები) ადგენს აბრეშუმის გზის მნიშვნელობას ქვეყნების განვითარებაში.

თითოეული ჯგუფი ახდენს პრეზენტაციას და აკეთებს დასკვნას, რა როლი შეასრულეს ვაჭრებმა, როგორც პირველმა მოგზაურებმა, მსოფლიოს განვითარებაში.

აქტივობა №2. მასწავლებელი სვამს კითხვებს.

რა განსხვავებაა:


- ა) ექსპორტსა და იმპორტს შორის?
- ბ) საცალო და საბითუმო ვაჭრობას შორის?
- გ) სპეციალიზებულ და უნივერსალურ ბირჟას შორის?
- დ) ბაზარსა და ბაზრობას შორის?
- ე) საშინაო და საგარეო ვაჭრობას შორის?

მოსწავლეები ლექსიკონში პოულობენ ტერმინთა განმარტებებს. შემდეგ მასწავლებელი წყვილებს აძლევს ტექსტს: „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“ და დავალებას.

მათ უნდა გაარკვიონ ამ ორგანიზაციის მიზნები და როლი მსოფლიო ეკონომიკაში და ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისა და მსოფლიო პოლიტიკური რუკების გამოყენებით დაადგინონ ორგანიზაციის დამაარსებელი, წევრი და დამკვირვებელი ქვეყნები.

ტექსტი: **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია** (World Trade Organization, აკრონიმი WTO) — საერთაშორისო ორგანიზაციაა, შექმნილი 1995 წელს. ის აწესებს გლობალური სავაჭრო სისტემის კანონებს და აგვარებს უთანხმოებებს წევრ ქვეყნებს შორის, რომელთა უმრავლესობას დაახლოებით 30 ერთობლივ შეთანხმებაზე აქვს ხელი მოწერილი. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარია). გენერალური დირექტორია რობერტო კარვალიუ დე აზევედო. 2013 წლის 2 მარტისთვის მასში გაერთიანებული იყო 159 ქვეყანა. ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული და ესპანური. დაარსების შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გლობალიზაციის მონინაალმდეგე საზოგადოებრივ გაერთიანებათა ძირითადი სამიზნეა მრავალ ქვეყანაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია






წევრები ქვეყნები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ევროკავშირის წევრი ქვეყნები
დამკვირვებელი ქვეყნები
არაწევრი ქვეყნები

აქტივობა №3.

კლასი იყოფა ჯგუფებად. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საიტზე (<http://www.economy.ge/>) მოძებნონ „საქართველოს საგარეო ვაჭრობა“, სადაც მოცემულია საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისა და ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ამსახველი დიაგრამები წლების მიხედვით.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2007-2012 წლებში



დავალბები

I ჯგუფს ევალება ტექსტისა და დიაგრამების მიხედვით დაადგინოს:

1. როგორია ექსპორტ – იმპორტის ხვედრითი წილი;
2. როგორია საქართველოს რეგიონული ვაჭრობის ხვედრითი წილის დინამიკა;
3. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2011 წლის იანვარ-სექტემბრის ექსპორტ-იმპორტის მიხედვით და მსოფლიოს კონტურულ რუკაზე დაიტანოს ეს ქვეყნები.

II ჯგუფს ევალება ტექსტისა და დიაგრამების მიხედვით დაადგინოს:

1. რატომ და როგორ შეიცვალა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურა 1960-2000 წლებში;
2. რა განსხვავებაა საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციას შორის და რით შეიძლება აიხსნას ასეთი განსხვავება;
3. დაადგინოს სამი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში.

III ჯგუფს ევალება ტექსტში არსებული ინფორმაციისა და დიაგრამების ანალიზის საფუძველზე:

1. დაადგინოს ძირითადი საექსპორტო პროდუქცია;
2. დაადგინოს საქართველოს ათი ძირითადი საიმპორტო პროდუქცია;
3. გამოთვალოს, რამდენს შეადგენს საქართველოს სავაჭრო ბალანსი მის ათ უდიდეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან.

აქტივობა №4.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი წარმოადგენს შესრულებულ დავალბას.

დასასრულ, მასწავლებელი კიდევ ერთხელ მოკლედ აჯამებს გაკვეთილს და აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალბას:

გამოიკვლიონ მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სასურსათო მაღაზიის გასაყიდი საქონლის ასორტიმენტი და დააჯგუფონ ადგილობრივ და შემოტანილ პროდუქტებად. საკუთარი კვლევის შედეგები შეადარონ გაკვეთილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს, დაადგინონ, რა მსგავსება-განსხვავებას ამჩნევენ და იმსჯელონ გამომწვევ მიზეზებზე.

მიმართულება: გარემო და სოციალური სისტემები

შედეგი	გეო.VIII. 7. მოსწავლეს შეუძლია მიგრაციის პროცესის თავისებურებათა დახასიათება.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • დემოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას; • განასხვავებს მიგრაციის ტიპებს (გარე, შიდა, ქანქარისებრი და სხვ.) მიმართულებისა და დროის მიხედვით; • ასახელებს მიგრაციის ტიპებს, რომლებსაც უკვე იცნობს; მსჯელობს ადამიანის მიგრაციის შესაძლო მიზეზებზე და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები;

	<ul style="list-style-type: none"> • ვარაუდობს მიგრაციის შესაძლო შედეგებზე ინდივიდისა (რომელიც ჩართულია ამ პროცესში) და ქვეყნებისათვის (საიდანაც და საითაც მიმართულია კონკრეტული მიგრაცია); • ინდივიდუალურად ან ჯგუფური მუშაობისას ცხრილის საშუალებით აჯგუფებს სხვადასხვა ტიპის მიგრაციასა (ნებავოფლობითი და იძულებითი – მონობიდან ტრეფიკინგამდე) და ამ მიგრაციების მიზეზებსა და შედეგებს; • ეცნობა სტატისტიკურ მასალას და მსჯელობს ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური მიზეზების გავლენით გარე და შიდა მიგრაციული პროცესების ცვლილებებზე.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. მინი-ლექცია; 2. ტექსტისა და რუკის ანალიზი, სქემაზე მუშაობა; 3. რუკაზე მუშაობა და ცხრილის შედგენა; 4. პრეზენტაცია; 5. დისკუსია. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს ნიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>
<p>რესურსები: 1. ტექსტი: „ ხალხთა დიდი გადასახლება“; 2. რუკა მსოფლიოს ქვეყნების მიგრაციის სალდოს მიხედვით; მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: მიგრაციის თემა საქართველოში დღეს მეტად აქტუალურია. მოსწავლეები რომ დააინტერესოს, მასწავლებელმა აღნიშნული თემის განხილვა უნდა წარმართოს რეალურ სიტუაციასთან მიმართებაში. ამავე დროს, ამ გაკვეთილზე შესაძლებელია ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონეების აქტივაცია.</p>	

აქტივობა №1. მასწავლებელი მინი-ლექციის სახით აწვდის ინფორმაციას მიგრაციის სხვადასხვა ტიპისა და ხალხთა დიდი გადასახლების შესახებ: მსოფლიო ისტორიაში არცთუ იშვიათად ხდებოდა მოვლენები, რომლებიც წყვეტდნენ კონტინენტების, ქვეყნების, სამეფოების, სამთავროების ბედს. სწორედ ასეთი იყო ხალხთა დიდი გადასახლება, რამაც ევროპა შეცვალა, ახლიდან ჩამოაყალიბა და რუკიდან წაშალა ისეთი გრანდიოზული, უდიდესი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე სახელმწიფო, როგორიც იყო რომის იმპერია. ბარბაროსებმა სამჯერ აიღეს, გაანადგურეს, დაამცირეს „მარადიული ქალაქი“ და მიწასთან გაასწორეს დიდ იმპერატორთა აგებული ტაძრები, სასახლეები, კულტურის უდიდესი ძეგლები, დასცეს რომის ლეგენდარული სამხედრო ძლიერება, მოსპეს რომაული კულტურა, წაბილწეს ლეგიონთა არნივები, სისხლით შეღებეს კაპიტოლიუმი... რომის იმპერია შეცვალა ახალმა, განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფმა, ჩამორჩენილმა ბარბაროსულმა სამეფოებმა, რომელთაც სისხლისმსმელი, ოქროთი გაუმადლარი ბელადები მართავდნენ. **ხალხთა დიდი გადასახლება** — პირობითი სახელია IV-VII საუკუნეებში ხალხის მასობრივი გადასახლებებისა რომის იმპერიის პერიფერიებიდან მის ტერიტორიაზე. ეს გადასახლება


შეიძლება განვიხილოთ, როგორც გლობალური მიგრაციის პერიოდის ნაწილი, რომელიც 8 საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. რომის იმპერიის ბირთვი, რომელიც მოიცავდა იტალიას, გალიასა და ესპანეთს, სადაც გადასახლებული გერმანელების მასა მიემართებოდა, V საუკუნეში უკვე მჭიდროდ იყო დასახლებული გარომაელებული კელტებით. ამიტომ ხალხთა გადასახლებებს თან სდევდა კულტურული, ენობრივი და რელიგიური კონფლიქტები. ამ გადასახლებაში, გერმანელების გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ სლავური ხალხები, თურქული, ირანული და ფინურ-უნგრული ტომები. გერმანელი ტომების მასობრივმა გადასახლებამ დიდი არეულობა გამოიწვია რომის იმპერიაში. გერმანელთა გადასახლებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ისინი განიცდიდნენ საკვების ნაკლებობას. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, მოსახლეობის ზრდა, მეორე მხრივ კი – პრიმიტიული მიწის დასამუშავებელი იარაღები. გერმანელები თანდათანობით სულ უფრო და უფრო სამხრეთით მიიწევდნენ. მათ რომის იმპერიის ნაყოფიერი მიწები, მდიდარი ქალაქები და კარგი კლიმატი იზიდავდა. III საუკუნიდან გერმანელები ახერხებდნენ ღუნაზე და რაინზე გადასვლას, მაგრამ მათ რომაელები იმპერიაში ღრმად შეჭრის უფლებას არ აძლევდნენ და აიძულებდნენ უკან დაეხიათ. 375 წელს გერმანულ ტომებს თავს დაესხნენ ჰუნები. ეს იყო მათი გადასახლების მთავარი მიზეზი და „დიდი გადასახლების“ დასაწყისადაც ეს თარიღი ითვლება. ჰუნები თურქულ-მონღოლური ტომები იყვნენ, რომლებიც ცენტრალურ აზიაში სახლობდნენ. ისინი შეუდარებელი მხედრები იყვნენ და კარგი შეიარაღებაც ჰქონდათ. ჭენებისას ნებისმიერი მდგომარეობიდან შეეძლოთ ისრის სროლა. გერმანელებს თავიანთი პრიმიტიული იარაღებით არ შეეძლოთ ჰუნებთან გამკლავება. ისინი, თავის მხრივ, დასუსტებულ რომის იმპერიას მიაწყდნენ, სადაც ხელისუფლებასთან შეთანხმებითა თუ ძალდატანებით სახლდებოდნენ.

გერმანელი ტომები: **ვანდალები** – აღმოსავლელ გერმანელთა ტომების ჯგუფი;

გოთები – სკანდინავიური წარმოშობის გერმანული ტომები, რომლებიც ლაპარაკობდნენ აღმოსავლეთ გერმანულ ენაზე. გოთები ორ შტოდ გაიყვნენ – აღმოსავლელ (ოსტგოთები) და დასავლელ (ვესტგოთები) გოთებად.

ფრანკები – დასავლელ გერმანელთა ტომების (ხატები, ხამავები, ნერვიები, ბატავები, ბრუქტერები, სუგამბრები და სხვ.) გაერთიანება.

აქტივობა № 2. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. ტექსტის, ლექსიკონისა და რუკების საშუალებით მათ უნდა აღწერონ „დიდი გადასახლების“ მარშრუტი, გამოთქვან ვარაუდი, რა მიზეზებს შეეძლო გამოეწვია ასეთი სახის გადაადგილება. ისინი ავსებენ ცხრილს, ადგენენ სქემას – „მიგრაციის ტიპები“, რომელსაც ექნება შემდეგი სახე:



ცხრილი

მარშრუტი	ჰუნები	ვესტგოთები	ოსტგოთები	ვანდალები


პრეზენტაციის დროს ივსება საერთო ცხრილი, რომელიც დახაზულია დაფაზე.

აქტივობა № 3.

კლასი იყოფა ჯგუფებად. ჯგუფების დავალებაა:

1. მოცემული რუკის საშუალებით დაადგინონ, რომელ ქვეყნებშია მიგრაციის სალდო დადებითი, უარყოფითი, სტაბილური და შეავსონ ცხრილი;
2. განსაზღვრონ საქართველოს მიგრაციის სალდო;
3. იმსჯელონ მიგრაციის გამომწვევ მიზეზებზე;
4. ჩამოაყალიბონ მიგრაციის პროცესის პოზიტიური და ნეგატიური გავლენა ქვეყნის განვითარებაზე.

მიგრაციის სალდო მსოფლიოში



მიგრაციის სალდო: დადებითი – ლურჯი, უარყოფითი – ყავისფერი, სტაბილური – მწვანე, მონაცემები არ არსებობს – ნაცრისფერი.

მიგრაციის სალდო

სალდო + დადებითი	სალდო - უარყოფითი	სალდო სტაბილური

აქტივობა № 4.

პრეზენტაციის დროს თითოეული ჯგუფი ავსებს ცხრილს, რომელიც დაფაზეა დახაზული:

	გავლენა ქვეყანაზე, საიდანაც მიემგზავრებიან	გავლენა ქვეყანაზე, საითაც მიემგზავრებიან	პიროვნული ფაქტორები
პოზიტიური			
ნეგატიური			

ცხრილის შევსების დროს შეიძლება გაიმართოს დისკუსია, რადგან პოზიტიური და ნეგატიური გავლენის გამიჯნვა მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ. მთავარია, მათ იმსჯელონ და გაიაზრონ, რომ ყველა მოვლენასა თუ პროცესს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე, ამიტომ არ შეიძლება ცალმხრივად განხილვა და მსჯელობა.

შედეგი	გეო.VIII.8. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს ურბანიზაციის პროცესი.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • აგროვებს მონაცემებს თავისი დასახლებული პუნქტის შესახებ, ადარებს სასოფლო და საქალაქო დასახლებების ფოტოებს; განმასხვავებელ ნიშნებს წარმოადგენს ცხრილის სახით; • აგროვებს ინფორმაციას (ლიტერატურა, ფოტოები, რუკები) და აღწერს თანამედროვე მეგაპოლისს (ავლომერაცია, კონურბაცია და სხვ.); მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს სქემის სახით; • ეცნობა საქართველოსა და სხვა ქვეყნებში დასახლებული პუნქტების სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს, პირობითი ნიშნების დახმარებით რუკაზე აღნიშნავს სხვადასხვა დასახლებაში ხალხის რაოდენობასა და ფუნქციებს; • ინტერესის მიხედვით აგროვებს ინფორმაციას (გეგმა, რუკა, ფოტოსურათი, სტატისტიკური ინფორმაცია და სხვ.) კონტინენტების უდიდეს ქალაქებზე და ადარებს მათ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (დაგეგმარება, ფუნქციური დარაიონება, ინფრასტრუქტურა, მოსახლეობა და სხვ.). შედეგებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით (ცხრილი, სქემა, ჩანახატი, წერილობითი თემა და სხვ.); • ირჩევს თვალსაჩინო კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებითაც აჯგუფებს საქართველოსა და ევროპაში სხვადასხვა ეპოქაში ურბანიზაციით გამოწვეულ ცვლილებებს; შედეგებს წარმოადგენს ცხრილის სახით; • იკვლევს ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გამო ქალაქების ფუნქციის შექმნა-დაკარგვის შედეგად წარმოქმნილ სოციალურ პრობლემებს; მოჰყავს შესაბამისი მაგალითები. 	
აქტივობები:	შენიშვნა	
<ol style="list-style-type: none"> 1. გონებრივი იერიში; 2. „მოზაიკა“ (ჯიგსოუს ტექნიკა), SWOT ანალიზი და სქემაზე მუშაობა; 3. პრეზენტაცია. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს ნიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>	

რესურსები:

დაფა და ცარცი; ტექსტები: ურბანიზაცია და „ქალაქური პრობლემები“; რუკა – „მსოფლიოს ქვეყნები ურბანიზაციის დონის მიხედვით“.

კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: SWOT ანალიზის – უპირატესობები-სა და ნაკლოვანებების, შესაძლებლობებისა და საფრთხის დადგენა და მათი ანალიზის საფუძველზე ნაკლის უპირატესობად და საფრთხის შესაძლებლობად გადაქცევის ცდა.

SWOT ანალიზის სქემის შევსება მასწავლებელს საშუალებას აძლევს ერთი თემის ფარგლებში მოახდინოს ბლუმის ტაქსონომიის აზროვნების დონეების აქტივაცია. უპირატესობებისა და ნაკლოვანებების, შესაძლებლობისა და საფრთხის დადგენისას ხდება ანალიზის აქტივაცია. ნაკლის უპირატესობად და საფრთხის შესაძლებლობად გადაქცევის პროცესში ხდება სინთეზისა და შეფასების დონის მიღწევა.

აქტივობა №1.

მოსწავლეებს ვთხოვთ, გაიხსენონ მსოფლიოს ისტორიული ქალაქები და მათი წარმოშობის წინაპირობები; გაიხსენონ, რომელი მათგანი არსებობს დღესაც და რომელი – არა; პასუხები იწერება დაფაზე.

შემდეგ იმართება მცირე დისკუსია: რატომ არის, რომ ბრიტანული ქალაქი (მოსახლეობის რაოდენობით) უფრო პატარაა, ვიდრე ინდური სოფელი (განვიხილავთ საქართველოს მაგალითსაც). მოსწავლეთა მიერ დასახელებული ქალაქის განსაზღვრის კრიტერიუმები იწერება დაფაზე. ხდება ქალაქის ცნების დეფინიცია, მნიშვნელობის განსაზღვრა.

აქტივობა № 2.

კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგდება ტექსტის – „ურბანიზაცია“ – ნაწილები და „ქალაქური პრობლემები“. ჯგუფები მუშაობენ შემდეგ თემებზე:

- I ჯგუფი – შესავალი, რა არის ქალაქი;
- II ჯგუფი – მომსახურების ინდუსტრია და მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქები;
- III ჯგუფი – ბუნებრივი გაფართოება;
- IV ჯგუფი – „დემოგრაფიული აფეთქება“ და მომავალი;
- V ჯგუფი – ქალაქური პრობლემები.


ჯგუფები ამუშავებენ ტექსტს. შემდეგ იქმნება ახალი ჯგუფები ხუთივე ჯგუფის თითო წევრისგან. ერთ მაგიდასთან თავმოყრილი „ექსპერტები“ ჯგუფის დანარჩენ წევრებს აცნობენ მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელიც წინა ჯგუფში მუშაობისას დაამუშავეს. თანმიმდევრობით წარადგენენ ახალ ჯგუფებში თავის მოპოვებულ მასალას (ჯერ საუბრობს I ჯგუფის „ექსპერტი“, შემდეგ – II და ა.შ.).

ამის შემდეგ თითოეულ ჯგუფს ექნება სრული ინფორმაცია ურბანიზაციის შესახებ. „ექსპერტთა“ ჯგუფებს ეძლევა დავალებები:

- 1) დაადგინონ მსოფლიოს ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად ურბანიზებული ქვეყნები;

2) ჩამოთვალონ ამ ქვეყნებში ურბანიზაციის ასეთი მაჩვენებლების არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

ურბანიზაციის დონეთა რუკა



შემდეგ მათ უნდა გააკეთონ SWOT ანალიზი.

მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ ურბანიზაციის უპირატესობები და ნაკლოვანებები. განსაზღვრონ ის შესაძლებლობები და საფრთხე, რომელიც ურბანიზაციის პროცესს უკავშირდება. მათ უნდა შეავსონ SWOT ანალიზის სქემა ფორმატზე.

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
საფრთხე	შესაძლებლობა

შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება, როგორ გადააქციონ ნაკლი უპირატესობად და საფრთხე კი – შესაძლებლობად.

აქტივობა № 3. ჯგუფები წარმოადგენენ შესრულებულ სამუშაოს, აკეთებენ დასკვნებს. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ყველა ერთად ადგენს საერთო SWOT ანალიზის სქემას და აყალიბებენ საერთო მოსაზრებას, როგორ უნდა გადააქციონ ნაკლი უპირატესობად და საფრთხე – შესაძლებლობად.

ტექსტები:

ურბანიზაცია

ურბანიზაცია ეწოდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთ-ეერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთულ შერწყ-მას, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხო-ვრების ყველა სფეროში. უ-ის პროცესისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა უპირატესად მიგრაციის ხარჯზე, ამიტომაც მის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება სტატისტიკური ზომა ქვეყნის მოსახლეობის იმ წილისა, რომელიც ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. უ-ისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქად, რეგლამენტირებული ცხოვრების წესი, რაც ხასიათდება ანონიმურ-ობითა და ფორმალური კავშირ-ურთიერთობებით, შრომის რთული საზოგა-დოებრივი დანაწილების საფუძველზე საქონლის წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების ინტენსიური ზრდით, ცხოვრების ქალაქური წესის სტანდარ-ტების დაჩქარებული გადატანით სოფლად.

ქალაქი – მსხვილი დასახლებული პუნქტი, რომელიც ასრულებს სამრეწვე-ლო, სატრანსპორტო, სამეურნეო, კულტურული, პოლიტიკური, ადმინის-ტრაციული ორგანიზაციის ფუნქციებს. ქალაქის კატეგორია, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შემდეგი ნიშნების მიხედვით განისაზ-ღვრება: მოსახლეობის რაოდენობა და საქმიანობა, დასახლებული პუნქტის ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა. ქალაქს ახასიათებს დასახლების დიდი სიმჭიდროვე და კომპაქტური განაშენიანება. ქალაქი წარმოიქმნა ის-ტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როცა საზოგადოებაში მიმდინარეობ-და შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სოციალური დიფერენციაციის პროცესები და ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსახლეობის ძირითადი მასიდან გამოიყო სხვა სოციალური ჯგუფები (მმართვე-ლი კლასი, ხელოსნები, ვაჭრები და სხვა), რომელთა კონცენტრაციამ გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში განაპირობა ქალაქური ტიპის დასახლებების შექმნა.

პირველი ქალაქები, როგორც ადმინისტრაციული, რელიგიური, ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები, ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში წარმოიშვა. ქალაქების შექმნამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე. ისინი იქცნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ორგანიზაციულ, კულტურულ, სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის განვითარების ცენტრებად, ხელი შეუწყვეს ხელოს-ნობისა და ვაჭრობის (მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობის) განვითარებას. ქა-ლაქებში ჩაისახა სავაჭრო და სავაზმო კაპიტალი. ქალაქის ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული ტექნიკის პროგრესი.

„ქალაქური პრობლემები“

ქალაქში უამრავი პრობლემაა, რომლებიც მის ზრდასთან ერთად მატუ-ლობს. დიდი ქალაქებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის სისუფთავისა და ჯანსაღი კლიმატის, ტრანსპორტის განვითარებისა და სატრანსპორტო ნაკადების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნების

დაკმაყოფილების ანუ ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნის, ასევე კულტურული ფასეულობების მაქსიმალური შენარჩუნების პრობლემები.

ქალაქებში კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება მიმდებარე ტერიტორიების კლიმატური თავისებურებებისაგან: ქალაქში მაღალია ჰაერის ტემპერატურა, განსხვავებულია ატმოსფეროს შემადგენლობა (მაღალია ნახშირორჟანგისა და მტვრის შემცველობა), იცის ხანგრძლივი და მკვრივი ნისლი. დიდი ქალაქები უდიდეს გავლენას ახდენს ადგილობრივ კლიმატზე. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალური დათბობის პროცესში.

ქალაქების ზრდა მოითხოვს სოციალური, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების ადეკვატურ განვითარებას, რაც ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

დიდი ქალაქებითვის დამახასიათებელია ე. წ. „ახალი რისკები“, რომელთა შორის გამოირჩევა სოციალური კონფლიქტები. სხვადასხვა რასის, ეროვნების, რელიგიური მრწამსის ადამიანების თავმოყრის ადგილებში ხშირია დაპირისპირება.

დიდ ქალაქებში ადმინისტრაციული, საქმიანი და ფინანსური ორგანიზაციები ძირითადად მის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. მიწის სიძვირე მათ აიძულებს, ააშენონ მაღალსართულიანი ოფისები, რაც ქალაქის ცენტრში მცხოვრებ მოსახლეობას დიდ პრობლემებს უქმნის.

შედეგი	გეო.VIII. 9. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს მსოფლიოში რეგიონების გამოყოფის პრინციპები და ქვეყნების კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • იყენებს რუკას და განსაზღვრავს ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშნით მსოფლიოში რეგიონების გამოყოფის თავისებურებებს; • იყენებს სასწავლო რუკას და განსაზღვრავს სტრატეგიული რესურსებით (სათბობ-ენერგეტიკული) მდიდარ რეგიონებს; აღნიშნავს მათ კონტურულ რუკაზე; • აკვირდება ქვეყნების ჩრდილოეთ-სამხრეთად დაყოფის (ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებელ) რუკას და აჯგუფებს ცხრილში ქვეყნებს განვითარების დონის მიხედვით; • ილუსტრაციების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელ საკუთარ კრიტერიუმებს (სამუშაო ადგილები, სავაჭრო ობიექტები, საშუალო ხელფასი, ტრანსპორტი, საცხოვრებელი) და გამოთქვამს მოსაზრებებს; • ადარებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების წესს, ჩამოთვლის მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს;

	<ul style="list-style-type: none"> • ადგენს და ადარებს იმ თვალსაჩინო რესურსების ნუსხას, რომლებიც გამოიყენება მდიდარი და ღარიბი ქვეყნების მეურნეობაში (საშენი მასალა, გათბობის საშუალებები, ტრანსპორტი და გზები, ელექტროენერჯის წარმოება-მოხმარება და სხვ.); მსჯელობს რესურსებსა და ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის არსებულ კავშირებზე; • ირჩევს ორ რეგიონს და აჯგუფებს განმასხვავებელ და მსგავს ნიშნებს; მსჯელობს მსგავსება-განსხვავების გამომწვევ მიზეზებზე.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 2. დიკუსია; 3. როლური თამაში. 	<p>მოცემულ თემაზე მუშაობა ითვალისწინებს სამ ძირითად მომენტს:</p> <p>ა) მოსწავლეთა დამოკიდებულების გამოვლენას აღნიშნული პრობლემის მიმართ;</p> <p>ბ) მაგალითების მოყვანას;</p> <p>გ) მოსწავლეთათვის ზოგიერთი სამართლებრივი ნორმის გაცნობას.</p>
<p>რესურსები: რუკები: მშპ-ს სერთო მოცულობა და მშპ 1 სულ მოსახლეზე; ტექსტი.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან:</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:</p>	

აქტივობა №1.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ქვეყნების (მშპ-ს სერთო მოცულობის ან მშპ 1 სულ მოსახლეზე) რუკებს და სთხოვს დააჯგუფონ ცხრილში ქვეყნები განვითარების დონის მიხედვით;

მდიდარი	ღარიბი

შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს სახელმძღვანელოში მოცემულ გაეროს მიერ შემუშავებული კრიტერიუმების ჩამონათვალს და სთხოვს მოსწავლეებს, ეს ქვეყნები დააჯგუფონ ახალ ცხრილში:

განვითარებული	ახალი ინდუსტრიული ქვეყნები	განვითარებადი

მასწავლებელი სვამს დადისკუსიო კითხვას:

1. როგორ გგონიათ, რის საფუძველზე იქნა შერჩეული ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება ქვეყნის განვითარების დონის განსაზღვრა?
2. რატომ უნოდებენ ამ კრიტერიუმებს ადამიანის განვითარების ინდექსს? მოსწავლეებმა უნდა „შეიმუშაონ“ საკუთარი კრიტერიუმები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევენ ქვეყნის განვითარების დონის დასადგენად და დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია.

აქტივობა № 2.

დისკუსიის შედეგად შესაძლებელია საერთო კრიტერიუმების დადგენა და გაეროში წარსადგენი პროექტის დაგეგმვა და მომზადება.

აქტივობა № 3.

მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ზოგადი დახასიათება.

პირველი ეტაპი: მასწავლებელი მოსწავლეებს უცხადებს, რომ ისინი არიან ქვეყნების განვითარების შემსწავლელი ორგანიზაციის წევრები და ყოფს მათ ჯგუფებად.


1. განვითარებული ქვეყნების შემსწავლელი ჯგუფები (3 ჯგუფი);
2. განვითარებადი ქვეყნების შემსწავლელი ჯგუფები (3 ჯგუფი);
3. ექსპერტთა ჯგუფი, რომელშიც შედიან ევროკავშირის, გაეროსა და ნატოს წარმომადგენლები.

ტექსტი. ტერმინში **განვითარებადი** მოიაზრება ისეთი ქვეყნები, სადაც შედარებით დაბალია ცხოვრების დონე, განუვითარებელია ინდუსტრიული ბაზა და ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI) საშუალო ან დაბალია. ტერმინმა ხმარებიდან განდევნა შედარებით ადრინდელი, ცივი ომის პერიოდში ხმარებული ტერმინი – „მესამე მსოფლიო“, რომელმაც დროთა განმავლობაში ნეგატიური ასოციაცია შეიძინა.

განვითარება მოიცავს თანამედროვე ინფრასტრუქტურას (ფიზიკურსა და ინსტიტუციურს), ასევე, დაბალი დამატებითი ღირებულების სექტორებიდან, როგორცაა სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების წარმოება, გადანაცვლებას უფრო მაღალტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ სფეროებზე. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ემყარება მუდმივ, თვითუზრუნველყო-

ფად ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების მაღალ დონეს. თუმცა „განვითარებად ქვეყნად“ მსოფლიოს ყველა ნაკლებად განვითარებული ქვეყნის მოხსენიება მიზანშეუწონელია: ზოგიერთი ღარიბი ქვეყანა საკუთარ ეკონომიკურ სიტუაციას ვერ აუმჯობესებს, პირიქით, ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის.

რუკა: ჰუმანური განვითარების ინდექსი



მსოფლიოს ფერადი რუკა ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით (2013). მწვანე ფერით აღნიშნულია ქვეყნები, სადაც ჰუმანური განვითარების მაჩვენებელი მაღალია, ყვითელი/ნარინჯისფერი მიუთითებს საშუალო ჰუმანურ განვითარებაზე, ხოლო წითელი – დაბალ ჰუმანურ განვითარებაზე.

ჯგუფებმა ტექსტისა და რუკების გამოყენებით უნდა წარმოაჩინონ ამ ორი ტიპის ქვეყნების თავისებურებები და განსხვავებები. მათ აგრეთვე უნდა შეიმუშაონ ქვეყნების განვითარების დონის განმსაზღვრელი შეფასების საკუთარი კრიტერიუმები.

პრეზენტაცია:

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევარს და მსჯელობენ მოცემული დავალების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს აქვთ უფლება, ჩაეძიონ კითხვებს და მისცენ შენიშვნები მოპასუხეებს. ჯგუფებმა უნდა ახსნან და დაამტკიცონ, რამდენად ზუსტად განსაზღვრავს მათ მიერ შერჩეული კრიტერიუმები ქვეყნის განვითარების დონეს.

IX კლასი

მიმართულება № 1 : დრო და სივრცე

შედეგი	გეო.IX.1. მოსწავლეს შეუძლია რუკებისა და სხვა თვალსაჩინოებების (ფოტოების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამებისა და სხვ.) დახმარებით დაახასიათოს ადგილი, მოვლენა და პროცესი; შეადგინოს თემატური რუკები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ანალიზებს რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების საშუალებით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ინფორმაციას; • ფოტოების მიხედვით ანალიზებს საქართველოს პეიზაჟებს; • საკოორდინატო ბადის გამოყენებით განსაზღვრავს საქართველოს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტებისა და ადმინისტრაციული ცენტრების მდებარეობას; • საკვლევი მიზნის გათვალისწინებით მოიძიებს და საჭიროებისამებრ იყენებს შესაბამის თემატურ რუკებს; • ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა თემატური რუკის შეჯერების საფუძველზე ატარებს კომპლექსურ ანალიზს (მაგალითად, ფიზ.გეოგრაფიული, მოსახლეობის, სოფლის-მეურნეობის სპეციალიზაციის რუკების); • მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს საქართველოს თემატურ რუკებს (სამხარეო, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების, მოსახლეობის სიმჭიდროვის, ძირითადი რელიეფების გავრცელებისა და სხვ.); • სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე ადგენს სხვადასხვა სირთულის ნახაზებს (გრაფიკს, დიაგრამასა და სხვ.); • ჯგუფური მუშაობისას თითოეული ჯგუფი ირჩევს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას ექსპედიციის ჩასატარებლად და კლასის წინაშე წარმოადგენს მისი განხორციელების მარტივ გეგმას (მიზანი, მარშრუტი, ვადა, გადაადგილების საშუალება, არჩეული მარშრუტის უპირატესობა სხვებთან შედარებით, წასაღები ნივთების სია და ა.შ.); ადგენს ექსპედიციის ამსახველ სქემატურ გეგმას.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. სწავლა კეთებით; 2. რუკაზე და ლექსიკონი+ცნობარზე მუშაობა; 3. ექსპედიცია; 4. რუკაზე მუშაობა; 5. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა. 	<p>მოცემული შედეგი გამჭოლია. იგი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობს და განსაკუთრებით კარგად ავითარებს სემიოტიკურ კომპეტენციას.</p>

რესურსები:

საქართველოს ფიზიკური რუკა, დაფა და ცარცი, საქართველოს ატლასი, ფურცლები, ფერადი ფანქრები, მაკრატელი, ნებო;
 ევროპისა და აზიის ფიზიკური ან პოლიტიკური რუკა;
 კედლის რუკა – „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“;
 საქართველოს ფიზიკური რუკა, კავკასიის ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის რუკები;
 მია ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ.

კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია, მათემატიკა

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

რუკის კითხვისა და გამოყენების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთათვის. იგი ხელს უწყობს სივრცითი და გრაფიკული აზროვნების განვითარებას. საქართველოს გეოგრაფიის შესწავლის პროცესში მოსწავლეებს მოუწევთ განსხვავებული შინაარსისა თუ მასშტაბის რუკების სხვადასხვა მიზნით გამოყენება. მასწავლებელს ხშირად დასჭირდება თემატური რუკების გამოყენება – რაც უფრო უხვადაა მოსწავლის წიგნში თემატური რუკები, მით უფრო მაღალია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში და, შესაბამისად, მაღალი შედეგების მეტი მოლოდინია რამდენიმე მიმართულებით (იგულისხმება უნარ-ჩვევები).

საგაკვეთილო პროცესში თემატურ რუკებზე სისტემატურად უნდა ხდებოდეს მუშაობა, მასწავლებლის დახმარებით.

აქტივობა №1. კონტურული რუკის გაფერადება და გამოჭრა ინსტრუქციის მიხედვით; ნაწილებად დაშლილი რუკის გამთლიანება. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ საქართველო დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ-სამხარეო ერთეულად. მოსწავლეები შეძლებისდაგვარად ჩამოთვლიან მათ. შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად.

მასწავლებელი აძლევს საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკას და აძლევს დავალებას: თითოეული ჯგუფი საქართველოს კონტურულ რუკაზე სხვადასხვა ფერით აფერადებს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს და გამოჭრის. სასურველია თბილისის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, გათვალისწინებაც.

პირველი ჯგუფის დავალება: ამოინერონ საქართველოს ხუთი მწვერვალი და მათი სიმაღლეები;

მეორე ჯგუფი ამოინერს ხუთი სამხარეო ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრს, მოსახლეობის რაოდენობის მითითებით;

მესამე ჯგუფი ამოინერს ხუთ ტბას და მიუთითებს მათ ფართობს;

მეოთხე ჯგუფი ამოინერს ხუთ მხარეს, ფართობის მითითებით;

მეხუთე ჯგუფი ამოინერს ხუთ მხარეს, მოსახლეობის რაოდენობის მითითებით.

პრეზენტაციის დროს ივსება ცხრილი, რომელიც წინასწარ აქვს მასწავლებელს მომზადებული ფორმატის ფურცელზე ან დაფაზე. ცხრილის შევსების შემდეგ მოსწავლეები აგებენ გრაფიკს ან სვეტოვან დიაგრამას მათ მიერ მოძიებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.

აქტივობა №3. ექსპედიცია. თითოეული ჯგუფი ირჩევს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას ექსპედიციის ჩასატარებლად და წარმოადგენს მისი განხორციელების მარტივ გეგმას (მიზანი, მარშრუტი, ვადა, გადაადგილების საშუალება, არჩეული მარშრუტის უპირატესობა სხვებთან შედარებით, წასაღები ნივთების სია და ა.შ.); ჯგუფი მუშაობს შემდეგი გეგმის მიხედვით:

- განსაზღვრონ მოგზაურობის მიზანი, სანყისი და ბოლო პუნქტები;
- აირჩიონ სეზონი;
- შეადგინონ წასაღები ნივთების სია;
- განსაზღვრონ, რა დროით მიდიან;
- აირჩიონ ტრანსპორტის სახეობა ან სახეობები;
- დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი;
- შეადგინონ მარშრუტის რუკა და მასზე აღნიშნონ გასავლელი პუნქტები;
- აირჩიონ ერთი მოსალოდნელი დაბრკოლება და აღწერონ, როგორ დაძლევენ მას;
- შეაგროვონ ცნობები გასავლელი პუნქტების შესახებ (გამოიყენონ რუკა, სახელმძღვანელო და ენციკლოპედია);
- წარმოადგინონ ნამუშევარი პლაკატის სახით, რომელიც შემდგომში იქნება ჯგუფის რეკლამა.

აქტივობა № 4.

კლასი გავეყოთ ორ ნაწილად. ერთ ნაწილს დავავალოთ, საქართველოს ატლასიდან ან სახელმძღვანელოში მოთავსებული ფიზიკური რუკიდან ამოინეროს დასავლეთ საქართველოს მდინარეები, მეორემ კი – აღმოსავლეთ საქართველოსი; ამავე დროს, უნდა გაარკვიონ, რომელი ზღვისა და ოკეანის აუზის მდინარეებია ისინი. ასეთი ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ, მასწავლებელი დაფას ყოფს ორ ნაწილად და მოსწავლეები მდინარეების სახელწოდებებს წერენ ზღვათა აუზების მიხედვით: მარჯვნივ – შავი ზღვის აუზის მდინარეებს, მარცხნივ – კასპიის ზღვის აუზის მდინარეებს. ბოლოს გამოაქვთ დასკვნა, რომ დასავლეთ საქართველოს მდინარეები არის ატლანტის ოკეანის

აუზის მდინარეები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები არ ეკუთვნის არც ერთი ოკეანის აუზს, რადგან ყველა მათგანი ჩაედინება კასპიის ზღვაში, რომელიც არის ტბა. ამ აქტივობით მოსწავლეები უკეთ იმახსოვრებენ და არ უხდებათ მექანიკურად დახეპირება.

აქტივობა № 5. გეოგრაფიული ცნობარიდან ამოიწერონ საქართველოს ტბები, მწვერვალები და დაალაგონ ისინი სიდიდისა და სიმაღლის მიხედვით; ააგონ გრაფიკი ან დიაგრამა საქართველოს ძირითადი მდინარეების ცხრილის მიხედვით, შემდეგ ეს მდინარეები დაიტანონ კონტურულ რუკაზე; კონტურულ რუკაზე დაიტანონ აგრეთვე საქართველოს ტბები, წყალსაცავები და ა. შ. ასეთი დავალებების შესრულების დროს მოსწავლეები მუშაობენ ერთდროულად რამდენიმე გეოგრაფიულ საშუალებაზე: ცხრილზე, ფიზიკურ და კონტურულ რუკაზე. ისინი ერთი სახის გეოგრაფიულ ინფორმაციას წარმოადგენენ განსხვავებული ფორმით.

მიმართულება: დრო და სივრცე

შედეგი	გეო.IX.2. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს საქართველოს მდებარეობა და დაადგინოს მისი მნიშვნელობა ქვეყნისთვის.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • მსჯელობს საზღვრის გავლების თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე საერთაშორისო, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე; • მსჯელობს საქართველოს ტერიტორიის ფორმირების შესახებ; აღნიშნავს სხვადასხვა ეპოქის საზღვრებს კონტურულ რუკებზე; • ხსნის ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს ლოკალურ და გლობალურ დონეებზე; ავლებს პარალელებს მსოფლიოს ქვეყნებთან; • აფასებს საქართველოს მდებარეობას, ბუნებრივ პირობებსა და სტრატეგიულ რესურსებს (<i>მინერალური რესურსები</i>); გამოთქვამს ვარაუდს ქვეყნის განვითარების პერსპექტივის თაობაზე; • მოიძიებს ევროპა-აზიის საზღვრის გავლების სხვადასხვა ვარიანტს საქართველოს ტერიტორიასთან მიმართებაში. ასაბუთებს მისთვის მისაღები ვარიანტის მართებულობას და გადააქვს იგი კონტურულ რუკაზე.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. სოციოლოგიური გამოკითხვა და ანალიზი; 2. დისკუსია; 3. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 4. სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე. 	

რესურსები: მსოფლიოს ფიზიკური და კავკასიის ფიზიკური რუკები; დაფა, ცარცი, თაბახის ფურცლები; მია ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ.

კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია, მათემატიკა

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ დამოუკიდებლად მუშაობა, გამოკითხვების ჩატარება, ინტერვიუების ჩამორთმევა. მოპოვებული მასალის დამუშავება არაერთ აქტივობას მოიცავს: კლასიფიცირებას, ანალიზს, შეფასებას. თავდაპირველად მათ შეიძლება გაუჭირდეთ ყველა ამ ეტაპის დამოუკიდებლად გადალახვა, მაგრამ მიმართულების მიცემის შემდეგ ამ ყველაფერს საკმაოდ კარგად ართმევენ თავს. ამიტომ ერთი აქტივობით ერთდროულად ორ საქმეს გავაკეთებთ – აღნიშნულ ინტერესსაც დაუკმაყოფილებთ მოსწავლეებს და, გარკვეული ტექსტური ინფორმაციის საფუძველზე, სქემის შედგენის უნარსაც განვუვითარებთ.

აქტივობა № 1.

გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეები (ჯგუფურად) ატარებენ სოციოლოგიურ გამოკითხვას. მათ აინტერესებთ, სად მდებარეობს საქართველო – ევროპასა თუ აზიაში.

ისინი რესპონდენტებისგან ითხოვენ დასაბუთებულ პასუხს.

გაკვეთილზე ყველა ჯგუფი წარმოადგენს თავის ინფორმაციას. შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს ევროპა-აზიას შორის საზღვრის გავლების 6 ცნობილ ვარიანტს, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული. ჯგუფებმა უნდა განიხილონ და დაადგინონ, რომელი ვარიანტით სად ხვდება საქართველო. დაფაზე ივსება საერთო ცხრილი, სადაც დაფიქსირებული იქნება გამოკითხვის შედეგებიც. თითოეული ჯგუფი ასაბუთებს საკუთარ პოზიციას, არგუმენტებლად მოჰყავს გამოკითხვის შედეგები.

ევროპა	აზია	საზღვარზე

მასწავლებელი ჯგუფებს სთავაზობს დისკუსიის გამართვას.

აქტივობა № 2.

კლასი იყოფა სამ ნაწილად: „ევროპის“ მომხრეებად, „აზიის“ მომხრეებად და ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარეობის მომხრეებად. მეოთხე ჯგუფი შეასრულებს „ექსპერტ-მონიტორის“ როლს; ამ ჯგუფის წევრები შეაფასებენ და გამოიტანენ დასკვნას, თუ სად მდებარეობს კავკასია, და, კერძოდ, საქართველო.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს დისკუსია (დებატები). გამომსვლელებმა, საქართველოს

გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, უნდა განიხილონ და არგუმენტებად გამოიყენონ მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა. ამ სამი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს, სად ექნება უკეთესი პერსპექტივა საქართველოს განვითარებისათვის.

გეოპოლიტიკა მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში გეოგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების ჩამოყალიბებაზე. გეოპოლიტიკის, როგორც საგარეო პოლიტიკური პრაქტიკის, მთავარი მიზანია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის თავისი სახელმწიფო ინტერესებისთვის გამოყენება, ე.ი. გეოპოლიტიკის მთავარი მიზანი – ეს არის ნებისმიერი ქვეყნის გეოსტრატეგიის შემუშავება. გეოპოლიტიკური მიდგომის სინთეზური შესწავლა გულისხმობს ნებისმიერი ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიულ, სოციალურ-პოლიტიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და ქვეყნის სიძლიერის განმსაზღვრელ სხვა ფაქტორთა კომბინირებულ შესწავლასა და შეფასებას. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც გეოგრაფიულ ფაქტორს, ასევე ეკონომიკურ და სტრატეგიულ პოზიციებს, ქვეყნის წარსულს, მეზობელ ქვეყნებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობას, მოსაზღვრე ქვეყნებსა და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას.

აქტივობა № 3.

კლასი იყოფა 4-5 კაციან ჯგუფებად. პირველ ჯგუფს ეძლევა ძვ.წ. VI-II საუკუნეების საქართველოს რუკა და ამ პერიოდში ქვეყნის ფართობის დიაგრამა;

მე-2 ჯგუფს – I-X საუკუნეების მონაცემები;

მე-3 ჯგუფს – XII-XVIII საუკუნეების მონაცემები;

მე-4 ჯგუფს – XIX-XXI საუკუნეების მონაცემები.

თითოეული ჯგუფი ადგენს, როგორ იცვლებოდა საქართველოს საზღვრები და მსჯელობს ცვლილების მიზეზებზე. ჯგუფმა უნდა დაადგინოს, დღეს რომელი სახელმწიფოს კუთვნილებაა დაკარგული ტერიტორიები; კონტურულ რუკებზე აღნიშნოს სხვადასხვა ეპოქის საზღვრები. პრეზენტაციის დროს ადგენენ დიაგრამას საქართველოს ტერიტორიის ფართობის მიხედვით. ჯგუფის ერთი წარმომადგენელი აკეთებს პრეზენტაციას, მეორე აგებს შესაბამის დიაგრამას ფლირჩატზე, სადაც წინასწარ არის დახაზული კოორდინატთა სიბრტყე.

აქტივობა №4.

ორი მოსწავლე გამოდის რუკასთან. ერთი მოსწავლე აჩვენებს დაბა ლესელიძეს, მეორე – სოფელ სარფს. ამის შემდეგ იწყება „მოგზაურობა“. პირველი მოსწავლე მიუყვება ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს, მეორე – სამხრეთს. „მოგზაურები“ ასახელებენ იმ მსხვილ გეოგრაფიულ ობიექტებს, რომელთაც გაივლიან მოგზაურობის დროს. პირველი მათგანი მთა აგეფსთასთან ამთავრებს მოგზაურობას, შემდეგ სხვა მოსწავლე „აგრძელებს გზას“ და ჩრდილოეთ საზღვარს გაუყვება. მოსწავლის შეცვლას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბავშვები ასე უფრო უკეთ იმახსოვრებენ, თვალყურს

ადევნებენ, რომ არ გამოირჩეთ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები. პარალელურად აღნიშნავენ, მათი გზა (საზღვრები) ბარიერულია თუ კონტაქტური. ბოლოს ორივე „მოგზაური“ მიადგება ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ობიექტს – მინგეჩაურის წყალსაცავს.

მიმართულება: გარემო და ეკონომიკა


შედეგი	გეო.ი.3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს და გააანალიზოს საქართველოს ბუნებრივი პირობები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს შორის და მსჯელობს მათ გავრცელებაზე (მაგალითად, საქართველოს რელიეფის ფორმებსა და ჰავის თავისებურებებს უკავშირებს ჰიდროგრაფიული ქსელის ჩამოყალიბება-გავრცელებას); ამ მაჩვენებლების მიხედვით ადარებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს; • რუკისა და სხვა ინფორმაციის გამოყენებით ახასიათებს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ობიექტებს და მოვლენებს; მათგან გამოარჩევს რეკორდული მაჩვენებლების (ნალექიანობის, ქარიანობის, მენყერულობისა და სხვ.) მქონეს და ავსებს შესაბამის კონტურულ რუკას; • რუკებისა და ტექსტური მასალის გამოყენებით აღწერს საქართველოსთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან რესურსებს (მინერალურსა და სანვაგ რესურსებსა და სხვ.) და აკავშირებს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასთან (მაგალითად, ზონალურობა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია); აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით აჯგუფებს საქართველოს რეგიონებს; • აგროვებს ინფორმაციას (სახელმძღვანელოს, მასშედიისა და სხვ. მეშვეობით), მსჯელობს საქართველოს ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე (მინისძვრა, მენყერი, ღვარცოფი და სხვ.), გარემოსდაცვით პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე; • აგროვებს ინფორმაციას (საქართველოს ატლასისა და სხვა თვალსაჩინოებათა მიხედვით) და ადარებს საქართველოს ორ განსხვავებულ რეგიონს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით (მდებარეობის, რელიეფის, კლიმატის, ჰიდროგრაფიული ქსელისა და სხვ.); მსგავსება-განსხვავებებს გამოსახავს მისთვის მისაღები ფორმით; • ადარებს და აჯგუფებს საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებს (მაგალითად, ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსები) გარემოზე მათი ზემოქმედების ხარისხის მიხედვით; • ეცნობა მდგრადი განვითარების გარემოსდაცვით პრობლემებს, გამოყოფს მათგან საქართველოსთვის აქტუალურს და მსჯელობს გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე.
აქტივობები:	შენიშვნა

<ol style="list-style-type: none"> 1. ასოციაციური რუკის შედგენა; 2. როლური თამაში; 3. პრეზენტაცია; 4. რუკაზე მუშაობის საშუალებით ნომენკლატურის კლასიფიცირება; 5. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა. 	
<p>რესურსები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს ფიზიკური რუკა, საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის რუკა, საქართველოს დასახლებული პუნქტების რუკა, საქართველოს კონტურული რუკა; 2. რვეული, კალამი; 3. დაფა და ცარცი, „საქართველოს ატლასი“, თბილისი, 1992წ; 4. მია ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ. 	
<p>კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია, მათემატიკა</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა. მოსწავლეები ახდენენ თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით გამყარებას. ამ დროს შესაძლებელია, მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები იყვნენ; საკითხის განხილვის გარდა, მათ საშუალება აქვთ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და, შესაბამისად, მასალის ათვისებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით მოსწავლეები უფრო მარტივად სწავლობენ, ვიდრე მხოლოდ მასალის წაკითხვით, მოსმენით ან რაიმეზე დაკვირვებით.</p> <p>როლური თამაშები ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური კომპეტენციების, მაგალითად, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და ა.შ. გასაფართოებლად. როლური თამაშები საფუძვლიან დაგეგმვას საჭიროებს, კონკრეტული სამუშაოს შესრულებით სასურველი შედეგი რომ მივიღოთ.</p> <ul style="list-style-type: none"> • როლური თამაშები ხელს უწყობს საკითხის ღრმად შესწავლას; • როლური თამაშის დროს ვითარდება უნარ-ჩვევები, იცვლება დამოკიდებულებები; • როლური თამაში რეალური სიტუაციის სიმულაციაა; მონაწილეებს საშუალება აქვთ, სხვების თანდასწრებით გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება; • როლური თამაშები ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას; სახალისოა და ზრდის მოტივაციას; • როლური თამაშის დროს შესაძლებელია ჩავრთოთ სხვადასხვა აქტივობები. <p>ჯგუფებად დაყოფა და როლების განაწილება არ იქნება მტკივნეული, თუ კლასი შეჩვეულია ჯგუფურ მუშაობას. „ექსპერტთა ჯგუფის“ შერჩევა შესაძლებელია ბარათების საშუალებით (ფარული კენჭისყრით) ან წინა გაკვეთილზე აქტიური ჯგუფის წახალისებით. საერთოდაც, „ექსპერტთა ჯგუფის“ არსებობა ყველა გაკვეთილზე საკმაოდ გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. შესაძლებელია, ეს ნოდება ჯგუფიდან ჯგუფზე გადავიდეს ან პერიოდულად წევრები</p>	

შეიცვალონ. „ექსპერტთა ჯგუფს“ დატოვებს ის, ვინც ყველაზე სუსტად იმუშავა კვირის განმავლობაში, მის ადგილს კი დაიკავებს ნებისმიერი სხვა ძლიერი მოსწავლე. ეს ცვლილებები მუდმივად უზრუნველყოფს კლასში სამუშაო განწყობას. მოსწავლეთათვის „ექსპერტთა ჯგუფში“ მოხვედრა იქნება მოტივაცია; შეფასების საშუალება იქნება ნებისმიერ მათგანს. ამ აქტივობით მოსწავლეები სწავლობენ თვითშეფასებასაც. სასურველია, წლის ბოლოს მოხდეს საუკეთესო ექსპერტთა დაჯილდოება. ეს შეიძლება იყოს სიგელი, სუვენირი და ა. შ. აქაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აზრის გაზიარება.

აქტივობა № 1. ასოციაციური რუკა

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: „მინის რესურსები“. ივსება ასოციაციური რუკა.





აქტივობა № 2.

მასწავლებელი ანაწილებს როლებს: კლასს ყოფს 4-5 კაციან ჯგუფებად. ერთ-ერთი იქნება „ბიზნეს-ჯგუფი“, დანარჩენები წარმოადგენენ კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს, რომლებიც იმუშავებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტზე (სურვილისამებრ ირქმევენ სახელებს). თითოეულ ჯგუფს ურიგდება სხვადასხვა სახის რესურსები (დიაგრამები, რუკები, ტექსტები მინის რესურსებზე). „ბიზნეს ჯგუფი“ ადგენს შეფასების კრიტერიუმებს, მან უნდა გამოავლინოს გამარჯვებული პროექტები, რომლებიც დაფინანსდება შესაბამისად (10000 \$-ით, 9000 \$-ითა და 8000 \$-ით). პროექტზე მუშაობისას გასათვალისწინებელი პრიორიტეტებია: 1. მინის კადასტრი; 2. ნიადაგების გეოგრაფია; 3. მინის ფონდის სტრუქტურა; 4. აგროკლიმატური დარაიონება; 5. ნიადაგების სტრუქტურა; 6. ნიადაგის დაცვა.


წყაროები: საქართველო მცირემინიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორია (ტერიტორიული წყლების გარეშე) 69,7 ათასი კვ. კმ-ია. აქედან, 2005 წლის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო

სავარგულების ფართობი 30,2 ათას კვ. კმ-ს შეადგენს, საიდანაც სამინათ-მოქმედო მინებს


(სახნავ და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო ნარგავებით დაკავებულ მინებს) სულ 10,7 ათასი კვ. კმ უჭირავს.




იურიდიული სტატუსის მიხედვით, მიწები საქართველოში იყოფა სასოფლო-სამეურნეოდ (40%) და არასასოფლო-სამეურნეოდ (60%). ეს უკანასკნელი კატეგორია მოიცავს სახელმწიფო და მუნიციპალური ტყეების (ტყის ფონდის) ტერიტორიას, დაცულ ტერიტორიებს, წყლიან ტერიტორიებს (წყლის ფონდს), ურბანულ და სამრეწველო ტერიტორიებს, აგრეთვე გზებითა და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობებით დაკავებულ ტერიტორიებს. საქართველოს მიწების კატეგორიებად დაყოფა ასახულია დიაგრამებზე.



მინის რესურსები



ნიადაგების ვარგისიანობა



აქტივობა № 3. მუშაობის დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფი ირჩევს საკუთარ წარმომადგენელს და იქმნება „ბიზნეს-ჯგუფი“ (ან შეიძლება დავარქვათ მინისტრთა კაბინეტი), რომელიც შეაფასებს პროექტებს. შეფასების კრიტერიუმებსაც თავად ადგენენ. თითოეულ პროექტს აფესებს ყველა, გარდა

იმ წევრისა, რომლის პროექტიც განიხილება ანუ ყველა ჯგუფი „ბიზნეს-ჯგუფის“ წევრების რაოდენობაზე ერთით ნაკლებ ხმას იღებს.

პრეზენტაციის შემდეგ „ბიზნეს-ჯგუფი“ განიხილავს თითოეულ პროექტს, აფასებს და „აფინანსებს“ სამ გამარჯვებულს. დაფინანსება შეიძლება იყოს 10 000; 9 000 და 8•000 აშშ დოლარი.

საშინაო დავალება: 1. დაუკავშირდნენ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ნიადაგის დაცვაზე;

2. მოძებნონ პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნებში;

3. მოიძიონ ინფორმაცია საქართველოს განედებში მდებარე ქვეყნების მინის რესურსებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შესახებ.

აქტივობა № 4.

წყლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადამიანები, უძველესი დროიდან, ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ქალაქებიც და სოფლებიც მდინარის პირას გაეშენებინათ (თბილისის, ქუთაისის, მცხეთის, შატილის სურათები).

კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს დაერქმევა საქართველოს მდინარის სახელი: მტკვარი, რიონი, ალაზანი, არაგვი, ენგური და სხვ. ჯგუფებს ეძლევა დავალება: საქართველოს რუკიდან ამოწერონ ამ მდინარეებთან არსებული დასახლებული პუნქტები. სასურველია, ქალაქები და სოფლები ცხრილში ცალ-ცალკე დააჯგუფონ. ამავედროულად, უნდა იმსჯელონ, რატომ სახლდებოდა ადამიანი უძველეს დროში მდინარის პირას (პასუხი უნდა დაუკავშირდეს წყლის რესურსის მნიშვნელობას, ნაყოფიერ ნიადაგს).

ნიმუში

მდინარე მტკვარი

მდინარის სანაპიროზე გაშენებული ქალაქები	მდინარის სანაპიროზე გაშენებული სოფლები
➤	

ასეთი ცხრილი შეივსება ჯგუფებში თითოეული მდინარისთვის. პრეზენტაციის დროს ჯგუფების წევრებმა უნდა ახსნან, რა როლს ასრულებს ეს მდინარეები მათ სანაპიროებზე არსებული დასახლებული პუნქტების მცხოვრებთათვის.

საშინაო დავალება: კონტურულ რუკაზე აღნიშნონ ის მდინარეები, რომელზეც კლასში იმუშავეს, და შესაბამისი დასახლებები.

შედეგი	გეო.IX.4. მოსწავლეს შეუძლია დაუკავშიროს საქართველოს ძირითადი ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები მათ სამეურნეო გამოყენებას.	
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით მსჯელობს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ლანდშაფტების (ზღვისპირა, ტყის, მთისა და ბარის ლანდშაფტების) თავისებურებებზე; • აგროვებს ინფორმაციას (საქართველოს ატლასისა და სხვა თვალსაჩინოების მიხედვით) და ლანდშაფტის ფარგლებში აკავშირებს არსებულ ბუნებრივ ფაქტორებსა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას; მსჯელობს მისი მდგრადი განვითარების პერსპექტივაზე; • იყენებს რუკებს და ხსნის საქართველოს აგრარული და ინდუსტრიული, ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების გავრცელების თავისებურებებს; • ილუსტრაციების საშუალებით ადარებს საქართველოს ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს (აგრარულ და ინდუსტრიულ) მსოფლიოში არსებულ ანალოგებს; მსგავსება-განსხვავებებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით. 	
აქტივობები:	შენიშვნა	
<ol style="list-style-type: none"> 1. გონებრივი იერიში; 2. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 3. რუკაზე მუშაობა; 4. ფოტოების ანალიზი; 5. ვიდეორგოლის მომზადება. 		
<p>რესურსები: დაფა და ცარცი; საქართველოს ფიზიკური, ადმინისტრაციული დაყოფისა და ლანდშაფტების რუკები; მაია ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ.</p>		
<p>კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია, ისტ -ი</p>		
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა მრავალფეროვან სააზროვნო მოქმედებებში ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო მასალა და რესურსები ამის საშუალებას იძლევა. ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესში გამოიყენოს ფოტო- და ვიდეომასალა.</p>		

აქტივობა №1.

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით. წერს დაფაზე სიტყვას „ლანდშაფტი“. ივსება ასოციაციური რუკა და ხდება იდეების შეჯერება.

აქტივობა № 2. შემდეგ ხდება იდეების დაჯგუფება და ლანდშაფტის განმარტების ჩამოყალიბება.

სახელმძღვანელოს ტექსტზე დაყრდნობით, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: გაარკვიონ, რამდენი ლანდშაფტია საქართველოში და როგორ ხდება მათი კლასიფიკაცია.

ნამუშევარი ცხრილის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

ლანდშაფტები


მთის	ბარის

შემდეგ მოსწავლეებმა ლანდშაფტები უნდა დააჯგუფონ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ლანდშაფტებად, შეავსონ ვენის დიაგრამა და უპასუხონ კითხვებს:

1. რა განაპირობებს საქართველოში ლანდშაფტების ცვლას?
2. რა მსგავსებაა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ლანდშაფტებს შორის?
3. ახსნან მსგავსება-განსხვავების მიზეზი.

აღმოსავლეთი საქართველო

დასავლეთი საქართველო



აქტივობა №3. კლასი იყოფა ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალებად საქართველოს ერთ-ერთი ლანდშაფტის დახასიათება საქართველოს ლანდშაფტების რუკისა და გეოგრაფიული ცნობარის გამოყენებით. შესაძლებელია ჯგუფებს გაუნაწილდეს საქართველოს მხარეები. ამ შემთხვევაში მათ უნდა აღწერონ ამ მხარეში გავრცელებული ლანდშაფტები. ჯგუფებისა და მხარეთა რაოდენობა დამოკიდებულია მასწავლებელზე და კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე.

აქტივობა № 4. მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს განსხვავებული ლანდშაფტების ფოტოებს და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ თითოეული მათგანი

მოცემული გეგმის მიხედვით: 1. მდებარეობა და გავრცელება; 2. კლიმატი; 3. ნიადაგი და მცენარეული საფარი; 4. სამეურნეო ათვისება.

რაჭა



სამეგრელო



კახეთი



ხევსურეთი





აქტივობა № 5. ამ აქტივობის ჩატარება კარგი იქნება ისტ-თან ინტეგრირებულიად.

სარეკლამო სააგენტოს ხელმძღვანელი (მასწავლებელი) აძლევს დავალებას შემოქმედებით ჯგუფებს. თითოეულმა მათგანმა უნდა მოამზადოს სარეკლამო რგოლი საქართველოს რეკლამირებისთვის. დავალება ნაწილდება შემდეგნაირად:

პირველი ჯგუფი რეკლამას უწევს საქართველოს ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას;

მეორე ჯგუფი რეკლამას უწევს ხალხური არქიტექტურის მრავალფეროვნებას;

მესამე ჯგუფი საქართველოში გავრცელებული ხალხური რენვის მრავალფეროვნებაზე მუშაობს;

მეოთხე ჯგუფი რეკლამას უკეთებს საქართველოს კუთხეებში გავრცელებულ ტრადიციულ ჩაცმულობას, სამზარეულოსა და სუფრის თვითმყოფალობას.

პრეზენტაციის დროს, შემფასებლებიც რომ თავადვე იყვნენ, იქმნება სააგენტოს მენეჯერთა ჯგუფი, რომელიც კომპლექტდება ყოველი ჯგუფის თითო წევრისგან.

შედეგი	გეო.IX.5. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საქართველოში გეოეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის ბუნებრივი და ანთროპოგენური წყაროები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ჩამოთვლის საქართველოში ნიადაგის, წყლის, ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროებს, აჯგუფებს მათ წარმოშობის მიხედვით და მსჯელობს დაბინძურების კლების შესაძლო გზებზე; კვლევის შედეგებს გამოსახავს სქემის / ცხრილის სახით; • აღწერს საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი ბუნებრივი სტიქიური მოვლენის კატასტროფულ ხასიათს და ვარაუდობს მათი თავიდან აცილების შესაძლო ღონისძიებებს; კლასის წინაშე წარმოადგენს კვლევის შედეგებს; • ჩამოთვლის საქართველოში მომუშავე ბუნებისდაცვით ორგანიზაციებს და ეცნობა მათი მუშაობის სტრატეგიებს; შეუძლია საჭიროებისამებრ მიმართოს აღნიშნულ ორგანიზაციებს; • თანატოლებთან ერთად ადგენს და შეძლებისდაგვარად ახორციელებს მარტივ გარემოსდაცვით პროექტებს (<i>მიზანი, ამოცანები, გადაჭრის გზები, მოსალოდნელი შედეგები</i>); • აანალიზებს საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ფორმის მნიშვნელობას (<i>ეცნობა მსოფლიოში არსებულ ანალოგებს</i>) და რუკის გამოყენებით მსჯელობს მათი განვითარების პერსპექტივებზე; • სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული ლიტერატურისა და თვალსაჩინოებების დახმარებით მსჯელობს საქართველოში დაცული ტერიტორიების მდებარეობაზე, შექმნის მიზეზებზე (<i>მაგალითად, ბანარა – უთხოვარი, ბაბანეური – ძელქვა</i>) და ადგენს შესაბამის სქემას.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. აზრობრივი რუკა; 2. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 3. პრეზენტაცია; 4. ვენის დიაგრამა; 5. მინი-ლექცია; 6. როლური თამაში; 7. გონებრივი იერიში; 8. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა და ანალიზი; 9. დისკუსია. 	<p>აღნიშნული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება, დაეუფლონ ნიგნიერების, მედიანინგნიერებისა და სემიოტიკურ კომპეტენციებს.</p>

რესურსები:

1. დაფა და ცარცი;
2. წყაროები (ტექსტები, სხვადასხვა სახის რუკები, ფოტოები);
3. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინტერნეტ-გვერდი – www.apa.gov.ge;
4. მაია ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ.

კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია, სამოქალაქო განათლება


რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: 1.მართალია, მოსწავლეები აცნობიერებენ ტყის მნიშვნელობას, ადამიანის მიერ მისი სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების საჭიროებას, მაგრამ მნიშვნელოვანია, ჩამოვუყალიბოთ ტყის მიმართ გონივრული დამოკიდებულება; ამასთანავე, სასურველია, გავაგებინოთ, რომ საქართველოში ტყის რესურსებისადმი დამოკიდებულება საუკუნეების განმავლობაში გარკვეულ ტრადიციად და კულტურადაც კი ჩამოყალიბდა.

2. მასწავლებელმა მოსწავლეს ნათლად უნდა დაანახოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების აუცილებლობა და მოუყვანოს ყოველდღიური ცხოვრებისეული მაგალითები.

3.საჭირო მასალები მასწავლებელმა შესაძლებელია მოიძიოს ბუნების დაცვის სააგენტოს ინტერნეტ-გვერდზე: www.apa.gov.ge.

აქტივობა №1.

მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვას „ნიადაგი“ და ივსება ასოციაციური რუკა:



შემდეგ მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს ნიადაგის განმარტებას: ნიადაგი არის დედამიწის ქერქის ზედა ფენა, რომელიც ამგები ქანების, რელიეფის, ჰავის, მცენარეებისა და ცხოველების ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება და რომლის მთავარ თვისებას წაყოფიერება წარმოადგენს.

აქტივობა №2. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ რაიმე მოვლენის ან პროცესის, გეოგრაფიული ობიექტისა თუ შესწავლის საგნის კვლევისათვის საჭიროა კლასიფიკაცია და სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რის მიხედვით შეიძლება დაჯგუფოთ საქართველოს ნიადაგები?

სავარაუდო პასუხები იწერება დაფაზე. მასწავლებლის დახმარებით თანხმდებიან, რომ ნიადაგები უნდა დაჯგუფდეს აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს ნიადაგებად.

კლასი იყოფა ჯგუფებად; ეძლევათ დავალება:

1-ელი ჯგუფი ავსებს ცხრილს: **დასავლეთ საქართველოს ნიადაგები**

ნიადაგის ტიპი	გავრცელების არეალი	სამეურნეო გამოყენება

მე-2 ჯგუფი ავსებს ცხრილს: **აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები**


ნიადაგის ტიპი	გავრცელების არეალი	სამეურნეო გამოყენება

ეს ორი დავალება ნაწილდება ჯგუფებში. მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლოა, რამდენიმე ჯგუფს ჰქონდეს ერთნაირი დავალება.

აქტივობა №3. პრეზენტაციის დროს ივსება საერთო ცხრილი, რომელიც წინასწარაა დახაზული.

დასავლეთ საქართველოს ნიადაგები		აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები	
ნიადაგის ტიპი	გავრცელების არეალი	ნიადაგის ტიპი	გავრცელების არეალი

აქტივობა №4. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ შეავსონ ვენის დიაგრამა.



მოსწავლეებმა უნდა შეძლონ დაასაბუთონ, რომ: ა) დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი სარტყლების ნიადაგები უმნიშვნელოდ განსხვავდება, კლიმატური ფაქტორის გამო; ბ) რომ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ყომრალი ნიადაგები დასავლეთ საქართველოში იწყება ზ.დ-დან 600 მ-ზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ზ.დ-დან 700-1 000 მ-ზე.


აქტივობა №5.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს რესურსების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობას, ტყეების დანიშნულებას და აკეთებს ისტორიულ ექსკურსს იმის შესახებ, რომ საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი საკანონმდებლო ჩანაწერები ტყეებისა და ბუნების დაცვის შესახებ XII საუკუნით თარიღდება, როდესაც თამარ მეფემ სამეფო ბრძანება გამოსცა ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. ლეგენდის მიხედვით, სწორედ თამარის სახელთანაა დაკავშირებული უთხოვარის სახელიც. როგორც ჩანს, იმ პერიოდის საქართველოში ეს ხე იმდენად ძვირფას მცენარედ ითვლებოდა, რომ მისი მოჭრა -არმოჭრის საკითხს თვით მეფე წყვეტდა. ნიშანდობლივია, რამდენად შეუვალი იყო მეფის ნება, რომ მას „უთხოვარი“ შეარქვეს. იგი ძალიან ნელა იზრდება და ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ფანქრის დიამეტრისოდენა შეიძლება მოიმატოს. ბანარას ნაკრძალში შემორჩენილია უთხოვარი, რომლის ასაკი 1800 წლამდეა, სიმაღლე – 30 მეტრი, გარშემოწერილობა კი – 1 მეტრი და 60 სანტიმეტრი.

ქალაქ სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟის ზოგიერთ დარბაზში იატაკი სწორედ ქართული უთხოვარითაა გალამაზებული.

XVII საუკუნეში ვახტანგ VI-ის „კანონთა კრებულში“ ყოვლის ტერიტორია მოხსენიებულია, როგორც ობიექტი, რომელსაც მცველები იცავდნენ. ამ ტერიტორიაზე აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა. მთიან რეგიონებში არსებობდა მკაცრად დაცული ე.წ. „ხატის ტყეები“, სადაც ხის მოჭრა კატეგორიულად იყო აკრძალული. ასეთი ადგილები ტიპურ ნაკრძალებს წარმოადგენდა. პირველი ოფიციალური ნაკრძალი – ლაგოდეხის ნაკრძალი – დაარსდა 1912 წელს კახეთში, ლაგოდეხის ხეობაში. დღეისათვის საქართველოს დაცულ ტერიტორიებს მიეკუთვნება 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 10 ეროვნული პარკი, 24 ბუნების ძეგლი, 18 სახელმწიფო აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტი. საქართველოში დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 520 273 ჰა-ს შეადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7,46% – ია (ეს მონაცემები ცვალებადია, ნავარაუდებია დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდა 20%-მდე).

შემდეგ ლექსიკონისა და სახელმძღვანელოს ტექსტის საშუალებით მოსწავლეები ახდენენ დაცული ტერიტორიების კლასიფიკაციას და ადგენენ სქემას, რომელსაც შემდეგი სახე ექნება:



შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს ნაკრძალის პირობით ნიშანს, რომლითაც ის გამოსახულია რუკაზე. კლასი იყოფა ჯგუფებად და მოსწავლეებმა საქართველოს ფიზიკური რუკისა და გეოგრაფიული ცნობარის საშუალებით უნდა ამოიწერონ არსებული ნაკრძალები მხარეების მიხედვით და აღნიშნონ, სად რაა დაცვის ობიექტი: ბანარა – უთხოვარი, ბაბანეური – ძელქვა, მარიამჯვარი – ფიჭვნარი, სათაფლია – კარსტული მღვიმეები და ა. შ.

სასურველია ნაკრძალების განაწილება ჯგუფების მიხედვით და პრეზენტაციის მომზადება. ვადა – 10 დღე.


აქტივობა №6. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიცნობენ დაცული ტერიტორიების კლასიფიკაციას, შესაძლებელია მოეწყოს როლური თამაში. „ეკოლოგების ჯგუფები“ ნასწავლი მასალიდან მოიძიებენ ინფორმაციას და „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ექსპერტებს“ წარუდგენენ შერჩეულ ობიექტს, რომელსაც, მათი აზრით, უნდა მიენიჭოს დაცული ტერიტორიის სტატუსი ნებისმიერ კატეგორიაში. ეს შეიძლება იყოს ბუნების ძეგლი, ნაკრძალი ან ლანდშაფტი. თითოეულმა ჯგუფმა „ექსპერტთა ჯგუფს“ უნდა აუხსნას, დაუსაბუთოს და დაარწმუნოს ობიექტის მნიშვნელობაში. შეიძლება ცალკე გამოიყოს ჯგუფი, რომელიც „საზოგადოებრივ აზრს“ წარმოადგენს. „ექსპერტთა“ და „საზოგადოებრივი აზრის“ ჯგუფებს ირჩევენ მოსწავლეები.

პროექტების პრეზენტაციის შემდეგ პირველ კომენტარს აკეთებს „საზოგადოებრივი აზრის ჯგუფის“ წევრი და ასახელებს გამარჯვებულ პროექტებს. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს „ექსპერტთა ჯგუფი“, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს და არჩევს სამ ობიექტს, რომელთაც მიენიჭება დაცული ტერიტორიის სტატუსი.

როლების განაწილება შესაძლებელია კენჭისყრით, რომლის ფორმის დადგენაც მოსწავლეებთან ერთად მოხდება.


აქტივობა №7. მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: „ბუნებრივი კატასტროფები“ და სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რომელი სტიქიური მოვლენები იცინან. მათი პასუხები იწერება დაფაზე: მინისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, წყალდიდობა, ცუნამი, ტორნადო და სხვ. შემდეგ მასწავლებელი

სთხოვს მოსწავლეებს, მოახდინონ ბუნებრივი კატასტროფების კლასიფიკაცია. სასურველია კრიტერიუმები თავად ჩამოაყალიბონ. მიმართულების მისაცემად შესაძლებელია კითხვების დასმა, მაგალითად: რა მოვლენები იწვევს კატასტროფებს? და სხვ. სქემა მიიღებს შემდეგ სახეს:




აქტივობა №8.

შემდეგ მოსწავლეები იყოფიან 4-5 კაცის ჯგუფებად. მასწავლებელი აძლევს დავალებას: გამოყონ ის სტიქიური მოვლენები, რომლებიც საქართველოსთვის არის დამახასიათებელი და შეადგინონ სქემა.



სასურველია, სტიქიური მოვლენების განხილვა მოხდეს რამდენიმე გაკვეთილზე, მოცემული სქემის მიხედვით: ერთ გაკვეთილზე დაამუშაონ მასალა მოვლენებზე, რომელიც გამოწვეულია ენდოგენური ძალების მოქმედებით და დაკავშირებულია რელიეფის ფორმებთან, მეორე გაკვეთილზე განიხილონ ჰიდროლოგიური სტიქიური მოვლენები და ა. შ. ერთ ჯგუფს დავალებად ეძლევა მიწისძვრის შესახებ არსებული ტექსტის, რუკებისა და ილუსტრაციების გაანალიზება.


სამსხმარი სამშენობლის რუკა
მაკსიმალური პირბინტული აჩქარება



მეორე ჯგუფი ამუშავებს მენყერის შესახებ არსებულ მასალებს.

საქართველოს ტერიტორიის დარაიონების რუკა
მეწყრებით დაზიანებისა და საშისრობის რისკის მიხედვით

(გარემოს ეროვნული სააგენტო: ავტორი: ემ. წერეთელი)
მასშტაბი: 1:2 000 000



მესამე ჯგუფი ზვავის გავრცელების არეალებსა და გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობს.

შემდეგ გაკვეთილზე ასეთივე პრინციპით განიხილავენ სტიქიურ მოვლენებს, რომლებიც ჰიდროსფეროსთან ან ატმოსფეროსთან არის დაკავშირებული. მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ გამომწვევი მიზეზები, გავრცელების არეალები და იმსჯელონ მათი თავიდან აცილების შესაძლო ღონისძიებებზე.

აქტივობა №9. მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს გერმანელი პოეტის გოეთეს სიტყვებს და სვამს კითხვებს:

1. ეთანხმებით თუ არა მას;
2. რას გულისხმობს გოეთე „გაუგებრობაში“, რომელიც ადამიანისგან მოდის?
3. ჩამოთვალეთ ის „გაუგებრობები“ და შედეგები, რომელთაც ადამიანის მოქმედება იწვევს.

„ ... ბუნებამ არ იცის ხუმრობა. ის ყოველთვის მართალია, ყოველთვის სერიოზულია, ყოველთვის მკაცრია. შეცდომები და გაუგებრობა მხოლოდ ადამიანებისგან მოდის.“

გოეთე

შედეგი	გეო.IX.6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საქართველოში მეურნეობის სტრატეგიული დარგები და მათი განვითარების პერსპექტივები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ჩამოთვლის საქართველოს მეურნეობის სტრატეგიული დარგების (მაგალითად, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკისა და სხვ.) განვითარებისათვის საჭირო ფაქტორებს, რის საფუძველზეც აჯგუფებს დასახლებებს, რაიონებს ან რეგიონებს; • მსჯელობს საქართველოში მეურნეობის სტრატეგიული დარგების (მაგალითად, აგრობიზნესისა და სხვ.) განვითარების პერსპექტივებზე მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით; • ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს გამოყენებით ახასიათებს იმდროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის ზონალურობას და ადარებს მას თანამედროვე სურათს; • მსჯელობს საქართველოში სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების მნიშვნელობასა და განვითარების პერსპექტივაზე. კონტურულ რუკაზე აღნიშნავს მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძებსა და მაგისტრალებს; • მოიძიებს ინფორმაციას სხვადასხვა სახეობის ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებრივი გარემოსა და ინფრასტრუქტურის შესახებ. ირჩევს საქართველოს ერთ-ერთ რაიონს და წერს პროექტს ტურიზმის შესაბამისი სახეობის განვითარებაზე; • სტატისტიკური მასალის საფუძველზე იკვლევს საქართველოს სავაჭრო ბალანსის ტრანსფორმაციას XX-XXI საუკუნეების განმავლობაში და უკავშირებს მას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას; • ეცნობა მდგრადი განვითარების ეკონომიკურ თემებს, გამოყოფს მათგან საქართველოსთვის აქტუალურს და მსჯელობს გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე.
აქტივობები:	შენიშვნა

<ol style="list-style-type: none"> 1. როლური თამაში (ვიქტორინა); 2. მინი-ლექცია; 3. გონებრივი იერიში; 4. „მოზაიკა“. 	<p>მოცემული აქტივობები ხელს უწყობს წიგნიერების კომპეტენციის დაუფლებას.</p>
<p>რესურსები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დაფა და ცარცი, ტექსტი; 2. მაია ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ. 	
<p>კავშირი სხვა საგნებთან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ისტორია; 2. ქართული ლიტერატურა; 3. ბიოლოგია; 4. ფიზიკა. 	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით, არამედ ის აგრეთვე წარმოადგენს ქართული მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო შედეგს. ამიტომ კარგი იქნება, თუ მისი განხილვა და შესწავლა მოხდება ისტორიასა და ქართულ ლიტერატურასთან კავშირში.</p>	

აქტივობა № 1. კლასი იყოფა ჯგუფებად. მასწავლებელი ურიგებს ბარათებს მოსწავლეებს ჯგუფებში. თითოეულ ბარათზე წერია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის სახელი: კახეთი, თუშეთი, აჭარა, იმერეთი, გურია, ქართლი, რაჭა, ხევი, სვანეთი....მათ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-დან უნდა ამოიწერონ ინფორმაცია საკუთარი მხარის შესახებ, ამ მხარეში მდებარე ქედები, ჰიდროგრაფიული ქსელი, დასახლებული პუნქტები, მხარისთვის დამახასიათებელი ფლორა და ფაუნა, მოსახლეობის საქმიანობის სფეროები და სხვ. ჯგუფებმა არ უნდა იცოდნენ ერთმანეთის დავალება. დავალების შესასრულებლად უნდა მიეცეთ ვადა ერთი კვირიდან 10 დღემდე.

გაკვეთილზე ჩატარდება ვიქტორინა. თითოეული ჯგუფი ირჩევს ერთ წევრს, რომელიც შევა ექსპერტთა ჯგუფში. ჯგუფი დავალებას ისე წარადგენს, რომ მხარის დასახელება ტექსტიდან ამოღებული იქნება. დანარჩენი ჯგუფები ცდილობენ გამოიცნონ, რომელ მხარეს ახასიათებს ასე ვახუშტი. ტექსტს ანაწევრებენ – ჯერ კითხულობენ გეოგრაფიულ მდებარეობას, თუ ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ გამოიცნო, შემდეგ გადადიან მეორე ნაწილზე და ა. შ. ექსპერტთა ჯგუფი აკეთებს შეფასებას. ისინი აფიქსირებენ ჯგუფების სწორ პასუხებს ეტაპების მიხედვით, ანუ რომელმა ჯგუფმა რა ეტაპზე გამოიცნო ესა თუ ის მხარე.

„...ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად – საქართველო, მეორედ –ივერია, მესამედ – გეორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე და, სადა აშენა, უწო-

და სახელითა თვისითა ქართლი და მის გამო მორჩილთა ანუ წილხდომილთა მისთა ეწოდა საქართველო... ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა, და რუსნი გრუსსა და მოჰმადიანნი დურჯსა მათითა ორფოლრაფიის გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს.

...და მდებარეობს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის. გარნა არს ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ, და არა ხელოვნებითა კაცთათა...

კვალად ჰყოფენ აბრეშუმსა, კვალად ბანბას სთესენ, ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი,... სავარდეთა ყვავილნი მრავალნი,...არამედ პირუტყვიცა მრავალნი...

...ხოლო არს მთანი და ტყენი აურაცხელითა ყვავილითა, მწვანითა და სურნელითა აღსავსე, ხენი სხვადასხვა ხითა შვენიერითა ჭალათა და მათათა შინა. კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი შავი ზღვიდამ – ვიდრე კასპიამდე...ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი და შორის მთისა ამის სცხოვრობენ კაცნი...

ხოლო კაცნი ამის ქვეყნისა არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი...ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვიათ შავგვრემან და მოყვითან, იშვიათ თვალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშვეებული და დანწული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი; წერწენნი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლალნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთ მოყვარენი..."

ეს არის შემოკლებული ტექსტის მაგალითი, რომლის მიხედვითაც ჯგუფებმა უნდა გამოიცნონ, რომ აქ ვახუშტი ზოგადად საქართველოს ახასიათებს.

მას შემდეგ, რაც ვიქტორინა დამთავრდება, თითოეული ჯგუფი მოაწყობს პრეზენტაციას და წარმოადგენს საკუთარი მხარის ვახუშტისეულ აღწერას. შესაძლებელია სლაიდშოუების წარმოდგენაც.

აქტივობა №2. სამედიცინო გეოგრაფია — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის დაავადებათა და პათოლოგიურ მდგომარეობათა სივრცობრივ გავრცელებას, გავრცელების მიზეზებსა და გეოგრაფიული გარემოს გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. სამედიცინო გეოგრაფია ვითარდება გეოგრაფიის, სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კვალად, მჭიდროდ უკავშირდება ეკოლოგიას, ეპიდემიოლოგიას, ჰიგიენას, ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას.

სამედიცინო გეოგრაფიის ცნება დაკავშირებულია იტალიელი მეცნიერის ბერნარდინო რამაცინის სახელთან (XVII ს.). სამედიცინო გეოგრაფია, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბებას იწყებს XIX ს-ის მეორე ნახევარში. ის შეისწავლის ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსთა ზემოქმედებას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე (კომპონენტური სამედიცინო გეოგრაფია, სამედიცინო ლანდშაფტმცოდნეობა, სამედიცინო-გეოგრაფიული ქვეყანათმცოდნეობა), გარემოს ზემო-


ქმედებას დაავადებათა გავრცელების საზღვრებსა და არეალების სტრუქტურაზე (ნოზოგეოგრაფია), ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობას შორის არსებული კავშირების ტერიტორიულ არაერთგვაროვნებას (სამედიცინო-გეოგრაფიული დარაიონება); შეიმუშავენ სამედიცინო-გეოგრაფიული რუკების შედგენის პრინციპებსა და მეთოდებს.

სამედიცინო გეოგრაფია აქტიურად მონაწილეობს პრობლემის – „ადამიანი და ბიოსფერო“ – შესწავლაში. სამედიცინო-გეოგრაფიული კვლევა საშუალებას იძლევა სხვადასხვა ტერიტორიისათვის წინასწარ განვსაზღვროთ გარემოს გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილი ახალი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ხასიათი და შედეგები.


სამედიცინო-გეოგრაფიული კვლევის ორგანიზაციას ახორციელებს საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის სამედიცინო-გეოგრაფიული კომისია. სამედიცინო-გეოგრაფიული კვლევა წარმოებს მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტში, შორეული აღმოსავლეთის გეოგრაფიის ინსტიტუტში (ირკუტსკი) და სხვ. სამედიცინო-გეოგრაფიული გამოკვლევები ტარდებოდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტშიც.

საქართველოში სამედიცინო-გეოგრაფიული კვლევის პირველი მცდელობებს ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ჰქონდა ადგილი (კარაბადინები). პირველი მეცნიერული სამედიცინო-გეოგრაფიული კვლევა საქართველოში ჩაატარა მ. ტოროპოვმა (1864 წ.). 1962 წელს თბილისში, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით, შეიქმნა სამედიცინო გეოგრაფიის სექცია, რომელიც კოორდინაციას უწევდა რესპუბლიკის სამედიცინო და გეოგრაფიულ დაწესებულებებში მიმდინარე სამედიცინო-გეოგრაფიული მიმართულების სამუშაოებს.

მწვავე ინფექციური დაავადების – A ჰეპატიტის გლობალური გავრცელების რუკა (2005)



აქტივობა № 3. მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: „მდგრადი განვითარება“ და სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან თავისი აზრი ამ სიტყვების მნიშვნელობაზე, მდგრადი განვითარების პრინციპებსა და მიზნებზე. ყველა იდეა ფიქსირდება დაფაზე. შემდეგ ხდება იდეების დაჯგუფება მსგავსების მიხედვით, გაერთიანება და გაცხრილვა. მოსწავლეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მდგრადი განვითარება არის სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროს თანაკვეთის ადგილი.



აქტივობა № 4. „მოზაიკა“. კლასი იყოფა ხუთკაციან ჯგუფებად. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა მასალა, რომელიც ერთი მთლიანი ინფორმაციის, ამ შემთხვევაში, მდგრადი განვითარების გარკვეულ ნაწილს შეადგენს და აქვს შესაბამისი რიგითი ნომერი (მაგ., 1, 2, 3, 4, 5). მოსწავლე ინდივიდუალურად დაამუშავებს ამ ტექსტს. მისი ამოცანაა, ისე შეისწავლოს იგი, რომ შეძლოს მიღებული ინფორმაცია სხვებსაც გადასცეს. ტექსტი „მდგრადი განვითარება“ გაყავით ხუთ ნაწილად: I ნაწილი – მდგრადი განვითარების ზოგადი განმარტებები; II ნაწილი – მდგრადი განვითარების პრინციპები; III ნაწილი – მდგრადი განვითარების არსი; IV ნაწილი – მდგრადი განვითარების მიზნები ; V ნაწილი – ეკოლოგიური პრობლემები და მდგრადი განვითარების ეფექტი. ტექსტის განაწილების შემდეგ ხდება ე. წ. „ექსპერტთა ჯგუფების“ ჩამოყალიბება.

მოსწავლეები, რომლებიც ამუშავებენ N1 ინფორმაციას, ერთიანდებიან მაგიდის ირგვლივ, რომლის ნომერია 1; ვინც ამუშავებს N2 ინფორმაციას, იკრიბება მეორე მაგიდასთან და ა. შ. აქედან გამომდინარე, თითოეული მაგიდის ირგვლივ აღმოჩნდებიან ერთი და იმავე ინფორმაციის მქონე მოსწავლეები ყველა ჯგუფიდან, რომლებიც შემდეგ გახდებიან ე. წ. „ინფორმაციის ექსპერტები“. ისინი ერთად კითხულობენ და კიდევ ერთხელ სწავლობენ საერთო მასალას, ასრულებენ შესაბამის დავალებებს, რომლებიც მითითებულია ტექსტში, ამავდროულად, ეძებენ ამ მასალის სხვებისთვის გადაცემის საუკეთესო და ეფექტურ გზებსა და მეთოდებს. მაგალითად, წერენ გეგმას, ხაზავენ სქემებს და სხვ. ტექსტის კიდევ ერთხელ გაანალიზებისა და დავალებების შესრულების შემდეგ ისინი ბრუნდებიან თავიანთ ძირითად ჯგუფებში და რიგითობის დაცვით (ჯერ ყვება I ნომერი, შემდეგ II და ა. შ.) თავიანთ მასალას ერთმანეთს წარუდგენენ. ჯგუფის მიზანია მისმა ყველა წევრმა სრულყოფილად აითვისოს თითოეული

ნევრის – „ექსპერტის“– მიერ დამუშავებული მასალა, გამოყოს მათგან საქართველოსთვის აქტუალური თემები და იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ როგორც ეკონომიკა და საზოგადოება განიცდის გარემოს ზეგავლენას, ასევე საზოგადოება, თავისი საქმიანობით, ზეგავლენას ახდენს გარემოზე.



ბარათი 1 – მდგრადი განვითარების ზოგადი განმარტებები:

- 1) საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას – ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.
- 2) მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა (1995 წ.) საზი გაუსვა სოციალური სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას.
- 3) ბიოლოგიური რესურსების ისეთი გზითა და სისწრაფით გამოყენება, რომელიც მომავალში არ გამოიწვევს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირებას და მას მომავალი თაობები საჭიროებების გათვალისწინებით შეინარჩუნებენ.

ბარათი 2- მდგრადი განვითარების პრინციპები

მდგრადი განვითარების კონცეფცია უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- 1) მაქსიმალური ეფექტურობით იქნეს გამოყენებული ბუნებრივი რესურსები გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიუყენებლად;
- 2) ცოცხალი რესურსებით საგებლობისას არ მიადგეს ზიანი ბიომრავალფეროვნებას და დასახული იქნეს მისი აღწარმოებისა და გამრავალფეროვნების გზები;

- 3) მოიცავდეს რესურსების მართვის პრინციპების განვითარებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება სამომავლო რისკები;
- 4) არსებული რესურსების ბაზაზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება;
- 5) ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ მთავარი პრიორიტეტების გამოყოფა და სრულყოფა;
- 6) ტრადიციული ენერგორესურსების ენერგოგანახლებადი რესურსებით ჩანაცვლება შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარების გზით. მდგრადი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად სწორედ განახლებადი ენერგეტიკა უნდა იქნეს მიჩნეული;
- 7) ბუნებრივი რესურსების კონსერვაციისა და გამოყენების ჰარმონიზაცია.

ბარათი 3 - მდგრადი განვითარების არსი.

რესურსების გონივრული გამოყენება, რომლის დროსაც, ადამიანის დღევანდელი საჭიროებების დაკმაყოფილებასთან ერთად, გათვალისწინებულია ისეთი გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, რომ მომავალ თაობებსაც, იმავე საჭიროებების შემთხვევაში, შეეძლოთ მათი დაკმაყოფილება.

აღნიშნული განმარტება ბრუნდტლანდის კომისიის (Brundtland Commission) მიერ გამოიყენებოდა და ტერმინ „მდგრადი განვითარების“ ყველაზე ხშირად ციტირებული განსაზღვრება გახდა: „აკმაყოფილებს დღევანდელი საჭიროებებს, მომავალი თაობების უნარიანობის კომპრომისის გარეშე, რათა დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები“. მდგრადი განვითარება მოიცავს ბუნებრივი ეკოსისტემის პროდუქტიულობაზე ზრუნვას, კაცობრიობის სოციალურ გამონვევასთან ერთად. 1970-იან წლებში ტერმინი „მდგრადობა“ გამოიყენებოდა იმისათვის, რომ აღენერათ ეკონომიკა „ძირითადი ეკოლოგიური უზრუნველყოფის სისტემებთან თანაფარდობაში“. ეკოლოგები მიუთითებდნენ სახელმძღვანელოს – „The Limits To Growth“ და წარმოადგენდნენ „მყარი მდგომარეობის ეკონომიკის“ ალტერნატივას, რათა ყურადღება მიექციათ გარემოზე ზრუნვისათვის. მდგრადი განვითარების სფერო კონცეპტუალურად შეიძლება დაიყოს სამ შემადგენელ ნაწილად: ეკოლოგიური მდგრადობა, ეკონომიკური მდგრადობა და სოციოპოლიტიკური მდგრადობა.

ბარათი 4 – მდგრადი განვითარების მიზნები

მდგრადი განვითარების მიზნები შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად:

- 1) ბუნების ცოცხალი რესურსების გამოყენება, თუ ის მდგრადია, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის, რადგან ამგვარი გამოყენებით მიღებული სოციალური და ეკონომიკური სარგებელი მნიშვნელოვანი სტიმულია ადამიანებისთვის ბუნების დასაცავად;
- 2) ცოცხალი რესურსებით სარგებლობისას ადამიანები ზრუნავენ, რომ შეამცირონ ბიომრავალფეროვნების განადგურება;
- 3) მდგრადი განვითარება მოიცავს ამ ბუნებრივი რესურსების მართვის პრინციპების განვითარებას;
- 4) მართვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს რისკები;

5) დღევანდელი მოთხოვნები ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს;

სეგრეგაცია – დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა; ნიშნავს კანონის ან წეს-ჩვეულების საფუძველზე ეთნიკური ჯგუფების განცალკევებას. ევროპაში არსებობდა სეგრეგაციის ოფიციალური ფორმები; მაგალითად, ოდესლაც ებრაელები გეტოებში იყვნენ იზოლირებულნი. ამჟამად ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ბევრ ბოშას მტრული მოპყრობით ან ეკონომიკური სეგრეგაციით აიძულებენ, ცალკე თემებად იცხოვრონ.

ბარათი 5 – ეკოლოგიური პრობლემები და მდგრადი განვითარების ეფექტი

ახლო მომავალში, ტრანსპორტის სანვავად წყალბადის გამოყენება შესაძლებელია იქცეს დიდი ქალაქების უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემის – გარემოს, პირველ რიგში კი საჰაერო აუზის, დაბინძურების – გადაწყვეტის გზად. საკმაოდ იაფი წყალბადის სანარმოებლად, რომელიც გამოყენებული იქნება სანვავად, აუცილებელია იაფი ელექტროენერჯის წყარო. ეკოლოგიურად სუფთა, განახლებადი მზის სხივების ენერჯია დედამიწის ზედაპირზე 1 კვტ/კვ. მ. სიმკვრივით აღწევს. გარდა იმისა, რომ ეს არის დედამიწაზე სიცოცხლის წყარო, წყლისა და ქარის ეკოლოგიურად სუფთა ენერჯიები მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გარდაქმნით არის წარმოქმნილი. აღნიშნული ენერჯიის აკუმულირებასა და ფართომასშტაბიან გამოყენებას ელექტროენერჯისა და ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის სანვავის სახით მთლიანად შეუძლია კაცობრიობის მზარდი ენერჯეტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილება. წყალბადის წარმოება შესაძლებელია წყლის თერმული დაშლის გზით, რისთვისაც სითბოს წყაროდ მზის ენერჯია შეიძლება იქნეს გამოყენებული. სითბოს მიღება სარკეებისა და კონცენტრატების დახმარებით გაცილებით უფრო იაფი და ეფექტურია, ვიდრე ელექტროენერჯის მიღება ნახევარგამტარული გარდამქმნელების საშუალებით. წყლის თერმოქიმიური დაშლა და ამ გზით წყალბადის მიღება ეკონომიკური თვალსაზრისით საბოლოოდ ბევრად უფრო ხელსაყრელი შეიძლება აღმოჩნდეს.


შედეგი	გეო. IX.7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საქართველოს ადგილი მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ილუსტრაციების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავენ ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელ საკუთარ კრიტერიუმებს (სამუშაო ადგილები, სავაჭრო ობიექტები, საშუალო ხელფასი, ტრანსპორტი, საცხოვრებელი) და ასაბუთებს თავის მოსაზრებებს; • ჰუმანური განვითარების ინდექსის რუკის საშუალებით ადარებს სხვა ქვეყნებსა და საქართველოს; მსჯელობს ამ კლასიფიკაციის თავისებურებაზე; ადგენს შესაბამის ნახაზს/ცხრილს;

	<ul style="list-style-type: none"> • მსჯელობს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სხვადასხვა სფეროში ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ და შედეგებს გამოხატავს სასურველი ფორმით.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. ასოციაციური რუკის შედგენა; 2. მინი-ლექცია; 3. გეოგრაფიული ინფორმაციის წაკითხვა და ანალიზი; 4. დისკუსია. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს ნიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>
<p>რესურსები: დაფა და ცარცი, ჰუმანური განვითარების ინდექსის რუკა; მათა ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ.</p>	
<p>კავშირი სხვა საგნებთან:</p>	
<p>რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:</p>	

აქტივობა № 1. მასწავლებელი სვამს კითხვას: რა ნიშნებით შეიძლება განისაზღვროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება?

მოსწავლეები იხსენებენ სხვადასხვა კრიტერიუმს: მთლიანი შიდა პროდუქტი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე და ა. შ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, რა არის ჰუმანური (ადამიანის, საზოგადოების) განვითარების ინდექსი და რა კრიტერიუმებს ეყრდნობა იგი. ვარაუდები იწერება დაფაზე და ივსება სქემა:



აქტივობა № 2.

ადამიანის განვითარების ინდექსი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის მისი განვითარების ინდიკატორს წარმოადგენს. ის მოიცავს ამ განვითარების ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ადამიანის განვითარების ინდექსი გაეროს მიერ აღიარებულია ადამიანური განვითარების განმსაზღვრელ სტანდარტულ საშუალებად. ადამიანის განვითარების ინდექსის მთავარი დანიშნულებაა, განსაზღვროს ქვეყნის ადამიანური განვითარების დონე, რაც, ამავდროულად, განსაზღვრავს ამ ქვეყნის ადგილს განვითარებულ ან განვითარებად ქვეყნებს შორის. ზოგადად, „ჰუმანური განვითარება“ – ესაა კონცეფცია, რომელიც „გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის“ (UNDP) მიხედვით ეხება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესს, შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, განათლების მიღებისთვის უკეთესი პირობების შექმნას, ჯანდაცვასა და ა. შ.


ეს ინდექსი 1980 წელს შეიმუშავეს პაკისტანელმა ეკონომისტმა – მაჰბუბ ელ ჰაქმა და სერ რიჩარდ ჯოლიმ. მას შემდეგ „გაეროს განვითარების პროგრამა“ თავის ყოველწლიურ „ადამიანური განვითარების ანგარიშში“ ამ ინდექსს იყენებს.

ადამიანის განვითარების ინდექსი სამი კრიტერიუმისგან შედგება და გვიჩვენებს, ამ კრიტერიუმების მიხედვით განვითარების რა საფეხურზეა ესა თუ ის ქვეყანა. ინდექსი იცვლება 0-დან 1-მდე.

აქტივობა № 3. მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დავალებას:

1. რუკის მიხედვით დააჯგუფონ ქვეყნები სამ ნაწილად: ა) მაღალი ადამიანური განვითარების ინდექსის მქონე, ბ) საშუალო ადამიანური განვითარების ინდექსის მქონე, გ) დაბალი ადამიანური განვითარების ინდექსის მქონე ქვეყნებად;
2. დაადგინონ, როგორია საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი;
3. დაადგინონ, მსოფლიოს რომელ ქვეყნებს აქვს ანალოგიური მაჩვენებელი;
4. თითოეულმა ჯგუფმა შეიმუშაოს საკუთარი კრიტერიუმები ქვეყნის განვითარების დასადგენად.

ადამიანის განვითარების ინდექსი მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით



აქტივობა № 4. პრეზენტაციის დროს სასურველია გაიმართოს მინი-დისკუსია, რადგან საკუთარი კრიტერიუმების მნიშვნელობის დასაბუთების დროს აუცილებლად გამოჩნდებიან ოპონენტები.

მიმართულება: გარემო და სოციალური სისტემები

შედეგი	გეო. IX.8. მოსწავლეს შეუძლია მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლებისა და დინამიკური მახასიათებლების დაკავშირება ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობასთან.
	<ul style="list-style-type: none"> • სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მსჯელობს საქართველოს მოსახლეობის დინამიკის, განსახლებისა და სიმჭიდროვის შესახებ; აკავშირებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან; • ახასიათებს საქართველოში მოსახლეობის აღწერის ტრადიციებს (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, რუსეთის იმპერიის აღწერები, სსრკ-ის მოსახლეობის საყოველთაო აღწერები, დამოუკიდებელი საქართველოს 2002 წ. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა); ადარებს მათ სხვა ქვეყნების ანალოგიურ გამოცდილებას და მსჯელობს მათ საიმედოობაზე; • აანალიზებს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ პერსპექტივას; სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ადგენს სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებს და ადარებს აღწარმოების სხვადასხვა ტიპის მქონე ქვეყნების ანალოგებს;

ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე ადარებს საქართველოს ორ კონტრასტულ რეგიონში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას; მსჯელობს შექმნილი ვითარების გამომწვევ მიზეზებსა და სიტუაციის გაუმჯობესების გზებზე; • მოიპოვებს ინფორმაციას და მსჯელობს სხვადასხვა ქვეყანაში გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ; გამოთქვამს ვარაუდს საქართველოში შესაძლო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების თაობაზე.
აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. კითხვა- პასუხი; 2. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის აგება; 3. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა; 4. პრეზენტაცია; 5. გეოგრაფიული ანალიზი. 6. გეოგრაფიულ საშუალებებზე მუშაობა. 	<p>აქტივობები ხელს უწყობს ნიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციების დაუფლებას.</p>
რესურსები: <ol style="list-style-type: none"> 1. დაფა და ცარცი, სახელმძღვანელო, ფორმატის ქალაქი; 2. რუკა – მსოფლიოს ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით; 3. მაია ბლიაძე, დავით კერესელიძე – გეოგრაფია, ლექსიკონი+ცნობარი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011წ. 	
კავშირი სხვა საგნებთან:	
რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: ამ აქტივობებით მოსწავლე გაივლის ბლუმის ტაქსონომიის ყველა დონეს.	

აქტივობა № 1.

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებლებს სხვადასხვა წლებში (საკმარისია ორი მაჩვენებელიც). მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აღნიშნავენ რაოდენობის ცვლილებას, მასწავლებელი სვამს კითხვას:

1. როგორ ფიქრობთ, რატომ იცვლება მოსახლეობის რაოდენობა?
2. რა ახდენს გავლენას მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაზე?

აქტივობა № 2.

თემის განხილვამდე მასწავლებელს შეუძლია ჯგუფებს დაავალოს, გაიგონ სხვა კლასების მოსწავლეთა რაოდენობა და დააჯგუფონ ვაჟები და გოგონები ცალ-ცალკე. სასურველია, ინფორმაცია მოიპოვონ არა პარალელური, არამედ სხვა, განსხვავებული კლასებიდან (მაგალითად, მე-6, მე-7, მე-8 კლასებიდან); ერთი ჯგუფი იმუშავეს მე-7 კლასის ინფორმაციაზე, მეორე – მე-8 კლასის და ა.შ.

გაკვეთილზე მონაცემები ცხრილის სახით უნდა წარმოადგინონ – ფორმატის ქალაქზე, რომელზეც წინასწარ იქნება დახაზული საკოორდინატო

სიბრტყე, თითოეული ჯგუფი გადაიტანს თავის მონაცემებს. მოსწავლეები თავად აგებენ სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას. ბუნებრივია, ამ ინფორმაციის საფუძველზე მხოლოდ სქემატური ნახაზის შედგენაა შესაძლებელი.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაადგინონ კავშირი ბუნებრივ მატებასა და სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას შორის.

აქტივობა № 3.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავად ააგებენ სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას, უკეთ გააანალიზებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ნახაზებსა და დემოგრაფიულ პირამიდებს. თითოეულ ჯგუფს ეძლევა ერთი პირამიდა; ისინი უნდა გაეცნონ და აღწერონ 1989 და 1999 წლების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდები და დაადგინონ:

1. როგორ იცვლება ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა წლების მიხედვით;
2. ჩამოთვალონ მიზეზები, რომელთა გამო ქალთა რაოდენობა აჭარბებს მამაკაცთა რაოდენობას.

აქტივობა № 4.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევრებს და გამოაქვთ დასკვნა, რომ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციას.

აქტივობა № 5. მასწავლებელი გეოგრაფიული ცნობარიდან მოსწავლეებს აწვდის ორი კონტრასტული რეგიონის დემოგრაფიულ მონაცემებს. მათ უნდა შეადარონ ეს მონაცემები და გამოიტანონ დასკვნა, რა ფაქტორები ახდენს გავლენას ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებაზე. რეგიონებს ირჩევენ თავად მოსწავლეები.


აქტივობა № 6.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გეოგრაფიულ ლექსიკონში მოძებნონ დემოგრაფიული პოლიტიკის განმარტება; შემდეგ გაეცნონ რუკას – „მსოფლიოს ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით“ – და გამოთქვან მოსაზრება, რომელ ქვეყანაში როგორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება იქნებოდა სასურველი და რატომ, ასევე იმსჯელონ:

1. როგორ დემოგრაფიულ პოლიტიკას გაატარებდნენ საქართველოში;
2. რა ღონისძიებებს დაგეგმავდნენ არჩეული პოლიტიკის გასატარებლად.

დავალებას ასრულებენ ჯგუფებში. სამუშაო საინტერესო და სახალისო რომ იყოს, შესაძლებელია დავალებას „კანონპროექტის“ სახე მიეცეს. ჩასატარებელი ღონისძიებები პუნქტების (მუხლების) სახით ჩამოაყალიბონ. პრეზენტაციის დროს შემუშავდება ერთიანი „კანონპროექტი“.

მსოფლიოს ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით




შედეგი	გეო. IX.9. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციისა და ურბანიზაციის პროცესები და გამოთქვას სამომავლო ვარაუდები.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • მსჯელობს საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების გამომწვევ მიზეზებზე, ნაკადებზე, სიხშირეზე და უკავშირებს მათ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს; • კლასში ჯგუფური მუშაობისას შემუშავებული სოციოლოგიური გამოკვლევის ანკეტის საფუძველზე ატარებს გამოკითხვას (კლასში, სკოლაში, ახლობლებსა და მეზობლებს შორის); მსჯელობს საქართველოში მიგრაციული პროცესების განვითარებაზე და შედეგებს წარადგენს კლასის წინაშე; • მოიპოვებს ინფორმაციას სამხედრო კონფლიქტებისა და სტიქიური მოვლენების მიზეზით იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ და მსჯელობს წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებზე, გამოთქვამს მოსაზრებებს პრობლემის დარეგულირების შესაძლო გზებზე; • მსჯელობს ურბანიზაციის ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებზე და მათთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებზე; პრობლემებს აჯგუფებს ცხრილში; • იკვლევს ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად საქართველოში დასახლებების ფუნქციის დაკარგვა / შექენის შედეგად წარმოქმნილ სოციალურ პრობლემებს და შედეგებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით (ცხრილი, სქემა. . .); • ირჩევს საქართველოს ერთ-ერთ ქალაქს და ქმნის მისი პერსპექტიული განვითარების მარტივ მოდელს;

	<ul style="list-style-type: none"> • აანალიზებს საქართველოს დასახლებათა ტიპებს, სიდიდეს, ფუნქციას და ადარებს მათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონტრასტულ ანალოგებს; შედეგებს წარმოადგენს მისთვის სასურველი ფორმით (ვერბალური, წერილობითი, ნახატის სახით); • გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საქართველოში შიდა და გარე მიგრაციული პროცესებით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე და მსჯელობს სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე.
აქტივობები: 1. ასოციაციური რუკის შედგენა; 2. ტექსტზე მუშაობა, T სქემის შედგენა და კონტურული რუკის შევსება; 3. გეოგრაფიული საშუალებების ანალიზი (SWOT ანალიზი); 4. რუკაზე მუშაობა.	შენიშვნა მოცემულ თემაზე მუშაობა ითვალისწინებს ორ ძირითად მომენტს: ა) მოსწავლეთა დამოკიდებულების გამოვლენას აღნიშნული პრობლემის მიმართ; ბ) მაგალითების მოყვანას.
რესურსები: ტექსტები მოსახლეობის მიგრაციაზე	
კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია	
რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის: SWOT ანალიზის სქემის შედგენა კარგი აქტივობაა ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონის – შეფასების მისაღწევად.	

აქტივობა № 1.

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „მიგრაცია“ და მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან მის შესახებ. პასუხებით ივსება ასოციაციური სქემა:



მოსწავლეები მსჯელობენ მიგრაციის სახეთა განმარტებასა და გამომწვევ მიზეზებზე.

აქტივობა № 2.

კლასი იყოფა ჯგუფებად (4–5 ჯგუფი). მასწავლებელი თითოეულ მათგანს ურიგებს წყაროსა და საქართველოს კონტურულ რუკებს. მათ უნდა დაადგინონ ეთნიკური უმცირესობების გადმოსახლების მიზეზები და კონტურულ რუკაზე აღნიშნონ მათი კომპაქტურად დასახლების ადგილები.

I ჯგუფი: საქართველოში მცხოვრები **აზერბაიჯანელების** წინაპრები თითქმის მთლიანად სპარსეთიდან და თურქეთიდან მოვიდნენ გვიან ფეოდალურ ეპოქაში. მათი ჩამოსახლება გარე აგრესიული ძალების სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და მიზნად ისახავდა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციების კოლონიზაციას.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: როდესაც შაჰ-აბასმა წაართვა აღჯაყალად ნოდებულის ციხე (თეთრი ციხე) მეფე გიორგის (1600-1605 წწ.), „მან მოიყვანა ელინი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“. იმავე შაჰ-აბასმა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ათეულ ათასობით ქართველი გადაასახლა კახეთიდან სპარსეთში. სხვადასხვა ხასიათის სამხედრო-პოლიტიკური აქციების შედეგად იშვიათი როდი იყო საქართველოს ტერიტორიაზე არაქართველთა ჩამოსახლების შემთხვევები. მოსულთა ნაწილი ითქვიფებოდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში და განიცდიდა ასიმილაციას, ნაწილი კი ინარჩუნებდა თავის ეროვნებას. აზერბაიჯანელები ისლამის მიმდევრები არიან.

II ჯგუფი: როგორც ისტორიოგრაფიდანაა ცნობილი, საქართველოში **სომხების** დასახლება ძირითადად XVI საუკუნიდან იწყება. ეს ის პერიოდია, როცა მტრისაგან შევიწროებული სომხობა სამშობლოს ტოვებდა და უცხო ქვეყნებს აფარებდა თავს. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, – საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა, – და თანაც საქართველოში შემოხიზნულ სომხებს სულ უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ... სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოხიზნებოდნენ ხოლმე სწორედ ქვემო ქართლში“. სომხები გრიგორიანელები არიან.

III ჯგუფი: ძველი ქართული საისტორიო ნაწარმოებები **ებრაელთა** პირველი ტალღის გამოჩენას უკავშირებენ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობასა და განადგურებას. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ამ მეფემ დაანგრია და გაანადგურა იერუსალიმი და სწორედ მის მიერ დევნილი ებრაელები მოვიდნენ ქართლში. იერუსალიმის დაცემა მოხდა ძვ.წ. 586 წელს. ეს ის დროა, როდესაც ებრაელი დევნილები შემოვიდნენ ქართლში. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ იმიგრანტებმა თხოვნით მიმართეს მცხეთის

გამგებელს, მიეცა მათთვის დასახლების უფლება, რისთვისაც შესაბამის თანხას გადაიხდიდნენ. მცხეთის გამგებელმა გაუნოდა დახმარების ხელი ამ უმწეო ლტოლვილებს და „გამოჰყო მათთვის მდინარე არაგვის სანაპიროს ნაწილი, რომელსაც ერქვა ზანავი და გახდა მათი მიწა“. მოგვიანებით ეს ებრაელები ამ ადგილიდან სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში გადავიდნენ, რომლებიც სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ებრაელთა ამ დასახლებას მცხეთაში ათარილებს ძვ.წ. 169 წლით. ებრაელები იუდაიზმის მიმდევრები არიან.

IV ჯგუფი: XIX საუკუნის დასაწყისში **გერმანიაში** აღმოცენდა სექტანტური მოძრაობა, ე.წ. „სეპარატიზმი“. ხელისუფლების დევნამ სექტანტები აიძულა, ამერიკასა და რუსეთში გადასახლებულიყვნენ. აღნიშნული მოძრაობა უფრო მეტად შესამჩნევი გახდა ვიურტემბერგში, ბავარიასა და შვეიცარიაში, რასაც ხელი შეუწყო იმ დროს ცნობილი მქადაგებლების – ბენგელისა და შტილინგის – გავლენამ. ისინი წინასწარმეტყველებდნენ სამყაროს დასასრულის მოახლოებას და არწმუნებდნენ „სეპარატისტებს“, თავის გადარჩენა სამშობლოს გარეთ, კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს ეძებნათ. შემინებულმა სექტანტებმა კავკასიაში საგანგებო მისიით გამოგზავნეს მზვერავები – ადგილის დასათვალიერებლად და კოლონიზაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შესარჩევად. რუსეთის ხელისუფლება დათანხმდა გერმანელების ჩამოსახლებას მათთვის სასურველ ადგილზე.

ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, გერმანელთა კოლონიზაციას ცარიზმი ხელს უწყობდა პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებით. ეკონომიკური პოზიცია იგივე იყო, რაც რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეების კოლონიზაციისა: დაუსახლებელი ადგილების ათვისება და ეკონომიკის გამოცოცხლება.

V ჯგუფი: ქართული წყაროები ხშირად მოიხსენიებს **ალანებს**, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილოეთით, ოსების ან ოგსების სახელით. ამ წყაროებში მათი ხშირად ხსენება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს სახელმწიფოს დასაბამიდანვე მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ალანებთან. ეს დიდი ტომობრივი ჯგუფი, რომელიც მიეკუთვნება ირანელთა ჩრდილოურ შტოს, ჩვ.წ. 50 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა არალის ტბასა და კავკასიას შორის მდებარე ტერიტორიაზე. ევროპაში ჰუნების შეჭრის შემდეგ ზოგიერთი ალანური ტომი დასავლეთში გადავიდა, დანარჩენები კი კავკასიაში დარჩნენ. ამრიგად, ოსები არიან ირანული მოდგმის ანტიკური ალანური ტომების შთამომავლები. ზოგიერთი მათგანი ქრისტიანული სარწმუნოებისაა, ხოლო ნაწილი (ჩრდილო ოსეთის ცენტრალურ რაიონებში) მუსლიმანია.

XVII საუკუნეში ქართველი წარჩინებულები დაინტერესებული იყვნენ ჩრდილო კავკასიიდან შეეძინათ ოსი მოსამსახურეები. სწორედ იმ დროს ოსებმა ლეგალურად დაიწყეს მიგრაცია ჩრდილოეთ საქართველოს მთიან ნაწილებში. მოგვიანებით, არაგვის, ქსნისა და რაჭის სამთავროებში, სამაჩაბლოსა და სანერეთლოს ზოგიერთ ტერიტორიაზე ნაწილობრივ ბინადრობდა ოსური მოსახლეობა.

შესაძლებელია მიგრაციის გამომწვევი მიზეზების დადგენისას მოვიყვანოთ სხვა წყაროები, სადაც განხილული იქნება ეკოლოგიური და ბუნებრივი პირობები, ომები.

აქტივობა №3.

კლასი იყოფა ჯგუფებად. ერთი ჯგუფი განიხილავს ემიგრაციის სტატისტიკურ მონაცემებს და ადგენს მის დადებით და უარყოფით შედეგებს (იყენებს T სქემას).

მე-2 ჯგუფი ადგენს T სქემას იმიგრაციის პროცესზე.

მე-3 ჯგუფი განიხილავს დევნილთა და ლტოლვილთა პრობლემებს (ადგენს T სქემას).

მე-4 ჯგუფი განიხილავს შიდა მიგრაციებს.

დადებითი	უარყოფითი


პრევენტაციის დროს თითოეული ჯგუფი ავსებს SWOT ანალიზის სქემას, რომელიც დაფაზეა დახაზული. მათ უნდა განსაზღვრონ მიგრაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, საფრთხე და შესაძლებლობა; იმსჯელონ თითოეულ მათგანზე და შეძლონ სუსტი მხარის ძლიერში გადაყვანა და საფრთხის შესაძლებლობად გადაქცევა.

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
საფრთხე	შესაძლებლობა

SWOT ანალიზის სქემის შევსების შემდეგ ჯგუფებს კლავ ეძლევათ დავალება: მათ უნდა მოიფიქრონ და ჩამოაყალიბონ, მათი აზრით, როგორ შეიძლება მიგრაციის პროცესის გამოყენება ქვეყნის განვითარებისათვის ისე, რომ მისი უარყოფითი გავლენა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

აქტივობა № 4.

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „ქალაქი“ და სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ქალაქის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.




მოსწავლეები გამოთქვამენ უამრავ მოსაზრებას, იდეას, რომელთაც მასწავლებელი დაფაზე აფიქსირებს. შემდეგ მოსწავლეები აფასებენ იდეებს და ტოვებენ ქალაქის განმარტების კრიტერიუმებს.

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს საქართველოს ქალაქების რუკას, ცხრილს – „საქართველოს ქალაქები“. კლასი იყოფა ჯგუფებად და ინერენ ქალაქებს მხარეების მიხედვით. კლასში მოსწავლეთა და, აქედან გამომდინარე, ჯგუფების რაოდენობის მიხედვით, ნაწილდება მხარეები. თითოეულ ჯგუფს შეიძლება შეხვდეს 2 ან 3 მხარე.

ჯგუფებმა ქალაქები უნდა დააჯგუფონ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და გამოყონ მხარე, რომელიც მეტად არის ურბანიზებული. პრეზენტაციის დროს აჯერებენ საკუთარ მონაცემებს და გამოყოფენ საქართველოს ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად ურბანიზებულ მხარეებს. შემდეგ ჯგუფებმა უნდა იმსჯელონ მოსახლეობის განაწილების კანონზომიერებაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოს ქალაქების სიჭარბეს მთათაშორის ბარში, კერძოდ, თბილისში, იმერეთში, აჭარაში.

საქართველოს ქალაქები



შედეგი	გეო.IX.10. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ქართული ტრადიციები გეოგრაფიულ თავისებურებებთან მიმართებაში.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • აკავშირებს ხალხური არქიტექტურის მრავალფეროვნებას საქართველოს ბუნებრივ პირობებთან; ადარებს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის სამოსახლოს და მსგავსება-განსხვავებებს გამოხატავს მისთვის სასურველი ფორმით (ნახატი, ცხრილი და სხვ.); • მსჯელობს საქართველოში გავრცელებული ხალხური რენვის მრავალფეროვნების გამომწვევ გეოგრაფიულ ფაქტორებზე; ადარებს და ცხრილში აჯგუფებს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში არსებულ ხალხური რენვის ტრადიციებს; • მსჯელობს საქართველოს კუთხეებში გავრცელებული ტრადიციული ჩაცმულობის, სამზარეულოსა და სუფრის თვითმყოფადობაზე, უკავშირებს მათ გარემოს თავისებურებებს, ადარებს ერთმანეთს და მსგავსება-განსხვავებებს გამოხატავს მისთვის სასურველი ფორმით (წერს თემას, აკეთებს სტენდს, ჩანახატს და სხვ.); • მსჯელობს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში გავრცელებული რიტუალების შესახებ; ადარებს მსგავსი შინაარსის მქონე რიტუალებს და მსგავსება-განსხვავებებს გამოხატავს მისთვის სასურველი ფორმით (წერილობითი, ზეპირი, ცხრილის).

აქტივობები:	შენიშვნა
<ol style="list-style-type: none"> 1. ტექსტზე და ფოტოებზე მუშაობა; 2. ექსკურსია ეთნოგრაფიულ მუზეუმში. 	
რესურსები: 1. საქართველოს ფიზიკური რუკა, ფორმატის ქაღალდი; 2. საქართველოს ფიზიკური და კონტურული რუკა; 3. ქართული ხალხური სამოსისა და არქიტექტურის ნიმუშების ფოტოები.	
კავშირი სხვა საგნებთან: ისტორია	
რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:	

აქტივობა №1. მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ბარათებს. I ბარათში არის ტექსტი –არქიტექტურა;

II ბარათში – სამზარეულო და სუფრის ტრადიციები;

III ბარათში – ქართული ხალხური სამოსელი.

მოსწავლეებმა უნდა განიხილონ ტექსტები და დაადგინონ, რა გავლენას ახდენს ადგილმდებარეობა და გარემო პირობები თითოეულ მათგანზე; პრეზენტაცია უნდა წარმოადგინონ მათთვის სასურველი ფორმით.

არქიტექტურა: ქართული არქიტექტურა დიდი მრავალფეროვნებითა და თავისებურებებით გამოირჩევა. საქართველოს ყოველ კუთხეს თავისი დამახასიათებელი არქიტექტურული სტილი ჰქონდა და საცხოვრებელი სახლებიც მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება ახლა თანდათან მცირდება: საქართველოს ყველა რაიონში ფართოდ გავრცელდა ევროპული სტილი. მიუხედავად ამისა, განსხვავება მთისა და ბარის რაიონებს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მაინც საგრძნობია. აღმოსავლეთ საქართველოს სოფლები უფრო კომპაქტური და მჭიდროდ დასახლებულია. ეზოები აქ პატარაა და ამიტომ დასამუშავებელი მიწები სოფლის გარეთაა. დასავლეთ საქართველოში საკარმიდამო ნაკვეთები გაცილებით დიდია და საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიც ერთადაა. საცხოვრებელი სახლები სხვადასხვა ეთნოგრაფიულ პროვინციებში მეტად განსხვავებულია. სვანეთსა და აღმოსავლეთ კავკასიონის კუთხეებში (თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში) უმეტესად ქვისა და ფიქლის ციხე-სახლებია გავრცელებული.

ამასთან, მნიშვნელოვანი განსხვავებაა სვანური და თუშურ-ხევსურული კოშკების არქიტექტურაშიც. ამავე რეგიონებში გვხვდება 2-4 სართულიანი ჩარდახიანი სახლები, აგრეთვე ერთსართულიანი ქვითკირის სახლები მიწის ბრტყელი სახურავით (ძირითადად ფშავ-ხევსურეთში). ფიქლით აგებული სახლების წყობა, როგორც წესი, მშრალია (დულაბის გარეშე).

სვანეთი



ხევსურეთი





აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთისწინეთის ზონაში საცხოვრებელი სახლი ძირითადად დარბაზული ტიპისა იყო. ქვითა და აგურით აშენებულ ერთსართულიან ნაგებობას საფეხურებრივ-გვირგვინისებური გუმბათის მსგავსი გადახურვა ჰქონდა, რომელიც ბოლოვდებოდა ერდოთი – კვამლისა და სინათლისათვის დატოვებული ხვრელით. დარბაზის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული იყო მინური სახლები – მიწის სიღრმეში გამოკვეთილი ქვის კედლებიანი და მიწის სახურავიანი ნაგებობები. დასავლეთ საქართველოში, მაღალი ტენიანობისა და წაობიანობის გამო, უმეტესად ერთ ან ორსართულიან ხის სახლებს აშენებდნენ, რომლებიც ხიმინჯებზე იდგა და ყავრის ორფერდა ან ოთხფერდა სახურავი ჰქონდა.

რაჭა





სამეგრელოსა და აფხაზეთში ფართოდ იყო გავრცელებული მოწნული, ჩალით დახურული სახლების ტიპი – ფაცხა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ახალი არქიტექტურული სტილი დამკვიდრდა: ორსართულიანი, რამდენიმე ოთახიანი, ფანჯრებიანი და ხის იატაკიანი სახლები, რომლებშიც ღია კერიის ნაცვლად ბუხრები იყო ამოშენებული. აღმოსავლეთ საქართველოში სახლები ძირითადად ქვითა და აგურით შენდებოდა, დასავლეთ საქართველოში კი – ხით. გადასახურავად ძირითადად კრამიტი გამოიყენებოდა, გურია-სამეგრელოში კი – ყავარი. სახლის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა ხის აივანი. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტრადიციულმა არქიტექტურამ ადგილი თანამედროვე ევროპულ სტილს დაუთმო. ამჟამად ძირითად საშენ მასალად გამოიყენება აგური, ცემენტის ბლოკები, რკინა-ბეტონი და თუნუქი. განსხვავებაც სხვადასხვა კუთხეში აშენებულ სახლებს შორის თითქმის აღარ არსებობს.

სამზარეულო და სუფრის ტრადიციები: ქართული ტრადიციული სამზარეულო ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში. ეროვნული ტანსაცმლისაგან განსხვავებით, ქართული სამზარეულო არა მარტო შენარჩუნებულია, არამედ ფართოდ გავრცელდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ნარსულში საქართველოს ცალკეული კუთხეების სამზარეულოებს შორის საგრძნობი განსხვავება იყო. ამჟამად ეს განსხვავება თითქმის აღარ არსებობს და ნებისმიერ კუთხეში ფართოდ გავრცელებულია ის კერძები, რომლებიც ადრე ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი არ იყო. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში, ძირითადად, ხორბლის პურს აცხობდნენ (შოთი, ლავაში), მთაში კი – ქერის ხმიადებს. დასავლეთ საქართველოში ხორბლის მაგივრობას სიმინდი ასრულებდა და ამიტომ მოსახლეობის ძირითადი საკვებიც მჭადი (იმერეთი, გურია) ან ლომი (სამეგრელო, აფხაზეთი) იყო. დასავლეთ საქართველოში ძირითადად სულგუნი და იმერული ყველია მიღებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი – გუდის ყველი. დასავლეთ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული მრავალფეროვანი მცენარეული საკვები, რომლებიც ნიგვზითა და სანელებლებითაა შეზავებული (სხვადასხვა ფხაღეული); აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონში კი ხორცს უფრო დიდი ადგილი უკავია. როგორც დასავლეთ,

ისე აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებულია ლობიო, ხაჭაპური, ხინკალი, თევზეული, მწნილი და სხვადასხვა სახის სანებლები. მთავარი სასმელი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ღვინოა. მხოლოდ მაღალმთიან პროვინციებში, სადაც ვენახი არ ხარობს, ღვინოს არაყი და ლუდი ცვლის. ქართული სუფრის ტრადიციები მკაცრ წესრიგს ემორჩილება. თამადა და სადღეგრძელოები სუფრის აუცილებელი ელემენტებია საქართველოს ნებისმიერი კუთხისათვის. სადღესასწაულო სუფრა ასევე წარმოუდგენელია სიმღერის, ცეკვისა თუ ხუმრობის გარეშე. სადღეგრძელოების თანმიმდევრობა თამადაზეა დამოკიდებული, თუმცა გარკვეული ტრადიციები აქაც არსებობს და სხვადასხვა პროვინციებს შორის განსხვავებებიც შეინიშნება. გურიაში, მაგალითად, პირველი სადღეგრძელო მშვიდობისაა, კახეთში კი – ოჯახის ჭერს დალოცავენ ხოლმე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ბოლო სადღეგრძელო საყველანმინდოა, თუმცა და ფშავ-ხევსურეთში კი სუფრაზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ წინაპრებისა და გარდაცვლილთა მოგონების სადღეგრძელოებს.

ქართული ხალხური სამოსელი: ქართული კულტურის თავისებურებანი ხალხური სამოსელის მრავალფეროვნებაშიც გამოვლინდა. გამოირჩევა თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, რაჭული სამოსელი. მამაკაცის სამოსიდან ჩოხასთან ერთად აღსანიშნავია ხევსურული სამოსელი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სამოსელი „ჩაქურა“. ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევს ქალის ხევსურული სამოსელი – ტალავარი, რომელიც ორიგინალური თარგითა და ნაქარგობის სიუხვით გამოირჩევა. ტანსაცმლისათვის ნაჭერს შინ ქსოვდნენ შალის ძაფისაგან. ტალავარი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილებია: შალის გრძელი კაბა – „სადიაცო“, ზემოდან შალისავე შემოსაცმელი – „ფაფანაგი“ ან მოკლესახელოებიანი „ქოქლო“. ხევსური ქალის თავსაბურავია „სათაურა“ და „მანდილი“, ფეხსამოსი კი – „თათები“ ან ქალამან-წინდა და „პაჭიჭები“. სადიაცოს ორი ძირითადი ნაწილი აქვს: „მხარ-ზურგი“ და „გულისპირი“. კაბას საყელოსთან სარჩულიანი საყელო აქვს მოყოლებული, მხრებზე მოკერებულია სახელოები, ხოლო კაბის კალთებს ქვემოთ ბრტყელი და ზოლიანი არშია ეკერება, რომელსაც ეწოდება „ქოქობო“.



ქოქობოს ფერები გარკვეული კანონზომიერებითაა განლაგებული: ჯერ შავი ფერია, შემდეგ წითელი და ლურჯი. კაბის ყელთან სამკუთხედის ფორმის პატარა ამონაჭერია, რომელზეც შეიძლება მიეკეროს ღილებითა და მძივებით განწყობილი შალის პატარა ნაჭერი, ე.წ. „ქოქა“.

თუში ქალის სამოსი სისადავით გამოირჩევა. ერთმანეთს ენაცვლება შავი, ლურჯი და თეთრი ფერები. ძირითადი ელემენტია შალის ერთიანი კაბა-ჯუბა პერანგისებური თარგით, დეკორაციული სახელოებით შედგენილი ტყავის სამოსელი – სახელჩაქნეულა, თავზე დასადგომი კუჭურა და მოსახური მანდილი. ფეხზე ნაქსოვ ჩითებს ხმარობენ.

მოხევე ქალის ჩასაცმელი შეიცავს ისეთ ელემენტებს (კაბა, საგულე), რომლებიც წერილობით წყაროებშია დამოწმებული და წინ უსწრებს სარტყელ-გულისპირიან ქართულ კაბას.

მამაკაცის ჩამულობაში, მიუხედავად საგრძნობი ერთგვაროვნებისა, მაინც ხერხდება ზოგიერთი თავისებური კომპლექსის გამოყოფა. ასეთია ხევსურული ტალავარი, რომელშიც შედის ზედატანი, პერანგი და შარვალ-ნიფხავი, ჩოხა, მრგვლად შეკერილი ნაბდის ქუდი, შიბით ნაქსოვი ფეხსაცმელი, თათები ან ქალამანი-ჯღანი და სხვ. ჩაქურა გავრცელებული იყო აჭარაში, გურიასა და, ნაწილობრივ, სამეგრელოში. აჭარული კომპლექსის ელემენტებია შალის მოკლე ზედატანი, კვატუჯა ჩოხაჭონია, შალისავე ფართოუბიანი და ხვანჯრით შეკრული შარვალი ჩაქურა, ორჯიბიანი და საყელოიანი ახალუხი ზუბუნი, განიერი და გრძელი კუბოკრული აბრეშუმის სარტყელი თოლა ბულუსი, ყაბალახი, ფეხსაცმელი ლაფჩინი და წინდა პაჭიჭები. ქართლისა და კახეთის ტანსაცმლის ტიპების მსგავსებას ადასტურებს ისტორიული წყაროები.

გურულები



მეგრელი ქალი საკრავით მეგრელი თავადის ქალი



ქართველი ქალები



ქართული ოჯახი



ქართველი თავადი



ამ თემის განხვილს დროს კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გამოიყენებს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, კერძოდ, ცალკეულ მხარეთა და მის მკვიდრთა დახასიათებებს.

ვახუშტი ბაგრატიონი სვანებს ასე ახასიათებს:

„ქართველების ტომის უფრო შორეულს შტოს სვანები შეადგენენ... სვანების

ცხოვრებაში ბევრს ქართველურ ჩვეულებასა და ხასიათს ხედავს მოგზაური... სვანი ადვილად საცნობია. იგი არა ჰგავს იმ მთის ხალხებს, რომლებიც სვანეთის გარშემო ბლომად ცხოვრობენ... პირისახით სვანი მაშინვე მთის ქართველებს მოგაგონებთ: თუშებს, ფშავეებსა და ხევსურებს: ტანით წარმოსადგია და საღი შეხედულება აქვს. სვანის ტანსაცმელი მხოლოდ ცოტათი განირჩევა მეგრელისა და იმერლის ტანსამოსისაგან. თავსახური სვანს ორნაირი აქვს: ზამთარში იგი იხურავს მაღალსა და წვეტიან ნაბდის ქუდსა, თეთრსა ან შავსა; ზაფხულში სვანი ხმარობს იმერულს ფაფანაკს, რომელიც ისე პატარაა, რომ საქორჩრეს ძლივსა ჰფარავს. სვანს ტანსამოსზე უფრო უყვარს იარაღი: თოფი, დამბაჩა და ხანჯალი; ხმალს კი სვანები არ ხმარობენ. როგორც თითქმის ყველა მთიულ ხალხს, სვანსაც გამჭრიახი გონება აქვს... როგორც სხვა მთის ხალხს, ისე სვანებსაც თავისი სამშობლო მეტისმეტად უყვართ. სვანი ძნელად დასტოვებს თავის ქვეყანას მოკლე ხნობითაც კი. ბევრი სვანი ისე დაბერდება, რომ ლეჩხუმის მეტი მხარე არა ნახოს. ბევრს ზემო სვანელს არ უნახავს ქვემო სვანეთი. უცხო ქვეყნის ჰაერი სვანებზე ცუდად მოქმედობს... თუ ჰკითხავ, რატომ ზამთარში იმერეთში სამუშაოდ არ ჩამოდიხართო, სვანები მაშინვე მოგიგებენ, ჰავისა გვემინიანო... უმთავრესი ზნეობითი სენი სვანებისა არის მოსისხლე მტრობა...“

აქტივობა №2. ექსკურსიის დაგეგმვა ეთნოგრაფიულ მუზეუმში უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

თავი IV. საბნის სწავლება

ა) საბაზო საფეხურზე გეოგრაფიის საგნობრივი პროგრამის შესატყვისი ინტერაქტიული მეთოდები

მასწავლებელს დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარება სწავლების სხვადასხვა მეთოდი,

რომელიც იმის მიხედვით უნდა გამოიყენოს, თუ რას გეგმავს კონკრეტულ გაკვეთილზე (ახალი მასალის შესწავლას, გამეორებასა თუ შეჯამებას). ამასთან, მას შეუძლია გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე მეთოდი ერთად. საბაზო საფეხურზე სტანდარტის შედეგების მიღწევას, ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, ხელს უწყობს შემდეგი ინტერაქტიული მეთოდები: მინი-ლექცია, დისკუსია, ექსკურსია, გონებრივი იერიში, პრეზენტაცია, შემთხვევის განხილვა, როლური თამაში, კეთებით სწავლება და ა.შ.

ქვემოთ მოცემულია თითოეული მეთოდის მოკლე დახასიათება.

• მინი-ლექცია

მინი-ლექცია არის მცირე ლექცია, რომლის მიზანია დროის მცირე მონაკვეთში მოსწავლეებისთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემა.

მინი-ლექცია მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, უმეტესად, აწვდის ახალ ინფორმაციას და, შესაბამისად, სძენს ცოდნას, თუმცა ნაკლებად იძლევა უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია, რომ ლექციის დროს უფრო აქტიური მასწავლებელია, ხოლო შედარებით პასიურნი – მოსწავლეები.

საღებულოდ სხვადასხვა წყაროდან შეიძლება შეირჩეს ნებისმიერი მასალა ფაქტების, იდეების, თეორიების შესახებ. მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს თეორიული მასალები და თვალსაჩინოება, გრაფიკები, ფოტომასალა, რათა ლექცია საინტერესო გახადოს. მოსწავლეებისათვის, რომელთაც მხედველობითი მეხსიერება უკეთ აქვთ განვითარებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვალსაჩინოების გამოყენება.

ლექციისთვის მომზადებული მასალა ლოგიკური თანამიმდევრობით – მარტივიდან რთულისაკენ – უნდა დალაგდეს და ადვილად გასაგები იყოს მოსწავლეებისათვის. ამავდროულად, არ უნდა გადაიტვირთოს ბევრი განსხვავებული ტიპის ინფორმაციით; სასურველია, ერთი ლექცია ერთ საკითხს დაეთმოს. ლექციის მსვლელობისას მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების აქტიურობას.

ლექციის მიმდინარეობისას მოსწავლეთა აქტიურობის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, როგორ სხედან ისინი. სასურველია არა ფრონტალური (როდესაც მასწავლებელი დგას დაფასთან მსმენელის წინ), არამედ სადისკუსიო სტილის (მოსწავლეები და მასწავლებელი სხედან წრეში მაგიდის ირგვლივ ისე, რომ ყველა კარგად ხედავს ერთმანეთს) გამოყენება. ლექცია სწავლების შედარებით პასიურ ფორმადაა მიჩნეული, თუმცა მოსწავლეთა გასააქტიურებლად,

მასწავლებელმა უნდა წაახალისოს ისინი. მას მუდმივად უნდა ჰქონდეს მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან; პერიოდულად შეამოწმოს, რამდენად უსმენს აუდიტორია მას და დაამყაროს შესაბამისი უკუკავშირი.

მინი-ლექციის ჩატარებას არ სჭირდება განსაკუთრებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, თუმცა, სასურველია, გამოვიყენოთ ვიზუალური მასალა – გრაფიკები, ფოტომასალა, ცხრილები და ა.შ. ლექცია ასევე შეიძლება ჩატარდეს Power Point-ის გამოყენებითაც, რასაც სპეციალური აღჭურვილობა – ლეპტოპი და პროექტორი – დასჭირდება.

დადებითი მხარეები:

- თეორიული ინფორმაციის მიწოდების ეფექტური მეთოდი;
- სასწავლო გარემო არ საჭიროებს სპეციალურ აღჭურვილობას;
- აქვს ვარიაციულობის დიდი პოტენციალი.

უარყოფითი მხარეები:

- მეთოდი გამოუყენებელია პრაქტიკული უნარების სწავლებისათვის;
- მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ნაკლებია კომუნიკაცია;
- რთულია აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება;
- გართულებულია შეფასება ლექციის პროცესში;
- ლექცია სწავლების ფორმალური სახეა და მოსწავლეს პასიურს ხდის.

ლექციის ბოლოს მასწავლებელი დასკვნის სახით აჯამებს ძირითად პუნქტებს.

• დისკუსია

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ეფექტური და ხშირად გამოყენებული მეთოდია, რომლის მიზანი სხვადასხვა მიდგომის, იდეისა თუ პრობლემის ჯგუფში განხილვაა. თუ ლექციის დროს მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს მზა ინფორმაციას, დისკუსიის დროს, პირიქით – მოსწავლეები არიან აქტიურ პოზიციაში. დისკუსია ხელს უწყობს ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორცაა მსჯელობა, აქტიური მოსმენა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, კორექტული ქცევა და თუნდაც ტოლერანტობა, არგუმენტების ჩამოყალიბება და სხვ. დისკუსია შეიძლება კარგი მოტივატორიც იყოს მოსწავლეებისათვის, რათა მოიძიონ ახალი ინფორმაცია და შეძლებისდაგვარად სრულფასოვანი და მყარი არგუმენტებით დაუპირისპირდნენ განსხვავებულ აზრს.

დისკუსიის სწორი წარმართვისთვის აუცილებელია მისი თავიდანვე ორგანიზება და ერთგვარი კონტროლი, რაც გულისხმობს გარკვეული წესების დაცვას, რომლებსაც მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ჩამოაყალიბებენ. მაგალითად, როცა ერთი საუბრობს, სხვები უსმენენ; რაიმეს თქმა თუ გსურს, ხელი აიწიე; სხვას არ გაანწყვეტინო სიტყვა; დაუშვებელია სხვა მოსაუბრის ქილიკი; კამათში ყველა იღებს მონაწილეობას და ასე შემდეგ. წესების ჩამონ-

ათვალი შეიძლება გაიზარდოს მასწავლებლისა და მოსწავლეთა შეთანხმების საფუძველზე.

სადისკუსიოდ შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ეს შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოები ან მისგან ამონარიდი, ილუსტრაცია, მოკლე ფილმი, მელოდია და ა.შ. სადისკუსიო თემებს ახლავს შემდეგი კითხვები: „რატომ?“, „როგორ?“, „რა მოხდებოდა?“, „როგორ ხდება პრობლემის გადაჭრა?“ და ა.შ.

დისკუსიის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებს სადისკუსიო თემაზე საკმარისი ცოდნა ჰქონდეთ, რათა შეძლონ საკუთარი აზრის გამოთქმა, მისი დაცვა ან სხვისი აზრის გაკრიტიკება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დისკუსია აზრს დაკარგავს.

დისკუსიის წარმატებით ჩატარებაზე, პირველ რიგში, მასწავლებელია პასუხისმგებელი. მან უნდა დაარეგულიროს პროცესი და შეასრულოს ფასილიტატორის როლი; მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ჩატარების ფორმატი: ვინ და რა დროის განმავლობაში ლაპარაკობს; რა თანმიმდევრობით; როგორ უნდა დაესვათ შეკითხვები და ა.შ.

დისკუსიისას მნიშვნელოვანია კითხვების სწორი გამოყენება. კითხვები განსხვავდება თავისი დანიშნულებით: დისკუსია იწყება ე.წ. მთავარი კითხვით, რომელიც განსაზღვრავს დისკუსიის არსს, წარმოადგენს სადისკუსიო საკითხს. შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება დასვას დამაზუსტებელი კითხვები, რათა მისცეს და/ან შეცვალოს დისკუსიის მიმართულება. დასაშვებია მოსწავლის მიერ მასწავლებლისთვის დასმულ კითხვაზე პასუხის მოთხოვნა სხვა მოსწავლისგან, დისკუსიაში ყველა რომ აღმოჩნდეს ჩართული.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არ იყოს დომინანტი დისკუსიის პროცესში; არ უნდა გამოხატოს სიმპათია თუ ანტიპათია მოკამათე მხარეების მიერ გამოთქმული კონკრეტული მოსაზრებისადმი; ის უნდა იყოს ნეიტრალური ფიგურა, რომელსაც ყველასთან თანაბარი დამოკიდებულება ექნება.

დისკუსიის ეფექტურობისათვის სადისკუსიო პროცესში ძალიან ბევრი მოსწავლე ერთდროულად არ უნდა მონაწილეობდეს; დიდ ჯგუფთან მუშაობისას მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყველა მოსწავლის ჩართვა დისკუსიაში. მნიშვნელოვანია, რომ დისკუსიაში მონაწილე მხარეებში მოსწავლეთა თანაბარი რაოდენობა იყოს. სასურველია, „მონინააღმდეგე“ მხარეები ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ; მასწავლებელს, როგორც დისკუსიის ფასილიტატორს, ორივე ჯგუფთან თავისუფალი ურთიერთობა უნდა შეეძლოს.

დადებითი მხარეები:

- დისკუსიის დროს განხილულ საკითხებს მოსწავლეები კარგად იმახსოვრებენ;
- მაღალია მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხი (ჩართულობა);
- დისკუსია კარგი მეთოდია იმის შესამოწმებლად, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა მიწოდებული ინფორმაცია, რა არის დასაზუსტებელი/დასამატებელი და ა.შ.;

უარყოფითი მხარეები:

- ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება მოერიდოს საჯაროდ აზრის გამოთქმა;
- რაოდენობრივი შეზღუდვა – ეფექტური რომ იყოს, დისკუსიაში 12 მოსწავლეზე მეტი არ უნდა მონაწილეობდეს;
- ცუდად დაგეგმილი დისკუსია, სავარაუდოდ, დიდ დროს წაიღებს;
- დისკუსია, როგორც წესი, შემოიფარგლება ორი საწინააღმდეგო აზრის/პოზიციის განხილვით, როცა შესაძლებელია ორზე მეტი განსხვავებული აზრი არსებობდეს.

დისკუსიის დასრულების შემდეგ აუცილებელია პროცესის შეჯამება, რასაც თავდაპირველად მასწავლებელი აკეთებს, ხოლო გამოცდილების დაგროვების შემდეგ ამ პროცესში მოსწავლეებიც აქტიურად ერთვებიან. შეჯამებისას უნდა გააანალიზდეს როგორც შინაარსი ანუ ის, რა მოგვცა დისკუსიამ, რა გვასწავლა და ა.შ., ასევე პროცესი – რამდენად კომფორტულად გრძნობდნენ მოსწავლეები თავს, ადვილი იყო თუ არა წესების დაცვა და სხვ.

დისკუსიის ჩატარება, როგორც წესი, არ საჭიროებს განსაკუთრებულ გარემოს ან დამხმარე საშუალებებს, თუმცა, სასურველია, გვექონდეს დაფა, რათა დისკუსიაში მონაწილე მხარეებს მიეცეთ საკუთარი აზრების წერილობით გამოხატვის საშუალება.

რეკომენდაციები:

- შეარჩიეთ თემა, რომელიც საინტერესო იქნება მოსწავლეებისთვის. დარწმუნდით, რომ მათ ამ თემაზე საკმარისი ცოდნა აქვთ;
- მოსწავლეებს წინასწარ მიუთითეთ შესაბამისი ლიტერატურა სადისკუსიო თემის დასამუშავებლად;
- მკაფიოდ განსაზღვრეთ დისკუსიის ჩატარების ფორმატი: ვინ და რამდენს ილაპარაკებს, რა თანმიმდევრობით, როგორ დაისმება კითხვები და ა.შ.;
- განსაზღვრეთ ძირითადი წესები, მაგალითად:
- მოსწავლეებმა ერთდროულად არ უნდა ილაპარაკონ,
- უნდა განიხილონ პოზიციები და არა პიროვნებები;
- მკაფიოდ განსაზღვრეთ თქვენი როლი: პირველ დისკუსიაზე მასწავლებელი უნდა იყოს მოდერატორიც და ფასილიტატორიც, მომდევნო დისკუსიებში ეს როლები, შესაძლოა, მოსწავლეებმა თავად შეასრულონ, მონაცვლეობით;
- ნუ იქნებით დომინანტური;
- კარგი მეთოდია, დისკუსიაში მონაწილე მხარეებს მისცეთ კითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება. საბოლოო პასუხი ჯგუფის წარმომადგენელმა უნდა გაახმოვანოს;
- ამ მეთოდით ნასწავლი მასალის განმტკიცების მიზნით, ბოლოს აუცილებლად შეაჯამეთ დისკუსიის შედეგები. დასაწყისში ეს მასწავლებლის ფუნქციაა, ხოლო გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ პრო-

ცესის შეჯამება მოსწავლეებს დაავალეთ;

- დისკუსიაში ჩართეთ ყველა მოსწავლე, კითხვებით წაახალისეთ შედარებით პასიური მოსწავლეები;
- როგორც დისკუსიის წამყვანი, ნუ გამოხატავთ თქვენს პირად სიმპათიასა თუ ანტიპათიას მოკამათე მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებისადმი – თქვენი ამოცანაა, იყოთ ნეიტრალური და ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება გქონდეთ;
- გახსოვდეთ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია დისკუსიის უნარის გამომუშავება და მხოლოდ ამის შემდეგ – კითხვებზე სწორი პასუხების მიღება; მოსწავლეების ფაქტობრივ ცოდნას ტრადიციული გამოკითხვითაც შეამოწმებთ. შესაბამისად, სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს კითხვებით „რატომ?“ და „როგორ?“ და არა – „ვინ?“, „რა?“, „როდის?“;
- იყავით მომთმენი, მიეცით მოსწავლეებს საკმარისი დრო არგუმენტების მოსაფიქრებლად. გახსოვდეთ, რომ კითხვაზე რეაგირების დრო დამოკიდებულია კითხვის სირთულეზე. შესაძლებელია მოსაფიქრებელი დროის განსაზღვრა დისკუსიის დაწყებამდე – ესეც თამაშის წესებში უნდა იყოს გაწერილი და მოსწავლეებს თავიდანვე უნდა ეცნობოს.

• ექსპურსია

ექსპურსია არის რისამე კოლექტიური დათვალიერება; გამგზავრება, გასივრება სასწავლო, სამეცნიერო, სპორტული ან გართობის მიზნით. ექსპურსიის დროს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, სახელმძღვანელოდან მიღებული ინფორმაცია და ცოდნა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გაამყარონ რეალურ გარემოში.

ექსპურსიას საილუსტრაციო ფუნქცია აქვს. ექსპურსიაზე ნანახი და მოსმენილი მოსწავლეებს უკეთ ამახსოვრდებათ, ვიდრე მხოლოდ მოყოლილი მასალა.

ექსპურსიის, როგორც სასწავლო ღონისძიების, გამოყენების თაობაზე სამი მოსაზრება არსებობს:

1. ექსპურსიაზე მოსწავლეები მიდიან სასწავლო წლის დაწყებისთანავე; ექსპურსია ხელს უწყობს მოსწავლეთა და პედაგოგთა დაახლოებას, აღვივებს ინტერესს სხვადასხვა საკითხის მიმართ და ზრდის სწავლის მოტივაციას;
2. ექსპურსიაზე მოსწავლეები მიდიან სასწავლო წლის დასრულებისას, როდესაც ისინი უკვე სათანადო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ფლობენ და შეუძლიათ რეალურ გარემოში დააკვირდნენ მათთვის საინტერესო ობიექტებსა თუ მოვლენებს;
3. ექსპურსიას გეგმავს საგნის პედაგოგი წლის განმავლობაში, შესასწავლი საგნის საჭიროების მიხედვით და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

სკოლის გარეთ სწავლებას შეიძლება გარკვეული პრობლემები სდევდეს თან, ამიტომ აუცილებელია ექსპურსიის დეტალური დაგეგმვა, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს

და დაგეგმოს შემდეგი საკითხები: ექსკურსიის მიზანი, ექსკურსიის ზუსტი დრო, მოსწავლეთა დასაშვები რაოდენობა;

საექსკურსიო ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა დამოკიდებულია კლასის სიდიდეზე. სასურველია, რომ 5-6 ბავშვს ერთი უფროსი ახლდეს (იქნება ეს პედაგოგი, სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელი თუ აქტიური მშობელი).

მასწავლებელმა წინასწარ უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია ექსკურსიის გეგმის შესახებ – რა უნდა ნახონ, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ. ექსკურსიის დროს უნდა წაახალისოს მოსწავლეები, დასვან კითხვები. შესაძლებელია, საჭირო იყოს გარკვეული ჩანაწერების გაკეთებაც.

დადებითი მხარეები:

- სწავლების თვალსაჩინო მეთოდია – მოსწავლე რეალურ ვითარებაში აკვირდება და სწავლობს გარემოს;
- ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას;
- ხელს უწყობს მოსწავლეთა დაახლოებას, კლასის შეკვრას.

უარყოფითი მხარეები:

- ექსკურსია ერთჯერადი ღონისძიებაა, შესაბამისად, არასწორად დაგეგმვის შემთხვევაში ან გაუთვალისწინებელი ხელის შემშლელი გარემოებების გამო (მაგალითად, ცუდი ამინდის), ის შეიძლება არაეფექტური გამოდგეს.

ექსკურსიის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს მის შედეგებს – რა ნახეს ან მოისმინეს, რამდენად გასაგები და საინტერესო იყო ინფორმაცია; შესაძლებელია, მათთან ერთად დაგეგმოს შემდგომი ექსკურსიებიც.

ექსკურსიის მნიშვნელობა

სასკოლო ექსკურსიები მნიშვნელოვანია კლასგარეშე განათლებისთვის. ამგვარ ღონისძიებებზე მოსწავლეებს სოციალური და საკუთარი თავის მართვის უნარ-ჩვევებიც უვითარდებათ. მოსწავლეები სასკოლო ექსკურსიებზე სწავლობენ და ისვენებენ კიდევ ერთად. აუცილებელია, ექსკურსიები წინასწარ დაიგეგმოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ექსკურსია მაქსიმალურად საინტერესო და საგანმანათლებლო ღირებულების მქონე.

საექსკურსიო აქტივობები ხშირად რამდენიმე საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირებას ახდენს (მაგალითად, ქართული ლიტერატურისა და ისტორია-გეოგრაფიის ან ბუნებისმეტყველების), ამიტომ ამ აქტივობების დაგეგმვისას, სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა შესაძლოა, უფრო ეფექტური იყოს.

• გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის იდეების გენერაციის საშუალებას იძლევა. ის შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებლად ან სხვა სავარჯიშოს შესრულების დამხმარე ნაწილად იქცეს. გონებრივი იერიში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეებმა წინასწარ არ იციან კითხვაზე პასუხი და მასწავლებელი ცდილობს მათი სუბიექტური აზრის გაგებას ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. მთავარია, ასეთი მოსაზრებები რაც შეიძლება ბევრი იყოს, რომ შემდეგ ადვილი გახდეს არჩევანის გაკეთება.

გონებრივი იერიშის პროცესი საკმაოდ მარტივია. თავდაპირველად მასწავლებელი ასახელებს განსახილველ თემას და ადგენს გეგმას; გონებრივი იერიშის დაწყებამდე აუცილებელია ჯგუფში მუშაობის წესებზე შეთანხმება. მაგალითად, ყველა იდეა სწორია და ყველა მათგანი უნდა განვიხილოთ; გონებრივი იერიშის პროცესში არაფერს განვსჯით და ვაფასებთ; მთავარია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი.

მოსწავლეები დასმული საკითხის ირგვლივ გამოთქვამენ უამრავ მოსაზრებას/იდეას, რომელთაც მასწავლებელი დაფაზე ან „ფლიპჩარტზე“ ინიშნავს. დროის ლიმიტი წინასწარაა განსაზღვრული – მაგალითად, 20-25 წთ.

იდეების ჩამონერის შემდეგ მასწავლებელი მათ ხმამაღლა, ჯგუფის ყველა წევრისთვის გასაგებად კითხულობს. შემდეგ მოსწავლეები აფასებენ იდეებს, დაეუშვათ, სამ- ან ხუთქულიან სკალაზე და მსგავს იდეებს აჯგუფებენ. საბოლოოდ ჩვენთვის სასურველ, ყველაზე მაღალქულიან, ვთქვათ, სამ-ოთხ იდეას შევარჩევთ.

როგორც აღვნიშნეთ, გონებრივი იერიშის პროცესს მასწავლებელი წარმართავს. მას უნდა შეეძლოს ყურადღებით მოსმენა და მონაწილეების წახალისება იდეების მიწოდების პროცესში. მან ხელი უნდა შეუწყოს, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად ბევრი იდეა და მოსაზრება გამოთქვან. მასწავლებელი პროცესში ნეიტრალური ფიგურაა.

გონებრივი იერიშის პროცესში სასწავლო გარემო ჩვეულებრივია. შესაძლოა, მონაწილეები ისხდნენ წრეში, მაგიდის ირგვლივ. მასწავლებელს ისეთი პოზიცია უნდა ეკვაოს, რომ ყველა მხრიდან კარგად ჩანდეს. მისი მოვალეობა დაფაზე ჩანაწერების გაკეთებაცაა. ატმოსფერო უნდა იყოს მაქსიმალურად კომფორტული.

დადებითი მხარეები:

- გონებრივი იერიში ეფექტური მეთოდია, რადგან ბევრი იდეა და მოსაზრება გროვდება;
- მეთოდი შემოქმედებითია;
- მეთოდი, ფაქტობრივად, გამორიცხავს კონფლიქტს, რადგან არ ხდება წამოყენებული იდეების განხილვა და შეფასება;
- მეთოდი პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს ერთნაირ სტატუსსა და უფლებას ანიჭებს;
- შესაძლებელია სხვა მეთოდებთან კომბინირებულად გამოყენება.

•

უარყოფითი მხარეები:

- შეიძლება ჯგუფის ყველა წევრმა არ მიიღოს მონაწილეობა პროცესში;
- დროის ფაქტორი – განსაკუთრებით დიდ დროს მოითხოვს იდეების გაცხრილვა.

გონებრივი იერიშის შემდეგ ფასდება შედეგები.

რეკომენდაციები:

- შეარჩიეთ განსახილველი თემა;
- გაითვალისწინეთ მონაწილეების ასაკობრივი თავისებურებები;
- წინასწარ განსაზღვრეთ პროცედურა და მუშაობის გეგმა;
- წინასწარ განსაზღვრეთ მოსალოდნელი შედეგი;
- შედეგი გააცანით მონაწილეებს;
- მოამზადეთ გარემო;
- მოამზადეთ ყველა საჭირო მასალა;
- ყველა მონაწილეს მიეცით პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა;
- იყავით მაქსიმალურად ნეიტრალური და, ამადროულად, პოზიტიური ჯგუფის წევრების მიმართ.

• პრეზენტაცია

პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე გარკვეული თეორიული თუ პრაქტიკული მასალის წარდგენაა.

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდია ისეთი უნარ-ჩვევების გასავითარებლად, როგორცაა კომუნიკაცია, საკუთარი პოზიციისა თუ მოსაზრებების მსმენელისათვის გაცნობა, არგუმენტირება, პოზიციის დაცვა და ა.შ. პრეზენტაციის თემა შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი. სასურველია, პრეზენტაციის თემები შეზღუდული იყოს. რეკომენდებულია ერთ პრეზენტაციაზე მაქსიმუმ სამი თემის გამოყენება.

პრეზენტაციის მომზადებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი თავისებურება. თუ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, მასწავლებელმა წინასწარ უნდა მისცეს მათ პრეზენტაციის ტიპური სქემა.

პრეზენტაცია სამი ნაწილისაგან შედგება:

1. შესავალი. შესავალი პრეზენტაციის აუცილებელი ნაწილია. ამ ნაწილის მიზანი აუდიტორიის ყურადღების მიქცევა და პირველი კონტაქტის დამყარებაა. შესავალი პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

2. ძირითადი ნაწილი. ძირითადი ნაწილი პრეზენტაციის ყველაზე ვრცელი და საპასუხისმგებლო ნაწილია. ამ ნაწილში განიხილება დებულებები, მოსაზრებები, გამოიყენება საილუსტრაციო მასალები. პრეზენტაციის გაკეთე-

ბისას ყურადღება ექცევა საუბრის ტონს, ქცევის მანერას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. ეს ნაწილი პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 70%-ს შეადგენს.

დასკვნა. დასკვნით ნაწილში ჯამდება პრეზენტაცია – რისთვის გაკეთდა, რა იყო მიზანი და რა შედეგია მიღებული. ეს ნაწილი პრეზენტაციის დროის დაახლოებით 10%-ს შეადგენს.

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს შეფასების სკალა, რომლის მიხედვითაც პრეზენტაციის დასრულებისას შეაფასებენ მას. სკალის გამოყენება უფრო მეტად სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი პრეზენტაციისათვის არის რეკომენდებული.

პრეზენტაციის გაკეთებისთვის საჭიროა სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა – პროექტორი, ლეპტოპი, დაფა ან „ფლიპჩარტი“. სასურველია, პრეზენტაცია Power Point-ში გაკეთდეს.

• შემთხვევის განხილვა

შემთხვევის განხილვა ფართოდ გამოიყენება სწავლების პროცესში. მისი მიზანია, კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შექმნა.

შემთხვევის განხილვისას არ არის აუცილებელი, შემთხვევა ერთ კონკრეტულ ადამიანს ეხებოდეს. ის შეიძლება ადამიანთა ჯგუფთან, სხვადასხვა სიტუაციასთან, ფენომენტთან და ა.შ. იყოს დაკავშირებული.

შემთხვევის შესწავლისას გაიაზრებენ და აანალიზებენ ამ კონკრეტულ შემთხვევას. განხილვამდე მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მასალას, რომელიც საინტერესო და აქტუალური იქნება მოსწავლეებისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებელს გახდის მსჯელობას მის შესახებ.

განსახილველ მასალასთან ერთად უნდა მომზადდეს ძირითადი კითხვები. კითხვები შეიძლება ასეთი სახის იყოს: როგორი დამოკიდებულება აქვთ შემთხვევის მიმართ? რა არის მათთვის მისაღები/მიუღებელი? როგორ შეიძლება პრობლემის გადაჭრა? და ა.შ.

შემთხვევის განხილვას სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა არ სჭირდება. სასურველია, ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ამობეჭდილი ინფორმაცია შემთხვევის შესახებ ან მასწავლებელმა გამოიყენოს პროექტორი და ლეპტოპი.

• როლური თამაში

როლური თამაში ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ხშირად გამოიყენება სწავლების ყველა საფეხურზე. მისი მიზანია კონკრეტული სიტუაციისა და ამბის გაცოცხლება. იგი საშუალებას იძლევა უკეთ წარმოვადგინოთ, გავიაზროთ და გავაანალიზოთ დასახული ამოცანა.

როლური თამაში სწავლების აქტიური ფორმაა. მოსწავლეები ახდენენ თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით გამყარებას. ამ დროს შესაძლებელია, მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურნი იყვნენ; საკითხის განხილვის გარდა, მათ საშუალება აქვთ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და, შესაბამისად, მასალის ათვისებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით მოსწავლეები უფრო მარტივად სწავლობენ, ვიდრე მხოლოდ მასალის წაკითხვით, მოსმენით ან რაიმეზე დაკვირვებით.

როლური თამაში იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა საჭიროა საკითხის შესახებ არა მარტო თეორიული ცოდნის, არამედ რეალური ცხოვრებისეული გამოცდილების შექმნაც და უნარ-ჩვევების გამომუშავება. მაგალითად, როლური თამაშები ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც გვსურს მოსწავლეებს გამოვუმუშაოთ სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის წესები ან კონფლიქტის ეფექტიანი მოგვარებისთვის საჭირო უნარი. როლური თამაშები ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური კომპეტენციების, მაგალითად, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის უნარისა და ა.შ. გასავითარებლად. როლური თამაშები საფუძვლიან დაგეგმვას საჭიროებს, კონკრეტული სამუშაოს შესრულების გზით სასურველი შედეგი რომ მივიღოთ.

როლური თამაშის დაწყებამდე მასწავლებელმა/დამრიგებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნოს თემა და გააკეთოს მოკლე შესავალი. მაგალითად, ეს თამაში გულისხმობს თანამშრომლობას და გაგრძელება 20 წთ, რის შემდეგაც განვიხილავთ და შევაჯამებთ შედეგებს.

შემდეგ კლასი უნდა დავყოთ ჯგუფებად. ამისთვის შეგვიძლია, გამოვიყენოთ ოთხი მეთოდი:

1. ჯგუფის დაყოფა სიის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გააკონტროლოს ჯგუფის შემადგენლობა;
2. შესაძლებელია, მონაწილეები საკუთარი სურვილისამებრ დაიყონ ჯგუფებად;
3. შემთხვევითი განაწილების ხერხის გამოყენებისას, ჯგუფების რაოდენობიდან გამომდინარე, ვთხოვთ მონაწილეებს, გაითვალონ (პირველ-მეორე-მესამეზე...). გათვლის შემდეგ პირველი ნომრები წარმოქმნიან პირველ ჯგუფს, მეორე ნომრები – მეორეს და ა.შ.;
4. დაჭრილი ბარათების მეშვეობით განაწილებისას, მასწავლებელმა უნდა აიღოს იმდენი ფერის პატარა ბარათი, რამდენი ჯგუფის შექმნაც სურს. შემდეგ თითოეული ფერის ბარათი დაჭრას იმდენ ნაწილად, რამდენი მოსწავლევც არის ჯგუფში; დაჭრილი ბარათები პატარა კალათაში იყრება. მონაწილეები კალათიდან იღებენ დაჭრილი ბარათების თითო ნაჭერს. ერთ ჯგუფში ერთი ფერის მფლობელები ხვდებიან. ფერადი ბარათების ნაცვლად შეიძლება საფოსტო ღია ბარათების გამოყენებაც. ასევე შესაძლებელია, მონაწილეები დავყოთ დაბადების თვის, რიცხვის, ნელინადის დროის მიხედვით და ა.შ.

ამის შემდეგ მასწავლებელი მონაწილეებს აცნობს ინსტრუქციას. ის ჯგუფური მუშაობის პროცესში ნეიტრალურია და ასრულებს დამკვირვებლის როლს.

შემდეგი ეტაპი უშუალოდ თამაშის პროცესია. მოსწავლეები ასრულებენ როლებს ინსტრუქციის შესაბამისად. როლური თამაშის შედეგი პირდაპირ კავშირშია ჯგუფის წევრების პროცესში ჩართვასა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნებასთან, ამიტომ უნდა ნახალისდნენ ჯგუფის პასიური წევრები, რათა ისინიც მაქსიმალურად ჩაერთონ თამაშის პროცესში.

როლური თამაშის დასრულების შემდეგ მონაწილეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძინეს/ისწავლეს ამ თამაშიდან. მონაწილეები აფასებენ ჯგუფის მუშაობის შედეგებს იმის მიხედვით, რა ისწავლეს, რა იყო პოზიტიური და რა – ნეგატიური მუშაობის დროს; შემდეგ უნდა განიხილონ მხოლოდ შინაარსი და პროცესი და არა პროცესის მონაწილეები, პიროვნებები, მათი თვისებები და სხვ.

დადებითი მხარეები:

- ხელს უწყობს მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლას, მოსწავლეთა ჩართვას სწავლის პროცესში;
- ხელს უწყობს საკითხის ღრმად შესწავლას სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა მონაწილის თვალთახედვით;
- როლური თამაშის დროს ვითარდება უნარ-ჩვევები, იცვლება დამოკიდებულებები;
- როლური თამაში რეალური სიტუაციის სიმულაციაა; მონაწილეებს საშუალება აქვთ, სხვების თანდასწრებით გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება;
- ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას; სახალისოა და ზრდის მოტივაციას;
- ხელს უწყობს მასალის საფუძვლიანად დამახსოვრებას, რადგან ამ დროს მუშავდება არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ მონაწილეები ემოციურადაც განიცდიან პროცესს;
- როლური თამაშების დროს მონაწილეებს შეცდომის დაშვების გამო მკაცრად არ აკრიტიკებენ.

უარყოფითი მხარეები:

- ჯგუფის ყველა წევრი გუნდში შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად; ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, ემოციებისა და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა;
- როლურ თამაშში შესაძლებელია მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი ჩართოს;
- როლურ თამაშებს სჭირდება დრო; განსაკუთრებით დიდი დრო სჭირდება შეჯამების ეტაპს, რადგან ყველა მონაწილემ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება; ჯგუფური მუშაობის შემდეგ ყველა მონაწილეს უნდა

ჰქონდეს კმაყოფილების განცდა;

- ვინაიდან როლური თამაშის დროს განსხვავებული აზრები წარმოიშობა, შეიძლება ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ვერ გაუგონ და მათ შორის ნეგატიური ატმოსფერო შეიქმნას;
- როლური თამაშები არ გამოდგება დიდი ჯგუფებისათვის სწავლების მეთოდად.

მეტად მნიშვნელოვანია თამაშის შედეგების შეჯამება და ჯგუფის მუშაობის დაკავშირება თამაშის მიზნებთან.

• სოკრატული მეთოდი

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) კითხვებს (მაგალითად, „რას ფიქრობთ ამ საკითხზე“? „რა განმარტებები გვჭირდება ამისათვის“?) და არ აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს. ამ დროს მასწავლებელი განიხილავს გამონაკლის შემთხვევებს და მარტივ იდეას ეჭვქვეშ აყენებს. იგი მოსწავლეებისგან აზროვნებას მოითხოვს, რათა ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადწყვეტამდე.

სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიის, დებატების ფორმით, პრობლემური კითხვების დასმით და სხვ. ზოგჯერ მასწავლებელს მოჰყავს ფაქტები მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას; ის ცდილობს სხვადასხვა ავტორიტეტის მოსაზრებათა ეჭვქვეშ დაყენებას. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, თამამად თხზავენ ჰიპოთეზებს თუ ვერსიებს, ანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს.

ქვემოთ მოყვანილია გაკვეთილზე ამ მეთოდის გამოყენების მაგალითები:

1. მასწავლებელი სვამს პრობლემურ შეკითხვებს, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აზროვნების გააქტიურებას მოცემული საკითხის ირგვლივ;
2. მასწავლებელს მოჰყავს დამხმარე და საწინააღმდეგო მაგალითები მოცემული მოვლენის საილუსტრაციოდ;
3. მასწავლებელი კრიტიკულად განიხილავს მოსწავლის არგუმენტებს;
4. მასწავლებელი ხელს უწყობს კლასის ჩაბმას დისკუსიაში;
5. მასწავლებელი ხელს უწყობს საკუთარი და სხვათა აზრების კრიტიკულად შეფასების უნარის განვითარებას;
6. მასწავლებელი ითხოვს ფაქტებისა და ცნებების ანალიზს, მასალის არსის გაგებას და ა. შ.
7. მასწავლებელი ითხოვს მოსწავლეებისგან, დააკავშირონ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნა, სხვადასხვა ელემენტისაგან შექმნან ახალი სტრუქტურა;
8. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარ არგუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიტანონ დასკვნა (გააკეთონ შეფასება).

• **აქტიური კითხვა + კორნელის მეთოდი**

მასწავლებლის პირველი მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ გადახედოს დასამუშავებელ მასალას და საკუთარ თავს დაუსვას შემდეგი კითხვა: რა ვიცი მოცემული საკითხის შესახებ? შემდეგ კი ჩაინიშნოს ინფორმაცია, რაც ამ საკითხის შესახებ გააჩნია.

მასწავლებლის მეორე მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ წერილობით ჩამოაყალიბოს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რატომ ვკითხულობ ამ ტექსტს? რისი სწავლისა და გაგების იმედი მაქვს ტექსტის წაკითხვის შემდეგ?

მასწავლებლის მესამე მოთხოვნაა, ტექსტის კითხვისას მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ? და ჩაინიშნოს ამ კითხვების საფუძველზე მოაზრებული ინფორმაცია.

მასწავლებლის მეოთხე და საბოლოო მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ ხელახლა წაიკითხოს თავისი შენიშვნები და კორნელის გრაფაში გაკეთებულ პირველად კომენტარებს დაურთოს მეორეული, უკვე ემოციური კომენტარები და შესწორებები და ამით შეავსოს კორნელის გრაფის მეორე ნაწილი.

ამ სტრატეგიის შესრულებას, როგორც წესი, მოსდევს მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია.

კორნელის გრაფა

პირველადი კომენტარი	მეორეული კომენტარი
ფაქტობრივი	ემოციური, კრიტიკული

• **კეთებით სწავლება**

კეთებით სწავლების ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს ხდება მოსწავლეებისათვის არა ინფორმაციის, არამედ ზუსტი ინსტრუქციის მიწოდება სიმულაციისათვის. ამ მეთოდის მიზანია, მოსწავლეება ზუსტად შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობენ ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას.

პრაქტიკის დროს მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა გამოხმაურებას (უკუკავშირს), რაც აზრიანს ხდის მოსწავლის პრაქტიკას და ხელს უწყობს მას, ავტომატურად (მექანიკურად) კი არ იმოქმედოს, არამედ გააცნობიეროს, რასაც აკეთებს. ამგვარი სწავლება მხოლოდ

სათანადო გამოხმაურების შემთხვევაში გვაძლევს მნიშვნელოვან ეფექტს. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს აქტივობის სქემა ან მოდელი, სადაც ნათლადაა მოცემული მიღწევის დონეები. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს, რას მოელიან მისგან და როგორ ფასდება მისი წარმატება ანუ რა არის ეფექტური „კეთება“ და მიზნის მიღწევა.

ამრიგად, პრაქტიკის მთავარი პრინციპებია: მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი ნახალისება და სათანადო უკუკავშირი, რათა მათ აზრიანად იმოქმედონ.

ამგვარი პრაქტიკა შეიძლება იყოს კონკრეტულად თქვენი დასახლებისათვის შესაფერისი ხეთა ნერგების შერჩევა, მათი დარგვა, ჯებირებისა და წყლის კალაპოტის შემოწმება, სკოლის ევაკუაციის გეგმის შედგენა და ა.შ.

მასწავლებლის სურვილის მიხედვით, კლასის დონისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაძლებელია ძირითადი საკითხების ერთ თემად მიწოდება ან პირიქით – ერთი თემის დაყოფა ძირითად საკითხებად.

კეთებით სწავლა უფრო სახალისოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსწავლეები თავად ქმნიან მოდელს, რუკას. მესამე თავში მოცემულია აქტივობა, სადაც მოსწავლეები აწყობენ საქართველოს მხარეების რუკას. ასეთივე აქტივობა შესაძლებელია ჩატარდეს მე-8 კლასშიც: ჯგუფები ევროპის (ან რომელიმე სხვა კონტინენტის) კონტურულ რუკაზე ქვეყნებს სხვადასხვა ფერით აფერადებენ და ჭრიან, შემდეგ უცვლიან მეზობელ ჯგუფებს ნამუშევრებს და აწყობენ ევროპის პოლიტიკურ რუკას. გამარჯვებული იქნება ჯგუფი, რომელიც ყველაზე სწრაფად დაასრულებს რუკის აწყობას.

• თვალსაჩინოებაზე მუშაობა

თვალსაჩინოებებზე მუშაობის მეთოდს სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ვიზუალური ინფორმაცია აღიქვან, გაიაზრონ და ახალ ინფორმაციად აქციონ. თვალსაჩინოებები (მაგ.: რუკები, ილუსტრაციები, დიაგრამები, გრაფიკები, ფოტოები და სხვ.) ფართოდ გამოიყენება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ყველა საფეხურზე. ამ მიდგომით მოსწავლეებს უვითარდებათ ვიზუალური უნარ-ჩვევები. ისინი იგებენ, რომ შეიძლება „ნაიკითხო“ არა მარტო ტექსტი, არამედ ფოტოც, დიაგრამაც, ცხრილიც და რუკაც, რომლისგანაც ყოველთვის შეიძლება მაქსიმალური თუ არა, მინიმალური ინფორმაციის მიღება მაინც. რუკა ერთგვარი მოკარნახე და გზამკვლევი მოსწავლისთვის.

თვალსაჩინოებებზე მუშაობის მეთოდი საშუალებას იძლევა, მოსწავლე დაეუფლოს გამჭოლ სემიოტიკურ კომპეტენციას. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალურად და არავერბალურად (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატისა და სხვ. საშუალებით) მიღებული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრებისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გამოცემის უნარი; ნიშანთა ერთი სისტემიდან ინფორმაციის მეორეში გადატანის უნარი (მაგალითად, ტექსტის ილუსტრაციით გამოხატვის ან ერთი ფორმით მოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.). ეს პრო-

ცესი ეფექტურია და მოსწავლეების მრავალმხრივი ინტელექტუალური განვითარების საშუალებას იძლევა.

სახელმძღვანელოს მასწავლებლები ერთ-ერთ მთავარ რესურსად მიიჩნევენ. ახალი სახელმძღვანელოების ეფექტურად გამოყენების მიუხედავად (ისინი, საინფორმაციო ტექსტების გარდა, მდიდარია თვალსაჩინო მასალით, რომელსაც კონკრეტული დატვირთვა აქვს), პედაგოგებს მაინც მოუწევთ დამატებითი სასწავლო რესურსებზე ფიქრი. მასწავლებლის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები მეტყველებს მის მაღალ კვალიფიკაციასა და კეთილსინდისიერებაზე.

ბოლო წლებში, ახალი ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარების პირობებში, თვალსაჩინოებები სულ უფრო ადვილად ხელმისაწვდომი ხდება. მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს სახელმძღვანელოში მოცემული ყოველი გაკვეთილი და გაიაზროს, რა სახის ინფორმაცია, მონაცემები გახდის გაკვეთილს უფრო საინტერესოს და რა შეუწყობს ხელს თემის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლას.

გაკვეთილისთვის კონკრეტული თვალსაჩინოების არჩევისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები: შეძლებს თუ არა ამ კონკრეტული თვალსაჩინოების გამოყენება სწავლის მოტივაციის გაზრდას? შეძლებენ თუ არა მოსწავლეები ამ რესურსის სათანადოდ გამოყენებას? რა საბაზისო უნარ-ჩვევები აქვთ მათ და რომელი უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყობს ხელს გამოსაყენებელი თვალსაჩინოება?

ამ მეთოდის უარყოფით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ასაკისთვის შეუფერებელი და უხარისხო თვალსაჩინოების შერჩევა, რომელიც გაართულებს ინფორმაციის მიღებას.

მუშაობა რუკების გამოყენებით

რუკა ერთგვარი უნივერსალური ენაა, რომელიც ინტენსიურად და აქტიურად გამოიყენება გეოგრაფიული მეცნიერების შემეცნების პროცესში.

გეოგრაფიის მასწავლებლებისთვის რუკა უმთავრესი სასწავლო რესურსია; გეოგრაფიის კვლევის საგანს ხომ სივრცე წარმოადგენს და სწორედ რუკაა ის საშუალება, რომელიც მოსწავლეს უადვილებს შესასწავლი საკითხების სივრცით აღქმას.

სასურველი და აუცილებელიც არის, რომ მასწავლებელმა კლასში შეტანამდე გააანალიზოს რუკის მონაცემები, მასზე დატანილი ინფორმაცია, დაადგინოს შესაძლო სიძნელეები, რასაც მოსწავლეები რუკის გამოყენების პროცესში შეიძლება წააწყდნენ; დასახოს გზები, რომლითაც ეს პრობლემები მოგვარდება; წინასწარ შეადგინოს კითხვები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს რუკის კითხვაში დაეხმარება.

ტექსტზე მუშაობა

საბაზო საფეხურზე გეოგრაფიის შესწავლისას წერილობითი ტექსტიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვალსაჩინოებაა. მათზე მუშაობა მოსწავლეს აჩვენებს არასტანდარტული ტექსტების კითხვას, ამდიდრებს მის ლექსიკურ მარაგს, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ტექსტზე მუშაობა რამდენიმე ეტაპად უნდა დაგყოს. თავდაპირველად მოსწავლეებს ტექსტის ზედაპირული დათვალიერება უნდა მოვთხოვოთ. სასურველია, მათ ტექსტიდან პერსონალების, თარიღებისა და სხვა მსგავსი ადვილად აღსაქმელი ინფორმაციის გამოცალკევება და ამონერა დავავალოთ. ტექსტის ამგვარად დამუშავების შემდეგ მოსწავლეებს, ძირითადად, აღარ აშინებს მასალის ტექსტის სირთულე და ისინი უკვე მზად არიან უფრო რთული აქტივობების შესასრულებლად.

მომდევნო ეტაპზე საჭიროა, ტექსტი აზრობრივ აბზაცებად და სტროფებად დავანაწილოთ. კარგი იქნება, ასეთ აზრობრივ ერთეულებს სათაურებსაც თუ დავარქმევთ და მათ შინაარსს საჯაროდ გავაანალიზებთ.

ტექსტის სტრუქტურული დამუშავების შემდეგ მისი შინაარსობრივი მხარის დამუშავებაზე გადავდივართ. ამისათვის ვსვამთ ანალიტიკურ კითხვებს, რაც მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს.

დადებითი შედეგები:

წერილობით წყაროებზე მუშაობა მოსწავლეს:

- უფითარებს ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციის უნარს;
- უფითარებს ანალიტიკური მსჯელობის უნარს;
- აჩვენებს არასტანდარტული ტექსტების კითხვას;
- აჩვენებს წერილობით დოკუმენტებში აღწერილი რეალობის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

უარყოფითი შედეგები:

თუკი მოსწავლეს ასაკისთვის შეუფერებელ ტექსტს შევთავაზებთ, შესაძლებელია, მუშაობამ უარყოფითი შედეგიც კი გამოიღოს; კერძოდ, შეიძლება მოსწავლე დაითრგუნოს და საგნის სწავლის მოტივაცია გაუქრეს.

სააზროვნო სქემები ანუ კოგნიტური დიაგრამები

კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც მათ ნაწილისა და მთელის, მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარება. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა.

კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე:


- ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას;
- ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას;
- შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას;
- ეჩვენება კრიტიკულ აზროვნებას;
- სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

როლის და როგორ გამოიყენება კოგნიტური დიაგრამები:

- როგორც ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე მასალის Aთვისების შემდეგ, შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს;
- როგორც ტექსტის კითხვისა და დამუშავების, ასევე წერიტი სამუშაოს დროს;
- როგორც საშინაო დავალების შესრულების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს;
- როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს.


მოვლენათა ჯაჭვი

მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ეს სქემა და დააფიქსირონ მოვლენების/ფაქტების ურთიერთკავშირი.




სქემა გონებრივი იერიშისთვის – იდეა, თემები, ქვეთემები, დეტალები, მომიჯნავე საკითხები.


მოსწავლეებმა უნდა შეავსონ სქემა და ზოგადად გაიაზრონ საკითხი.




საორგანიზაციო სქემები



საორგანიზაციო სქემა – ვენის დიაგრამა



საორგანიზაციო სქემა – გადაჯაჭვული



SWOT ანალიზი (სვოტ-ანალიზი)

SWOT ანალიზი (სვოტ-ანალიზი) არის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, არსებული საფრთხეების შეფასების ეფექტური გზა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შესაძლებლობებზე.

აბრევიატურა SWOT ასე იშიფრება:

ძალა (Strengths): ძლიერი მხარეების დადგენა;

სისუსტე (Weaknesses): სუსტი მხარეების დადგენა;

შესაძლებლობა (Opportunities): შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია განვითარებისთვის;

საფრთხე (Threats): არსებული საფრთხეები, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ განვითარებას.

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
საფრთხე	შესაძლებლობა

ბ) საგანი და გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ კომპეტენციას, რომელთა დაუფლება გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. საგნების სწავლება, სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ამ გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების განვითარებას.

გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთშორისი კავშირების დამყარება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს. ამ მიმართულებით, საბაზო საფეხურზე გეოგრაფიის (მსოფლიოსა და საქართველოს) სტანდარტი და შინაარსი შესანიშნავ საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა ფუნდამენტურად შეისწავლონ გეოგრაფია, როგორც ცალკე დისციპლინა და, ვინაიდან გეოგრაფია ძალზე კომპლექსური საგანია, მათ აუცილებლად განუვითარდებათ გლობალური ხედვა და დამოკიდებულება, მკაფიოდ დაინახავენ საგანთა შორის კავშირს და, რალა თქმა უნდა, განუვითარდებათ არაერთი საჭირო უნარ-ჩვევა. **მესამე თავის ცხრილში, შენიშვნების გრაფაში მითითებულია, რომელ გამჭოლ პრიორიტეტს უკავშირდება ესა თუ ის კონკრეტული აქტივობა.**

გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციებია:

- ა) **ნიგნიერება** – ტრადიციული გაგებით, სიტყვა „ნიგნიერება“ გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღესამცნებისშინაარსიგაცილებითმეტსმოიცავს; თანამედროვეგაგებით, ნიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;
- ბ) **მედიანიგნიერება** – საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად,

მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედია ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა და, მეორე მხრივ, მედიასამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიანიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

- გ) **ციფრული წიგნიერება** (იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება) – თანამედროვე მსოფლიოში საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ წიგნიერების ცნება კიდევ უფრო გააფართოვა. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც, რასაც მთლიანობაში ციფრული წიგნიერება ეწოდება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების უნარის გამომუშავებას;
- დ) **რაოდენობრივი წიგნიერება** – რაოდენობრივი წიგნიერება არის იმ უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელთა დაუფლება მოსწავლეს უადვილებს რიცხვის არსის გააზრებას, რაოდენობის სხვადასხვა ხერხით გამოსახვას, რიცხვებს შორის არსებული მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებას. ეს უნარ-ჩვევები მოსწავლეს სჭირდება არა მხოლოდ მათემატიკის, არამედ სხვა საგნების შესასწავლადაც;
- ე) **ეკოლოგიური წიგნიერება** – ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში;
- ვ) **მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია** – მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის შინაგანი უნარი, დაეუფლოს და გამოიყენოს ენა/ენები. ნებისმიერ საგანში ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მოსწავლე ენობრივი აქტივობების საშუალებით იძენს. აქედან გამომდინარე, ყველა საგანს თავისი წვლილი შეაქვს მოსწავლის მრავალენობრივი კომპეტენციის განვითარებაში;
- ზ) **სემიოტიკური კომპეტენცია** – სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნაზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგალითად, სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების,

სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარი;

- თ) **სწავლის სწავლა** – სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი. მასწავლებელმა მოსწავლის ყურადღება უნდა მიმართოს სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მას იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებენ ან ხელს უწყობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას; აღმოაჩინოს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებელი ხერხები და მიდგომები; გამოუმუშაოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;
- ი) **სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია** – სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადანაცვებების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

თავი 5. განმავითარებელი და განმსაზღვრელი (შემაჯავებელი) შეფასების ნიმუშები საბაზო საფეხურისთვის (VII; VIII; IX; კლასები)

ა) ტესტი, როგორც სწავლების მეთოდი

ვიდრე ტესტური დავალებების შედგენას შეუდგებით, აუცილებლად უნდა განსაზღვროთ, რისთვის იქმნება ეს ტესტი (განსაზღვრეთ მიზანი) — გამოიყენებთ მას განმავითარებელი შეფასებისათვის დიაგნოზის დასასამელად, მაგალითად, ახალი საკითხის შესწავლის წინ, შუალედურად, საკითხის შესწავლისას ათვისების დონის შესამოწმებლად თუ განმსაზღვრელი შეფასებისათვის, მიღწევების დონის განსაზღვრავად.

ამავდროულად, განსაზღვრეთ, რა ტიპის უნარ-ჩვევებისა და რა მოცულობის ცოდნის შეფასებას გეგმავთ კონკრეტული ტესტით (სტანდარტის კონკრეტული შედეგი, თავი, შინაარსობრივი საკითხები, უნარები), როგორი იქნება ბალანსი მარტივსა და რთულ ტესტურ დავალებებს შორის; ეს კი ტესტის მიზნიდან გამომდინარე რეგულირდება.

როგორ უნდა დავადგინოთ ტესტის ვარგისიანობა

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ბალანსს, სპეციფიკურობასა და ობიექტურობას. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ბალანსი

1. რამდენად ასახავს შერჩეული ტესტური დავალებები იმ მიღწევებს, რომლებიც უნდა შეფასდეს?
2. შეიცავს თუ არა ტესტი საკმარის ტესტურ დავალებებს იმისათვის, რომ სათანადო ხარისხით მოიცვას შინაარსი და ის უნარ-ჩვევები, რომელთა მიღწევაც არის მიზნად დასახული?

სპეციფიკურობა

3. მოითხოვს თუ არა ტესტური დავალებები იმ შინაარსისა და საკითხების ცოდნას, რომელთაც ტესტი მოიცავს?
4. შესაძლებელია თუ არა ტესტურ დავალებებზე პასუხის გაცემა ზოგადი ცოდნის საფუძველზე?

ობიექტურობა

5. ნათელია თუ არა მოსწავლისთვის, რას მოელიან მისგან?
6. აქვს თუ არა ტესტურ დავალებას სწორი პასუხი?

ეს კითხვები ტესტის შემდგენელს ტესტური დავალებების წერის პროცესში მუდამ უნდა ახსოვდეს.

ტესტური დავალების ტიპები

- 1) სწორი-მცდარი;
- 2) შესაბამისობის პოვნა;
- 3) არჩევითპასუხიანი დავალებები;
- 4) ვრცელ- ან მოკლეპასუხიანი დავალებები;
- 5) კლასიფიკაციის ტესტური დავალებები.

1. მითითებები **სწორი-მცდარი** ტესტური დავალებების შესაქმნელად:

- შეადგინეთ ისეთი დებულებები, რომლებიც აუცილებლად სწორია ან აუცილებლად მცდარი;
- იმ შემთხვევაში, თუ რაიმე შეხედულებაა გამოყენებული, აუცილებლად მიუთითეთ წყარო;
- გამოიყენეთ შედარებით მოკლე დებულებები;
- უზრუნველყავით ტესტში ჭეშმარიტი და მცდარი დავალებების ერთი და იგივე რაოდენობა;
- თავიდან აიცილეთ ორმაგი უარყოფა;
- თავი აარიდეთ რთულ წინადადებებს, რადგან შეიძლება მოსწავლემ სწორედ ამის გამო ვერ უპასუხოს კითხვას;
- არ გამოიყენოთ ისეთი ტერმინები, რომლებიც გამოსატყვევებელი განუსაზღვრელს (მაგ.: ფართო, დიდი დრო, რეგულარულად) ან/და აბსოლუტები (მაგ.: არასოდეს, მხოლოდ, ყოველთვის);
- დებულებები არ ამოიღოთ რაიმე ტექსტიდან და არ წარმოადგინოთ კონტექსტის გარეშე.

მაგალითი

უპასუხეთ, **სწორია თუ მცდარი დებულება:**

- სახელმწიფოს ტერიტორიის წყლიან ტერიტორიას აკვატორია ეწოდება;
- საქართველო მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში;
- საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი იწყება მთა ტინოვროსოდან;
- სამხრეთ ირლანდია შედის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში.

2. მითითებები **შესაბამისობის** პოვნაზე ტესტური დავალებების შესაქმნელად:

- ეცადეთ, სიტყვებისა და ფრაზების ჩამონათვალი იყოს მოკლე და ერთგვაროვანი;
- ორივე ჩამონათვალი დაასათაურეთ;
- შეეცადეთ, ჩამონათვალი ააგოთ რაიმე ლოგიკით (თუ ეს ვერ მოახერხეთ, ე.ი. თქვენ იყენებთ ძალიან ფართო სპექტრს ამ დავალებისთვის. ასეთ შემთხვევაში ეცადეთ, ამ დავალებიდან გამოყოთ ორი ან მეტი დავალება).
- აღწერათა ჩამონათვალი, რომელიც მარცხენა (პირველ) სვეტში უნდა იყოს მოთავსებული, უნდა შეიცავდეს უფრო გრძელ ფრაზებს, ვიდრე ვარიანტები მარჯვენა სვეტში, სადაც უნდა მოათავსოთ მხოლოდ სიტყვები, სიმბოლოები ან მოკლე ფრაზები;

- ჩამონათვალში მოცემული ყოველი აღწერა უნდა დანომროთ (ყოველი მათგანი ცალკე დავალებათ), ხოლო ვარიანტების ჩამონათვალი დანომრეთ ასოებით;
- გამოიყენეთ უფრო მეტი ვარიანტი, ვიდრე აღწერათ. თუ ვარიანტების ჩამონათვალი უფრო მეტია, ვიდრე აღწერა, მოსწავლეებისთვის უფრო რთული იქნება, გამორიცხვის მეთოდით მიხვდნენ, რომელია სწორი პასუხი;
- თუ ვარიანტების ჩამონათვალი უფრო მცირეა, ვიდრე აღწერებისა, მაშინ შესაძლებელია ზოგიერთი ვარიანტის რამდენჯერმე გამოყენება;
- ჩართეთ ისეთი ვარიანტები, რომლებიც ან არ შეესატყვისება არც ერთ აღწერას, ან შეესატყვისება რამდენიმეს ერთდროულად;
- ინსტრუქციებში აუცილებლად მიუთითეთ, რომ შესაძლოა, ერთი ვარიანტი რამდენჯერმე იყოს გამოყენებული.

მაგალითი:

შეუსაბამეთ რეგიონები ქვეყნებს:

- 1) კავკასია ა) უკრაინა
- 2) სკანდინავია ბ) საქართველო
- 3) კარიბის ზღვა გ) ნორვეგია
- 4) შავი ზღვა დ) კუბა

3. მითითებები არჩევითპასუხიანი ტესტური დავალებების შესაქმნელად:

აქ გამოიყოფა მარტივი (მათი მეშვეობით იზომება ცოდნა, გაგება და გამოყენება) და რთული (მათი მეშვეობით შესაძლებელია გაიზომოს კოგნიტური პროცესების მაღალი დონეები, ანალიზი, შეფასება, როდესაც შეძენილი ცოდნა და უნარები, ნასწავლი პრინციპები ახლებურ სიტუაციაში უნდა იქნეს გამოყენებული) დავალებები.

- დავალების პირობა ნათლად უნდა აყალიბებდეს პრობლემას. გამოიყენეთ მხოლოდ ის მასალა, რომელიც აუცილებელია პრობლემის ნათლად და კონკრეტულად ჩამოსაყალიბებლად. იყავით ლაკონური, დავალებაში არ ჩართოთ ზედმეტი ინფორმაცია;
- აუცილებლად დარწმუნდით, რომ შეთავაზებულ ვარიანტებში მხოლოდ ერთი სწორი პასუხია;
- დარწმუნდით, რომ დისტრაქტორები (სავარაუდო მცდარი პასუხები) ისეა შერჩეული, რომ ისინი სარწმუნოდ გამოიყურებიან;
- თავიდან აიცილეთ გრამატიკული უზუსტობები და ეცადეთ, ყველა დისტრაქტორი ერთი სიგრძისა და ფორმის იყოს;
- სწორი პასუხის ადგილი პასუხების ვერსიათა ჩამონათვალში შემთხვევითად ცვალებად დავალებიდან დავალებამდე;
- გამოიყენეთ ნეგატიური კითხვები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიზანი, რომელიც მოწმდება, ამას მოითხოვს. უმეტეს შემთხვევაში, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია დავადგინოთ, გაიგო თუ არა აპლიკანტი, რა კონკრეტულ ინფორმაციას მოითხოვს ესა თუ ის დავალება და არა პირიქით – რას არ მოითხოვს;

- გამოიყენეთ პასუხის სამიდან ხუთ ვარიანტამდე (ორიდან ოთხამდე დისტრაქტორი და ერთი სწორი პასუხი);
- როგორც წესი, დისტრაქტორების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდა სუსტი დისტრაქტორების შექმნის წინაპირობაა და არაფერს მატებს ტესტის სანდოობასა და ვალიდობას;
- დავალების გასართულებლად, გაზარდეთ მსგავსება დისტრაქტორების შინაარსებს შორის;
- იშვიათად გამოიყენეთ გამოთქმა: „ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი“.

მაგალითი:

ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული:

- ა) გეოგრაფიული გრძედი არის გრადუსობით ათვლილი მანძილი ეკვატორიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებისკენ;
- ბ) გეოგრაფიული გრძედი არის ყველაზე დიდი პარალელი;
- გ) გეოგრაფიული გრძედი არის გრადუსობით გადათვლილი მანძილი ნულოვანი ანუ გრინვიჩის მერიდიანიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით.

4. მითითებები **ვრცელ- ან მოკლეპასუხიანი** ტესტური დავალებების შესაქმნელად:

- დავალება უნდა ასახავდეს საგნის შინაარსის მნიშვნელოვან ასპექტს და არა მეორეხარისხოვან, წვრილმან საკითხებს;
- კითხვა უნდა იყოს მკაფიო და არ იწვევდეს გაუგებრობას;
- დარწმუნდით, რომ ყოველი დავალება დამოუკიდებელია ყველა სხვა დავალებისგან (კითხვაზე პასუხი არ უნდა იყოს შემდეგ კითხვაზე პასუხის წინაპირობა; ერთ კითხვაზე პასუხის მინიშნება არ უნდა იყოს დამალული სხვა კითხვაში);
- დარწმუნდით, რომ კითხვას აქვს ერთი სწორი პასუხი;
- კითხვის ფორმულირებისას ეცადეთ, არ დაუშვათ პასუხზე უნებური მინიშნებები;
- რამდენადაც შესაძლებელია, დავალება უნდა იძლეოდეს განსაზღვრული პასუხის გაცემის შესაძლებლობას;
- ეცადეთ, დასვათ პირდაპირი კითხვა, რადგან ის ამცირებს განუსაზღვრელობას;
- გამოტოვეთ მხოლოდ საკვანძო სიტყვები. არ გამოტოვოთ ელემენტები ისე, რომ დამახინჯდეს აზრი.

მაგალითი:

ა) დაასაბუთეთ და ახსენით მოცემული მოსაზრების მიზეზი:

დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებულია ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – მშრალი სუბტროპიკული.

ბ) დაადგინეთ, რომელ მთებზეა საუბარი და მიუწერეთ:

- ა) ეს მთები ევროპის ჩრდილოეთით, ერთ-ერთ ნახევარკუნძულზეა, რომელზეც სამი სახელმწიფო მდებარეობს -----

- ბ) საქართველო მოქცეულია ამ მთათა სისტემის ცენტრალურ ნაწილში -----
- გ) ამ მთათა სისტემაზე მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი მდებარეობს -----
- დ) რომელია ის მთები, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადაჭიმულია ევროპის რვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე -----

5. მითითებები კლასიფიკაციის ტესტური დავალებების შესაქმნელად:

- თემა/საკითხი უნდა მოიცავდეს იერარქიულ ერთეულებს (მაგალითად: დასახლება, რაიონი, მხარე, ქვეყანა, რეგიონი, კონტინენტი, მსოფლიო);
- შესაძლებელია, კატეგორიები დალაგდეს მარტივიდან რთულისაკენ ზრდადობით ან კლებადობით და მას აკლდეს რომელიმე ერთეული, მოსწავლეს კი გამოტოვებული ადგილის შევსება დაევალოს ისე, რომ ლოგიკური ჯაჭვი არ დაირღვეს;
- შესაძლებელია, მოსწავლეებს მოეთხოვოთ არეული კატეგორიების/თემების დალაგება მარტივიდან რთულისკენ ან პირიქით -- ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით;
- შესაძლებელია, კლასიფიკაციასთან ერთად საჭირო გახდეს შესაბამისობის დადგენაც, დავუშვათ, როდესაც ცალ-ცალკე ჯგუფში გარკვეული მსხვილი ერთეულებია მოცემული და მათი სტრუქტურული ელემენტები უნდა დაჯგუფდეს ორ ან მეტ მსხვილ კატეგორიად;
- ყურადღება მიაქციეთ, რომ სტრუქტურული ერთეულები მკაფიოდ იყოს გამიჯნული და სხვადასხვა კატეგორიასთან მიკუთვნების საშუალებას არ იძლეოდეს.


მაგალითი: 1. დააჯგუფეთ ზღვები ოკეანეების მიხედვით: თეთრი ზღვა, ჩრდილოეთის ზღვა, ადრიატიკის ზღვა, შავი ზღვა, ნორვეგიის ზღვა, ეგეოსის ზღვა, იონიის ზღვა, ბარენცის ზღვა, ლიგურიის ზღვა, გრენლანდიის ზღვა, ტირენიის ზღვა, კარის ზღვა, კარიბის ზღვა, ჩუკოტკის ზღვა.

ატლანტის ოკეანე	ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე


2. დაავგუფეთ ევროპის ქვეყნები რეგიონების მიხედვით და აღნიშნეთ კონტურულ რუკაზე: ალბანეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ავსტრია, ისლანდია, ნორვეგია, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, საბერძნეთი, სლოვენია, ესპანეთი, ნიდერლანდები, დანია, ჩეხეთი, ბელგია, აზერბაიჯანი, სლოვაკეთი, პორტუგალია, ლიტვა, ესტონეთი, მაკედონია.



3. აღნიშნეთ საქართველოს კონტურულ რუკაზე შავი და კასპიის ზღვების აუზების 3-3 მდინარე.



4. დაალაგეთ ქედები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და აღნიშნეთ საქართველოს კონტურულ რუკაზე: გუდამაყრის, ქართლის, ხარულის, კახეთის, ალევის, რაჭის, კოდორის.



5. კავკასიაში წარმოდგენილ რუსეთის ფედერაციის ერთეულებს მიუწერეთ დედაქალაქები და დაალაგეთ (თანმიმდევრობა მიუთითეთ ციფრებით მე-3 სვეტში) დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.

დაღესტანი		
ჩრდილოეთი ოსეთი		
ადიღეა		
ყარაჩაი-ჩერქეზეთი		
ინგუშეთი		
ყაბარდო-ბალყარეთი		
ჩეჩნეთი		

ბ) კონკრეტული მითითებები განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით

გეოგრაფიის სწავლება ეფექტური რომ გახდეს, მასწავლებლები სხვადასხვა სახის განმავითარებელ სამუშაოებს უნდა მიმართავდნენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა პროექტი, რომლის განხორციელებაც მოსწავლეებს სძენს ცოდნას, უვითარებს არაერთ კვლევით თუ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევას. სასურველია, ამგვარი აქტივობისას მასწავლებელს საშუალება ჰქონდეს, თვალი მიადევნოს მოსწავლის განვითარებას. ამის საშუალებას იძლევა მოსწავლის მიერ შევსებული „**დღიური პროექტებისთვის**“. გთავაზობთ ასეთი დღიურის ნიმუშს.

პროექტი – კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო, რომელშიც წარმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება. ეს მეთოდი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა; მოსწავლეები რეალური პრობლემის გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს და შეუძლიათ ხანგრძლივად იმუშაონ დასმულ საკითხებზე. საკითხებს მოსწავლეები გარკვეული დროის (ერთი ან რამდენიმე კვირის) განმავლობაში ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. პროექტები ეხმარება მოზარდს, მიღებული ცოდნა და გამოცდილება რეალურ ცხოვრებაში გამოიყენოს დასახული მიზნის მისაღწევად. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს, არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (მაგ., წერილობითი დოკუმენტის, მაკეტის, ინსცენირების, დებატების, აქციის, თანმიმდევრული ღონისძიებისა და ა. შ.). სასწავლო პროექტების მიმდინარეობისას მასწავლებელი კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს მოსწავლეებს აძლევს მიმართულებას; ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

სასწავლო პროექტის დაგეგმვის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს:

- * რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც კვლევას საჭიროებს;
- * მოსალოდნელი შედეგები იქნება სიახლე (ობიექტური ან სუბიექტური);
- * პროექტზე მუშაობის დროს გამოიყენებული მეთოდები ემსახურებოდეს კვლევას;
- * არსებობდეს არჩევანის გაკეთების საშუალება, რაც მოსწავლეთა პასუხისმგებლობის ზრდას იწვევს.

პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი საგნის ფარგლებში, რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია).

„მასწავლებელი-მოსწავლეები“ – დამოკიდებულების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სასწავლო პროექტი:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შერჩეულ პრობლემებს, თემებს, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას;
2. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს;
3. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

პროექტის სტრუქტურა

პროექტის აღწერა: პროექტის აღწერა არის მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პუნქტი იყოფა ქვეპუნქტებად, რომლებშიც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) პრობლემის განსაზღვრა (იდენტიფიკაცია) – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის

ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი.

ბ) მიზანი – გულისხმობს ვრცელ, ზოგად დებულებას იმის შესახებ, რისი მიღწევაც გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) მოცემულ, კონკრეტულ პრობლემასთან.

გ) ამოცანები – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად.

მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.

დ) განხორციელების გზები – გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენ მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

1) **როგორ?** – როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2) **ვინ?** – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში ან რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

პროექტის შესრულების ვადები უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მიმდინარეობას; მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად საჭირო საქმიანობა – პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით დღეების, კვირების, თვეების მიხედვით განაწილებული.

ბიუჯეტი:

ბიუჯეტი განაცხადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას.

მონიტორინგი:

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ, როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

შეფასება:

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავს თქვენი პროექტის წარმატებას.

პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

1. პრობლემის იდენტიფიცირება;
2. თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
3. ინფორმაციის მოძიების უნარი;
4. კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;
5. საზოგადოებასთან და შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის უნარი;
6. ჯგუფის შემოქმედებითი უნარი;
7. მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციისა და ინტერპრეტაციის უნარი;
8. კვლევის შედეგების ანალიზის უნარი;
9. პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
10. გადანყვეტილებების მიღება;
11. წარმოდგენილი ნამუშევრის ორგანიზება;
12. მოსწავლეთა მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები.

სანიმუშო ვარიანტად გთავაზობთ პროექტის თემას – **საქართველოში მცხოვრები ეთნიკური**

უმცირესობები (მე-9 კლასი).

პრობლემის განსაზღვრა (იდენტიფიკაცია) იმდენად, რამდენადაც საქართველოში არაერთი ერის წარმომადგენელი ცხოვრობს, ეს თემა ყველასთვის საინტერესო და აქტუალურია. კლასის შემადგენლობიდან გამომდინარე (თუ არიან სხვა ერის წარმომადგენლები), შეირჩევა ეთნიკური უმცირესობები: სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, გერმანელები, პოლონელები და ა. შ.

პროექტის მიზანი: საქართველო მრავალფეროვანი (მრავალეროვნული, მრავალენიკური, მრავალრელიგიური) ქვეყანაა, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთო სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემა და ერთგულება. ისეთი თავისუფალი და ღია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც:

- დაცულია ადამიანის უფლებები;
- გაცნობიერებული და დაცულია ადამიანის ღირსება და მნიშვნელობა;
- საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა და დაცვა ყველა მოქალაქის ვალდებულებაა;
- გათვალისწინებულია არა მხოლოდ უმცირესობათა ინტერესები, არამედ დაცულია უმცირესობათა უფლებებიც.

პროექტის მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ და შემდეგ საქართველოს მომავალ თაობებს გადასცენ, რომ ქართველები მზად ვართ სხვა ეროვნების ხალხებთან მეგობრული ურთიერთობისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ნებისმიერ კუთხეში, საუკუნეების განმავლობაში ბევრი სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ცხოვრობს; მარტო ებრაელები 26 საუკუნეა მშვიდო-

ბიანად ცხოვრობენ საქართველოში და არ ყოფილა არც ერთ პრეცედენტი მათი დარბევის ან შევიწროებისა; რომ არც ერთ ქვეყანაში არ აღნიშნულა სხვა ერის ხალხთან ერთად ცხოვრების იუბილე – 1998 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით მოეწყო ქართველებისა და ებრაელების თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი იუბილე. პროექტის მიზანია, რომ ჩვენი წარსული მაგალითად იქცეს როგორც სხვა ერებისთვის, ასევე ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

ამოცანები: ა) ეთნიკური უმცირესობების განსახლების ადგილების დადგენა;

ბ) ისტორიული წყაროების საშუალებით მათი ჩამოსახლების დროისა და ადგილების დადგენა;

გ) ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და ადათ-წესების შესწავლა;

დ) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ზეგავლენის შესწავლა ქართულ კულტურაზე.

განხორციელების გზები: ა) ისტორიული წყაროების მოძიება და დამუშავება;

ბ) ინტერნეტში არსებული მასალის მოძიება და დამუშავება;

გ) საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა სათვისტომოებთან დაკავშირება;

დ) ინტერვიუების აღება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისაგან;

ე) საქართველოში არსებულ არაქართულ სკოლებთან დაკავშირება და ერთობლივი კონფერენციის მომზადება (შესაძლებელია კონცერტისაც);

ვ) ერთობლივი გაზეთის გამოცემა.

პროექტში მონაწილეობენ მოსწავლეები და მოხალისეები – მშობლები, სკოლის მასწავლებლები, სკოლის მეგობრები, კურსდამთავრებულები და ა.შ.

პროექტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მომავალმა თაობებმა დაინახონ – საქართველოს ტერიტორიაზე, ნებისმიერ კუთხეში, ბევრი სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ცხოვრობდა და ცხოვრობს საუკუნეების განმავლობაში; საქართველო ყოველთვის მზად არის სხვა ეროვნების ხალხთან მეგობრული ურთიერთობისთვის.

სასწავლო წელი: ----2013-2014-----

დღიური პროექტებისათვის

კლასი: ---მე-9---

სასწავლო წელი ---2013-2014-----

კლასი -----

თვითშეფასების ბარათი №

მოსწავლის სახელი: ----- კლასი: -----

პროექტის დასახელება: შავი ზღვის მნიშვნელობა საქართველოსთვის
ძველად და ახლა

დავალების/აქტივობის ხელმძღვანელი/ები:

დავალება შევასრულე:

- ინდივიდულაურად
- ჯგუფთან ერთად
- ჯგუფის წევრები:

აღწერ აქტივობას და მიუთითებ, რა მიზნისთვის უნდა მიმეღწია:

აქტივობა/დავალება: -----

მიზანი: -----

ჩემი აზრით:

- მიზანს მივაღწიე
- ნაწილობრივ მივაღწიე
- ვერ მივაღწიე

- თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე შევასრულე ეს აქტივობა
- წავაწყდი სიძნელეებს:

ფასდება:

- მოსწავლის მონაწილეობის ხარისხი;
- მიღებული პროდუქტი და წერილობითი ანგარიში;
- ზეპირი გამოსვლა.

1. პრეზენტაცია, როგორც განმსაზღვრელი შეფასება

პრეზენტაცია განმსაზღვრელ შეფასებად რომ გამოვიყენოთ, უნდა ვიცოდეთ, როგორ დავგეგმოთ და გამოვიყენოთ იგი სასწავლო პროცესში. თქვენ შეგიძლიათ, აქ მოცემული ზოდადი აღწერილობა მოარგოთ სხვადასხვა თემ-ათიკასა და აქტივობას.

1. რა არის პრეზენტაცია?

პრეზენტაცია ლათინური სიტყვაა და წარდგენას ნიშნავს. ეს არის რაიმე საკითხის აუდიტორიის წინაშე საჯარო წარდგენის პროცესი. პრეზენტაციის მიზანია, მოსწავლემ გარკვეულ წრეს (აქ: თანაკლასელებს) გააცნოს თავისი საქმიანობის, კვლევის შედეგები.

საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსწავლეები კლასის წინაშე მუდმივად უნდა წარადგენდნენ მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი კვლევის შედეგებს, რაც არ ხდება ერთი რომელიმე დისციპლინის ფარგლებში და, შესაბამისად, მისი დაგეგმვა და წარმართვა ყველა მასწავლებელს უნდა შეეძლოს.

კარგია, როდესაც ადამიანი ფლობს პრეზენტაციის, წარდგენის უნარს. ეს არა მხოლოდ სკოლაში მაღალი შეფასებების წინაპირობაა, არამედ საკუთარი შესაძლებლობებისა და კვლევის წარმოჩენის ფორმაც.

მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს, მოსწავლეებს განუვითაროს ეს უნარ-ჩვევა სასწავლო წლის განმავლობაში. თუკი სხვადასხვა საგანში პრეზენტაციები სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდება (რაც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების აუდიტორიის წინაშე წარდგენას), მოზარდები ბევრად უფრო მომზადებული შეხვდებიან ცხოვრების გამოწვევებს; ამავდროულად, სასწავლო პროცესი გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება.

2. რა შემთხვევაში ტარდება პრეზენტაცია?

როდესაც მოსწავლეები შემოქმედებით ან კვლევით სამუშაოს ასრულებენ და საჭიროა მისი შედეგების თანაკლასელებისთვის გაცნობა, ეწყობა პრეზენტაცია.

მოსწავლის ნამუშევარი შეიძლება იყოს:

- პროექტი;
- კვლევა (გამოკითხვა);
- თემის შეჯამება;
- საკუთარი შემოქმედება;
- ახალი დამატებითი ინფორმაციის გაცნობა.

3. როგორია ეფექტური პრეზენტაცია?

სასურველია, მოსწავლეების მიერ გაკეთებული პრეზენტაცია იყოს მოკლე (არაუმეტეს 10-15 წუთისა), აზრიანი და საინტერესო. კარგად მომზადებული შინაარსისა და სხვადასხვა თვალსაჩინოების გამოყენების (ფლიპჩარტი, მასალები და ა. შ) გარდა, აუცილებელია, მომხსენებელმა გაითვალისწინოს არავერბალური კომუნიკაციის ისეთი ელემენტები, როგორცაა ხმის ტემპრი, სხეულის ენა/ჟესტიკულაცია. მოსწავლეებს ამის შესახებ ინფორმაცია მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს და აუხსნას მათ, როგორ უნდა მოემზადონ პრეზენტაციისთვის.

4. როგორ უნდა მომზადდეს პრეზენტაცია?

პრეზენტაციამ რომ წარმატებით ჩაიაროს, საჭიროა აუდიტორიის შესწავლა, შესავლის, მოხსენების ძირითადი ნაწილისა და დასკვნის დაგეგმვა, სადემონსტრაციო თვალსაჩინოებების შერჩევა. ამის შემდეგ ინერება უშუალოდ მოხსენება. მოსწავლე უნდა მოემზადოს შესაძლო შეკითხვებზე პასუხის გასაცემადაც.

გასათვალისწინებელია – თუკი პრეზენტაცია აუდიტორიისათვის გაუგებრად წარიმართება, დაიკლებს/დაიკარგება მისდამი ინტერესი. კარგად უნდა დაიგეგმოს გამოსვლის ხანგრძლივობაც – რაც უფრო მცირეა დრო, მით უფრო რთულია ყველა ძირითადი იდეისა თუ თემის წარმოჩენა. მოხსენების მომზადებისას გასათვალისწინებელია, რომ მომხსენებელი საშუალოდ წუთში 100

სიტყვას ამბობს. გახსოვდეთ, აუდიტორიის ინტერესს გამოსვლის პირველი წუთები განაპირობებს.

მნიშვნელოვანია, რომ თემა არ იყოს მშრალი და მხოლოდ თეორიულ მასალებზე დაფუძნებული. ამდენად, ის უნდა შეივსოს საინტერესო, თემისთვის შესაბამისი მაგალითებით. სწორედ საინტერესო მაგალითებით ამასსოვრდება აუდიტორიას ესა თუ ის თემა. მომხსენებელი მზად უნდა იყოს კითხვებზე პასუხის გასაცემად.

აღსანიშნავია, რომ თვალსაჩინოებები ძირითად იდეებზე ყურადღების გამახვილებას უწყობს ხელს. წარმოდგენილი თემის ვიზუალურად შევსების გარდა, თვალსაჩინოებები, გარკვეულწილად, ეხმარება დამწყებ პრეზენტატორს, საკუთარი პიროვნებისგან ყურადღების აუდიტორიისკენ გადატანაში.

ზოგადად, თვალსაჩინოება შეიძლება იყოს ორი ტიპისა: ტექსტური და გრაფიკული.

- ა) ტექსტური თვალსაჩინოება უნდა შეიცავდეს მთავარ დებულებებს/პოსტულატებს, რაც აუდიტორიისთვის ადვილად დასამახსოვრებელი იქნება, ენეროს გარკვევით და არ უნდა აღემატებოდეს 4-5 ხაზს.
- ბ) გრაფიკული თვალსაჩინოება შეიძლება იყოს სქემა, დიაგრამა, ცხრილი, რუკა, ფოტო, ნახატი. აუცილებელია, ილუსტრაცია თემატურად ასახავდეს საკითხს/საკითხებს, ავსებდეს გამოსვლას. მიუღებელია ძნელად აღსაქმელი თვალსაჩინოების გამოყენება. გათვალისწინებული უნდა იყოს საკლასო ოთახის ზომაც – ბოლო რიგში მჯდომამაც უნდა შეძლოს წარმოდგენილი გრაფიკული თვალსაჩინოების დანახვა.

პრეზენტატორს ვიზუალური მასალა გამოსვლაში უნდა ჰქონდეს ჩართული და აუდიტორიას მასზე ამახვილებინებდეს ყურადღებას. კარგია, როცა მოსწავლე არ კითხულობს წარწერებს, თავად ხსნის ან ახდენს პერიფრაზირებას.

წარმატებული გამოსვლისთვის აუცილებელია აუდიტორიასთან კონტაქტი. მნიშვნელოვანია ხმის ტემპი, დგომის მანერა, ფესტები. მეტყველება უნდა იყოს გამართული და მშვიდი, წინადადებები – მარტივი. მოსწავლე არ უნდა ახტებოდეს თემებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ხელს შეუშლის აუდიტორიას კონცენტრირებაში.

5. როგორ უნდა შეფასდეს პრეზენტაცია?

არანაკლებ მნიშვნელოვანია პრეზენტაციის სწორი შეფასება; ისეთი კომენტარების გაკეთება, რაც მოსწავლეებს მომავალში პრეზენტაციის უკეთ წარმართვის საშუალებას მისცემს.

ამისათვის მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეადგინოს პრეზენტაციის შესაფასებელი კრიტერიუმები. სასურველია მათი შედგენა მოსწავლეებთან ერთად ან მათთან შეთანხმებულად.

გთავაზობთ პრეზენტაციის შეფასების ზოგად კრიტერიუმებს, თუმცა აუდიტორიის გათვალისწინებით, მასწავლებელს შეიძლება ამ კრიტერიუმების მოდიფიცირება დასჭირდეს:

- რამდენად საინტერესო იყო შესავალი ნაწილი;
- რამდენად მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული თეზისები;
- რამდენად დამაჯერებელი იყო არგუმენტაცია;

- რამდენად გამყარებული იყო მსჯელობა კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით;
- რამდენად კარგად მოხდა დასკვნით ნაწილში პრეზენტაციის შეჯამება;
- რამდენად საინტერესო და ორიგინალური იყო საპრეზენტაციო თემა;
- რამდენად დაცული იყო მსჯელობის ნაწილებს შორის ბალანსი;
- რამდენად მოიპოვა პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღება;
- რამდენად შეძლო პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება პრეზენტაციის ბოლომდე;
- რამდენად განონასწორებული და მიზნობრივი იყო პრეზენტატორის ყესტიკულაცია და მანერები;
- რამდენად სძლია პრეზენტატორმა ნერვიულობის ზოგად ფონს;
- რამდენად თამამად და დამაჯერებლად გასცა მან მსმენელების მიერ დასმულ კითხვებს პასუხები;
- რამდენად დაიცვა პრეზენტატორმა რეგლამენტი;
- რამდენად მომზადებული იყო პრეზენტატორი ზეპირად საუბრისთვის; მიეჯაჭვა თუ არა იგი ბარათებს, ფურცლებს, მასალას;
- რამდენად იყენებდა პრეზენტატორი თვალსაჩინოებებს.

მასწავლებელი თითოეული კრიტერიუმის გასწვრივ შესაბამის ქულას წერს, რის შემდეგაც ჯამდება ქულები (მაქსიმალური ქულა – 10).

ყოველი პრეზენტაციის დროს მასწავლებელი ინიშნავს პრეზენტატორის ძლიერ და სუსტ მხარეებს; მისი დასრულების შემდეგ კი მოსწავლეს თავდაპირველად ესაუბრება პრეზენტაციის ძლიერ მხარეზე. სუსტ მხარეზე საუბრისას აუცილებელია, მოსწავლეს მიეთითოს მისი დაძლევისა და გამოსწორების გზები.

კონკრეტული მაგალითი:

IX კლასის მე-10 შედეგში მოცემული აქტივობის დასრულების შემდეგ მიეცით კლასს საშინაო დავალება – ჩაატარონ მარტივი კვლევა და შეადგინონ ერთი კონკრეტული უბნის (საკუთარი საცხოვრებელი სახლის) სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა. გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და დაადგინონ, რა კავშირშია ის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურასთან. შეაფასონ და გამოიტანონ დასკვნა მათი ურთიერთგავლენის შესახებ. მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ ნამუშევრების პრეზენტაცია.

საკმარისია კვლევის შედეგების წარმოდგენა სქემის (გრაფიკული მასალის) სახით.

შეფასების კრიტერიუმები:

- რამდენად საინტერესო და ორიგინალური იყო საპრეზენტაციო თემა;
- რამდენად თამამად და დამაჯერებლად გასცა პასუხი მოსწავლემ მსმენელების მიერ დასმულ კითხვებს;
- რამდენად დაიცვა მოსწავლემ საპრეზენტაციო რეგლამენტი;

- რამდენად მოიპოვა მოსწავლემ აუდიტორიის ყურადღება;
- რამდენად იყენებდა მოსწავლე თვალსაჩინოებებს.

2. ექსკურსია, როგორც განმსაზღვრელი შეფასება

გეოგრაფიის სწავლების დროს ერთ-ერთი საუკეთესო აქტივობა ექსკურსიაა, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პროექტის შემაჯამებელი შეფასების რესურსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ექსკურსია პრაქტიკული წინმსწრები სამუშაოა პროექტის მოსამზადებლად. ამ აქტივობის დადებითი მხარე მოსწავლის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანაა. ამავდროულად, მოსწავლე იძენს და ანალიზებს ახალ ცოდნას და გამოთქვამს მოსაზრებას თემასთან დაკავშირებით, რაც საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის უნარ-ჩვევების გამოსავლენად. პროექტის განხორციელება ხშირად რამდენიმე საგნის (მაგალითად, გეოგრაფიისა და ისტორიის) ინტეგრაციას საჭიროებს; ამით ის უფრო სრულფასოვანი და საინტერესო ხდება.

ექსკურსიის თემა:

გეოგრაფიული მდებარეობის როლი ეთნოგრაფიული ერთეულების ჩამოყალიბებაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე მასწავლებელმა მოსწავლეებთან შეთანხმებით თავად უნდა აირჩიოს)

მიზანი: მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა თავად დაინახონ არსებული რეალობა და შეაფასონ გეოგრაფიის როლი ეთნოგრაფიული ერთეულის კომპლექსურ განვითარებაში (შენობა-ნაგებობები, ტრადიციები, ჩაცმულობა, ხასიათი და სხვ.), რომელსაც ნამდვილად განაპირობებს ფიზიკურ-გეოგრაფიული მოცემულობა; მკაფიოდ გაიაზრონ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, დასახონ სამომავლო გეგმები და იმსჯელონ განვითარების პერსპექტივაზე.

ექსკურსიამდე

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ექსკურსიის მიმართულებას. ადგილის დახასიათების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა იციან საექსკურსიო ობიექტის შესახებ. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ანგარიშის შედგენის ფორმას. მოსწავლეები იგებენ, რომ ანგარიშის შესადგენად მნიშვნელოვანია:

- ა) დაკვირვება — აღინერება, რა ვნახეთ.
- ბ) ანალიზი — მსჯელობა იმის ირგვლივ, რაც ვნახეთ; რა ვიცოდით წინასწარ იმის შესახებ, რასაც ვაკვირდებოდით; შეგვიძლია თუ არა გარკვეული კავშირების დანახვა დაკვირვების ობიექტებს შორის და ა.შ.
- გ) შესაძლო დანართები — ჩანახატები, ცხრილები, ჩამონათვალი, რუკები და სხვ.

ექსკურსიის მსვლელობისას

მოსწავლეები წყვილებში აკვირდებიან გარემოს და ცდილობენ, შეისწავლონ გეოგრაფიული მდებარეობისა და გარემოს გავლენა ადგილობრივი მოსახლე-

ობის ყოფაზე, ქცევაზე, მათ საცხოვრებელ სახლებზე და სხვ. მოსწავლეებს თან უნდა ჰქონდეთ რვეულები/ ბლოკნოტები, სადაც საკუთარ დაკვირვებებს აღწერენ. დაკვირვების შემდეგ მასწავლებელი შეკრებს მოსწავლეებს წრეში და ყველანი ერთად მსჯელობენ მოსწავლეთა მიერ გამოვლენილი საკითხების შესახებ, რის შემდეგაც მოსწავლეები რვეულში ჩანიშნულ თეზისებს ახალ ინფორმაციას ამატებენ.

ექსკურსიის შემდეგ

ექსკურსიის შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ პროექტის მომზადება, რაც საუკეთესო საშუალებაა დამოუკიდებელი კვლევისთვის. პროექტს მოსწავლეები გარკვეული დროის (ერთი ან რამდენიმე კვირის) განმავლობაში ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ აუდიტორიას.

მოსწავლის შეფასება სხვადასხვა მიზანს ემსახურება, შესაბამისად, არსებობს შეფასების სხვადასხვა ფორმა. ერთ-ერთია განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს სემესტრის ბოლოს. განმსაზღვრელი შეფასებისთვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობას: საკონტროლო წერას, ტესტს, პრეზენტაციას, პროექტს და ა.შ. რადგან განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს სტანდარტის დონეებთან მიმართებაში, ქულის დაწერა სავალდებულოა.

შესაძლებელია, პროექტის დასრულებისას განხორციელებულ სამუშაოზე დაყრდნობით ჩავატაროთ შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასება და დავწეროთ ქულები. გთავაზობთ პროექტის შეფასების ზოგად სქემას განმსაზღვრელი შეფასებისათვის:

შეფასების სქემა:

პირადი მიდგომები და პროექტის შემუშავებისას განეული ძალისხმევა (ჩადებული ინვესტიციები)	
რესურსების მოძიება	<ol style="list-style-type: none"> 1. პროექტის თემატიკასთან დაკავშირებული წყაროებისა და დოკუმენტების; 2. მოპოვებული ინფორმაციის სათანადო დამუშავება (გადარჩევა და გაანალიზება).
მიდგომები	<ol style="list-style-type: none"> 1. სიუჟეტის შესაფერისი მიდგომების გამოყენება; 2. დღიურის ხარისხი; 3. სამუშაოს დაგეგმვა.
საგნობრივი შინაარსი	<ol style="list-style-type: none"> 1. ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისადაგებულად გამოყენება

შეტანილი წვლილი კოლექტიურ მუშაობაში	<ol style="list-style-type: none"> 1. ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ალების უნარი; 2. გუნდურ მუშაობაზე ზრუნვა.
საბოლოო პროდუქტი	
პროდუქტი	<ol style="list-style-type: none"> 1. პროდუქტისა და მისი ფორმის შესაბამისობა მოცემულ სიუჟეტთან; 2. შემოქმედებითობა; 3. რუდუნება; 4. სისრულე.
ანგარიში	განვლილი გზის სრულად წარმოდგენა
ზეპირი გამოსვლა	
ზეპირი გამოსვლა	<ol style="list-style-type: none"> 1. გაკეთებული არჩევანის დასაბუთება; 2. დასმულ კითხვებზე რეაგირება; 3. პროექტის განხორციელებისას შეძენილი ცოდნის ხარისხი; 4. მეტყველების ხარისხი.

რასურსები

დამხმარე ლიტერატურა საბაზო საფეხურზე გეოგრაფიის სწავლებისთვის

- ვახუშტი ბატონიშვილი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, 1973 წ.
სერგი მაკალათია – მთიულეთი, 1930 წ.
სერგი მაკალათია – ხევი, 1934 წ.
სერგი მაკალათია – მესხეთ-ჯავახეთი, 1957წ.
სერგი მაკალათია – თუშეთი, 1983 წ.
სერგი მაკალათია – ხევსურეთი, 1984 წ.
სერგი მაკალათია – ფშავი, 1985 წ.
სერგი მაკალათია – მთის რაჭა, 1987 წ.
თედო სახოკია – მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), 1950 წ.
გარემოსდაცვითი განათლებიდან მდგრადი განვითარებისთვის განათლები-საკენ, ვებსტერი, 2007წ.
ვ. ჯაოშვილი – საქართველოს მოსახლეობა მე-18-19 საუკუნეებში, 1984 წ.
კ. ანთაძე – საქართველოს მოსახლეობა მე-19 საუკუნეში, 1973 წ.
ვ. ჯაოშვილი – საქართველოს მოსახლეობა, 1996 წ.
ეთნოსები საქართველოში, 2008 წ.
საქართველოს გეოგრაფია- საქართველოს გეოგრაფიის კათედრა, 2000წ.
საქართველოს გეოგრაფია – სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, II ნაწილი, 2003წ.
საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ახსნა-განმარტებანი – დ.ნიკოლაიშვილი, მ. ახალაია, 2000წ.
გეოგრაფია (ლექსიკონი+ცნობარი) – მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 წ.

მოგზაურები

- რაფიელ დანიბეგაშვილი – თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში, ლ. მარუამვილის გამოცემა, 1963 წ.
რაფიელ დანიბეგაშვილი – მოგზაურობა ინდოეთში, ს. იორდანიშვილის გამოცემა, 1950 წ.
რაფიელ დანიბეგაშვილი – ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, გ. ზარდალიშვილის გამოცემა, 1971 წ.
თეიმურაზ ბაგრატიონი – მოგზაურობა ჩემი ევროპისა და სხვათა ადგილთა, 1944 წ.
გიორგი ავალიშვილი – მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ე. მეტრეველის გამოცემა, 1967 წ.
გ. გეხტმანი – ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან, 1955 წ.
დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, 1996 წ.

სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოების ჩამონათვალი

რუკები და ატლასები

- მსოფლიოს ფიზიკური რუკა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა
- კავკასიის ფიზიკური რუკა
- კავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფის რუკა
- მსოფლიოს კლიმატური სარტყლების რუკა
- საქართველოს ფიზიკური რუკა
- საქართველოს ეკონომიკური რუკა
- საქართველოს სამხარეო დაყოფის რუკა
- საქართველოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფის რუკა
- საქართველოს ატლასი
- მსოფლიოს ატლასი
- კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი – ნ. ბერუჩაშვილი
- კავკასიის ეთნოლინგვისტური რუკა

დოკუმენტური ფილმები

- „მსოფლიოს 7 საოცრება“
- „მზის სისტემის საოცრებები“
- „მერვე საოცრება“
- „უძველესი ცივილიზაციების საიდუმლოებები – პირველი ქალაქები“
- „წითელი ზღვის ბინადარნი“
- „ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე“
- „ოთხმოცი დღე მსოფლიოს გარშემო“
- „პერუდან ბრაზილიამდე“
- „მექსიკიდან ჩრდილოეთ ამერიკისაკენ“
- „ავსტრალიიდან კამბოჯამდე“
- იაპონიიდან ჩინეთამდე“
- „ინდოეთიდან შრი-ლანკამდე“
- „უზბეკეთიდან სირიამდე“
- „იორდანიიდან ეთიოპიამდე“
- „მალიდან ეგვიპტემდე“
- „თურქეთიდან გერმანიამდე“
- „ბოსნიიდან საფრანგეთამდე“
- „თუშეთი“ – გარემოს დაცვის სამინისტრო
- „ვაშლოვანის დაცული ტერიტორია“ – გარემოს დაცვის სამინისტრო

**გეოგრაფიული ობიექტები და ღირსშესანიშნაობები
რეგიონებისა და რაიონების მიხედვით**

იმერეთი

პრომეთეს მღვიმე (სიგრძე – 15 კმ, ქ. წყალტუბოსთან)
ცუცხვათის მღვიმე (12-13 სართული, ტყიბულის მუნიციპალიტეტი)
ჯრუჭულის მღვიმე (საჩხერის მუნიციპალიტეტი)
სათაფლიის მღვიმე (ქ. ქუთაისთან)
ხომულის მღვიმე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი)
ნავენახევის მღვიმე (თერჯოლის მუნიციპალიტეტი)
თეთრას მღვიმე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი)
კაცხის სვეტი (40 მ სიმაღლის სვეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი)
საირმის ეროზიული მონმე (ბაღდათის მუნიციპალიტეტი)
ოკაცეს კანიონი (სიღრმე — 50 მ, ხონის მუნიციპალიტეტი)
დინოზავრის ნაკვალევი (სათაფლიის მიდამოებში)
დევისხვრელის მღვიმე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი)
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

კახეთი

ლაგოდეხის ნაკრძალი (ქ. ლაგოდეხში)
მარიამჯვრის ნაკრძალი (ქ. საგარეჯოსთან)
ბანარას ნაკრძალი (ახმეტის მუნიციპალიტეტი)
ბაბანეურის ნაკრძალი (სოფ. ალვანთან ახლოს)
ვაშლოვანის ეროვნული პარკი (დედოფლისწყაროდან 50 კმ)
ჯუმას ყურე (კაკლისყურე) (დედოფლისწყარო, შედის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში)
არწივის ხეობა (ქ. დედოფლისწყაროსთან, შედის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში)
დალის მთის წყალსაცავი და ტახტითეფას ტალახის ვულკანები (დედოფლისწყაროდან 30 კმ)
ახტალის ტალახის ვულკანი (ქ. გურჯაანში)
წინანდლის დენდროლოგიური პარკი (თელავის მუნიციპალიტეტი)
გომბორის უღელტეხილი (თელავის მუნიციპალიტეტი)
ყვარლის წყალსაცავი (მდ. დურუჯის ხეობა ქ. ყვარელთან)
ლოპოტას წყალსაცავი

შიდა ქართლი

ატენის ხეობა (გორის მუნიციპალიტეტი);
ბატეთის ტბა და ძამას ხეობა (ხაშურის მუნიციპალიტეტი)
ნადარბაზევის ტბა და კვერნაქები (გორის მუნიციპალიტეტი)
თეძამის ხეობა (კასპის მუნიციპალიტეტი)
მდ. ჭერათხევის ხეობა (ხაშურის მუნიციპალიტეტი)
უფლისციხე (ქ. გორთან)

მცხეთა-მთიანეთი

საგურამოს ნაკრძალი და ზედაზენი (ქ. მცხეთასთან)

ბაზალეთის ტბა, დაბა ფასანაური, ბოჭორმის სვეტი (დეშეთის მუნიციპალიტეტი)

გუდაური, ჯვრის უღელტეხილი, ბიდარის ტრავერტინი (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი)

სნოსწყლის ხეობა და სოფ. ჯუთა (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი)

თრუსოს ხეობა (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი)

გერგეთის მყინვარი (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი)

დედდორაკის და დარიალის ხეობა (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი)

გუდამაყრის ხეობა (დეშეთის მუნიციპალიტეტი)

ფშავის ხეობა (დეშეთის მუნიციპალიტეტი)

შატილი, მუცო (პირიქითა ხევსურეთი – დეშეთის მუნიციპალიტეტი)

სიონის წყალსაცავი და მდ. ივრის ხეობა (თიანეთის მუნიციპალიტეტი)

არმაზის ხეობა, შიომღვიმე, სხალტბის ქედი (მცხეთის მუნიციპალიტეტი)

ქვემო ქართლი

ნითელი ხიდი და ხუნანის ლავური ნაკადი (მარნეულის მუნიციპალიტეტი)

ნერაქვის ხეობა (მარნეულის მუნიციპალიტეტი)

ტანძია (მდ. ქციას ხეობა, ბოლნისის მუნიციპალიტეტი)

წულრულაშენი და ფოლადაურის ხეობა (ბოლნისის მუნიციპალიტეტი)

ფინეზაურისა და მაშავერას ხეობა (დმანისის მუნიციპალიტეტი)

წალკის წყალსაცავი და დაშბაშის კანიონი, ჯანდარას ტბა (გარდაბნის მუნიციპალიტეტი)

ალგეთის ნაკრძალი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)

ბირთვისის კანიონი, სამშვილდე (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)

სამეგრელო

აბაშისწყლის კანიონი (მარტვილის მუნიციპალიტეტი)

პალიასტომის ტბა და კოლხეთის ეროვნული პარკი

მდ. ტეხურას ხეობა და ლებარდე (მარტვილის მუნიციპალიტეტი)

მდ. ინწრას ხეობა (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)

ანაკლია (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი)

ნოქალაქევი (სენაკის მუნიციპალიტეტი)

ზემო სვანეთი

ჯვრის (ენგურის) წყალსაცავი, ჭალათის მყინვარი, შხარას მყინვარი, უშგულის თემი, დაბა მესტია

ლექსუმი

მდ. ლაჯანურის ხეობა და წყალსაცავი, მდინარე ჯინუღას ხეობა, ხვამლის მასივი (ლაშქრობისათვის), მდინარე რიონის ხეობა

ქვემო სვანეთი

მდ. ლასკადუღას, მდ. ცხენისწყლის, მდ. ხელედუღას ხეობები

რაჭა

შოვი, უნერა, შაორის წყალსაცავი, მდ. რიონის ხეობა, მდ. შარეუღას ხეობა, ნიკორწმინდის მღვიმე-საყინულე, მდ. ხეორას ხეობა, ქვაგახეთქილა (სოფ. შქმერთან), მდ. საკაურას ხეობა. სოფ. ღები

სამცხე-ჯავახეთი

ფარავნის, სალამოს, კარნახის, მადას, ტაბანყურის, ხანჩალის, წუნდის ტბები, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, კურორტი აბასთუმანი, მდ. გუჯარუღას ხეობა (ბორჯომის მუნიციპალიტეტი)
მდ. ქვაბლიანის ხეობა (ადიგენის მუნიციპალიტეტი)
გოდერძის განამარხებული ტყე (ადიგენის მუნიციპალიტეტი)
მტკვრის ხეობა ვარძიასთან

აჭარა

გოდერძის უღელტეხილი, მდ. სხალთის ხეობა (ხულოს მუნიციპალიტეტი)
დაბა ხულო (საჰაერო გზა ხულო-სოფ. თაგო)
მახუნცეთის ჩანჩქერი, მდ. აჭარისწყლის ხეობა, მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის ნაკრძალი (ქობულეთის მუნიციპალიტეტი)
ქობულეთის ნაკრძალი, მწვანე კონცხის ბოტანიკური ბაღი

გურია

კოლხეთის ეროვნული პარკი, მდ. სუფსას ხეობა, გომის მთა (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)
კურორტი ბახმარო (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი)

ელექტრონული რესურსები

www.mes.gov.ge (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)

www.tpdc.ge (მასწავლებლის სახლი)

www.moe.gov.ge (გარემოს დაცვის სამინისტრო)

www.apa.gov.ge (დაცული ტერიტორიების სააგენტო)

www.meca.ge (აფხაზეთის განათლების სამინისტრო)

www.heritagesites.ge (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო)

www.nplg.gov.ge (ეროვნული ბიბლიოთეკა – საჯარო)

ჰტტპ://www.nplg.gov.ge (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

<http://ka.wikipedia.org>

www.lib.ge

www.amsi.ge

www.saunje.ge

<http://www.toporopa.eu/en/index.html>

http://www.sheppardsoftware.com/European_Geography.htm

www.lizardpoint.com (სასწავლო თამაშები)

<http://www.ilike2learn.com/ilike2learn/geography.asp> – (სასწავლო თამაშები)

ჰტტპ://www.ilike2learn.com/ilike2learn/geography.asp (მოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში)

<http://www.purposegames.com/games/?t=622&so=mp>